ნატო მარშანია

# ქედუხრელი რაინდი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

ავტორი – ***ნატო მარშანია***
**„ქედუხრელი რაინდი“**

რედაქტორები: პროფესორი ***დიანა ტყებუჩავა***
პროფესორი ***ჯემალ გამახარია***

***აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით***

„ვინც საქართველოს და აბხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა“ – ასეთი რწმენით იცხოვრა და იღვაწა აფხაზეთის მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარმა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას რომანის პერსონაჟის პროტოტიპი გახდა; სწორედ იმ წლებში, როცა „მთვარის მოტაცება“ იწერებოდა, ემიგრანტი დიმიტრი ემუხვარი პრაღაში ცხოვრობდა და ძალისხმევას არ იშურებდა სამშობლოს დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის.

წინამდებარე ნაშრომი მისი დიდი და ტრადიციული აფხაზური ოჯახის ერთ-ერთი გენეტიკური და სულიერი მემკვიდრის – ქალბატონ ნატო მარშანიას ემოციური მოგონებებით, სხვადასხვა არქივსა თუ დოკუმენტში მოძიებული ინფორმაციით აიკინძა და ფართო საზოგადოებისათვის ჭეშმარიტი აფხაზი მამულიშვილის, საქართველოს დიდი პატრიოტის, ემიგრაციაში სამშობლოს თავისუფლებაზე აუხდენელი ოცნებითა და ღვაწლით აღსრულებული ტანჯული მოღვაწის შეხსენების გარდა სხვა პრეტენზია არ გააჩნია...

ავტორი იმედოვნებს, რომ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ღვაწლი უთუოდ იპოვის პროფესიონალ შემფასებელს მეცნიერ-პოლიტოლოგთა, ისტორიკოსთა შორის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა „ისტორიული, ბუნებრივი ერთობა ორი დასაბამიდან მოძმე და მონათესავე ხალხისა“ უმძიმესი საფრთხის წინაშეა, როცა ორივე ხალხის მონდომება, თანადგომა, ბრძნული პოლიტიკაა ჰაერივით აუცილებელი ამ ერთობის აღდგენისათვის...

რედაქტორი: პროფ. ***დიანა ტყებუჩავა***

© ნ. მარშანია, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-662-3

***სხვადასხვა სახის მხარდაჭერისათვის დიდ მადლობას ვუხდით:***

აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს –
***გიორგი ბარამიას;***
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრს –
***დალი ხომერიკს;***
სლოვენიის ბიბლიოთეკის დირექტორს – ***ლუკაშ ბაბკას***;
ჩეხეთის ეროვნულ არქივს, განსაკუთრებით, მის
თანამშრომელს – ***ვლასტა მესტანკოვას***;
ქალაქ პრაღის არქივს;
პარიზის კლოდ- ბერნარის საავადმყოფოს არქივს;
რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივს;
საქართველოს ეროვნული არქივის – ცენტრალური
საისტორიო არქივის დირექტორს – ***ზურაბ ქვანიას***, არქივის
თანამშრომლებს, განსაკუთრებით – ***რუსუდან ფაილოძეს***;
ქალაქ ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორს –
***მერაბ კეზევაძეს***;
ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელს –
***რუსუდან კობახიძეს***, მუზეუმის თანამშრომელს –
***დონარა კორსანტიას***.

მადლობით მოვიხსენიებთ აგრეთვე: ***პაატა და ნონა ბოკერიებს***, ***მიხეილ ვანჩეკს***, ***ნოდარ ემუხვარს***, ***მაია შერვაშიძეს, იური ჩიქოვანს, დონარა თუნგიას, მზია ლაღაძეს***, ***მედეა გოგოლაძეს***.

***Nato Marshania***
***Uncompromising Knight***

***Historically many prominent Abkhaz public figures played important roles in strengthening Georgian-Abkhaz relations. Among them was Dmitry (Arzakan) Emukhvari, the first Chair of Government of the Autonomous Republic of Abkhazia (1919-1921), the member of the Constituent Assembly of Georgia and a descendent of a noble Abkhazian family. All of his life and deeds were directed towards deepening the brotherhood and love between Abkhaz and Georgian people.***

***Dmitry (Arzakan) Emukhvari's personality merged in the best qualities of these two people: honor, dignity, nobility and unbounded love for motherland. Indeed, he shall be regarded as one of the most generous and revered knights in the history of the Georgian-Abkhaz relations.***

***In 1921, aftermath Bolshevik occupation of Georgia, together with the Government of Georgia, Dmitry Emukhvari was compelled to leave the country. His destiny prescribed him to never see his sons and homeland again, subsequently opening the last, the most tragic page of his life.***

***The years spent in exile became a painful path of a politician and emigrant, the path full of bitterness and frustration. Far away from home, he never stopped thinking about and hoping for restoring independence in his country, settlement of Georgian-Abkhaz relations, and more so, was deeply missing the family he loved wholeheartedly.***

***This book is just a modest attempt of a grateful descendant – to shed the light from the darkness of oblivion on the image of a prominent ancestor, Dmitry (Arzakan) Emukhvari, an honorable son of the Abkhaz people and a great patriot of Georgia, hoping that he stands out as a symbol of faith, hope and love for future generations to come.***

***Нато Маршания***
***«Непреклонный рыцарь»***

***Многие абхазские деятели внесли весомый вклад в дело укрепления грузино-абхазских взаимоотношений. Среди них Дмитрий (Арзакан) Эмухвари – первый Председатель Правительства автономной республики Абхазия (1919-1921), член Учредительного собрания Грузии, представитель древнейшего абхазского рода. Вся его деятельность, его мировоззрение были направлены на углубление братства и любви между абхазами и грузинами. Арзакан Эмухвари вобрал в себе лучшие качества этих двух народов – честь, достоинство, благородство и безмерную любовь к Родине. Он является одним из самых великодушных и доблестных рыцарей в истории грузино-абхазских взаимоотношений.***

***В 1921 году, вследствие оккупации Грузии большевиками, он вместе с Правительством Грузии был вынужден покинуть Родину. Ему не суждено было увидеть сыновей, Родину. Началась последняя, трагическая страница его судьбы и его семьи..***

***Годы проведенные в эмиграции – это мученический путь политика-эмигранта, который был полон горечи и разочарований. Вдали от родины он непрестанно думал об ее освобождении, об урегулировании грузино-абхазских взаимоотношений, и конечно же, тосковал по столь дорогим его сердцу близким людям.***

***Данная книга – это всего лишь скромная попытка благодарного потомка, извлечь из тьмы забвения образ прославленного предка, достойного сына абхазского народа и большого патриота Грузии – Арзакана Эмухвари, в надежде, что имя его вернется на Родину символом веры, надежды и любви!***

# წინათქმა

*თვალწინ მიცოცხლდება შორეული წარსულის დაუვიწყარი სურათები... უდარდელი ბავშვობა და ყრმობა. ეს წლები აფხაზეთს, მშობლიურ კერას, იმ ყველაფერს უკავშირდება, რაც ძვირფასი და სანუკვარია ჩემთვის. ზოგჯერ ვცდილობ, მათ არ შევეხო – ამ სიწმინდეებს, ვინაიდან გულს მიკლავს და გაუსაძლის ტკივილად ხმიანდება...*

*დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ძმის, ივა ემუხვარის ოჯახში ვიზრდებოდი.*

*ივა ემუხვარმა მამაჩემი, შოთა მარშანია, მცირეწლოვანი იშვილა, რადგან მისმა დამ, დიდედაჩემმა – ანამ მშობიარობისთანავე ისე დატოვა წუთისოფელი, ისიც ვერ მოასწრო, ახალშობილ ვაჟს მოფერებოდა.*

*მახსოვს ჩვენს ოჯახში სასტუმრო დარბაზის კედელზე დაკიდული ფოტოსურათი, რომლიდანაც საოცარი სიკეთით, დარდითა და სევდით სავსე თვალებით შემოგვყურებდა სანდომიანი პიროვნება. ვიცოდით, რომ ივი ჩვენი ბაბუის, ივას ძმა, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი იყო. 1919 წელს 13 თებერვალს დემოკრატიული წესით არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს, იმავე წლის მაისიდან კი – აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. ქართველი და აფხაზი ხალხის ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად დატოვა სამშობლო 1921 წელს. ისიც ვიცოდით, რომ ივი ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრაღაში ცხოვრობდა და დასაფლავებული იყო პარიზთან ახლოს, ლევილში. შინ მასზე ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ, ასეთი დრო იყო. ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში სათუთად ინახებოდა არზაყან ემუხვარის წიგნები, რომლებიც ყველა სხვა წიგნისგან განსხვავდებოდა: კოხტა, ყავისფერ ყდებში ჩასმული და ბრწყინვალედ ილუსტრირებული. ხშირად ვფურცლავდი მათ, ვათვალიერებდი. ყველაზე მეტად "ვეფხისტყაოსანი" მომწონდა, სასწაულებრივად ლამაზი, ფერადოვანი ილუსტრაციებით; მახსოვს, სურათებს წინ სიფრიფანა პერგამენტის ქაღალდი ჰქონდა აფარებული, თეთრი და გამჭვირვალე. დანარჩენი*

წივნები ბავშვობისას, ცხადია, არ მიზიდავდა, რადგანაც, ვფიქრობ, სამეცნიერო ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

მუდამ თან დამდევს მოგონება ერთი ამაღელვებელი ისტორიისა, რომლის მომსწრეც აღმოვჩნდი. ჩვენს ოჯახს ოჩამჩირეში ხშირად სტუმრობდნენ ჩემი ბაბუის, ივა ემუხვარის ყოფილი მეზობლები შეშელეთიდან. ბაბუას უმძიმესი ცხოვრება ჰქონდა: საყვარელი ვაჟიშვილის დაკარგვა, ერთადერთი ძმის – არზაყანის სიკვდილი, ძვირფასი ძმისშვილის ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარის დახვრეტა... ივა ემუხვარმა არაერთხელ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, რადგანაც არაერთგზის განხორციელდა მისი ქონების კონფისკაცია. ერთხელაც, როდესაც შეიტყო რომ სახლისა და მეურნეობის წართმევას უპირებდნენ, გადაწყვიტა მეზობელი გლეხისთვის (სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს) ფუტკრის სკები ეჩუქებინა. იმ გლეხმა კი, მადლიერების ნიშნად, საკუთარ ოჯახს უანდერძა – ყოველ წელს, ივა ემუხვარის სახლობისთვის თაფლი მიერთმიათ და, წლების განმავლობაში ამ ადამიანის შთამომავლებს თაფლის მოსავალზე ძღვენი მოჰქონდათ ჩვენთვის.

ივა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში. მისი ნების გარეშე სოფელში (შეშელეთში) არაფერი კეთდებოდა. მასთან ხშირად მოდიოდნენ ბავშვები, რადგან დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მათთვის რუსული ენის, მათემატიკისა და სხვა საგნების სწავლება.

ხშირად მიამბობდნენ იმის შესახებ, რომ ივა იყო გამოჩენილი მეცნიერ - აკადემიკოსის - ილია ვეკუას ნათლია. ერთხელ ილია ვეკუას მამას ბაბუა ივასთვის შეუჩივლია, შვილისთვის განათლების მისაცემად ფული არ მაქვსო. ივა დახმარებას დაპირდა თურმე ნათლულს და სიტყვა შეასრულა კიდეც: პირუტყვი გაყიდა და საჭირო თანხა დროულად გადასცა ნათლიმამას. მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს წლებში კი ილია ვეკუა მამაჩემს ეხმარებოდა, რომელიც იმ დროს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა.

საოცარი ხალხი იყო და საოცარი ურთიერთობები ჰქონდათ!

მახსოვს, ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდა სტუმრად არზაყანის უმცროსი ვაჟი გივი ემუხვარი, ქალიშვილთან, მარინასთან ერთად. მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი... ჩვენ მუდამ გვახარებდა მათი ჩამოსვლა, რადგან სახლი ხალისით ივსე-

ბოდა. ვივი ბრწყინვალედ მღეროდა, საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა, არაჩვეულებრივი მთხრობელი იყო, პოეზია უყვარდა და სულ ლექსებს კითხულობდა, შეუდარებლად ცეკვავდა; ქეიფი უყვარდა და გამორჩეული თამადაც იყო. მასზე ამბობდნენ, ნამდვილი თავადიაო. მაშინ ძალიან მიჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ამ სიცოცხლით სავსე, მხიარულ ადამიანს ესოდენი ტკივილი არგუნა ბედმა, ამხელა დარდი ჰქონდა, ასეთი ტანჯვაგამოვლილი იყო... მაგრამ ვივი ემუხვარს უყვარდა სიცოცხლე და ხიბლავდა ყველაფერი ლამაზი, მშვენიერი. ეს მას განსაკუთრებული ხიბლით მოსავდა, შთაგონებულს, მიმზიდველს, ბავშვურად ალერსიანს ხდიდა.

მამაჩემი ამაღელვებლად, როგორღაც, განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით გვიყვებოდა არზაყან ემუხვარის უფროს ვაჟზე ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარზე. ვგრძნობდი, რომ მამას უჭირდა მასზე საუბარი. სამწუხაროდ, ეს ადამიანი არასოდეს მინახავს, ივი ჩემს ხსოვნაში ახლობლების ნაამბობით დარჩა, როგორც გამორჩეულად კეთილშობილი, არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით შემკული, ფართო განათლებისა და იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებად. 1937 წლის ივი დააპატიმრეს, 1938-ის მარტში კი დახვრიტეს. მისი ერთადერთი დანაშაული ის აღმოჩნდა, რომ არზაყან ემუხვარის შვილი იყო...

ჩემი მამიდა, ციალა ემუხვარი-თუნგია, რომელიც ივამ იშვილა და გაზარდა, ხშირად მიამბობდა ბაბუის, ივა ემუხვარის კუჭიკოსთან ციხეში უკანასკნელი შეხვედრის ისტორიას. პაემანი ხანგრძლივი არ ყოფილა. კუჭიკოს ბაბუასთვის უთქვამს: „მოდი, ქუდები გავცვალოთ, მე ჩემს თბილს მოგცემ, გარეთ ხომ ძალიან ცივა, ავად არ გახდე! სამაგიეროდ, სახსოვრად დავიტოვებ შენს ქუდს!“. ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო, მეტად ერთმანეთი აღარ უნახავთ. ოჯახმა დიდ ხანს არაფერი იცოდა, რა ბედი ეწია ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარს.

გავიდა წლები...

უკვე თბილისში ვცხოვრობდი, როდესაც ხელში აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელო (1,331) ჩამივარდა, სადაც ასეთი რამ ამოვიკითხე: «Во главе комиссариата Абхазии, по словам Михаила Тарнава, стоял «известный меньшевик, князь Арзакан (Дмитрий) Эмухвари – безвольный,

*бездарный и трусливый человек.» (აფხაზეთის კომისარიატის სათავეში, მიხეილ ტარნავას თქმით, იდგა „ცნობილი მენშევიკი, თავადი არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი – უნებისყოფო, უნიჭო და მშიშარა ადამიანი“). ამ სტრიქონების გამო სულის ტკივილი, წყენა, დაბნევა და დარდი ერთად მომეძალა, საკუთარ თავს ვეკითხებოდი: რით დაიმსახურა არზაყან ემუხვარმა ასეთი სიტყვები, ამგვარი შეფასება?*

*ჩემს წინაშეა კონსტანტინე გამსახურდიას წერილი, რომელიც მან მისწერა არზაყან ემუხვარის შვილს, ვლადიმერ ემუხვარს.*

*აღნიშნული წერილი გადმომცა ბატონმა ნოდარ ემუხვარმა, რომელთანაც ინახება წერილის ორიგინალი.*

***ჩემო პატარა ემხვარო!***

***ჩემს ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში“ შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი რომელშიდაც მე ჩემი სიყრმის მეგობარი კეთილი აფხაზი არძაყან იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი.***

***ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა. გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაქება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მის იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა. მომიტევეთ...***

***კ. გამსახურდია.***

***გთხოვთ დამდოთ პატივი და ამ ამბავს ჩემს სიკვდილამდე პუბლიკაციას ნუ მისცემთ.***

***თქვენი კ. გამსახურდია 1934 წ. თბილისი*** (სტილი დაცულია).

რომანის „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟების პროტოტიპების შესახებ კონსტანტინე გამსახურდია იშვიათად საუბრობდა. იგი ერთგან აღნიშნავს: „საერთოდ, როცა მხატვრული ნაწარმოები გამოვა, ავტორს უწინარეს ყოვლისა მართებს დუმილი, მართებს იმიტომ, რომ მხატვრულ ნაწარმოებს არც განმარტება უნდა სჭირდებოდეს და არც დამატება.“ იგი

მხოლოდ პირად წერილში ამჟღავნებს „მთვარის მოტაცების“ ერთ-ერთი გმირის – თარაშ ემხვარის პროტოტიპის ვინაობას, თუმცა, ადრესატს სთხოვს, მის სიკვდილამდე არ გაამჟღავნოს საიდუმლო. ამ წერილიდან, რომელიც 2003 წელს გამოქვეყნდა, ირკვევა, რომ თარაშ ემხვარის პროტოტიპი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარე და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არზაყან (დიმიტრი) ემუხვარია, რომელიც რომანის წერის პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში ემიგრაციაში იმყოფებოდა. წერილის ადრესატი ემუხვარის ვაჟია, რომელსაც კონსტანტინე პატიებას თხოვს, რომ მამამისი ენგურის ზვირთებთან ბრძოლაში დაამარცხა...

ამ ყველაფრის შემდგომ მიზნად დავისახე მასალების მოძიება, მისი წერილებისა და გამოსვლათა ტექსტების შეკრება და გამოქვეყნება.

დაიწყო ხანგრძლივი მიმოწერა პრაღის, რუსეთის ფედერაციის (ГАРФ), საქართველოს ეროვნულ და ქუთაისის ცენტრალურ არქივებთან, სლავურ ბიბლიოთეკასთან, ვარშავასთან, პარიზის კლოდ-ბერნარის საავადმყოფოს არქივთან; სოციალ-დემოკრატების არქივის შესწავლა, რომელიც ლევილიდან ბატონმა გურამ შარაძემ ჩამოიტანა, მასალების მოძიება ქართული ემიგრაციის მუზეუმში, გივი ემუხვარის პირად არქივში... უკიდეგანო სიხარული მიპყრობდა, როცა არქივებში ვპოულობდი წერილებსა თუ დეპეშებს ჩემთვის კარგად ნაცნობი ხელწერით – არზაყან ემუხვარი.

ჩემი უმთავრესი მიზანი გახდა ფართო საზოგადოებისა და ახალგაზრდა თაობისათვის გამეცნო არზაყან ემუხვარის ცხოვრება და მოღვაწეობა, იმ ადამიანისა, ვინც ღირებული წვლილი შეიტანა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

ბატონმა ჯემალ გამახარიამ ასე შეაფასა არზაყან ემუხვარის მოღვაწეობა: ***„საყოველთაო აღიარებით, 1918-1921 წლებში სწორედ არზაყან ემუხვარის ძალისხმევით მოხერხდა, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს ფარგლებში ავტონომიის სახით აფხაზეთის მოქცევა“.***

მე არ მიცდია მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება, ეს მეცნიერ-ისტორიკოსთა, პოლიტოლოგთა შესწავლის საგანია. ვფიქრობ, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის წვლილი

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში დავიწყებას არ უნდა მიეცეს, ვინაიდან მან საკუთარი თავი მთლიანად მიუძღვნა მისთვის უსაზღვროდ ძვირფასი სამშობლოს მსახურებას, ამ ორ ხალხს, რომელიც არასოდეს მდგარა ბარიკადის სხვადასხვა მხარეს, 1992-93 წწ. ომის გამოკლებით.

არ ვიცი, რას იტყოდა ან რას იფიქრებდა აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი დღევანდელ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, მაგრამ, ვფიქრობ, უთუოდ დაღონდებოდა: ნუთუ მე და ჩემმა მეგობრებმა იმისთვის გავწირეთ თავი, რომ ქართველები და აფხაზები დღეს ასე დაშორებოდნენ ერთმანეთსო?!

# §1. თარაშ ემხვარის პროტოტიპის პროფილი და ანფასი

*„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ ჩვევია“*

*თარაშ ემხვარი, „მთვარის მოტაცება“,*
*კონსტანტინე გამსახურდია.*

*„საჭიროა და აუცილებელია საქართველო – აფხაზეთის შედუღება და ყოველნაირი მათი განცალკევების საბაბის ძირშივე მოსპობა... ამისთვის საქართველოს მოღვაწეებმა უნდა დიდი სიფრთხილით მოეპყრონ აფხაზეთს, რომელიც საქართველოს დასავლეთის დიდი მნიშვნელოვანი კარია... ყოველნაირ ცენტრალურ ემიგრანტთა გაერთიანებაში სამართლიანობა და მიზანშეწონილობა მოითხოვს აფხაზეთს შესაფერი წილი ქონდეს თამანშრომლობის და ერთად ცხოვრების ჭაპანის წევის...*

*შენ იცი, აკაკი, ჩრდილო-კავკასია რა თვალით უყურებს აფხაზეთს, საჭიროა სიფრთხილე და მიზანშეწონილი მოქმედება, რომ აფხაზეთის ცრუ პატრიოტებმა საბაბი არ იშოვონ, თითქოს საქართველო უყურადღებოთ ექცევა მას, ხოლო ჩრდილო-კავკასია აფხაზეთის საიმედო დაშვებული მეგობარია.*

*შენ იცი ყველაფერი ეს და უნდა უყურადღებობა აფხაზეთისადმი მოისპოს აწი მაინც, როგორც ამას მოითხოვს აფხაზეთ-საქართველოს საერთო ინტერესი...“*

*არზაყან ემუხვარი*
*პრაღა, 1935 წელი.*

ამ სტრიქონებში ირეკლება არზაყან ემუხვარის მრწამსი, მისი მამულიშვილური სულისკვეთება, რასაც შესწირა კიდეც ყოველივე, რაც გააჩნდა, ვინაიდან ეს მრწამსი ცხოვრების უმთავრეს მიზნად ექცა... ამ მრწამსს უზიარებდა სიყრმის მეგობარს, შემდგომში ცნობილ პოლიტიკოსს: ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს საფრან-

გეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს აკაკი ჩხენკელს. ზემოთაღნიშნულ წერილში, ისევე, როგორც ყველა თანამოაზრეს, თანამოსაქმეს, თანამოდარდე მამულიშვილს – აფხაზსა თუ ქართველს.

არზაყან ემუხვარის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, მამულიშვილური მოღვაწეობის გვირგვინი შეიძლება ეწოდოს ამ დეპეშას:

Телеграмма
1919 год . 20 марта. Сухуми.
Председателю правительства Республики Грузия

***Акт об Автономии Абхазии.***

Первый Абхазский Народный Совет, избранный на основе всеобщего, прямого, равного и тайного избирательного права, в заседании своем от 20 марта 1919 года от имени народов Абхазии постановил:

1. Абхазия входит в состав демократической республики Грузия, как ее автономная единица о чем поставить в известность Правительство республики Грузия, ее Учредительное собрание.
2. Для составления Конституции автономной Абхазии и определения взаимоотношений между центральной и автономной властью избирается смешанная комиссия в равном числе членов от Учредительного собрания Грузии и АНС, и выработанные положения по принятию их Учредительным собранием Грузии и АНС должны быть внесены в Конституцию демократической республики Грузия.

Председатель АНС – Д. Эмухвари
Секретарь – Королев

*აფხაზეთის პირველი სახალხო საბჭო არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თავის 1919 წლის 20 მარტის სხდომაზე აფხაზეთის ხალხების სახელით ადგენს:*

*1. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას.*

*2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებას შორის დამოკიდებულების განსასაზღვრად აირჩეს შერეული კომისია საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა თანაბარი რაოდენობით და მის მიერ შემუშავებული წინადადებები, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს მისაღებად, უნდა შევიდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში.*

აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე: დ.ემუხვარი
მდივანი: კოროლიოვი (2).

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა ინფორმაცია აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლის თაობაზე და სპეციალური მისალმება გაუგზავნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს:

### *Телеграмма*

21 марта. 1919 года. Сухуми

Сухуми – Абхазскому Народному Совету

Учредительное собрание Грузии на своем заседании от 21 марта 1919 года с чувством особого удовлетворения выслушало Акт об автономии Абхазии, принятый Абхазским Народным Советом 20 марта 1919 года. Отныне положено прочное основание свободной жизни народов Абхазии в пределах свободной Грузии.

Отныне смело можем заявить перед лицом всего света, что демократическая Грузия осуществит то, что не могли

до сих пор осуществить даже некоторые сильные державы.

Воссоеденено историческое, естественное единение между двумя исконно братскими и единокровными народами на страх недругам демократии, и на благоденствие и счастье ее друзей.

Учредительное собрание Грузии не лишит своих забот и руководства народы Абхазии в особенности в переживаемый тяжкий исторический момент и будет делить с ним и горе и радость.

Председатель Учредительного собрания Грузии

А. Ломтатидзе.

*დეპეშა*

*1919 წლის 21 მარტი                                        სოხუმი*

*სოხუმი – აფხაზეთის სახალხო საბჭოს*

*საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავის სხდომაზე 1919 წლის 21 მარტს განსაკუთრებული კმაყოფლების გრძნობით მოისმინა აქტი აფხაზეთის ავტონომიის თაობაზე, რომელიც აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო 1919 წლის 20 მარტს. დღეიდან მყარი საფუძველი შეექმნა აფხაზი ხალხის თავისუფალ ცხოვრებას თავისუფალი საქართველოს შემადგენლობაში. ამიერიდან შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ მთელი სამყაროს წინაშე, რომ დემოკრატიული საქართველო განახორციელებს იმას, რისი განხორციელებაც აქამდე ვერ შესძლეს ზოგიერთმა ძლიერმა სახელმწიფოებმაც კი.*

*გაერთიანდა ისტორიული, ბუნებრივი ერთობა ორი დასაბამიდან მოძმე და მონათესავე ხალხისა, დემოკრატიის მტერთა სავალალოდ და მის მეგობართა სასიკეთოდა და საბედნიეროდ.*

*საქართველოს დამფუძნებელი კრება არ მოაკლებს თავის მზრუნველობასა და ხელმძღვანელობას აფხაზეთის ხალხებს განსაკუთრებით მძიმე ისტორიულ მომენტში და მასთან გაიყოფს ჭირსა და ლხინს.*

*საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ა.ლომთათიძე (3,7).*

„რა ხდებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს აფხაზეთში, ვინ ხელმძღვანელობდა მას, რა ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს ხელისუფლებასთან? ამ საკითხებზე არც თუ ბევრი დაწერილა ქართულ პრესაში და, ვფიქრობთ, ბევრიც დააკლდა ამის გამო ქართულ-აფხაზური დაახლოების საქმეს, რადგან იმ აფხაზი პატრიოტების ღვაწლი, რომლებიც პირველი ქართული რესპუბლიკის დროს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ამ ულამაზეს მხარეს და, ამავე დროს, მშობლიური-აფხაზური ენის, კულტურისა და ეროვნულობის ნამდვილი მებაირახტრეები იყვნენ, როგორც დღევანდელი ქართველების, ასევე აფხაზებისათვის სამაგალითო უნდა იყოს. სწორედ, მათი ღვაწლისა და იდეების საგულდაგულოდ მიჩქმალვაც იქცა, ალბათ, იმ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების მთავარ მიზეზად, რომელიც ორ ერს შორის ხოცვა-ჟლეტით, ძნელად აღმოსაფხვრელი სიძულვილითა და ქვეყნის გახლეჩით დასრულდა.

აფხაზეთის ავტონომია დამოუკიდებელი საქართველოს დროსაც არსებობდა და მისი მეთაური არზაყან ემუხვარი იყო – აფხაზეთისა და საქართველოს უდიდესი პატრიოტი კაცი, რომლის ცხოვრებაც მშობლიური პატარა ერის – აფხაზეთის კეთილდღეობისა და ამ კეთილდღეობის საქართველოსთან ბუნებრივი დაკავშირების მაგალითად დარჩა“ (4,46).

დადასტურებულია არზაყან ემუხვარის წვლილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საქმეში, მაგრამ ახალგაზრდობას, ფართო საზოგადოებას ცოტა რამ სმენია მის შესახებ. ცნობილი გენერალი შალვა მაღლაკელიძე თავის მოგონებებში წერდა: ***„აფხაზეთი თუ შეგვრჩა, ითვლება, რომ არზაყან ემუხვარის წყალობით!“***

მაინც, ვინ არის არზაყან ემუხვარი? როგორია მისი როლი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში? მივმართავთ შორეულ წარსულს, ჩვენი ისტორიის მატიანეს, მის იმ ფურცლებს, სადაც ნათლად გამოიკვეთება არზაყან ემუხვარის პოლიტიკური ფიგურა, თავისი ხალხის, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული პიროვნების სახე.

არზაყან ემუხვარი, დაიბადა 1880 წლის 26 ოქტომბერს, სოფელ ჩხორთოლში. მისი დაბადების მოწმობაში აღნიშნულია:

***Родители – Жит. Села Репи, князь Кизилбах Мурзакулевич Емхвари и законная жена его Хамсет Омариевна Маргания, оба православные.***
***Крёстный – князь Отар Мурзаканович Дадешкелиани.***
***Свидетель – дворянин Кваджи Кациевич Маргания***
***Священник – Репской Иоанна крестительской церкви Иван Панцулая и псаломщик Виссарион Панцулая.***

*მშობლები – სოფ. რეფის მცხოვრებნი, თავადი ყიზილბაქ მურზაკულის ძე ემხვარი და მისი კანონიერი ცოლი ხამსეტ ომარის ას. მარღანია, ორივე მართლმადიდებელი.*
*ნათლია – თავადი ოთარ მურზაყანის ძე დადეშქელიანი*
*მოწმე – თავადი კვაჯი კაციას ძე მარღანია.*
*მღვდელი – რეფის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის, ივანე ფანცულაია და მედავითნე ბესარიონ ფანცულაია.*

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიის მონაცემებით არზაყან ემუხვარის დაბადების წელი 1877 წლის 2 აპრილია, ოფიციალურ დოკუმენტებში კი 1880 წელია მითითებული.

გვარი ემუხვარი წარმოადგენს აფხაზური ემხაა-ს ფორმას. გვარი ემხაა (აფხაზურად იწერება ემხაა), სავარაუდოდ, ნაწარმოებია აფხაზური საკუთარი სახელისაგან – ემხა, რომელიც დაკავშირებულია სიტყვასთან „აიმხაა“ – „გახსნა“. აქედან გამომდინარე, სახელი ემხა შეიძლება ნიშნავდეს გახსნილს.

საჭიროდ მივიჩნიეთ შედარებით ვრცლად მოგვეთხრო არზაყანის ერთი სახელოვანი წინაპრის, კაცია ბეჟანის ძე მა-

ანის (1766-1864/66) ცხოვრებასა და ღვაწლზე. არზაყან ემუხვარის დედა – ხიმზადა (ხამსეტ) ომარის ას. მარღანია იყო ამ ყველაზე ცნობილი მაანის (მარღანიას) შვილიშვილი, რომელიც არა მხოლოდ მაანების თავადური გვარის უწარჩინებულესი, არამედ – ზოგადად, აფხაზეთის ისტორიაში ცნობილი და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. კაცია ეკუთვნოდა მაანების იმ შტოს, რომლებიც თავს ხაბრ – იპას უწოდებდნენ თავისი ერთ -ერთი წინაპრის სახელის მიხედვით. ბექან მაანთან იზრდებოდა გიორგი ჩაჩბა, აფხაზეთის სამთავროს მფლობელის ქელეშ-ბეის ვაჟი, და ის გარემოება, რომ ბექან მაანი მომავალი მმართველის ბიძა იყო, ცხადია, ავტორიტეტსა და გავლენას სძენდა არათუ ამ ოჯახს, არამედ მთელ მრავალრიცხოვან მაანთა გვარს აფხაზეთში.



*ემუხვარების საგვარეულო გერბი*

აფხაზეთის პოლიტიკურ არენაზე კაცია მაანი XIX ასწლეულის დასაწყისში გამოჩნდა. 1808 წელს შეთქმულების შედეგად მოკლეს აფხაზეთის მფლობელი ქელეშბეი ჩაჩბა. ქვეყნის მმართველობა ხელში მისმა უფროსმა ვაჟმა – ასლანბეიმ აიღო. იმავდროულად საკუთარი თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა ასლანბეის ძმამ გიორგიმ, რომელსაც მხარს უჭერდა საქართველოს რუსული ადმინისტრაცია და სამეგრელოს სამთავრო კარი. ორი წლის შემდეგ-1810 წელს ასლანბეი ჩაჩბა რუსებმა სოხუმის ციხესიმაგრიდან გამოაძევეს. ხელისუფლებაში გიორგი მოვიდა. ტახტის მემკვიდრეობის ხელშეუხებელ წესებში ასეთმა უხეშმა ჩარევამ და რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ აფხაზეთის შეყვანამ

(1810 წ. 17 თებერვალი) აფხაზური არისტოკრატიის დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოგვიანებით, 1821 წელს, გიორგი მოწამლეს. მის ადგილას რუსეთის იმპერატორმა დიმიტრი გიორგის ძე შერვაშიძე დანიშნა (1821-1822), რომელიც ასევე შხამის მსხვერპლი გახდა. დიმიტრის დაღუპვის შემდეგ, კვლავ რუსის ჯარის მხარდაჭერით, აფხაზ მმართველთა რეზიდენციაში გიორგის მომდევნო ვაჟიშვილი – მიხეილი (1823-1864 წწ.) დაფუძნდა. ამ მოვლენათა მოწმე და მონაწილე კაცია მაანი იყო.

კაც მაანი გახლდათ ნორჩი მთავრის მიხეილ ჩაჩბა-შერვაშიძის ფავორიტი და ფაქტობრივი მეურვე. ასეთი პრაქტიკული გამოცდილების მქონე დამრიგებელი, ცხადია, დიდ გავლენას ახდენდა როგორც ახალი მმართველის ფორმირებაზე, ასევე, მაშინდელი აფხაზეთის ურთულეს და ხშირად – წინააღმდეგობრივ სიტუაციებზე. მთიელი ხალხებისთვის გაუგებარი რუსეთ-თურქეთის ომები, მთიელი ხალხების წინააღმდეგ რუსების საომარ მოქმედებებთან შერწყმული, გლობალური ტრაგედიის ნიშნებს იძენდა.

რუსი მწერალი ფ.ტორნაუ, რომელიც დიდხანს იყო დასავლეთ კავკასიის მთიელთა შორის ისე, რომ თავის ვინაობას მალავდა, გაცნობისთანავე უმალ შეიცნო გამჭრიახმა კაციამ, თუმცა, არ გასცა. რუსი ოფიცერი თავის მოგონებებში არაერთხელ აღნიშნავდა კაცია მაანის ღირსებებს. მოიხსენიებს მას, როგორც არათუ გამორჩეულ, არამედ- სახელგანთქმულ პიროვნებას.

შეუცვლელი კაცია მაანი პრაქტიკულად პირველი მინისტრი იყო აფხაზეთის მმართველი თავადის კარზე. მან რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის წოდებამდე მიაღწია. მისი პატრონი – მიხეილი გენერალ-ადიუტანტობამდე ამაღლდა და რუსეთის საიმპერატორო კარის ბრწყინვალე თავადად აღიარეს.

1844 წლის ერთ დოკუმენტზე, იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, იმ ადგილას, სადაც კაცია მაანის მოღვაწეობაზე იყო საუბარი, მინდორზე მიაწერა – „მე მას პირადად ვიცნობ."

დიდების ზენიტში მყოფ ხანდაზმულ და ერთგულ თანამოღვაწეს აფხაზეთის მთავარმა მიხეილ ჩაჩბამ შესთავაზა თავადის ტიტული. ბრძენმა კაციამ მადლობა გადაუხადა მთავარმმართებელს, მაგრამ თავადურ ღირსებაზე უარი თქვა. კაციამ მას უთხრა, თუ მთელ გვარს მისცემ თავადის ტიტულს,

მივიღებ, თუ მხოლოდ მე – არააა საჭიროო. და კაც მაანი აზნაურად დარჩა, თუმცა, ყველაზე აღმატებულად. კაცია ისეთი უფლებამოსილებითა და ძალაუფლებით სარგებლობდა, როგორიც მაშინ ყველა თავადსაც კი არ გააჩნდა. კაც მაანი ქალაქ გუდაუთის ცენტრში დაკრძალეს, ზღვისპირა პარკში. ამბობენ, თითქოს მერე საგვარეულო სამარხში, სოფ. ხუაპში გადაასვენეს.

კაც მაანი საოცრად სწრაფად მიიწევდა კარიერის კიბეზე: სულ რაღაც 13 წლის განმავლობაში პორუჩიკის (1831 წლის 20 ივლისი) წოდებიდან გენერალ-მაიორობას (1844 წლის 7 თებერვალი) მიაღწია.

ჯილდოები:

წმინდა ანნას ორდენი, მე-3 ხარისხის – 1836 წ. 19 მაისი;

წმინდა ვლადიმირის ორდენი, მე-4 ხარისხის ბანტით - 1839 წ. 24 აპრილი;

წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი – იმპერატორის გვირგვინით -1842 წ. 13 მაისი;

წმინდა ანნას ორდენი – მე-2 ხარისხის, ალმასებით – 1843 წ.18 აგვისტო;

წმინდა ვლადიმირის ორდენი – მე-3 ხარისხის – 1847 წ. 1 მარტი;

წმინდა სტანისლავის ორდენი – პირველი ხარისხის, 1852 წლის 24 სექტემბერი.

არზაყანის ყრმობას მოსაზღვრე სოფლის მაღლობზე მდგარი ბედიის ტაძარი ალამაზებდა, ბაგრატ მესამის ძვალთშესალაგი. მამა-თავადი ყაზილბაქ (კონსტანტინე) ემუხვარი ახალგაზრდა გარდაიცვალა, დედასაც, ბზიფელ ქალბატონს, ნაზსა და გულკეთილ ხიმზადა მარღანიას ომარის ასულს, არ რგებია დიდი ხნის სიცოცხლე და ოთხი უმწეო, დაობლებული ბრწყინვალე თავადიშვილი: არზაყანი, ივა, ანა და ვარვარა იზრდებოდნენ მშვენიერი ბუნების წალკოტში, ძიძის ოჯახში.

ძიძიშვილები იყვნენ არზაყანის ნამდვილი მომვლელები, მასზე მზრუნველნი. როცა არზაყანი ოქუმის პირველდაწყებით სკოლაში მიაბარეს, ცხენით მიჰყავდათ იქ ყოველ დილას. ძიძა იფარავდა მის ყრმობას ობლობის ტკივილისაგან,

მოკეთენი და ძიძიშვილები უწრთობდნენ სულსა და სხეულს, ჰაკი ამბას ერთგულებით ემსახურებოდნენ ბრწყინვალე გვარის ჩამომავალსა და ძუძუმტეს წლების შემდეგაც. ძიძისეული მეგრული იყო მისი მეგზური ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზებზე.



არზაყანის მშობლიური სოფელი – ჩხორთოლი

„როცა ბრწყინვალე თავადიშვილი შეცვლილი და მრავლისმნახველი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, უკეთ იგრძნო თვალმიუწვდენელი სილაღე და სილამაზე ბუნებითი ნიჭიერებითა და ვაჟკაცობით შემკული ხალხისა, ირწმუნა მარადიული ფასეულობების: ერთგულების, სიყვარულის, ვაჟკაცობის წარუვალობა, რაც არსად გაჰყოლია საუკუნეთა მდინარებაში შთენილ წლებს... კარგად დაფერილ მამა-პაპურ გორდას პირველქმნილი სიწმინდით აელვარებდა ხოლმე. წლების შემდეგ, როცა მის თავზე მრავალმა გრიგალმა გადაიარა და ცხოვრების მდინარემ უცხო ნაპირზე გარიყა, ტკივილიანი სიყვარულით აგონდებოდა სიყმაწვილის დროინდელი ხატება:

სამურზაყანოს ვერცხლისფერი მდინარეები, ძიძიშვილების ქვიშორი ცხენები, გაზაფხულის მდელოების ხასხასა სიმწვანე, ძიძისეული მეგრულის სითბო და სილბილე"(5,6).

მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, ოქუმში საფუძველი ჩაეყარა იმდროინდელ აფხაზეთში პირველ საერო სასწავლო დაწესებულებას. 1851 წელს ოქუმის ეკლესიის ხარების მღვდელმა და სამურზაყანოს ბლაღოჩინმა (მთავარუხუცესმა), დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა გახსნა დაწყებითი სამრევლო სკოლა, რომელიც შემდგომ ორკლასიან, რვაგანყოფილებიან სკოლად გადაკეთდა. ფაქტობრივად, იგი იყო დღევანდელი სტანდარტების შესატყვისი არასრული საშუალო სკოლა.

ოქუმის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საპატიო სიაში მოიხსენიებიან ქართველი ერის სახელოვანი შვილები: აკაკი ჩხენკელი (ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), კიტა ჩხენკელი (ქართველოლოგი, პუბლიცისტი, ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი), მელიტონ ემუხვარი (მეფის არმიის გენერალი, სამურზაყანოს ცხენოსანთა პოლკის აფხაზური მილიციის მეთაური, რუსეთ - თურქეთის ომების გმირი), არზაყან ემუხვარი, ილია ვეკუა (მეცნიერი, მათემატიკოსი, აკადემიკოსი).

ოქუმიდან არზაყან ემუხვარი გადაიყვანეს ახალი სენაკის სასულიერო სასწავლებელში.

1895 წელს არზაყან ემუხვარი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლიდან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მე-4 კლასში გადავიდა.

შემორჩენილია საგულისხმო დოკუმენტები:

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მე-3 კლასის მოსწავლის დიმიტრი ემუხვარის ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობიდან-1894/5 სასწავლო წელი:

ნიშნების ფურცელი (მოწმობა)

საგნები:

1. *ყოფაქცევა – 5*
2. *კატეხიზისი – 5*

3. *რუსული ენა – 4*
4. *ქართული ენა – 5*
5. *ლათინური ენა – 4*
6. *გეოგრაფია – 4*
7. *არითმეტიკა – 4*
8. *გალობა საეკლ, სლავ. –4*
9. *გალობა საეკლ. ქართ. – 3*

Из ведомства об успехах и поведении ученика 3-го класса Мингрельского Духовного Училища Эмухвари Димитрия за 1894 /5 учебный год

***Предметы:***

1. ***Поведение – 5***
2. ***Катехизис – 5***
3. ***Русский язык – 4***
4. ***Грузин. язык – 5***
5. ***Латын. язык – 4***
6. ***Геогр. – 4***
7. ***Ариф. – 4***
8. ***Пение церков. Слав. – 4***
9. ***Пение церков.груз. – 3 (6)***

და ბილეთი:

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მე-3 კლასის მოსწავლის დიმიტრი ემუხვარის გათავისუფლებისა საზაფხულო არდადეგებზე (1895 წლის 9 ივნისი)

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი : 1) კვირა და უქმე დღეებში მოსწავლეები უნდა იარებოდნენ ეკლესიაში საღმრთო მსახურების მოსასმენლად და შეძლებისამებრ იღებდნენ მონაწილეობას საეკლესიო გალობაში და კითხვაში.

2) წმ. დიდ-მარხვის პირველსა და უკანასკნელ კვირაში ყველა მოწაფეებმა უნდა სთქვან აღსარება, ეზიარნენ წმ. საიდუმლოს და წარმოუდგინონ სასწავლებლის მთავრობას მღვდლის მოწმობა.

3) ყველა მოწაფეები სასულიერო სასწავლებლისა ვალდებულნი არიან უსათუოდ დაბრუნდნენ სასწავლებელში დანიშნულ დროს და წარმოუდგინონ ინსპექტორს ბილეთები

მშობლების ან მზრუნველების ხელის მოწერით და აღნიშვნით როდის გამოისტუმრეს სახლიდგან მოსწავლე. თუ რომ მოსწავლე გადააცილებს ვადას და არ წარმოადგენს პატივ სადებელს მიზეზს გამოუცხადებლობისას, სასწავლებლის სამმართველო შერიცხავს მას დათხოვნილად სასწავლებლიდგან.

4) უკეთუ მოსწავლე დაუთხოვნელად დასტოვებს სასწავლებელს და წავა სოფელში, იგი გაირიცხება სასწავლებლიდან.

5) მოსწავლეს უსათუოდ უნდა ეცვას ზამთარში წაღები, რუხი მაუდის ბლუზა და შალვარი და ჰქონდეს შავი მაუდის ქუდი. ხოლო ზაფხულში თეთრი ბლუზა და შალვარი. ამ მუხლის დამრღვევი მოწაფე დროებით იქნება დათხოვნილი სასწავლებლიდან.

6) საერო წოდების მოწაფეებმა სწავლის ფული უნდა წარმოადგინონ ორ ნაწილად: პირველი ნახევარი სექტემბრის თხუთმეტამდისინ, მეორე – იანვრის ნახევრამდისინ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწაფე გამორიცხული იქნება სასწავლებლიდგან.

7) არც მოწაფეებს და არც იმათ მშობლებს ნება არა აქვთ, ინსპექტორის ნება დაურთველად, იქირაონ ბინა ან გამოიცვალონ იგი.

8) მოწაფის მშობლები ვალდებულნი არიან უჩვენონ სასწავლებლის მთავრობას სენაკში მცხოვრები სანდო პირი, რომელსაც მოეთხოვება ხოლმე მოწაფის ნივთიერი ნაკლულევანების დაკმაყოფილება თავის დროზედ (სტილი დაცულია) (7).

ქუთაისის ცენტრალურ არქივში მოძიებულ დოკუმენტთა შორის არის ჩემს მიერ ნაპოვნი თხოვნა დიმიტრი ემუხვარისა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მე-3 კლასიდან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მე-4 კლასში გადაყვანის თაობაზე.

სასულიერო განათლების ერთ-ერთ ძირითად კერას საქართველოში სასულიერო სასწავლებელი წარმოადგენდა.

ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის არსებობა 1821 წლის 6 თებერვლიდან დაიწყო, იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონის ინიციატივით.

1829 წლის 3 აგვისტოს განკარგულებით, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაემორჩილა თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას.

სასწავლებელში სასულიერო პირთა შვილები ირიცხებოდნენ. მხოლოდ ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში შეეძლოთ საერო პირთა შვილების ჩარიცხვა. ამ საკითხებს სამმართველო წყვეტდა. მიღებისას ბავშვების სამედიცინო შემოწმებაც ხდებოდა. მოსწავლე იმდენად ჯანსაღი უნდა ყოფილიყო, რომ შეძლებოდა მძიმე და აუტანელი ფიზიკური შრომის ატანა, ყველა იმ რიტუალის შესრულება, რომელიც სწავლის დამთავრების შემდეგ ელოდა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენის სასწავლო სისტემაში დაბრუნებასა და მტკიცედ დანერგვაში. აქ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების გაძლიერების მიზნით, პირველად, რუსი ეროვნების მასწავლებლებისათვის სავალდებულოდ იქნა მიჩნეული ქართული ენის ცოდნა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა მრავალრიცხოვანი კადრი აღუზარდა დასავლეთ საქართველოს. შემდეგ ისინი ასწავლიდნენ არა მარტო როგორც სასულიერი პირები, არამედ როგორც პედაგოგები და დიდი წვლილი შეჰქონდათ განათლების საქმეში.

ჩემს ხელთაა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის 1896 წლის კურსდამთავრებულთა ყოფაქცევისა და წარმატების უწყისი. მოწაფეთა შორის ნაცნობი გვარებია: დიმიტრი ემუხვარი და კონსტანტინე კანდელაკი (საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ემუხვარის ახლო მეგობარი).

კონსტანტინე კანდელაკი ასე იგონებს თავის მეგობარს:

„მაგონდება შენი წარსული... მაგონდები შენ, 14-15 წლის ბავშვი, ქართული ენა თითქმის რომ არ იცოდა და იმის შესწავლას შენ, აბხაზს, სკოლაში არც გაძალებდა ვინმე; მაგონდები შენ ისეთ სასკოლო რეჟიმში ჩაყენებული, სადაც მორჩილება და პირმოთნეობა აღზრდის პრინციპად იყო აღიარებული. მახსოვს შენი გატაცება სწორედ ქართული ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის შესასწავლად. რისი შედეგი იყო ის, რომ შემდეგ არა ერთხელ იტყოდი ხოლმე: ვინც საქართველოს და აბხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენაო... მახსოვს შენი დამოუკიდებელი და მტკიცე კეთილშობილებით და თავმდაბლობით აღსავსე ხასიათი, რომელიც შენ

ტოლ-მეგობრებში შენდამი უსაზღვრო პატივისცემის გამომწვევი იყო; დავაჟკაცებასთან ერთად იზრდებოდა შენში ადრიდანვე შეთვისებული სიყვარული თავისუფლების, ხალხის სამსახურის, სამშობლოსთვის თავდადების" (8, 3-4).

დიმიტრი ემუხვარმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი 23 ქულით დაასრულა, მას მიენიჭა მე-2 თანრიგი და ამ ქულებით 1896 წლის სექტემბერში ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ წარუდგინა ეგზარქოს იონას შუამდგომლობა ქუთაისში სასემინარო (რიტორიკის) კლასების გახსნის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ.

დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას ათწლეულები დასჭირდა ამ საქმის აღსასრულებლად.

იმერეთის ეპისკოპოსმა და აფხაზეთის ეპარქიის მმართველმა წმინდა მღვდელმთავარმა გაბრიელმა (ქიქოძე) 1872 წელს წმინდა სინოდის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე. ეს თხოვნა შემდეგნაირად იყო დასაბუთებული: დასავლეთ საქართველოს სამ ეპარქიას, იმერეთის, გურია - სამეგრელოსა და სოხუმისას ვერ აკმაყოფილებდა თბილისის სასულიერო სემინარია. 1894 წლის 18 სექტემბერს ეპისკოპოს გაბრიელის ინიციატივითა და თაოსნობით გაიხსნა ქუთაისში სასულიერო სემინარია.

სასულიერო სემინარია ემორჩილებოდა საქართველოს ეგზარქოსს და მისი მეშვეობით, უწმინდეს სინოდს.

არზაყანის მიერ სემინარიის წარმატებით დასრულების თაობაზე მეტყველებს შემდეგი დოკუმენტი:

***Свидетельство выпускника Кутаисской Духовной Семинарии Димитрия Эмухвари- поступил в 1896, закончил в 1902 году и при поведении отличном оказал успехи:***

***По священному писанию – хорошо***
***Русской словесности – очень хорошо***
***Лат. яз. – хорошо***

*Алгебре – хорошо*
*Геометрии – хорошо*
*Физике – хорошо*
*Общ. Гражд. истории- хорошо*
*Русской Гражд. истории – хорошо*
*Логике- хорошо*
*Психологии – хорошо*
*Библейской истории – хорошо*
*Общей церковной истории – хорошо*
*Русской церковной истории – хорошо*
*Литургике – хорошо*
*Гомилетике – хорошо*
*Православному Руководству для пастырей – хорошо*
*Основ. Богословию – очень хорошо*
*Догматическому Богословию – хорошо*
*Нравственному Богословию – очень хорошо*
*Церковному груз. пению – очень хорошо*
*Дидактике – хорошо*
*Церковно – слав. пению – хорошо*
*Церковному груз. пению – хорошо (9).*

По окончанию полного курса ученик семинарии Эмухвари Димитрий причислен педагогическим собранием семинарского правления ко второму разряду воспитанников оной со всеми преимуществами, присвоенными окончившим полный курс учения семинарии.

Ректор семинарии Вениамин (10).

საბუთებს შორისაა დიმიტრი ემუხვარის თხოვნა, მისცენ დოკუმენტაცია უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად (1902 წლის 12 ივლისით დათარიღებული), საიდანაც აშკარაა, რომ მან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო (11).

„ქუთაისის სემინარიაში არზაყანი მეთაურობდა მოწაფეთა საუკეთესო, აქტიურ წრეს. იგი რედაქტორობდა ახალგაზრდულ ქართულ ჟურნალს სემინარიელებისას, რომელსაც „რიჟრაჟი“ ერქვა. ვინაიდგან ეს კულტურული მუშაობა მას დიდ დროსართმევდა, ამიტომ მან ვერ მოახერხა სემინარიის დამთავრება პირველი ხარისხით, და ეს გარემოება მას უნივერსიტეტის გზას უკრავდა.

მხოლოდ 1904 წ. მიენიჭათ მეორე ხარისხის კურსდამთავრებულებს უფლება უნივერსიტეტში შესვლისა. აქ მან ჩაიდინა საბედისწერო შეცდომა, რომ არ ისარგებლა ამ შემთხვევით და არ შევიდა უნივერსიტეტში. მით უმეტეს, რომ 1904 წელს მან, ორი წლის მეცადინეობის შემდეგ, გაინთავისუფლა თავი იმ საფრთხისგან, რომელსაც იგი 1902 წელს სემინარიის დამთავრებისას შეეჯახა. ის იმ დროს 22 წლის იყო, მხოლოდ თუ მოწაფე 21 წელს გადაცილებული იყო ჯარში არ მიჰყავდათ, სიაში მაინც სწერდნენ და კენჭს უყრიდნენ. კენჭმა კი არზაყანი არ გაათავისუფლა. კენჭისყრამდე მას უფლება ჰქონდა შეეტანა განცხადება, რომ იგი სწავლის დასრულებისას მოიხდიდა სამხედრო ბეგარას როგორც ე.წ. „თვით შესული“ (იგულისხმება მოხალისე-ნ.მ.). ეს იყო პრივილეგია. აქ კი ფატალური როლი ითამაშა მისდა საუბედუროთ და მის წინააღმდეგ, თვით მისმა საუკეთესო ღირსებამ: იგი ადრე შეიქნა სრულიად მწიფე და დამუშავებული პიროვნება. სემინარიის მეხუთე კლასში იყო არზაყანი, როცა მე იგი პირველად გავიცანი. დამაინტერესა კი მე მან შემდეგ იმისა, რაც მოვისმინე მის შესახებ ქება ერთი ადამიანისაგან, რომელიც ქებაში მეტის-მეტად ძუნწი იყო. ეს იყო ერთი ქართველი მწიგნობარი, ადამიანი მეტად ამპარტავანი, რომელიც მოწაფეს, ვითარცა უმწიფარ პიროვნებას, ზევიდან დასცქეროდა. არზაყანი ნამდვილად ჯენტლემენიაო, უთხრა ერთს ჩემს ნათესავს, და ამას იგი ამბობდა სემინარიის მე-5 კლასის მოწაფეზე. დახასიათება იყო სავსებით სწორი“ (12).

აი, რას წერს არზაყან ემუხვარზე მისი ბიოგრაფი ბადრი არიძე: “სემინარიაში ყოფნის დროს არზაყანი დაუახლოვდა განმანთავისუფლებელ მოძრაობასაც და მიემხრო მესამე დასელებს. ეს უთუოდ დიდი გაბედულობა იყო იმ აფხაზისთვის, რომელიც ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების სტიპენდიანტი იყო. აღნიშნულ საზოგადოებას იმედი

ჰქონდა, რომ მისი სტიპენდიანტი მღვდლად ეკურთხებოდა და წარჩინებულ მისიონერად მოევლინებოდა აფხაზეთს. მაგრამ იგი იმედგაცრუებული დარჩა. რუსმა არქიელმა მყისვე დაადგა თვალი აფხაზ თავადიშვილს. განა საკითხავი იყო, რომ ესოდენ ბრწყინვალე გვარის ჩამომამავლთ უფრო მიენდობოდნენ „ტუზემცები“. განა საკითხავი იყო, რომ აფხაზ მისიონერებს უფრო ხელეწიფებოდათ აფხაზთა გულისა და გონების დამორჩილება რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკისათვის?

„ღონისძიებათა შორის, „დაჰყავი და იბატონეს” პოლიტიკას, რომ ემსახურებოდა რუს „ველიკოდერჟაველთა“ არსენალში, განსაკუთრებით მზაკვრული იყო განხეთქილების ჩამოგდება აფხაზებსა და ქართველებს შორის, რის ნაყოფსაც დღემდე ვიმკით ორივე მხარე. ასევე – ერთგვარი „არასრულფასოვნების კომპლექსის” ჩანერგვა ოდითგანვე სიამაყითა და ღირსების გრძნობით გამორჩეულ მთის ხალხში, რომელსაც განუყრელად შეუწყვილეს ეპითეტები „ველური“ და „ბნელი“. ყიზილბაქის ამაყი ძე არზაყან ემხი, უბრძოლველად, თუნდაც, უბრალოდ, თავისი არსებობით აცამტვერებდა ამ დამამცირებელ კომპლექსს. არზაყანი იყო ტანადი, მამაცი, გამჭრიახი, ღრმად განათლებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც კეთილშობილი წარმომავლობის შარავანდთან ერთად პიროვნული მომხიბვლელობის ნათელიც ადგა და ამაზე მტერიც ვერ ხუჭავდა თვალს. სხვა საქმეა, ინებებდა თუ არა ამის ხმამაღლა აღიარებას.

ძიძისეული მეგრული იყო მისი მეგზური ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზებზე, რომელსაც მზაკვრულად ნაღმავდა „მესამე“ ძალა. ძიძისეული სიტყვების მოულოდნელი გამონათება ხდიდა ახლობელს მისთვის სახარებასა და „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც გულდაგულ სტაცებდა ხელიდან რუსი არქიელი სემინარიის პირქუშ გარემოებაში.

არზაყან ემუხვარის ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშა ქუთაისმა. იქაური ამხანაგებისა და ატმოსფეროს გავლენით ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია მისი მთავარი სულიერი საზრდო გახდა და მის მიერ მაშინ შემუშავებული და მეგობართა წრეში გამოთქმული დასკვნა: შეუძლებელია საქართველოსა და აფხაზეთის განცალკევებულად წარმოდგენაო, ცხოვრების კრედოდ ექცა.

არზაყან ემუხვარის სიჭაბუკე დაემთხვა ახალ დროებას, რომლის ტინებზეც უმოწყალოდ იმსხვრეოდა ფეოდალური წარსულიც, ილიას ეპოქაც და ასპარეზზე გამოდიოდა „მესამე დასი“, რომელმაც, რაღაც მანქანებით, მიიზიდა ახალი თაობაც. ახლა როცა დრომ დაადასტურა მარქსიზმის უტოპიური ხასიათის უნიადაგობა, რამაც თვითდამკვიდრების ერთადერთი გზა – სისხლისა და ძალადობის გზა დაუტოვა მის მიმდევართ, ჭირს იმის გაგება, როგორ მოხდა ეს, რა უნდოდა „მესამე დასში“ ამ დახვეწილ არისტოკრატს, რომელშიც კონსტანტინე გამსახურდიამ, სოციალ-დემოკრატებისადმი სრული ნიჰილიზმით განწყობილმა კაცმა, თარაშ ემუხვარი დაინახა. მაგრამ ეს კია „მესამე დასის“ კოსმოპოლიტიზმი არზაყან ემუხვარს არ შეხებია, ეროვნული ინტერესები პარტიულში არ გაუცვლია და, როგორც კი შეიქმნა ხელსაყრელი პირობა იმპერიის კლანჭებისაგან საქართველოს გამოსაგლეჯად, აფხაზეთიც ცხვირწინ აართვა წითელ რუსეთს“ (13).

ამ დიდ საქმეში მთავარი პოლიტიკური ფიგურა იყო არზაყან ემუხვარი, რომელიც, როგორც მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი წერს, ამ დროისათვის იქცა მთელი აფხაზი ხალხის ბელადად.

არზაყანმა აირჩია საზოგადო მოღვაწისა და რევოლუციონერის გზა. სემინარიაში კურსის დასრულების შემდეგ თავის საყვარელ აფხაზეთს დაუბრუნდა და დაიწყო ხალხში რევოლუციური მუშაობა.

«არზაყანი ვითარცა საშუალო სწავლა დამთავრებული, ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა. ის არავის შეაწუხებდა, არა ყოფილა სტიპენდიისა ან რამე დახმარების მთხოვნელი. თანაც მის წინაშე წამოიჭრა რთული ოჯახური ამოცანები. იგი აღიზარდა ვითარცა ობოლი და არც მარტო იყო, მას ყავდა ძმა, მის სწავლის დამთავრებისას უკვე დავაჟკაცებული, რომელიც, მაშასადამე, სხვის საზრუნავი არ იყო, საკმარისად ენერგიული და ჭკვიანი პიროვნება. მაგრამ მას ყავდა ორი და, საჭირო იყო მთელი ოჯახის თავმოყრა და საკუთარი კერის განმტკიცება. ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა არზაყანს, როგორც ყველაზე უფროსს და განსაკუთრებულს. არზაყანი არ იყო ეგოისტი, რომ გამოჰკიდებოდა პირად ამბიციებს და გაქცეოდა საოჯახო საქმეს... აქ, მე უნდა აღვნიშნო ერთი ბედნიერი გარემოება, რომელიც იშვიათად ეღირსება

ობლებს აბხაზეთში, სადაც მორალი ძალზე იყო შესუსტებული; ნათესავები, რომელთაც მოუხდათ უდროოთ დაობლებული არზაყანისა და მისი და-ძმებისთვის მზრუნველობის გაწევა, იშვიათი პატიოსნებით აღჭურვილი ადამიანები იყვნენ და სრულიად შეუმცირებლად შეუნახეს არზაყანს და მის ძმადებს მათზე მემკვიდრეობით გადასული ქონება. თუმცა არზაყანს საღი შეგნება არ აკლდა, მაგრამ ეს თვისება ჩვენში უსწავლელებში უფროა განვითარებული, ვინემ სწავლულებში და ამიტომ ეს თვისება მის უმცროს ძმა ივა ემუხვარში კიდევ უფრო იყო განვითარებული.

ივა ემუხვარი ხედავდა, თუ რა სწრაფად იზრდებოდა სამურზაყანოში არზაყანის პოპულარობა და გრძნობდა, რომ ეს პოპულარობა მის ძმას მძიმე პასუხისმგებლობას უმზადებდა. ჩაიბარეს რა ძმებმა მემკვიდრეობა, მათ გაყიდეს ხელსაყრელ ფასში ტყე. აქ ივა ემუხვარმა მიიტანა იერიში თავის უფროს და განათლებულ ძმა არზაყანზე და მისცა წინადადება, რომ ტყის გაყიდვისაგან აღებული ფული მას მოეხმარა უნივერსიტეტში შესვლისა და დამთავრებისათვის. ივა კი თვითონ კისრულობდა სავსებით ოჯახზე მზრუნველობას. არზაყანმა ეს მსხვერპლი არ მიიღო. ამნაირად იმ ნიჭს და უნარს, დინჯათ, უანგაროთ, უამბიციოთ პატრიოტული საქმის გაძღოლისა, რომელიც მან სემინარიაში მოწაფეობისას გამოიჩინა და რომელიც, აკადემიურ სწავლა-განათლებაში გატარებული, მას შესაძლებლობას მისცემდა დიდის მაშტაბით მოღვაწეობისათვის, სამურზაყანოს ერთ ყველაზე უფრო ჭაობიან სოფელ შეშელეთში ახრჩობდა, სადაც მოუხდა თავის კერის შექმნა. არზაყანი თვითონ კმაყოფილი იყო. რატომ? მას ქონდა ადამიანისათვის უძვირფასესი თვისება, რომელსაც ევროპაში მორალურ წონასწორობას უწოდებენ. ის არ იყო თვისი ვნებათა ღელვის მონა, ის არ ისახავდა ფართო მიზნებს, ე.ი. მიზნებს, რომელიც მის საშუალებას აღემატებოდა. ის კმაყოფილდებოდა პატარა, სოფლის მოღვაწის როლით. არ გაივლიდა დღე, რომ ის ამა თუ იმ სახით ვისმესთვის სასარგებლო არ ყოფილიყო. თუ რამდენად გართული იყო არზაყანი სხვების სამსახურში, ამას მოწმობს ერთი მაგალითი მისი ცხოვრებიდან: ერთხელ, ცხენით ვიღაც გლეხის ქორწილიდან დაქანცული სახლში ბრუნდებოდა. გზაზე გააჩერა სხვა გლეხმა და არ მოეშვა, სანამ არ ჩამოიყვანა ცხენიდან და არ დააწერინა

„შავი“ მომრიგებელ მოსამართლის დაუსწრებელი განაჩენის პასუხად. იმ არემარეში არავითარი მოსახლეობა არ იყო, არზაყანი იძულებული გახდა ქაღალდი თავის ხელზე დაედო და ისე დაეწერა. ხალხის მოყვარული, სათნო ინტელიგენტის როლი აფხაზეთში წამებაა, ის არასოდეს მოსვენებული არ არის“ (14).

არზაყან ემუხვარი აქტიურად ჩაება 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში. გლეხებისა და მუშების საყოველთაო გაფიცვებმა აფხაზეთში პიკს 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერსა და დეკემბერში მიაღწია. იმ პერიოდში პოლიტიკური ხელისუფლება ყველგან ხალხის ხელში გადადიოდა. ამ პროცესების ერთ-ერთი შედეგი „სოხუმის რესპუბლიკის“ შექმნა გახდა, რომლის ხელმძღვანელიც არზაყანი შეიქნა. ათას ცხრაას ხუთ წელს იგი უკვე ცნობილი იყო, როგორც ხალხისათვის თავდადებული მოამაგე და „სოხუმის რესპუბლიკის“ მეთაურობაც ამიტომ ხვდა წილად. 1906 წელს, რევოლუციის მონაპოვრის დამარცხების შემდეგ, მას აპატიმრებენ და 1909 წელს ერთ წელიწადს უსჯიან ტფილისის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით. იმ დროისათვის ასეთი იოლი სასჯელი განაპირობა მის გავლენიან მეგობარ-ნათესავთა დახმარებამ. სოხუმის ციხეში პატიმრობამ კიდევ უფრო აამაღლა მისი ავტორიტეტი.

დაინტერესებულ მკითხველს შეგვიძლია შევთავაზოთ დოკუმენტები დ.ემუხვარის, ზახაროვისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმისა:

Из рапорта начальника Сухумского округа князя Л.Джандиери

Директору канцелярии наместника и заведующему полицией на Кавказе генералу Ширинкину

17 февраля 1906года

Дмитрий Эмухвари, абхазец, получивший некоторое образование в семинарии или гимназии, которое его окончательно отуманило, но нисколько не развило и, слышавши, но, конечно, не читавший об учениях Маркса, Фердинанда Лассаля ...и т.п., окончательно потерял здравый

смысл. Считая себя вожаком освобождения России и потому, желая втиснуть себя на страницы истории этого движения, он отвергнутый своими соотечественниками абхазами, явился в Сухум и записался вожаком социал - демократической и социал – революционной партии и вел пропаганду, направленную к ниспровержению существующего государственного строя, и к обострению взаимных между сословиями отношений.

Эмухвари вместо того, чтобы руководить занятиями съезда приглашал в помещение съезда ораторов,социал – демократов, произносивших революционные речи, в которых они сами принимали участие. Их целью было привлечь к участию в обсуждении земских дел не только крестьян, но и народный пролетарский элемент. Будучи главарями социал – демократических организаций в Сухуме, Захаров и Эмухвари вводили в помещение съезда всех Сухумских представителей этой партии из босяков, ремесленников, приказчиков, которые своими бестолковыми речами и криками не давали заниматься.

Захаров, Эмухвари и Гатошия неоднократно являлись ко мне, стараясь внушить мне, что правительственная власть уже уничтожена, что народ управляет собою сам, и что они являются народными представителями Сухумского округа.

Прошу ходатайства Вашего Превосходительства на Кавказе упомянутых выше лиц – Захарова, Эмухвари и др. сослать на вечные времена в отдаленные места России.

Начальник Сухумского округа князь Джандиери (15,3-11-12).

Совершенно секретно

Помощнику Начальника Кутаисского Губернского жандармского Управления Сухумского округа

18 февраля 1906 года

Князь Джандиери докладывая сведения о крайне революционной деятельности в крае, ныне содержащихся под стражею Б.Н. Захарова, Л.И.Гатошия. Р. Е. Кигурадзе, Д. К Эмухвари, ходатайствует о высылке их из пределов Кавказа в отдаленныя губернии России на « вечные времена». На них имеется достаточно материала, предлагаю Вашему высокоблагородию приступить о преступной деятельности сих лиц к формальному дознанию в порядке 1035 ст. УСТ.УГОЛ. СУД. 1) (16,1)

Генерал-лейтенат (подпись неразборчива)

***Протокол допроса обвиняемого Дмитрия (Арзакана) Эмухвари***

17 апреля 1906 года

Занятие: Сельское хозяйство
Средства на жизнь : Доходы от имения
Женат (жена живет в Кутаиси)

Отец и мать умерли. Имею брата Ивана и сестер Анну и Варвару Константиновых Эмухвари. Все находятся в селе Репошешелети, брат занимается сельским хозяйством, сестры малолетние.

Место воспитания и на чей счет воспитывается: В Новосенакском духовном училище, куда вступил в 1890 году и вышел в 1896 году в Кутаисскую духовную семинарию, куда вступил в 1896 году и вышел в 1902 году . Воспитывался на собственный счет.

Окончил курс обоих учебных заведений.

Виновным в участии в сообществе заведомого постановлением целью своей ниспровережение существующего в государстве общественного строя я себя не признаю. В сентябре 1905 года в Сухуме был съезд дворян Сухумского округа для выборов членов заседания, которое должно было выработать проект положения о введении на

Кавказе земских учреждений. В число членов был выбран и я от Самурзаканского участка, а затем меня избрали Председателем этого объединения.

На одном из заседаний совещания, на котором рассматривались вопросы о цензе лиц, на избрание в Земские учреждения, между предствителями от города, возник спор по поводу возрастного ценза. Этот спор вскоре принял очень острый характер, вследствии чего я, после нескольких предупреждений, принужден былъ закрыть заседания, а попытки мои собрать их в следующие дни не привели к результатам, съезд разъехался. Никаких действий со стороны публики, могущих содействовать прекращению занятий не было. Через некоторое время эти занятия возобновились и пришли к благополучному окончанию. Никогда я к Начальнику Сухумского округа кн. Джандиери не приходил с целью внушить ему мысль, что правительственная власть уже уничтожена, что народ управляет собою сам и что я или кто – либо из пришедших со мной являемся народными представителями Сухумского округа (об этом в своем рапорте писал кн. Джандиери); все это ложь и мне даже не приходилось слышать, чтобы кто нибудь другой говорил подобные слова кн. Джандиери. Если я и появлялся на эстраде во время народных митингов, то единственно из любопытства, послушать публичные речи ораторов и посмотреть на публику сверху. Никакого участия в этих митингах в виде Председательствующего или в качестве оратора, я не принимал. Васо Горделадзе, Лаврентий Кигурадзе – мои товарищи по семинарии, а с другими я познакомился в Городской управе, когда там проходили заседания комиссии, избранной для производства народной переписи, в члены которого был избран заочно и я. Объяснить причину этого моего избрания я не могу. Добавлю, что однажды, по требованию народа, я председательствовал на одном митинге. (17,29-30).

1905 წ. დეკემბერსა და 1906 წ. იანვარში დაკავებული ა.ემუხვარი (დააპატიმრეს 1906 წ. 21 იანვარს), ბ.ზახაროვი, კიღურაძე, ლ.გოთოშია ჯერ როგორც ადმინისტრაციული შემდეგ კი პოლიტიკური პატიმრები სოხუმის ციხეში მოათავსეს. იმავე ციხეში იმყოფებოდნენ 1905წ. 27დეკემბერს დაკავებული პოლიტპატიმრები: ღურჯუა (შემდგომში აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობისთვის ბოლშევიკებმა დახვრიტეს), სერგო ორჯონიკიძე, იასონ გიგიბერია, ვასილ კონჯარია, პეტრე კვარაცხელია და 1906 წ. 26 თებერვალს დაკავებული თედო სახოკია. 1906 წლის მაისშიც ისინი ერთად ისხდნენ, ხოლო 1 ივნისის მონაცემებით, სოხუმის ციხეში რჩებოდნენ მხოლოდ სერგო ორჯონიკიძე, ვ. ღურჯუა და ლ. გოთოშია.

Протокол допроса свидетеля Андрея Михайловича Лакербая (подполковник, мировой посредник 3-го шт. Сухумского округа)

13 апреля 1906 года

Я могу охарактеризовать Эмухвари, как человека скромного, мягкого, молчаливого, но трудолюбивого; по слухам известно, что он был выбран в число двенадцати членов комиссии.

Мне приходилось его встречать в Сухуме в обществе представителей партии социал-демократов, как например Васо Горделадзе, Кигурадзе и др. Присуствовал на совещаниях по введению Земства на Кавказе.

В начале сентября в Сухуме проходило совещание по ведению земства на Кавказе. Председателем этого совещания был избран князь Дмитрий Эмухвари, секретарем Борис Захаров. Настроение съехавшихся на совещании представителей населения округа было тревожное вследствие, предшествующих съезду митингов. В зал заседания

начали проникать элементы революционных организаций, не имеющих ничего общего с заседаниями совещания, и поставившие целью препятствовать занятию съезда. Мне никогда не приходилось слышать, чтобы Эмухвари произносил какие-либо речи, хотя я его непосредственно встречал при разъездах по округу (18,13).

Удостоверение

6 февраля 1907 года

Выдано князю Александру Павловичу Дзяпш-Ипа в том, что по городским книгам для взимания налогов за ним, кн. А.Г. Дзапш-Ипа, числится недвижимое имущество, находящееся в гор. Сухуме, Багрянинской – Георгиевской улице, в квартале литера «Д», подъезд №1, оценен для взимания налогов в девять тысяч рублей.

Выдается удостоверение кн. Александру Павловичу Дзяпш-Ипа согласно просьбе, для предоставления в Сухумское жандармское управление на предмет поручительства (19,248).

**_Обвинительный акт_**

12 сентября 1907 года

О Борисе Николаевиче Захарове, Элеоноре Михайловне Махвиладзе, князе Дмитрие (он же Арзакан) Константинов (он же Кизилбеков) Эмухвари и др. обвиняемых в преступлении, предусмотренной 126 ст. Угл. Улож.

Революционное движение, развивавшееся в России в конце 1905 года и в начале 1906 года, и направленное к ниспровержению существующего в России общественного строя, появилось также и в Сухумском округе.

Деятельность преступных сообществ в Сухуме после издания высочайшего манифеста 17 октября 1905 года проявилось особенной с силой. К этому времени относит-

ся наиболее энергичная и открытая пропаганда членами этого сообщества на митингах идей о непригодности существующего строя в Империи, о необходимости для народа порвать всякого рода общение с правительством и бороться с существующим режимом.

Выдающееся положение в Сухуме заняла организация, присвоившая себе название «Сухумской группы Батумского комитета Российской социал – демократической рабочей партии» с этой организацией в виду ее значение в жизни Сухума, по признанию Сухумского полицмейстера Набибекова приходилось считаться властям. Деятельность отдельных членов сообщества объединялось названной организацией, которая являлась коллегиальным – центральным органом сообщества.

Во главе Сухумской группы социал – демократической пратии стоял князь Дмитрий Константинов Эмухвари, Ражден Тимофеев Кигурадзе, Элеонора Михайловна Махвиладзе и др.

К числу наиболее ярких проявлений деятельности революционного сообщества в Сухуме, относится бойкот объявленный членами местной преступной организации Сухумскому самоуправлению. На одном из митингов в ноябре месяце 1905 года былы выработаны требования в силу которых существующая тогда Сухумская городская дума должна была быть распущена, и на ее место выбрана другая на началах всеобщей, прямой, равной и тайной подачи голосов. Для осуществления этой цели было решено произвести новую перепись населения для чего от городского самоуправления было потребовано 2000 рублей.

Получив от городского головы отказ в выдаче денег, Сухумская организация объявила бойкот городскому Самоуправлению: взнос денег жителями Сухума в городскую управу был прекращен, а всем гласным было объявлено, что если они не выйдут в отставку, то будут устранены

продолжительными забастовками всех торговых заведений. Гласные в виду этого составили особое постановление о выходе в отставку и подали его Кутаисскому губернатору Старосельскому, а сами прекратили исполнение своих обязанностей.

Уполномоченные от митинга, предъявившим городскому голове вышеуказанные требования были Борис Захаров, Ражден и Лаврентий Кигурадзе, Елена Махвиладзе. О выдаче денег на народную перепись было подано в городскую управу и письменное требование, которое было подписано в числе других князем Дмитрием Эмухвари.

Деятельность преступного сообщества отразилась и на правильность течения занятий в учебных заведениях. Все учебные заведения Сухума в ноябре и декабре месяце 1905 года были закрыты.

Дмитрий Эмухвари и Ражден Кигурадзе также говорили на митингах речи, в которых призывали население к вооруженному восстанию.

Обвиняемые не признали себя виновными в приписываемых им преступлениях, и объяснили:

3. Дмитрий Константинов Эмухвари – что он не состоял членом Сухумской организации социал- демократической рабочей партии и речей с призывом к вооруженному восстанию не произносил; не принимал участие и в устранении городского самоуправления и от исполнения своих обязанностей.

На основании вышеуказанного:

Князь Дмитрий (он же Арзакан) Константинов (он же Кизилбеков) Эмухвари, 25 лет, обвиняется в том, что Дмитрий Эмухвари и другие, принадлежат к «Сухумской группе Батумского комитета Российской социал-демократической рабочей партии», и остальные не принадлежащие к определенной политической партии, в городе Сухуме в конце 1905 года, вступили в сообщество, заведомо, постановив-

шие целью своей деятельности ниспровержение существующего в государстве общественного строя, причем в качестве членов этого сообщества активно проявляли свою деятельность Борис Захаров, Дмитрий Эмухвари (в бойкоте Городского самоуправления, выразившееся в побуждении всех гласных думы выйти в отставку и в прекращении деятельности городской думы и взносе со стороны населения в городскую управу городских повинностей), Дмитрий Эмухвари, Елена Махвиладзе, Раждена Кигурадзе в публичном произнесении речей, призывающих к вооруженному восстанию.

Преступления эти предусмотрены ст. 126.Угл. Улож.

В виду этого и на основании 1032 ст. Угол. суд. все выше поименованные обвиняемые подлежат суду Тифлисской судебной палаты с участием сословных представителей.

Составлен 12 сентября 1907 года в городе Тифлисе.

Товарищ прокурора Тифлисской судебной Палаты (20,2).

Прошение

1907-13 декабря

Дмитрия Эмухвари о вызове свидетелей:

1. Мирового посредника подполковника Андрея Михайловича Лакербая.

2. Протоиерея Георгия Голубцова, (по вызову Голубцова Арзакан приехал в Сухум), его приезд можно объяснить желанием получить назначение на должность преподавателя тамошного реального училища.

3. Жителя города Сухума отставного подполковника князя Тараса Зурабовича Анчабадзе (21,167).

1. Андрей Михайлович (Куджмаханович) Лакербая (1865-1916), офицер, участник Первой мировой войны. Из абхазского дворянского рода. Произведен в полковники с утверждением в должности мирового посредника Сухумского округа в 1909 г. Награжден орденом Св. Владимира 4 ст. в 1912г. Объявлено высочайшее благоволение за труды по сельскохозяйственной и культурно-промышленной выставке «Черноморское побережье – Кавказско-русская ривьера» в 1914 г. Переведен в 4-й Кавказский пограничный полк в1916 г.

С 8.04.1916г. находился на персидском фронте в составе 1-го кавказского кавалерийского корпуса. Убит в бою с турками у перевала Серлиль – Кернид 21 апреля 1916 года.

2. Георгий Голубцов в 1895 году переведен из Серпухова в Сухумскую епархию Грузинского Экзархата. Священник, ключарь, а затем настоятель Сухумского кафедрального собора (1905-1919). Протоиерей. Участник Всероссийского Московского церковного собора в качестве заместителя еп. Сергия Сухумского (1917-1918), член, а с 1905 года Председатель епархиального училищного совета Сухумской епархии (1896-1919).

3. ტარას (თარაშ) ზურაბის ძე ანჩაბაძე (1859-1935) – რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-იაპონიის ომების მონაწილე, ქველმოქმედი.

ტარას ანჩაბაძის მეუღლე მარიამ (მაშო) ნიკოლოზის ასული დადიანი-ანჩაბაძე შალვა დადიანის და იყო. მათი უფროსი ვაჟი ვიანორ ტარასის ძე ანჩაბაძე (1888-1937) – აფხაზეთის ეროვნული და სახალხო საბჭოს წევრი (1918-1921) , აფხა-

ზეთის საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა.

ვიანორ ანჩაბაძის და ვერა შენგელიას მეჯვარე იყო მისი ყმაწვილობის მეგობარი ქაქუცა ჩოლოყაშვილი (22,225). ვიანორ ანჩაბაძის ვაჟი, აკადემიკოსი ზურაბ ანჩაბაძე, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი იყო.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ანჩაბაძე, ტარას ანჩაბაძის შვილთაშვილი, ვიანორ ანჩაბაძის შვილიშვილი და ზურაბ ანჩაბაძის შვილი წერს თავის მოგონებებში:

„ქართულ ჯარში ტარას ანჩაბაძის უმცროსი ვაჟიშვილები: ვარლამ, ვლადიმერ და ნიკოლოზ ანჩაბაძეები მსახურობდნენ.

1921 წლის თებერვალში საქართველოს რესპუბლიკაში შემოიჭრნენ საბჭოთა რუსეთის ჯარები. ტარას ანჩაბაძის ოთხი ვაჟიშვილი მონაწილეობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში. გამორჩეულად უნდა ითქვას ვალერიან ანჩაბაძეზე, რომელიც აფხაზეთში ქართული დაჯგუფების მეთაურის მოადგილე იყო. სოხუმის დასავლეთით არიერგარდულ ბრძოლებში მან შეაკავა წითელი არმიის მე-9 ნაწილების შემოტევები, საშუალება მისცა ძირითად ძალებს აღმოსავლეთისკენ დაეხია და გუმისთის ხიდთან დაიღუპა, სადაც პოსტსაბჭოთა დროში, 1992-93 წწ. გადიოდა ფრონტის ძირითადი ხაზი ქართულ-აფხაზური დაპირისპირებისა“ (23,191-192).

Тифлисская Судебная палата по Уголовному Департаменту

28 декабря 1907 года

Пред. Богородский С.А.

Члены Палаты Н.И. Струве

С участием тов. прокурора А.А Скульской

Слушала прошение Дмитрия Эмухвари о вызове свидетелей. В прошении поданном Судебной Палате, подсудимый Дмитрий Эмухвари, ходатайствует о вызове свидетелей Андрея Лакербая, Протоиерея Голубцова и князя Тараса Анчабадзе в подтверждении того что им, свидете-

лям, известен ход мыслей его, Эмухвари, почему он не может принадлежать к противоправительственным партиям, стремящихся к ниспровержению существующего строя, что приписываемая ему обвинительным актом, деятельность есть результат сговора недоброжелателей. Принимая во внимание, что свидетели не выставляются в подтверждение каких – либо данных, могущих опровергнуть выводы обвинительного акта о преступной деятельности подсудимого и участия его в преступном сообществе, именующих себя «Сухумской группой Батумского комитета Российской социал-демократической рабочей партии», проявившихся в бойкотах Сухумского городского самоуправления, в публичном произношении речей. призывающих к вооруженному восстанию, в учреждении Народного суда, а этими свидетелями должен быть подтвержден образ мыслей его, Арзакана Эмухвари, недопускающей его до преступной агитации, каковыя показания служат лишь субьективным взглядом свидетелей, нисколько не опровергая возможностей проявления преступной деятельности Эмухвари, которая от них, свидетелей, могла быть скрыта и им неизвестна.

Судебная Палата находит показания свидетелей Андрея Лакербая, Протоиерея Голубцова и князя Тараса Анчабадзе неимеющими для дела значение, а поэтому и руководствуясь 575 ст. уст. уг. суд., согласно с заключением Товарища Прокурора определил: ходатайство о вызове свидетелей оставить без удовлетворения, о чем Эмухвари и объявить (24,167).

5 ноября 1907 года.

Копию обвинительного акта и списка лиц, подлежащих вызову в судебное заседание Палаты, вручить под-

судимому, жителю села Репо-шешелети, и находящегося на поруках у жителя Сухума А.П. Дзяпш – Ипа. (25,165).

Расписка

Обвинительный акт Эмухвари был вручен 2 декабря 1907 года. Начальник Самурзаканского участка Ш.К. Латария (26,1666).

***Приговор***

***28 апреля 1908 год***

Тбилисская судебная Палата по Особому Присуствию в судебном заседании, в следующем составе:

Председатель: С.А. Богородский
М. А. Гегидзе
Члены Палаты: К. А. Жано
П. В. Болдырев
Почетный народный судья: Г. Ф. Марецкий
Зам. городской Головы А. Д. Мачавариани
Старший Сел -Наидов Ульман

С участием Прокурора Палаты А. В. Москалева
При секретаре Палаты Д. А. Захарьинс

Слушали дело по обвинению Бориса Захарова, Элеоноры Махвиладзе, Дмитрия Эмухвари и др.

Решением особого Присуствия Тифлисской судебной Палаты подсудимый князь Дмитрий (он же Арзакан) Константинов Эмухвари, 26 лет признан виновным в том, что в 1905 году в Сухуме вступил участником в преступном сообществе лиц, именующих «Сухумской группой Батумского Комитета Российской социал – демократической ра-

бочей партии», поставил целью своей деятельности ниспровержение в России общественного строя.

Подсудимые Эмухвари, Ражден Кигурадзе – объявили бойкот городской Думе, побудили гласных подать заявление о сложении с себя полномочий, а городских бывателей уклониться от взноса городских повинностей, публично на собраниях произносили речи, призывашие к вооруженному восстанию в целях ниспровержения государственного строя.

Деятельность преступных сообществ в Сухуме после издания высочайшего манифеста 17 октября 1905 года появилось с особенной силой. К этому времени относится наиболее энергичная и открытая пропаганда членами этого сообщества на митингах идей о непригодности существующего строя в Империи, о необходимости для народа порвать всякого рода общение с правительством и бороться с существующим режимом.

Выдающееся положение в Сухуме заняла организация, присвоившая себе название «Сухумской группы Батумского комитета Российской социал - демократической рабочей партии» с этой организацией в виду ее значение в жизни Сухума, по признанию Сухумского полицмейстера Набибекова приходилось считаться властям. Деятельность отдельных членов сообщества объединялось названной организацией, которая являлось коллегиальным – центральным органом сообщества.

Во главе Сухумской группы социал- демократической пратии стоял князь Дмитрий Константинов Эмухвари, Ражден Тимофеев Кигурадзе, Элеонора Михайловна Махвиладзе и др.

Сухумская организация объявила бойкот городскому Самоуправлению: взнос денег жителями Сухума в городскую управу был прекращен, а всем гласным было объявлено, что если они не выйдут в отставку, то будут устра-

нены продолжительными забастовками всех торговых заведений. Гласные в виду этого составили особое постановление о выходе в отставку и подали его Кутаисскому губернатору Старосельскому, а сами прекратили исполнение своих обязанностей.

Уполномоченные от митинга, предъявившим городскому голове вышеуказанные требования были Борис Захаров, Ражден и Лаврентий Кигурадзе, Елена Махвиладзе. О выдаче денег на народную перепись было подано в городскую управу и письменное требование, которое было подписано в числе других князем Дмитрием Эмухвари.

Особое присуствие Судебной Палаты находит, что деяние, в которых признаны виновными Борис Захаров, Элеонора Махвиладзе, Дмитрий Эмухвари и др. по признакам своим являются тяжким преступлением, предусмотренным 1 частью 126 ст. Уг. Улож. и влечет за собой наказание, указанное в 17 ст. Уг. Улож. т. е. ссылку на поселение, это наказание по обстоятельствам дела и на основании 53 ст. того же Уг.Улож. особое присуствие считает возможным для всех подсудимых смягчить и переходить к наказанию, указанному в 19ст. Уг. Улож. каковое считает справедливым назначить каждому из подсудимых в низшей мере определенной 53 (ст Уг. Улож.).

Подсудимые ***Элеонора Махвиладзе, Дмитрий Эмухвари, Кигурадзе, Марганадзе подлежат заключению в крепости на один год каждый .***

Подписи: Председатель: С.Богордский
М.Гагидзе К Жано. П.Болдырев. Прокурор:
Москалев и др.члены суда (27,441-443).

Прошение

4 сентября 1908 года

Будучи недоволен приговором Палаты приношу кассационную жалобу в Правительственный Сенат и потом прошу Палату направить оказанную жалобу по назначению.

Эмухвари (28,454)

Судебное заседание

20 сентября 1908 года

В записи указано, что указание Эмухвари на нарушение статьи 575 и 576 У.У.С. не заслуживает уважения по со-ображениям Палаты

Касационную жалобу подсудимого оставить без последствия (29,457)

Прокурору Тифлисской судебной Палаты.

20 сентября 1908 года

Вследствие отношения от 16 октября 1908 года за №39606, имею честь уведомить Судебную Палату, что осужденный Эмухвари, для отбытия наказания по приговору Палаты от 28 апреля 1908 года, Начальником Самурзаканского участка, 12 февраля сего года заключен в Сухумскую тюрьму (30,508).

12 февраля 1909 года.

В Тбилисскую Судебную Палату по 2 -ому Уголовному департаменту

В дополнении к отношению от 3 апреля 1909 года за №511, имею честь уведомить Судебную Палату, что Дмитрий Эмухвари, по отбытии срока наказания по приговору Палаты, от 28 апреля 1908 года, освобожден из под

стражи 21 февраля 1910 года, и что в вышеукзанное отношение вкралась ошибка: срок отбытия наказания следует считать не с 11, а с 21 февраля 1909 года (31,536).

ვფიქრობთ, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმეზე მოტანილი ეს დოკუმენტები გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ მკითხველს იმჟამინდელი პოლიტიკური და სამართლებრივი სიტუაციის თაობაზე, საქართველო-აფხაზეთის ურთიერთმიმართებასა და, კიდევ იმაზე, რაც ერთ მეტყველ შტრიხს დაამატებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მატიანეს, უფრო თვალსაჩინოს და ფასეულს გახდის არზაყან ემუხვარის მოსაზრებას: „ვინც საქართველოსა და აბხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა“.

რაც მთავარია, ვიმედოვნებთ, რომ ეს დოკუმენტები დახმარებას გაუწევს დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ცხოვრებისა და ღვაწლის პროფესიონალურად შემფასებელ მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, სოციოლოგთა მცდელობას მომავალში, საზოგადოებას გაახსენოს და მაგალითად დაუსახოს ამ უანგარო, თავდადებული, ჭეშმარიტი მამულიშვილის ღვაწლი და თავგანწირვა; დღის სინათლეზე გამოიტანოს „ქედუხრელი რაინდის სახელი“.

„სასჯელის მოხდის შემდეგ იგი  რევოლუციურ მუშაობას დაუბრუნდა და ოსტატური სიფრთხილით ამზადებდა აფხაზობას მოსალოდნელი დიდი ამბებისთვის. უბრალო ხალხი, აფხაზეთის გლეხობა, თავად არზაყანში ხედავდა და, სრულიად სამართლიანადაც, თავის უანგარო მოამაგეს, ჭირისა და ლხინის მოზიარეს, რჩევისა და დახმარების მიმცემს ხალხს უყვარდა არზაყანი იმიტომ, რომ მას უყვარდა ხალხი. „სოხუმის ციხეში ამ ერთი წლით ჯდომამ არზაყანი აქცია მთელი აფხაზეთის უცილო ბელადად, მის შეუკითხავად არაფერი ხდება იქ ღირსშესანიშნავი, აფხაზეთის „დამნაშავე მოსახლეობა“ – ასე მონათლა იგი რუსის მმართველობამ.

1878 წლის რუსეთ – ოსმალეთის ომის შემდეგ - ყაზილბაქის შვილს არზაყან ემხს თავის მფარველად სთვლის“ (32).

ეს წერილი აკაკი ჩხენკელის მიერ დაწერილია 1939 წელს, არზაყანის გარდაცვალების შემდეგ. იგი უნდა დაბეჭდილიყო გაზ. „დამოუკიდებელ საქართველოში“ სხვა ნეკროლოგებთან ერთად, მაგრამ ის არ გამოქვეყნებულა. აკაკი ამას შემდეგნაირად ხსნის: „დამოუკიდებელი საქართველოს“ რედაქცია ამიჯანყდა ლადი ემუხვარის სიტყვის გამო, არ იბეჭდება ამიტომ ჩემი  სიტყვა და განთავსდება კოწია კანდელაკის სიტყვა. აი, ეს ხალხი აპირებს აბხაზებთან მეგობრობას“.

„უცხოეთიდან დაბრუნებული ჩამოვედი ოქუმში,  1910 წ. და მინდა გნახო, მაგრამ მეუბნებიან, რომ ჩხორთოლიდან შენ შეშელეთში გადასახლებულხარ. გეწვიე და რა ვნახე? გაგიჩეხია ტყე და შიგ კოპწია ოდა დაგიდგამს, ირგვლივ ძალიან ფართე ეზო, არც ერთი მეზობელი, რას შვები ამ ტყეში მარტო?- გეკითხები მე. შენ ჩაიცინე და მიპასუხე: «ოდის ირგვლივ ტრიალი მინდვრიდან მტერი ვერ შემომეპარება». თითქოს მართალსაც ამბობ, წელზე გკიდია რევოლვერი, წინეთ იარაღი არ გიყვარდა, ატარებდი პატარა სატევარს შნოსთვის. შენთან დავყევი ერთი კვირა და მართლაც გავიგე, რომ მტრები ბევრი გაგჩენია, შენ არ გიყვარდა ამაზე ლაპარაკი, სხვებმა მითხრეს, შენმა სტუმრებმა, თითქმის ყველა რჩევა-დარიგებისთვის მოსულებმა. მაგრამ მაშინ დავინახე აგრეთვე, თუ როგორი მამა გამხდარხარ... შენ გამაცანი აბხაზეთის მდგომარერობა, მისი ჭირ-ვარამი, ორგანიზაციის მუშაობა სოფლად, დაბებში, ცენტრში-სოხუმში და მისი კავშირი ქუთაის-თბილისთან“ (33, 1-2).

საინტერესოა ერთი ეპიზოდი აკაკი ოქუმელის (აკაკი ჩხენკელის ფსევდონიმი) მოგონებებიდან: „1912 წელს სოხუმის რეალურ სასწავლებელში ქართველი მასწავლებლის ადგილი განთავისუფლდა. არზაყანი დათანხმდა თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა, არჩევანი კი სოხუმის ქართული საზოგადოების საქმე იყო. არავის ერთი ბეწო ეჭვი არ დაბადებია, რომ მას გაათეთრებდნენ. რევოლუციურ-ეროვნულ მუშაობას დავეთხოვოთ, არზაყანი ვორონცოვ-დაშკოვის საერობო თათბირში თავად აზნაურობის კურიის თავმჯდომარე იყო.

მოხდა გასაოცარი ამბავი: არზაყანი გააშავეს! გვახსოვს, როცა გაახსენებდენ მას ამ ამბავს, ჩაიცინებდა თავისებურად. მას ერთგვარი განუმეორებელი, არავისმსგავსი, თავშეკავებული სიცილი სჩვევოდა. არისტოკრატია! – ამბობდნენ მეგობრები“ (34, 2).

არზაყანის ცხოვრების ზოგიერთი უცნობი დეტალი მისი უფროსი შვილის, ვლადიმერ ემუხვარის ავტობიოგრაფიიდან ცნაურდება, რომელიც აღნიშნავს: „მამაჩემი, დიმიტრი (არზაყანი) ყიზილბაქის-ძე ემუხვარი მეტწილათ სოფლის მეურნეობას ეწეოდა და ზოგჯერ კი სასამართლო საქმეებზე გამოდიოდა. სამსახურში არ იყო, ვინაიდან მეფის მთავრობა მას არ ნდობდა. იგი მონაწილე იყო რევოლუციონური მოძრაობისა აფხაზეთში. 1916 წლის მიწურულში მამა მოეწყო სამსახურში – კერძო პირთან – კოტე შერვაშიძის კანტორაში, რომელსაც აფხაზეთში გაშენებული ქონდა თამბაქოს პლანტაციები. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მამაჩემი ჯერ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე იყო, შემდეგ კი აფხაზეთის სახკომ-საბჭოს თავმჯდომარე“.

ამ პერიოდის მოვლენებსა და არზაყან ემუხვარის როლზე მათში, ყველაზე სარწმუნო წყარო, ვფიქრობთ, კვლავ აკაკი ჩხენკელის წერილი უნდა იყოს: „დადგა 1917 წ. რევოლუცია და შენ დაიწყე ძალათა მობილიზაცია, ცდილობდი და კიდეც მიაღწიე, რომ ხალხის მიერ ხელისუფლების აღება მწყობრად მომხდარიყო, უეცრად. მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ, როცა კავკასიის და საქართველოს საგარეო მდგომარეობა მეტად გართულდა, აბხაზეთმაც ვერ აიცდინა თავიდან არეულობა, მოწყობილი შავრაზმელებისაგან და ბოლშევიკებისაგან. სწორედ მაშინ დაიწყო ტფილისის ზოგიერთ წრეებში აზრი სამურზაყანოს აბხაზეთიდან მოშორებისა, რასაც შენ გაუწიე სასტიკი წინააღმდეგობა და მეც დამიხმარე ამაში. როგორ! – ამბობდი შენ – თუ სამურზაყანო ჩამოაცილეთ აბხაზეთს, გამოეთხოვეთ უკანასკნელს, ის დაკარგულია სამუდამოდ! შენ მართალი იყავი, ასჯერ მართალი. სამურზაყანო აბხაზეთის ბურჯია, მისი ხერხემალი, უამისოდ მას არსებობა არ შეუძლია. ზოგმა ქართველმა არც კი იცის დღემდე, რატომ ეძახიან სამურზაყანოელები თავიანთ თავს

აბხაზებს, თუმცა თითქმის ყველანი მარტო მეგრულად ლაპარაკობენ. ამის ახსნა თვით ხალხის თავდაცვის ინსტიქტში უნდა ვეძიოთ. ენგურის გაღმა სამურზაყანოელი ასი თავით განირჩევა მეგრელისაგან, ღალიძგის გაღმა ის აბხაზია! სამურზაყანო ხიდია, აბხაზეთსა და საქართველოს შორის გადებული, მისი ჩატეხვა ვერ შეძლო რუსის მმართველობამ, ქართველები კი ამას არ მოისურვებენ, თავისი თავის მტერი არ არიან'' (სტილი დაცულია) (35, 1-2).



კონსტანტინე (ციზილშაქ) ემუხვარი, არზაყანის მამა



ჯაცია მაანი



არზაყან ემუხვარი



კვაჯი მარღანია (მარცხნივ)


Метрическая выпись за 1879 годъ часть первая о родившихся.

| № | Крещ. | Имена родившихся | Имена фамиліи званія и вѣроисповѣданія родителей родившихся | Имена фамиліи и отчество воспріемниковъ | Кто исполнилъ Таинство Крещенія | Подпись свидѣтелей 194 / 135 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | Іюля 13. | Димитръ | Жит. сел. Реки князь Кизимбакъ Мурзакуевъ Емхвари и законная жена его Хамкетъ Омаріевъ Маргошвева, оба православнаго вѣроисповѣданія. | Воспріемникъ князь Отаръ Мурзакаевъ Дадешкеліани. | Священникъ Рекской Іоанна крестительской церкви Іаковъ Панцулая, и псаломщикъ Вѣсаріонъ Панцулая | Дворянинъ Кводжи Кациевъ Маргания |

Священникъ Рекской приходской церкви

ამონაწერი არზაყან ემუხვარის დაბადების მოწმობიდან



ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი




1934 წ.

კონსტანტინე გამსახურდიას წერილი




ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების მოწმობა და ნიშნების ფურცელი.



ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები

**(1898–1902 )**



არზაყან ემუხვარი –გიმნაზიელი



კონსტანტინე კანდელაკი

**1919** წლის **21** მარტიდან საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა–მრეწველობის მინისტრი. მის სახელს უკავშირდება ქართული ფულის გამოშვება.



აკაკი ჩხენკელი

**1918–1921** წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, **1921** წლის იანვრიდან საქართველოს დესპანი საფრანგეთში.



ქუთაისი. ჩიკვაიძეების სახლი, სადაც **1896–1902** წლებში ცხოვრობდა არზაყან ემუხვარი



ქუთაისის სასულიერო სემინარია



სოხუმი მე–**20** საუკუნის დასაწყისში



სოხუმი. სასტუმრო „რიწა“



ცარას ანჩაბაძე შვილიშვილებთან: ზურაბ, ირა ანჩაბაძეები, დაგმარა აქირთავა (პააცა ქურდოვანიძის „ქართულ–აფხაზური ალბომიდან“).

## §2. დამოუკიდებლობა და „ველიკორუსული" ნაღმები

1917 წლის 24 მაისს სოხუმის ოკრუგში კავკასიის საგანგებო კომიტეტის (ОЗК) ერთ-ერთ რწმუნებულად დ.ემუხვარი დაინიშნა (36, 68), რასაც შემდეგი დოკუმენტიც ადასტურებს:

***Особый Закавказский Комитет***
***(26 мая 1917 год)***

***Удостоверение***

***Настоящим удостоверяется, что Дмитрий Эмухвари назначен журнальным постановлением от 24 сего мая одним из окружных уполномоченных Особого Закавказского Комитета по Сухумскому округу.***

***В силу этого Особый Закавказский Комитет просит Исполнительный Комитет политической партии, советы солдатских, рабочих и крестьянских депутатов, а также воинские части там, где нет советов солдатских депутатов, оказывать уполномоченному всяческое содействие.***

***Удостоверение это выдано уполномоченному Дмитрию Эмухвари.***

***Председатель Особого Закавказского Комитета: Харламов (37)***

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამაც 1918 წელს სამოქალაქო ომის დაწყება გამოიწვია, რაც სულ მალე ჩრდილოეთ კავკასიასაც მისწვდა. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. ესა თუ ის ტერიტორია ხან ერთი, ხან მეორე დაპირისპირებული მხარის ხელში გადადიოდა. სწრაფად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენ-

ტაციას აფხაზი ლიდერებიც, რომელთა დიდი ნაწილი მოსახლეობას საქართველოს პოლიტიკურ პარტიებთან დაახლოებასა და უახლოეს მომავალში ქართულ-აფხაზური ურთიერთდამოკიდებულების გამორკვევისაკენ მოუწოდებდა.

„გლეხთა 2 ყრილობას (1918 წ. 4 - 9 მარტი), რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, აფხაზეთი შევიდეს ამიერკავკასიელი ერების საერთო ოჯახში, როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი და თავისი საუკეთესო მომავალი დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედოს. ყრილობამ აირჩია გლეხთა საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი არზაყან(დიმიტრი) ემუხვარის, დიმიტრი გულიას, მ. ცაავას, მ. ცაგურიას, ვ. ესვანჯიას, კ. ძიძარიას, აბუხბას, ბარციცის, დოცენკოს შემადგენლობით (მდივანი გახდა გ. აჯამოვი) (38,288).

იმ დღეებში აფხაზეთს რუსეთიდან შემოჭრილი ბოლშევიკები დაეუფლნენ.

აფხაზი მოსახლეობის ფართო ფენებში არზაყან ემუხვარის დიდი მცდელობით თანდათან ძლიერდებოდა დემოკრატიული მოძრაობა ლოზუნგით: „გავერთიანდეთ არა ჩრდილოეთ კავკასიასთან, არამედ საქართველოსთან!“

„1918 წლის 2 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბჭოთა რუსეთმა საბოლოოდ მოაგვარა ურთიერთობა ოსმალეთთან. საქართველომ ამ ზავის შედეგად თავისი ისტორიული პროვინციები დაკარგა.

ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველოც, რუსეთისაგან ჩამოშორებული აღმოჩნდა, რამაც შექმნა პირობა ამიერკავკასიის თვითმმართველობის შესაქმნელად ჯერ დროებითი მთავრობის კომისარიატის სახით (1917 წლის ნოემბერში), შემდეგ – პარლამენტით თბილისში.

1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი დაინიშნა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის (მაშასადამე, რუსეთის ჩამოშორების) გამოცხადებით მყისვე ისარგებლა ოსმალეთმა და ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ნაბოძებ მიწებს აღარ დასჯერდა. აზერბაიჯანსაც თვალი მონათესავე თურქეთისკენ ეჭირა.

პოლიტიკური მოვლენები საქართველოსთვის მოულოდნელი მიმართულებით განვითარდა.

აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის თვითმმართველობის დაშლა. სამივე სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს თვითონ უნდა მიეხედა თავისთვის. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისტორიულმა ვითარებამ თავისთავად მოუტანა ქართველებს ნანატრი თავისუფლება. ასე იოლად სანუკვარი მიზნის მიღწევა მხოლოდ კეთილ და ლამაზ ზღაპრებში ხდება.

1918 წლის 26 მაისს დილით გაუქმდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა, ნაშუადღევს, ხუთ საათსა და ათ წუთზე კი გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეროვნული მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე რამიშვილი" (39,140-141).




**21. Войска ГДР в Сочи 1918 год**
**(ვახტანგ ჯორჯიკიას კერძო კოლექციიდან)**

ნანატრი თავისუფლების დღე გაუთენდა საქართველოს 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებით აღსდგა დიდი ისტორიული წარსულისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე საქართველოს დამოუკიდებლობა, რამაც არზაყან ემუხვარს საშუალება მისცა ფრთები გაეშალა და მთელი თავისი ნიჭი, ენერგია და უნარი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა.

1918 წ. 27 ივნისს, როცა აფხაზეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, კოდორის მაზრაში მათი მოწვევით ძირითადად მუჰაჯირებით დაკომპლექტებული თურქული დესანტი გადმოსხეს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად იყო ეს აქცია კოორდინირებული ბოლშევიკებთან, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად – ისინი სხვადასხვა მხრიდან თითქმის ერთდროულად შემოვიდნენ აფხაზეთში.

ხელთ გვაქვს ძალზე საინტერესო დოკუმენტი, რომელიც რამდენადმე ნათელს ჰფენს იმჟამინდელ ვითარებას:

Протокол заседания Абхазского Народного Совета
30 июля 1918 г.

Председатель предлагает выслушать делегатов Кодорского участка, желающих высказаться о махаджирах.

Кегва Киут приводит историю приезда махаджиров и указывает на провокационные слухи, имевшие место тогда; на приезд махаджиров указывает, как на помощь. Они слыхали, что мы находимся в тяжелом положении, а потому и приехали помочь нам. Если бы у них были злые умыслы против Грузии, то привести их в исполнение можно было на грузино-турецкой границе...

Хабидж Ашба заверяет Абхазский Народный Совет, штаб Приморского фронта, министра труда И.И.Рамишвили, что Кодорский участок не сыграет роли изменников, ибо они вполне сознают помощь, оказанную грузинским народом.

Хабидж Ашба говорит, неужели мы способны на удар ножом в спину.

Слово предоставляется Владимиру Эмухвари. Этот вопрос сложный. Здесь нужно Абхазскому Народному Совету поддержать штаб. Я хочу видеть искренность заявлений махаджиров, но дело не в заявлениях, а в самих событиях. К вопросу нужно отнестись весьма серьезно. С точки зрения происхождения махаджирцы, без сомнения, наши

братья, вопрос же о прибытии их сюда нужно урегулировать, но не так, чтобы это было бессистемно. Я верю, что они приехали сюда помочь, так как на искоренение большевизма поздно обратили наше внимание. Явились они к нам как часть регулярной турецкой армии и остаются до сих пор ими. Солдаты не могли бы дезертировать в военное время из Турции, пока не объявлена демобилизация; если турецкое правительство допускает это, значит – умышленно. Я предлагаю такой сложный вопрос расследовать.

Арзакан Эмухвари. Я предлагаю пригласить махаджирцев сюда, а Президиуму Совета поручить предупредить штаб Приморского фронта, что идут махаджирцы, коим неприкосновенность личности будет гарантирована Абхазским Народным Советом.

Предложение Арзакана Эмухвари принимается единогласно (40, 422-423).

„ქართულმა შენაერთებმა და რუს-კაზაკთა რაზმებმა დესანტი გაანადგურეს. სამხედრო ოპერაციას თან ახლდა ზედმეტად მკაცრი და რეპრესიული ზომები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. განსაკუთრებული სისასტიკით კაზაკები გამოირჩეოდნენ. ისინი თურქეთისადმი თანაგრძნობაში „ეჭვმიტანილთა“ ძარცვითა და სახლკარის გადაწვით იყვნენ დაკავებულნი, რაზეც პასუხისმგებლობა ქართულ სარდლობას ეკისრებოდა. 1918 წ. სექტემბრის დასაწყისში აფხაზეთში ჩასულმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ (ხელაია) სახალხო საბჭოს თავჯდომარის ვარლამ შარვაშიძისა და საბჭოს წევრის ჯოტო შარვაშიძის თხოვნით, მიიღო ზომები სამხედროთა თვითნებობის აღსაკვეთად. 3 სექტემბერს იგი საავადმყოფოში ეწვია  გ.მაზნიაშვილის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ თუხარელს და ვითარების განმუხტვის მიზნით სასწრაფო ზომების მიღება სთხოვა. პოლკოვნიკმა მიტროპოლიტ ამბროსის შუამდგომლობით რვა აფხაზი ტუსაღი გაათავისუფლა; ოჩამჩირეში გაგზავნა სასწრაფო ბრძანება: „სახლ-კარის გადაწვა შეჩერებულ იქნას, გამოყვანილი იყოს ჯარი იმ სოფლებიდან, სადაც მათი

ყოფნა სამძიმოა მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის». გარკვეული ზომები მიიღეს აფხაზთა საბჭომ და საქართველოს მთავრობამ“ (41,292).

„1918 წლის 9 ოქტომბერს „მოხალისეთა“ წაქეზებით და დახმარებით სეპარატისტთა მცირე ჯგუფმა სოხუმში პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა სცადა. შეთქმულებას სათავეში ედგნენ აფხაზეთის საქმეთა მინისტრი რ. ჩქოტუა და საოლქო კომისარი ი. მარღანია. მათი მითითებით, სახალხო საბჭოს სხდომაზე შეჭრილმა შეიარაღებულმა პირებმა მილიციის მხრიდან და „აფხაზთა ასეულიდან“ ულტიმატუმის წესით საბჭოს ხელმძღვანელობის გადაყენება მოითხოვეს და აიძულეს პრეზიდიუმი, გადამდგარიყო. ამ ვითარებაში სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე, როგორც მ.თარნავა იგონებს, არ დაიბნა; ის არ დაემორჩილა მეამბოხეებს და მომხდარის შესახებ აცნობა სამთავრობო ჯარების შტაბს, რომელმაც დაუყოვნებლივ აღადგინა წესრიგი. სახალხო საბჭომ ოპოზიცია სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულა.

იმავე დღეს – 9 ოქტომბერს ვ. შარვაშიძემ, დ.ემუხვარმა, ი. გოგელაშვილმა, ი. ფაშალიძიმ და პ. გელოვანმა ამბოხების თაობაზე თბილისს აცნობეს. მათი აზრით, სახალხო საბჭოში წარმოდგენილ არცერთ ჯგუფს უკვე არ ჰქონდა ხალხის სახელით საუბრის მორალური უფლება, ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ამ ორგანოს დათხოვნა და ახალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლები სთხოვდნენ საქართველოს მთავრობას, თავის თავზე აეღო არჩევნების მომზადება, საარჩევნო დებულების შემუშავება, რომელიც საბჭოს უნდა დაემტკიცებინა“ (42, 296-297).

აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ არზაყან ემუხვარის მეთაურობით თბილისში დელეგაცია გამოგზავნა საქართველოს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად და მიაღწიეს შეთანხმებას აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ახალი არჩევნების ჩასატარებლად. ამ არჩევნებს უნდა გამოერკვია მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასთან.

„1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში პირველად მის ისტორიაში ჩატარდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები. საბჭოში 40 დეპუტატი აირჩიეს, რომელთა შორის იყო 27 – სოციალ-დემოკრატი, 4 – დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 – ესერი, 3 – მემარჯვენე; თითო დეპუტატი გაიყვა-

ნეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და კოლონისტებმა.

ერთდროულად ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები (1919 წ. 1 4 - 16 თებერვალი). გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციიდან ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრები გახდნენ ვ.შარვაშიძე, დ.ემუხვარი, ვ.ღურჯუა, ბ.ზახაროვი და ი.ფაშალიდი" (43,298-299).

*საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის ანკეტა:*

*ა) სახელი, გვარი და მამის სახელი – ემუხვარი დიმიტრი, იგივე არზაყანი კონსტანტინეს ძე.*
*ბ) პარტიული რწმენა – სოც.-დემოკრატი.*
*გ) წლოვანება – 38*
*დ) დაბადების წელი – 1881.*
*ე) ოჯახური მდგომარეობა – ცოლ-შვილიანი.*
*ვ) ეროვნება – აფხაზი.*
*ზ) პროფესია – საზოგადო მოღვაწე.*
*თ) განათლების ცენზი. სად და რა განათლება მიუღია – საშუალო განათლება. ქუთაისის სასულიერო სემინარია.*
*ი) გარდა წევრობისა, რა თანამდებობას ასრულებს და რას იღებს ჯილდოს – აფხაზეთის კომისარიატის თავჯდომარის – ჯამაგირი 2000 მანეთი.*
*კ) რომელ რიცხვიდან ითვლება წევრად – დამფუძნებელი კრების გახსნიდან.*
*ლ) საქართველოს რომელ ქალაქიდან, დაბიდან, სოფლიდან და სხვა – ქ. სოხუმი.*
*მ) პროვინციის ადრესი – ქ. სოხუმი, აფხაზეთის კომისარიატი.*
*ნ) დაწვრილებითი ადრესი და ტელეფონის ნომერი თბილისში – დროებითი ადრესი: ორიანტის სასტუმრო № 3.*

1919 წ. 12 მარტს დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე სხვა კოლეგებთან ერთად ვ.შარვაშიძემ, დ.ემუხვარმა, ვ.ღურჯუამ, დ.ზახაროვმა და ი.ფაშალიდიმ ხელი მოაწერეს 1918 წ. 26 მაისს მიღებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საესებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს და 10 წ თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთივალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია

„დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა სარწმუნოებისა სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (**26** მაისი. **1918** წ.)

ახლადარჩეული სახალხო საბჭოს პირველი სხდომა 1919 წ. 18 მარტს შედგა. მან აირჩია თავმჯდომარე (დ.ემუხვარი), მოადგილე (მ.ბერულავა) და პირველი მდივანი ვ.კოროლიოვი, 20 მარტს სახალხო საბჭომ მიიღო ისტორიული დოკუმენტი – „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას. «აქტის» მიხედვით, აფხაზეთის კონსტიტუციას შეიმუშავებდა დამფუძნებელი კრებისა და სახალხო საბჭოს შერეული პარიტეტული კომისია და ძალაში შევიდოდა ორივე ორგანოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

სახალხო საბჭოს პირველმა სხდომამ მოითხოვა გაგრის უბნის დაუყოვნებლივ განთავისუფლება «მოხალისეებისაგან» ისტორიულ საზღვრამდე – მდ. მზიმთამდე, წარდგინებით მიმართა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულთა ამნისტირების შესახებ“ (44,299).

მთავარი პოლიტიკური ფიგურა ამ დიდ საქმეში იყო არზაყან ემუხვარი, რომელიც, როგორც მისი ბიოგრაფი აკაკი ოქუმელი წერს: „არზაყან ემუხვარი აფხაზეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ და ყველაფერი უდიდესი ტაქტითა და შორსმჭვრეტელობით წარმართა.“

ამაში დიდი იყო არზაყან ემუხვარის ღვაწლი, რომელიც ერთნაირი ერთგულებით ემსახურებოდა საერთოდ საქართველოს და კერძოდ აფხაზეთს, რომელთა ინტერესები და კეთილდღეობა მის შეგნებაში იყვნენ ერთმანეთისგან განუყოფელნი და განუთვისებელნი.

В телеграмме за подписью Д.Эмухвари, посланной Ноэ Жордания, содержалось требование довести до сведения союзных держав о протесте НСА по поводу захвата части территории Абхазии Добровольческой армией Деникина. НСА просил правительство Грузии принять меры по немедленному очищению этой территории по реке Мзымта (45).

Председателю правительства Грузии Ноэ Жордания
20 марта 1919г.

Представители населения Абхазии, избранные впервые на основании демократического избирательного права, открыв высший орган управления Абхазии – АНС. Сообщаем о фактах нарушения прав Абхазии выразившимися в занятии части территории Гагринского участка Добровольческой армией, объявления войны, и признавая это обстоятельство недопустимым и в особенности при настоящих условиях провозглашения неприкосновенности прав самоопределившегося, вошедшей в состав демократической Грузии Автономной Абхазии.

Протест народных представителей Абхазии по поводу захвата ее территорий, просит Правительство республики Грузии по принятию мер немедленного очищения Добровольческой армией занятой ею территории до исторических границ Абхазии т.э.до реки МЗЫМТЫ.

Председатель Правительства Абхазии А. Эмухвари.

Секретарь: Королев.

Довожу до вашего сведения – Постановление АНС обратиться к Председателю Правительства Грузии, к Министру Юстиции республики, о прекращении всех судебных дел в отношении всяких привлеченных по обвинению в большевистском движении в пределах Абхазии. Срочно сообщить решение Правительству республики по этому поводу.

20.3. 1920 года

„გარკვეულ ძალებს, ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა ა.დენიკინის შტაბთან და მუდმივად ცდილობდნენ ვითარების დესტაბილიზაციას. ა.დენიკინმა ჯერ კიდევ გაგრის აღებამდე, 1919 წ. 1 თებერვალს ახლო აღმოსავლეთში ინგლისელთა ჯარების მთავარსარდალს მილნს და 27- ე დივიზიის მეთაურს ფორესტიე უოკერს (მას ემორჩილებოდა ინგლისელთა ჯარები ამიერკავკასიაში) გაუგზავნა მემორანდუმი (ალ.შარვაში-

ძეს და სხვების „თხოვნა“ „აფხაზეთის ოლქიდან“ ქართველთაგან დევნისა და რუსეთთან მისი მიერთების შესახებ), რომელშიც „აფხაზეთის დაშოშმინებისა და საქართველოსთან ჩვენი შეტაკების საბაბის მოხსნის“ მიზნით შემდეგ წინადადებებს აყენებდა: 1 გამოცხადდეს სოხუმის ოლქი ნეიტრალურად; 2. დაუყოვნებლივ გავიდნენ იქედან ქართული ჯარები და ადმინისტრაცია; 3. წესრიგის დაცვა დაეკისროს მათ მიერ თავისუფლად არჩეულ აფხაზურ ხელისუფლებას და აფხაზებისაგან შემდგარ სახალხო რაზმებს; ა.დენიკინის გეგმის მიხედვით, ქართულ ჯარებს მდ. ენგურამდე უნდა დაეხიათ. ამ ე.წ. მემორანდუმის შესახებ სახალხო საბჭოსათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი“ (46, 300).

### *Заявление НСА о меморандуме добровольческой армии английскому командованию*

***15 апреля 1919 г.***

Выслушав заявление члена Абхазского Совета И.И.Рамишвили о меморандуме Доброармии английскому командованию, в котором между прочим сказано: „Население Абхазии, по указанию меморандума, чрезвычайно враждебное грузинам и тяготеющее к России, все время обращается к Доброармии с просьбами о помощи, изгнании грузин и присоединении Сухумского округа к России. По получении подобного заявления от официальных представителей абхазского народа, главнокомандующий обратился к генералам Мильну и Форестье Уоккеру с телеграммой, в которой с целью умиротворения этого края предлагает следующие меры:

1) Немедленное удаление грузинских войск и администрации из округа;
2) объявление округа нейтральным, возложив поддержание порядка в нем на свободно избранные народом власти;
3) отвод грузин за реку Ингур.

Абхазский Народный Совет во всеуслышание заявляет: 1) Единственным правомочным, полномочным и полноправным представителем Абхазии является Абхазский Народный Совет, избранный на самых демократических началах; 2) что через этот Совет Абхазия заключила определенный и тесный союз с Демократической Республикой Грузия, вступив в нее как автономная часть и этим вполне определив общие с Грузией государственные границы; 3) что всякие „официальные представители" абхазского народа, упоминаемые в меморандуме, являются ничем иным, как самозванцами, врагами демократии Абхазии и Грузии, заинтересованными в создании благоприятных условий для контрреволюции, реставрации старых порядков и уничтожении демократического строя; 4) что абхазская демократия в союзе с демократией Грузии сумеет обуздать непрошенных «представителей» абхазского народа. победить контрреволюцию и ее агентов и дать торжество великим лозунгам революции, 5) что Абхазский Народный Совет желает знать, кто те «официальные представители» которые от имени народов Абхазии обращаются к Добровольческой армии. Народный Совет Абхазии клеймит этих самозванных представителей именем предателей народа и утверждение меморандума считает несоответствующим действительности; 6) Резолюцию эту довести через Правительство Демократической Республики Грузия до сведения союзных держав (47, 436-437).

Председателю Правительства Грузии

Комиссариат Абхазии, полевой штаб Рамишвили считает безусловно необходимым, чтобы в состав делегации ведущей переговоры с Деникиным вошел Председатель комиссариата Абхазии Дмитрий Константинович Эмухвари....

Лорткипанидзе. 1919 года, 20 мая.

„აფხაზთა სახალხო საბჭო 1919 წ. 8-10 აპრილს განიხილავდა მართვის ორგანოების ფორმირების საკითხს. გადაწყდა, შექმნილიყო აფხაზეთის მართვის ორგანო, რომელიც კონსტიტუციის შემუშავებამდე იხელმძღვანელებდა სახალხო საბჭოს ინსტრუქციებით.

მართვის კოლექტიური ორგანო – კომისარიატი სამი წევრისგან შედგებოდა: შინაგან საქმეთა კომისარი, სახალხო მეურნეობის კომისარი. სახალხო საბჭო ირჩევდა მხოლოდ ერთ კომისარს (პასუხისმგებელს საბჭოს წინაშე), რომელსაც ევალებოდა სხვა კომისრების შერჩევა და კოლეგიის შედგენა. კოლეგიას ამტკიცებდა სახალხო საბჭო. 1919წ. 13 მაისს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღმასრულებელი ორგანოს – კომისარიატის (მთავრობა) შექმნის შესახებ. თავმჯდომარედ დამტკიცდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი. აფხაზთა სახალხო საბჭოს ეწოდა აფხაზეთის სახალხო საბჭო, სოხუმის ოლქს – აფხაზეთი, უბნებს – მაზრები“ (48,300).

Председателю правительства Грузии Ноэ Жордания

Телеграмма об избрании Предедателем комиссариата Абхазии Дмитрия Эмухвари

В телеграмме указывается, что все кредиты администрации, тюремному ведомству, земельному отделу, труду, юстиции, народного образования, медико- санаторного, дорожного строительства, отдыха по бывшему Сухумскому округу перевести на имя комиссара Абхазии. Срочно требуется главным образом для администрации и милиции 500 тысяч рублей, срочной выдачи оборудования на 200 коек больниц, 12 грузовых автомобилей и 4 легковых для 4 земств.

1919.10.5. (49,6).

„1919 წ. 20 მაისს სახალხო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ვარლამ შარვაშიძემ დაიკავა. 1920 წ. თებერვლამდე მისი მოადგილე იყო მ.ბერულავა, შემდგომში კი – ტ.კვარაცხელია (შემდგომში სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი). მდივნის თანამდებობა კ.ქირთავამ დაიკავა.

„სენიორენ კონვენტში“ შედიოდნენ ს.ჭანბა, ვ.ანჩაბაძე, მ.თარნავა, დ.ალანია, დ.ემუხვარი. სახალხო საბჭო ზოგჯერ მცირე შემადგენლობით იკრიბებოდა („მცირე სახალხო საბჭო“) და განსახილველ საკითხებს წინასწარ ამუშავებდა. მის სხდომებს ესწრებოდნენ ვ.შარვაშიძე, დ.ემუხვარი, პ.გელოვანი, ვ.ანჩაბაძე, დ.ალანია, მ.ბერულავა, ი.ლორთქიფანიძე, გ.კოროლიოვი, ტ.კვარაცხელია, გ.ზუხბაია“ (50,300).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმიდან

27 მაისი 1919 წელი

დაესწრნენ: თავმჯდომარე: ნ.ჟორდანია

მინისტრები: ხომერიკი, კანდელაკი, რამიშვილი;

მინისტრის ამხანაგები: ცინცაძე, ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, გელაშვილი, საბახტარაშვილი;

დეპარტამენტის დირექტორები: ჭიჭინაძე, ჭანტურიშვილი;

აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე – დ.ემუხვარი;

მოისმინეს:

მოხსენება აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე დ.ემუხვარისა;

აფხაზეთის კომისარიატისთვის არსებული კრედიტების გადაცემის შესახებ.

დაადგინეს:

მიენდოს ფინანსთა მინისტრს დ.ემუხვართან ერთად გამოარკვიოს და რამდენათ შესაძლებელია გადაეცეს

აფხაზეთის კომისარიატს ის კრედიტები, რომელიც აქამდე ეხსნებოდა სოხუმის საგანგებო კომისარს.

მთავრობის თავმჯდომარე: ნ.ჟორდანია (51,165 ).

19 აგვისტო 1919წელი

„1919 წ. 20 მარტის ისტორიული აქტის მიღებამ და აფხაზეთის სტატუსის გარკვევამ დღის წესრიგში დააყენა სოხუმის ეპარქიის რეორგანიზაციის საკითხიც. 1919 წ. 1 სექტემბერს

აფხაზეთის კომისარიატმა მიიღო დეკრეტი მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ. სოხუმის საკათედრო ტაძარი, მისი კრებულისა და მღვდელმთავრის სახლები აფხაზეთის საკუთრებად იქნა აღიარებული; ვაკანტურად გამოცხადდა საეპისკოპოსო კათედრა; ახალი მღვდელმთავრის არჩევამდე დაინიშნა ეპარქიის დროებითი მმართველი. ეს თანამდებობა თავიდანვე არქიმანდრიტ იოანე მარგიშვილს, 11 სექტემბრიდან კი ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) ეკავა. შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1919 წ. 7ოქტომბერს აფხაზეთის საგანგებო საეკლესიო კრება გაიმართა. მან მოისმინა მიტროპოლიტ ამბროსის მოხსენება და მისი ძირითადი დებულების გათვალისწინებით ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. ამიერიდან ყოფილ სოხუმის ეპარქიას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა და იგი კვლავ ქართული ეკლესიის ორგანული ნაწილი გახდა; მიტროპოლიტის თანამდებობაზე კრებამ წმ.აღმსარებელი ამბროსი ერთხმად აირჩია. საგანგებო კრების გადაწყვეტილებები 1919 წ. 28 ოქტომბერს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ დაამტკიცა“ (52,303).

***Декрет Комиссариата Абхазии по управлению православными церквами***

1 сентября 1919 г.

Комиссариат Абхазии на заседании своем от 1 сентября сего 1919 г.постановил:

1. Находящийся в г.Сухуми Кафедральный собор с причтовым домом, архиерейский дом и здание бывшего училищного совета признать национальным достоянием автономной Абхазии.
2. Считать Сухумскую архиерейскую кафедру вакантною и принять меры к скорейшему ее замещению постоянным и самостоятельным епископом.
3. Временно, до избрания епископа, назначить управляющего православными церквами Абхазии с резиденцией в г.Сухуме.

4. Предоставить управляющему право: а) переводить, б) назначать, в) совершенно устранять от должности, г) ревизировать церкви, монастыри и прочие церковные учреждения, д)основывать и организовывать такие епархиальные учреждения, какие он только найдет необходимым.
5. Отвести управляющему под квартиру архиерейское помещение с предоставлением ему права пользования всеми теми средствами к содержанию, какие имелись до сего времени в распоряжении Сухумского епископа.
6. Представить управляющему право непосредственного заведования архиерейским домом и Драндским монастырем.
7. Проведение в жизнь настоящего постановления поручить и.о.Комиссара внутренних дел И.К.Лорткипанидзе.

Председатель Комиссариата Абхазии – Д.Эмухвари
И.о.Комиссара внутренних дел – И.Лорткипанидзе
(53, 450-451).

Телеграмма Католикоса – Патриарха Всея Грузии Леонида (Окропиридзе) Комиссару просвещения Абхазии И.Лорткипанидзе

12 сентября 1919 года

Согласно ходатайству председателя Комиссариата Эмухвари, временное управление Цхум-Бедийской епархии поручено митрополиту Амвросию.

Католикос Леонид (54, 242).

*სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს წერილი აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარეს დ.ემუხვარს*

*13 სექტემბერი 1919 წელი*

*სიამოვნებით გაცნობებთ, მოწყალეო ბატონო, რომ სა-*

*კათალიკოზო საბჭომ, თანახმად თქვენი შუამდგომლობისა, ამა თვის 11 ცხუმ – ბედიის ეპარქიის დროებითი გამგებლობა მიანდო ჭყონდიდის მიტროპოლიტს მაღალყოვლადუსამღვდელოეს ამბროსის.*

*მოვიწევ რა თქვენზედა ღვთის მადლსა და კურთხევას, დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი.*

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთის მთავარეპისკოპოსი ლეონიდი (55, 242, 243).*

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

*მოხსენება 27/IX-19*

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, 7 ოქტომბერს არის დანიშნული ცხუმ-ბედიის ეპარქიის საეკლესიო კრება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ეკლესიის ბედი, ე.ი. თუ რომელ ეკლესიასთან იქონიოს ერთიანობა, საქართველოს საკათალიკოსოსთან, თუ რუსეთთან. მიგვაჩნია რა ამ კითხვის გადაწყვეტა უაღრეს პოლიტიკურ საკითხად, საჭიროდ ვრაცხ ყოველი ღონე იქნას მიღებული ეს კრება სასურველად ჩატარდეს, რისთვისაც საჭიროა ამ კრებას მეტი ჩვენი მომხრე დაესწროს. ამ მიზნისათვის საჭიროა შორეულ კუთხეებიდან მომსვლელ დელეგაციებს დახმარება მატერიალური აღმოუჩინოთ გზის ფულის მხრივ, ვინაიდან ეხლანდელ პირობებში მისვლა-მოსვლა მეტად გაძნელებულ-გაძვირებულია. ამ საჭიროების სასურველად ჩასატარებლად აფხაზეთის კომისარიატს არა აქვს არავითარი საშუალება.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ, კეთილი ინებოთ და გაიღოთ ამ მიზნისათვის საჭირო თანხა, არანაკლებ ასი ათასი მანეთისა კომისარიატის განკარგულებაში მისივე ანგარიშპასუხისმგებლობის ქვეშ.

აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე დ.ემუხვარი (56,1).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმიდან

27 სექტემბერი 1919 წელი

მოისმინეს:

აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარის მოხსენება 100 000 მანეთის გაღების შესახებ ცხუმ-ბედიის ეპარქიის საეკლესიო კრებისათვის (რომელიც დანიშნულია ა/წ 7 ოქტომბერს) დახმარების აღმოსაჩენად.

დაადგინეს:

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით აფხაზეთის კომისარიატისთვის გადასაცემად გადაიდოს ოთხმოცი ათასი (80 000 ) მანეთი 10 მილიონიან ფონდიდან (ეკლესიის ბიუჯეტიდან ნ.მ.) მოხსენებაში აღნიშნული საჭიროებისათვის (57, 318).

„საქართველოს მთავრობა ყურადღებით ეკიდებოდა ნებისმიერ თხოვნას აფხაზეთიდან. მით უმეტეს, თუ იგი აფხაზი ხალხის ეროვნულ ინტერესებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, 1919 წ. 1 ნოემბერს ნ.რამიშვილი მთავრობის სხდომას მოახსენებდა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე დ.ემუხვარის შუამდგომლობით სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან, განურჩევლად სარწმუნოებისა (მანამდე ჯარში მხოლოდ ქრისტიანი აფხაზები მიყავდათ), ყველა აფხაზის გათავისუფლების შესახებ იმავეს ითხოვდა გუდაუთის მაზრის თემთა წარმომადგენლების კრება ლიხნში 1920 წ. 13 მაისს. თხოვნა დაკმაყოფილდა“ (58,304).

„1919 წ. 21 ივლისს სახალხო საბჭომ აირჩია დელეგაცია (დ.ემუხვარი, გ.კოროლიოვი, მ.უბირია, ვ.ღურჯუა, მ.ცაავა, მ.გრიგოლია), რომელსაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან საკონსტიტუციო საკითხების განხილვა დაევალა. 1919 წ. სექტემბერ-ოქტომბერში ის თბილისში იმყოფებოდა. 4 ოქტომბერს დელეგაციამ მოხსენებითი ბარათი მიართვა მთავრობას, რომელშიც საუბარი იყო ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის, კონსტიტუციის მიღების აუცილებლობაზე, აგრარულ რეფორმაზე, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე" (59,305).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმიდან

23 სექტემბერი 1919 წელი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე-ნ.ჟორდანია
მინისტრები: ხომერიკი, რამიშვილი, კანდელაკი

მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა:
ა) აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის მიმართვა.

დაადგინეს:

განეცხადოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციას (უკვე მეორე დელეგაციასაც), რომ ის გამოწვეული იქნება დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მიერ მაშინ, როდესაც დამფუძნებელი კრება შეუდგება საკონსტიტუციო მუშაობას.

4 ოქტომბერი 1919 წელი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე – გ.გეგეჭკორი

მინისტრები: რამიშვილი, კანდელაკი, ხომერიკი;

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია, ამავე საბჭოს თავმჯდომარე, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის წარმომადგენელი- ხოჭოლავა;

მოისმინეს:
აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის მოხსენება რესპუბლიკისათვის საერთო კონსტიტუციის გამომუშავებამდე ზოგიერთი სასწრაფო ნორმების მიღების შესახებ.



არზაყან ემუხვარი

დაადგინეს:

რესპუბლიკის მთავრობამ მოისმინა რა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის მოხსენება და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის აზრი რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციის გამომუშავებამდე ზოგიერთი ზომების მიღების შესახებ აფხაზეთში სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლად, სასურველად ცნო, რომ

1) დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ თავის შემადგენლობიდან გამოყოფილი იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შევიდეს პარიტეტულ საფუძველზე აფხაზეთის სახალხო საბჭოს საკონსტიტუციო კომისია (იგივე დელეგაცია). ამ გვარად დაარსებული შერეული კომისიის ნამუშევარი წარუდგინოს ხოლმე დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას და შემდეგ (ამ კომისიის საშუალებით) დამფუძნებელ კრებას.
2) მოხსენებაში აღნიშნული მუხლები ზოგიერთ ადგილობრივ საჭიროებათა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების შესახებ განხილულ იქნან სათანადო უწყებათა მიერ (60,314,323).

„1919 წ. 15 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ თბილისში ოფიციალურად მივლინებული დელეგაციის მოხსენება მოისმინა. სიტყვით გამოსულმა მ. უბირიამ აღნიშნა, რომ კონსტიტუციაზე მუშაობისას თავიდანვე წარმოიშვა ორი მიმდინარეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ისტორიული მომენტისადმი, კერძოდ, აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანებისადმი მიდგომებით; ერთ მიმდინარეობას, მომენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიაჩნდა აფხაზეთის რაც შეიძლება მალე შეერთება საქართველოსთან, რაც ჩვენს ბობოქარ ეპოქაში მისი უსაფრთხოების, ხოლო მომავალში მხარის სოციალურ – ეკონომიკური და კულტურული განვითარების საწინდარი იქნებოდა. მეორე მიმდინარეობაც სცნობდა აფხაზეთის საქართველოსთან შეერთების აუცილებლობას, – დასძენდა მ. უბირია, – მაგრამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით უფრო მართებულად მიაჩნდა რესპუბლიკასთან რაც შეიძლება სუს-

ტი კავშირის დამყარება, მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ვითარების შეცვლის შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემდა. ეს ორი მიდგომა აისახა საკონსტიტუციო კომისიაში შედგენილ პროექტებში. მ.უბირიამ აღნიშნა, რომ თბილისი არ ჩქარობდა აფხაზეთის (ქვეყნის ნაწილის) კონსტიტუციის დამტკიცებას, სანამ არ იქნებოდა მიღებული ქვეყნის ძირითადი კანონი. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა, მოხერხდა აფხაზეთის მმართველობის ძირითად პრინციპებზე შეთანხმება სახალხო საბჭოს 15 ნოემბრის სხდომაზე თბილისში მიწვეული მეორე დელეგაციის წევრებიც გამოვიდნენ. მ. თარნავას განცხადებით, მთავრობასა და სახალხო საბჭოს შორის შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია“(61,323).

Из протокола НСА от 28 ноября 1919 года.

Финансово-экономический кризис Абхазии достиг катастрафических размеров. Частная инициатива получила хищнический характер, промышленность, в особенности табачная. Всякая работа при создавшемся порядке вещей исключается. Население, местная демократия вследствие чего находится в самом затруднительном положении. В результате всего этого местные демократические учреждения, НСА и его исполнительный орган – Комиссариат, а также местные органы управления, хозяйства, земства и городские самоуправления, которые находятся накануне гибели. Никакая творческая работа и развитие производительных сил края немыслима, если в спешном порядке не принять радикальные меры.

В виду изложенного НСА полагает, что в интересах культурно – хозяйственного развития Абхазии необходимы следующие мероприятия:

Разрешить Комиссариату Абхазии в интересах культурно-хозяйственного развития Абхазии необходимые мероприятия:

1. Разрешить Комиссариату Абхазии экспорт не менее 50.000 пудов табаку, мелкого ореха и вина в заграницу.

2. Монополизировать в распоряжении Комиссарита Абхазии наравне с кукурузой заготовку в пределах Абхазии фасоли, сена и свинины.

3. Выдача ссуды Правительством республии Грузия в размере 10 млн. рублей с начислением ежегодно равными частями в течение десяти лет, начиная с 1922 года.

4. Урегулировать вопросы о народно – ценных имениях, культурные хозяйства коих находятся на пути полного уничтожения.

5. Всякого рода правительственные заготовки в пределах Абхазии впредь поручить Комиссариату Абхазии, который в своей деятельности исключительно опирается на органы местных демократических управ – земств и городских самоуправлений (62, 29).

„აფხაზეთის მიმართ საქართველოს მთავრობის პოზიცია 1920 წლის 6 თებერვალს სახალხო საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოსულ ნ. რამიშვილმა განმარტა: "როცა საქართველო უკვე აღიარეს დასავლეთის ქვეყნებმა, ჩვენი ამოცანაა დემოკრატიის გაღრმავება, ხალხის როლის გაფართოება", – განაცხადა მან. მოხსენებაში უარყო ჭორები თითქოს მთავრობას სურს შეკვეცოს აფხაზეთის ავტონომიური უფლებები, შეზღუდოს სახალხო საბჭო და ა.შ. ნ. რამიშვილმა მთავრობის სახელით საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ "აქ აფხაზეთში საზოგადოებრივ პოლიტიკური მშენებლობის ერთადერთი გზაა აფხაზეთის ავტონომიური უფლებების განმტკიცება"( 63,306).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ოქმიდან

25 დეკემბერი 1919 წელი

მოხსებება საქართველოს ფინანსთა მინისტრის:

აფხაზეთის სახალხო საბჭოსათვის სესხის მიცემის შესახებ;

დაადგინეს:

1) აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიეცეს ექვსი მილიონი მანეთი სესხად.
2) ვალის გადახდა დაეწყოს 1922 წლის 1 იანვრიდან ყოველ პირველ იანვარს და პირველ ივლისს 500-500 ათასი მანეთის შემოტანით. აღნიშნული თანხა მიეცეს ნაწილ-ნაწილად შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ექვსი თვის განმავლობაში. (64, 424).

სამხედრო მინისტრს
აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარის მიმართვა 24.01.1920 წ. სოხუმში საჯარისო გუნდის დაარსების შესახებ
მდივანი ცინცაძე.

ეს განცხადება გამოქვეყნდა გაზეთში „Наше слово“
14 августа 1920 года

В целях распространения среди сельского населения столь необходимых для развития хозяйственной жизни страны и элементарных сведений по различным отраслям сельского хозяйства предположено создать целую сеть начальных сельско-хозяйственных школ. Комиссариат считает делом неотложной необходимости открыть в настоящем году в государственном имении «Гульрипш» государственную нисшую с.хоз. школу (3-ех классного типа, с 4 педагогическим классом). Основной задачей коих должна быть подготовка кадра нисших инструкторов по сельскому хозяйству, а затем и преподавателей для других школ этого типа. Детям наименнее обеспеченных родителей обучение ровно как и выдача учебных пособий бесплатно. Кроме того учащимся будут предоставлены оборудование и помощь.

Председатель Комиссариата: Д. Эмухвари.

Нач. отдела Земледелия Месхи. (65,4).

„საზღვრების საკითხი გადაწყდა საქართველო-რუსეთს შორის 1920 წ. 7 მაისს დადებული ისტორიული ხელშეკრულე-ბების ძალით. მაშინ საბჭოთა რუსეთმა სოხუმის ოლქი სა-ქართველოს უდავო ტერიტორიად აღიარა, სახელმწიფოთა-შორისი საზღვარი კი მდ.ფსოუზე გადიოდა. ამის თაობაზე 1920 წ. 18 მაისს დ.ემუხვარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სახალხო საბჭომ სიხარულით მიიღო და დამფუძნებელ კრე-ბას სპეციალური რეზოლუციაც გაუგზავნა“ (66,302).

„1920 წ. 22-23 თებერვალს სოხუმში აფხაზური ინტელი-გენციის ყრილობა გაიმართა (თავმჯდომარე გ.ზუხბაია, მო-ადგილეები – ვ.ანჩაბაძე და დ.გულია). მის მუშაობაში სახალ-ხო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების მონაწილეობამ ყრილობა პოლიტიკურ ტრიბუნად აქცია. ერთმანეთს დაუპი-რისპირდნენ ქართული ორიენტაციისა და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზები. პასუხი მათ, ასევე სხვა სეპარატის-ტებს, ჭეშმარიტმა აბხაზმა, ნამდვილმა ინტელიგენტმა ვ.შარ-ვაშიძემ გასცა და ბოლოს ყრილობაც დატოვა.

დ.ალანიას, ე.ანჩაბაძის, მ.თარნავას, მ.უბირიას, ვ.ღურ-ჯუას, დ.ემუხვარის გამოსვლებმა თვალნათლივ წარმოაჩინეს აფხაზურ ინტელიგენციაში არსებული უთანხმოებანი პოლიტი-კური ორიენტაციის საკითხებში, რაც, თავის მხრივ, იყო მიზე-ზი საკონსტიტუციო უთანხმოებებისა. აფხაზური ინტელიგენცი-ის ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა კონსტიტუციის პროექტის სასწრაფოდ შემუშავებისა და დამტკიცების აუცი-ლებლობა. სახალხო საბჭოში გრძელდებოდა მუშაობა ამ მი-მართულებით. 1920 წ. 21 მაისს არჩეული საბჭოს დელეგაცია ვ.შარვაშიძის, დ.ემუხვარის, დ.ზახაროვის, გ.ზუხბაიას, მ.თარ-ნავას და ვ.ანჩაბაძის შემადგენლობით მალე თბილისს ეწვია.

1920 წ. 1 ივლისს მან მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. „ვნებათაღელვის ჩასაც-ხრობად“ დელეგაცია ითხოვდა დამფუძნებელი კრების სესია-ზე აფხაზეთის საქართველოს ავტონომიურ ერთეულად აღია-რებას, მისი წარმომადგენლობითი ორგანოსა და მთავრობის კომპეტენციის საკითხების განხილვას. ამასთან, მოგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო კომისიაში ეს საკითხები დადებითადაა გადაწყვეტილი,“ – ნათქვამია 1 ივლისის ბარათში.

1920 წლის 29 დეკემბერს, მცირე საკონსტიტუციო კომი-სიამ შეიმუშავა პროექტი – „აფხაზეთის ავტონომიური მმარ-

თველობის დებულებები", რომელიც, საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21თებერვალს" (67.306-308).

„1921წლის 23 თებერვალს, როცა წითელი არმიის ნაწილებმა ფორსირებულად გადალახეს მდ.ბზიფი, საბჭომ მოისმინა აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარის მოხსენება ფრონტის ვითარებასთან დაკავშირებით და დაადგინა: მიეღოთ გადამჭრელი ზომები საბჭოთა ნაწილების შემოტევის წინააღმდეგ და გამოეყოთ 1 მილიონი მანეთი მენშევიკური „თავდაცვის საბჭოს" განკარგულებაში.



სოხუმი

აფხაზეთის „გენერალ-გუბერნატორად" დანიშნული აფხაზეთის მენშევიკური კომისარიატის თავმჯდომარემ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარმა გამოსცა „ბრძანება №1", რომლითაც მოუწოდებდა 35 წლამდე (ჩათვლით) ყველა მოქალაქეს თავდამსხმელი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ გამოსვლისაკენ. თავის არიდება და გამოუცხადებლობა განიხილება, როგორც რესპუბლიკის ღალატი და მის წინააღმდეგ მტრული ქმედება და დაისჯება საომარი დროის კანონების მთელი სიმკაცრით. სწრაფი და განუხრელი შესრულება ამ ბრძანებისა დაევალა

სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობებს და საუწყებო და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უმოქმედობაში, სიზანტესა და დაუდევრობაში იქნებიან შემჩნეულნი, გადაეცემიან სამხედრო სასამართლოს“ (68,362).

26 თებერვალს დ.ემუხვარმა გამოსცა „ბრძანება №2“, რომლის ძალითაც სოხუმი, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოს მაზრები გამოცხადდა ფრონტის გამაგრებული ზურგის რაიონებად...“ (69,362-363).

1921 წლის თებერვალში, როდესაც ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს, არზაყან ემუხვარმა საქართველოს მთავრობასთან და დამფუძნებელი კრების წევრებთან ერთად დატოვა სამშობლო.



26 мая 917

№ 2258

УДОСТОВѢРЕНІЕ

Настоящимъ удостовѣряется, что Дмитрій Эмухвари назначенъ журнальнымъ постановленіемъ отъ 24 сего мая однимъ изъ окружныхъ уполномоченныхъ Особаго Закавказскаго Комитета по Сухумскому округу.

Въ силу этого Особый Закавказскій Комитетъ проситъ Исполнительные Комитеты политическія партіи, совѣты солдатскихъ рабочихъ и крестьянскихъ депутатовъ, а также воинскія части тамъ, гдѣ нѣтъ совѣтовъ солдатскихъ депутатовъ, оказывать уполномоченному всяческое содѣйствіе.

Удостовѣреніе это выдано уполномоченному Дмитрію Эмухвари.

Предсѣдатель Особаго Закавказскаго Комитета

Члены Особаго Закавказскаго Комитета

Управляющій Дѣлами

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის კავკასიის საგანგებო კომიტეტის სოხუმის ოლქის ერთ–ერთ რწმუნებულად დანიშვნის მოწმობა.



არზაყან ემუხვარი, ვარლამ შარვაშიძე დამფუძნებელი კრების სხდომაზე.



სასტუმრო „ოროანტი“




სრულიად საქართველოს კათალიკოს –პატრიარქი, მცხეთის მთავარეპისკოპოსი უწმინდესი  და უნეტარესი ლეონიდე



მარცხნიდან: მართა ემუხვარი, ეკატერინე ემუხვარი – აქირთავასი, გრიშა ჩიკვაიძე(არზაყანის ცოლის ძმა), არზაყან ემუხვარი, იულია აქირთავა (გრიშა ჩიკვაიძის მეუღლე, ნიკოლოზ აქირთავას და).

# §3. *უკანასკნელი დადგენილება*

*„მე რომ ბედი მქონოდა, უცხოეთში*
*გარდახვეწა არ მომიხდებოდა!“*

*თარაშ ემხვარი, „მთვარის მოტაცება“,*
*კ.გამსახურდია.*

1921 წლის 21 მარტს ჩატარდა უკანასკნელი კრება საქართველოს დამფუძნებელი კრებისა ბათუმში.

„ბათუმში დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა – გაგზავნოს საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული მთავრობა ბ-ნ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მას ეძლეოდა უფლება შეედგინა კოალიციური მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ორი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული, ერთი – ეროვნულ-დემოკრატიული. გარდა ამისა, ეძლეოდა უფლება, თან წაეყვანა მუშაობისთვის აუცილებელი სპეციალისტები და პიროვნებები.

მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოს და ქართველი ერის ინტერესები მთელი დედამიწის მთავრობებისა და ერების წინაშე.

ამავე კრებაზე დამფუძნებელმა კრებამ მოუწოდა ქართველ ერს და მის ინტელიგენციას დარჩენილიყვნენ ხალხთან და მისი ბედ-იღბალი გაეზიარებინათ. მხოლოდ მათ, ვის მიმართაც მოსალოდნელი იყო რეპრესიები ბოლშევიკების მხრივ, მათი მუშაობისათვის დამოუკიდებლობის პერიოდში, ეძლეოდათ უფლება წასულიყვნენ ემიგრაციაში.

ასეთი გახლდათ უკანასკნელი დადგენილება თავისუფალი ქართველი ერის თავისუფლად არჩეული პარლამენტისა. ამიტომ, სანამ ქართველი ერი არ იქნება თავისუფალი და მას არ ექნება შესაძლებლობა მართლაც თავისუფლად აირჩიოს თავისი პარლამენტი, მანამდე ეს დადგენილება სავალდებულო რჩება ყველა ქართველისთვის და საქართველოს მოქალაქისთვის“ (70, 296).

„სოციალ-დემოკრატიული პარტია არ გატეხილა და განაგრძობდა დგომას ბრძოლის პოზიციაზე. ამ ბრძოლის გაგ-

რძელება თვით იკისრეს ახალი პირობებისდაგვარათ საქართველოში. ჩვენ, მთავრობას გზა დაგვილოცეს უცხოეთისაკენ. მთავრობა მაინც ფეხს ითრევდა, სამშობლოს დატოვება ადვილი არ ყოფილა. დაგვაჩქარა ერთმა გარემოებამ: აჭარიდან ტელეფონით გვითხრა ერთმა აჭარელმა დეპუტატმა (გვარი დამავიწყდა), რომ სწრაფი ნაბიჯით მოდის ქლობას კავალერია, გადმოულახავს აბასთუმანის გზით აჭარის უღელტეხილი და ამბობდნენ, მისია გვაქვს – ნოე ჟორდანიას მთავრობის დაჭერა ბათუმშიო. მაშინვე შევკრიბეთ ცნობები და ეს ცნობა აღმოჩნდა მართალი. საჭირო იყო სიჩქარე. ბათუმის ქუჩებში უკვე გაჩაღდა ბრძოლა ჩვენს ჯარსა და ოსმალოს შორის, გემზე გადავედით 16 მარტს, იქ დაგვხვდა კვინიტაძე! გაგვიკვირდა, მეგონა ბრძოლას მეთაურობდა. მოვსთხოვე დაუყოვნებლივ გადასულიყო ნაპირას და თავისი თვალით ენახა მდგომარეობა, უფროსებთან ერთად ემოქმედნა.

მართლაც გადავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა, არავინ უნახავს, ნაპირიდან არც დაძრულა. მისი უცხოეთში წამოსვლა მისი საკუთარი ინიციატივით მოხდა, არავის დაუდგენია. საზოგადოთ, დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ მთავრობა გაგზავნა მისიით და ჩვენ წამოვიყვანეთ ისინი, ვინც საქმისათვის გამოგვადგებოდა და ტეხნიკური სამსახურის გამგენი, ყველა დანარჩენი მისით გარბოდნენ. ჩვენი ლოზუნგი იყო პირიქით – შინ დარჩენა და იქ ბრძოლის გაგრძელება, პირველ-ყოვლისა, პოლიტიკურათ და ხალხის გვერდში ამოდგომა.

გამომგზავრება მოხდა სპეციალური დადგენილებით, როგორც ამ კრების იურიდიული გამოხატულება მთავრობასთან ერთად სამუშაოთ. სოც.დემოკრატების არც ერთი ცნობილი ორგანიზატორი და მებრძოლი თავისი ნებით არ წასულა. პირიქით, პარტიამ დაადგინა ბათუმში დარჩეს თავის ალაგას ხალხთან ერთად. სწორეთ 17-ს დილით მივიღეთ ცნობა, რომ ქლობას კავალერია დაბანაკდა ბათუმის ახლოს და მაშასადამე ყოველ საათში იყო მოსალოდნელი ჩვენი დატყვევება, ამავე დროს საჯავახოს გზით მოახლოვდა პირველი ეშალონი წითელი ჯარისა. იმავე დღეს დაიძრა ჩვენი იტალიანური გემი და გამოვსწიეთ სტამბოლისაკენ“ (71,127).

აქ აუცილებლად მიგვაჩნია სიზუსტის შეტანა ემიგრაციაში წასული მთავრობის მეთაურის მოგონებებში: დრომ ბევრ

რამეს დაარქვა შესაბამისი სახელი: ქართველი გენერალ-მაიორის გიორგი კვინიტაძის (1874-1970) სიმამაცე და თავგანწირვა აღიარებული ფაქტია. მისი ნამდვილი გვარი იყო ჩიქოვანი (იმერეთში რუსების შესვლის შემდეგ თურქეთში გადახვეწილ სოლომონ II-ს თან გაჰყვა ივანეს მამა სვიმონ ჩიქოვანი, რომელმაც თავისი მცირეწლოვანი ვაჟი აღსაზრდელად დაუტოვა თავადი ციციშვილის ოჯახს. 13 წლის ივანემ გვარი კვინიტაძედ გადაიკეთა, რომ რუსეთის სამხედრო სამსახურში შესვლა შესძლებოდა. 1859 წლის 25 აგვისტოს იგი გუნიბის აღებასა და შამილის დატყვევებაში მონაწილეობდა. ამგვარად, 14 წლისამ დაღესტანში მიიღო საბრძოლო ნათლობა.

„1918-1921 წლებში იგი მრავალგზის დაინიშნა ქართული არმიის სარდლად, თუმცა მუდამ იძულებულს ხდიდნენ, რომ დაკისრებული მოვალეობის ბრწყინვალედ აღსრულების შემდეგ, მალევე გადამდგარიყო. 1918 წელს ამიერკავკასიის  აგრეთვე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის (1879-1937) ბრძანებით გიორგი კვინიტაძე საქართველოს ჯარების რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიორგაძის (მთავარსარდლად და სამხედრო მინისტრის თანაშემწედ დაინიშნა). „პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“ პრინციპით, კვინიტაძე მინისტრთან პირდაპირ საუბარში კარგა ხანს უარს ამბობდა მაღალ სამხედრო თანამდებობაზე. მიზეზად სხვებთან შედარებით ახალგაზრდულ ასაკს ასახელებდა 44 წლის გამოცდილი, დენთსა და ცეცხლში გამოწრთობილი გენერალ-მაიორი. უკეთესი კანდიდატის მოძიებას თავმდაბლად ითხოვდა. გიორგაძე არ მოეშვა და მეორე შეხვედრისას კვინიტაძის დაყოლიება მის პატრიოტულ გრძნობებზე ზემოქმედებით მოახერხა: შენზე უკეთესი არ გვყავს და თუ დროულად არ დაიკავებ ამ პოსტს, შეიძლება ჩვენი ქვეყნისთვის არასასურველი კანდიდატურა შემოგვთავაზონ არაქართველებმაო. გიორგი კვინიტაძემ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული არმიის ჩამოყალიბებასა და გაწვრთნაში, მიუხედავად არაერთი სახელისუფლებო წინააღმდეგობისა. პირველივე შეხვედრაზე ურთიერთობა დაიძაბა მასა და ნოე რამიშვილს შორის. სიტყვიერი თანადგომის გარდა არც ნოე ჟორდანიასგან ღირსებია საქმიანი მხარდაჭერა გენერალს, რის გამოც ეს უკანასკნელი 1918 წლის ზაფხულში ყველა დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. თუმცა იმავე წლის მიწურულს სამშობლოსა და

არაკომპეტენტურ მთავრობას კვინიტაძე სასწრაფოდ დასჭირდა, როცა სომხეთმა საქართველოსგან ჯავახეთისა და ბორჩალოს მაზრების გადაცემა მოითხოვა და უარის პასუხად 8 დეკემბერს სამხედრო ოპერაცია დაიწყო. რამდენიმე დღეში მტერმა მთლიანად დაიკავა. ბორჩალოს მაზრა, მდინარე ხრამს მოადგა და, სამხედრო წარმატებით გაკადნიერებული, ქართველებისგან უკვე თბილისის დაცლასაც მოითხოვდა. საქართველოში მობილიზაცია გამოცხადდა, ჯარის მეთაურობა გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაევალა, ხოლო მისი შტაბის უფროსობა ჟორდანიას მთავრობამ კვინიტაძეს სთხოვა. მხურვალე მამულიშვილი უყოყმანოდ გამოცხადდა ფრონტის ხაზზე.

ორი ქართველი გენერლის გონივრულად დაგეგმილი სამხედრო ტაქტიკის შედეგად, ქართული არმია უკვე 16 დეკემბერს შეტევაზე გადავიდა, მოწინააღმდეგე შეავიწროვა, ბორჩალოს მაზრა სომხური შენაერთებისგან სრულიად გაწმინდა და 31 დეკემბერს ომი საქართველოს რესპუბლიკის გამარჯვებით დაასრულა. ამის მიუხედავად, კონფლიქტის მოგვარებაში ინგლისი ჩაერია და მხარეებს შორის ისეთი ზავი დაიდო, რომ ისტორიულად საქართველოს ტერიტორია – ბორჩალოს მაზრა ჯერ სამ ნაწილად გაიყო, საბოლოოდ კი, თითქმის მთლიანად სომხეთს გადაეცა. თავის მემუარებში გიორგი კვინიტაძე გულისტკივილით იხსენებს ნოე ჟორდანიას მიერ მშობლიური მიწის გასხვისების ამბავს ქართული ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად. თურქეთის წაქეზებით, 1919 წელს მაჰმადიანი ქართველი ბეგები აჯანყდნენ სამცხე-ჯავახეთის ისლამურ მეზობელთან მიერთების მიზნით. ამბოხებულები უკვე ბორჯომს უახლოვდებოდნენ, როცა საქართველოს მთავრობამ საშველად კვლავ გენერალ კვინიტაძეს მიმართა და იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტზე აღადგინა. გენერალი თებერვლის ბოლოს ჩავიდა ბორჯომში, მარტის თვე დეზორგანიზებულ ქართულ ჯარში წესრიგის აღდგენას მოანდომა, შემდეგ კი ბეგების წინააღმდეგ გაილაშქრა. კვინიტაძის სამხედრო კამპანია იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ საქართველომ არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება შეძლო, არამედ – ძირძველ ქართულ კუთხეზე, ტაო-კლარჯეთზეც დააწესა კონტროლი. ამავე წლის მაისში კვინიტაძე ისევ გადადგა

მთავარსარდლის თანამდებობიდან, რადგან ხელისუფლება ძველებურად გასაქანს არ აძლევდა მის გონივრულ წინადადებას ქართული ჯარის რეფორმირების თაობაზე. ამ პერიოდში საქართველოს თავდაცვის მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის (1881-1937) წინადადებით, გადამდგარმა გენერალმა თბილისში იუნკერთა ორწლიანი სამხედრო სასწავლებელი დააარსა და თავადვე გახდა სკოლის პირველი ხელმძღვანელი; იქვე კითხულობდა სასწავლო კურსს ტაქტიკასა და სამხედრო ისტორიაში. ყოფილ მთავარსარდალს მატერიალურად იმდენად უჭირდა, რომ ტრამვაის ბილეთის ფული არ ჰქონდა და ლექციის ჩასატარებლად ფეხით მიდიოდა. სასწავლებელში, სადაც, ძირითადად, ქართველ თავად – აზნაურთა შვილები სწავლობდნენ, 182 იუნკერი (გერმან. Junker<Junkher <Juncherre „ახალგაზრდა ბატონი“ თავადაზნაურული, არისტოკრატიული წარმოშობის უნტერ-ოფიცერი) ირიცხებოდა...

1920 წლის აპრილის მიწურულს ბოლშევიკურმა რუსეთმა ამიერკავკასიაში სამხედრო ინტერვენცია დაიწყო. მე-11 არმიამ 28 აპრილს ბაქო აიღო, 2 მაისს კი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები გამართა სერგო ორჯონიკიძის ბრძანების შესაბამისად. ჟორდანიას მთავრობამ საშველად, ჩვეულებისამებრ, გიორგი კვინიტაძეს უხმო. შედეგად, ქართულმა არმიამ ბოლშევიკური შენაერთების წინსვლა შეაფერხა, მათი სასაზღვრო ავანგარდი სასტიკად დაამარცხა, უკან დაახევინა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რამდენიმე ვერსითაც გადავიდა. გენერალ კვინიტაძეს სტრატეგიულად აუცილებელ ნაბიჯად მიაჩნდა ბრძოლის გაგრძელება, ბაქოს აღება და აზერბაიჯანის გაწმენდა წითელი არმიის ნაწილებისგან, მაგრამ ნოე ჟორდანიამ კონტრიერიშის შეჩერება და ქართული ჯარის უკან გამობრუნება მოითხოვა. 7 მაისს მოსკოვმა სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა თბილისთან და აღნიშნულ დოკუმენტში საქართველოს სუვერენიტეტი სცნო – დროებით. ამავე წლის აგვისტოში კვინიტაძე დაკავებული თანამდებობიდან ისევ გადადგა, რადგან მთავრობა ქართული ჯარის რეორგანიზებაზე, სახელმწიფო საზღვრის გამაგრებასა და ქვეყნის თავდაცვითი სისტემის გაუმჯობესებაზე ზრუნვას ჯიუტად არ ანებებდა პროფესიონალს.

1921 წლის თებერვალში კომუნისტების მიერ ინსპირირებული ლორეს აჯანყების საბაბით, მე-11 არმიის აზერბაი-

ჯანსა და სომხეთში დისლოცირებულმა ნაწილებმა წითელი ხიდი გადმოლახეს, შულავერი აიღეს და თბილისს მოადგნენ.

ჟორდანიას მთავრობას ისევ გიორგი კვინიტაძე დასჭირდა. 15 თებერვლის საღამოს გენერალს, რომელიც უკვე ერთი კვირა ლოგინად იყო ჩავარდნილი ჰაიმორიტისა და მაღალი სიცხის გამო, ეროვნული გვარდიის მეთაურმა ვალიკო ჯუღელმა დაურეკა და საგარეო საქმეთა სამინისტროში მთავრობის საგანგებო თათბირზე დაიბარა. მძიმე ავადმყოფობისა და აუტანელი ტკივილების მიუხედავად, გიორგი კვინიტაძე თათბირზე დაუყოვნებლივ გამოცხადდა, სადაც გაირკვა, რომ ქართული ჯარი დაფანტულიყო და დედაქალაქი, ფაქტობრივად, სრულიად დაუცველი დარჩენილიყო. მთავარსარდლის პოსტიდან სასწრაფოდ გადააყენეს გენერალი ილია ოდიშელიძე და მის ნაცვლად კვინიტაძე დანიშნეს. მან დაუყოვნებლივ შეკრიბა ცოცხლად გადარჩენილი სასაზღვრო ერთეულები, რომელთაც სარეზერვო ნაწილები და იუნკერები დაუმატა. ასეთი გაერთიანებული ძალებით თბილისის დაცვის ორგანიზება გენერალმა იმდენად ეფექტურად განახორციელა, რომ 17-21 თებერვლის გააფთრებული ბრძოლების მიუხედავად, რიცხობრივად სამჯერ მეტმა მტერმა ვერაფრით შესძლო ქართველთა თავდაცვითი ხაზის გარღვევა. 24 თებერვალს რუსებმა დამატებითი ძალები გამოაგზავნეს თბილისის ასაღებად. დედაქალაქს ალყა ემუქრებოდა. მთავარსარდალმა უკან დახევისა და ქალაქის სამხედრო ძალებისაგან დაცლის გადაწყვეტილება მიიღო. ღამით ქართულმა ჯარმა და სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ თბილისი დატოვა ბათუმის მიმართულებით. ქართველი გენერლის მანევრი მე-11 არმიის სარდალმა, ანატოლი გეკერმა მოგვიანებით ასე შეაფასა: „უკან დახევისთვის რომ ორდენს იძლეოდნენ, იგი უეჭველად კვინიტაძეს ეკუთვნის. ამ უკანდახევით მან სასწაული მოახდინა.

25 თებერვლის გარიჟრაჟზე საქართველოს დედაქალაქში წითელი არმიის მოწინავე ძალები შევიდა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, მარტის შუა რიცხვებში გენერალმა სამშობლო სამუდამოდ დატოვა. დარჩენილი ცხოვრება მან საფრანგეთში გაატარა...

1985 წელს გამომცემლობა YMCA-Press-მა პარიზში წიგნად დასტამბა გიორგი კვინიტაძის მემუარები რუსულ ენა-

ზე «Мои воспоминания в годы независимости, 1917-1921», რომელიც 1998 წელს თბილისშიც დაისტამბა. გიორგი კვინიტაძეს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „არ არსებობს ტყვია, რომელიც მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდებოდა“ (72, 415-417).

„...არც ერთ მთავრობაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს დაპყრობას და მოსპობას შთაბეჭდილება არ მოუხდენია. აშკარა იყო ჩვენთვის, რომ ევროპის საზოგადოება დაღალულია, სხვისი სატკივარი მას არ სტკივა, არც კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს – იყოს თავისთვის წყნარად და უდარდელათ. ამ დღიდან ჩემი მუშაობის ხაზი გამოვსცვალე; დეე, სხვებმაც განაგრძნონ ამ წრეებში, ევროპის საზოგადოებაში, საპრაპაგანდო მუშაობა. ჩემთვის კი მთავარი იყო ქართველი ხალხის მებრძოლი სულისკვეთების შენახვა, მისთვის ხელისშეწყობა, იქაური არა-ლეგალურ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათი საშუალებით მუდმივი კონტაქტი ერთან. ეს იყო მთავარი, თუ ერი არ გატყდება, საერთაშორისო მდგომარეობა ოდესმე მის სასარგებლოდ შეიძლება შემობრუნდეს და ამით ისარგებლოს. მეორე მხრით, დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი პოლიტიკურ ემიგრაციის მთლიანობის შენახვას. მებრძოლი აპარატის შექმნას და მათ წინამძღვრობას. აი ეს ორი ამოცანა დავისახე მიზნათ ჩემი მუშაობისა“ (73,127-129).

მთავრობამ, მთელმა ემიგრაციამ, რომელიც თან გამოყვა მთავრობას, რიცხვით დაახლოებით 750 სული, მოიყარა თავი კონსტანტინოპოლში. ჩვენი მთავრობის ელჩად იქ იყო ბ-ნი კ. გვარჯალაძე, კონსულად კი ბ-ნი გოგოლაშვილი. იმჟამად კონსტანტინოპოლი და მისი მიდამოები იყვნენ ალიანტთა ოკუპაციის ქვეშ. არჩეულ იქნა კომიტეტი ბ-ნი ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით. მთავრობა შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარებოდა, მაგრამ ყველანი იმყოფებოდნენ მატერიალურად დიდ გაჭირვებაში. დიდი დახმარება გაუწია ბინების მხრივ განსაკუთრებით იქ არსებულმა ქართულმა კათოლიკურმა მონასტერმა.

არზაყანს ცოლ-შვილი ქუთაისში სიმამრთან გაუხიზნავს და თვითონ გემს გაჰყოლია ბათუმში, მერე კი სტამბოლში. რა იცოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი მგზავრობა იყო, რომ

ვეღარასოდეს ნახავდა ვერც სამშობლოს, ვერც ოჯახს და ვერც თავის სანუკვარ აფხაზეთს.

მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ სამუდამოდ მიდიოდა! ოჯახის გამო კი, არ ეშინოდათ. ჟორდანიას და მის თანამოაზრეებს ეგონათ, როგორც თვითონ ექცეოდნენ ბოლშევიკებს – გაზეთებს აბეჭდვინებდნენ და ლამის პრეზიდენტის სასახლის წინ ამართვინებდნენ მიტინგებს, ბოლშევიკებიც ამითვე უპასუხებდნენ. ყოველ შემთხვევაში, 1937 წლის რეპრესიებსა და „დამნაშავეთა" ჯავრის მათ ცოლ-შვილზე ამოყრას ვერავინ წარმოიდგენდა. ბოლშევიკებს „მეორე ფრონტი" აფხაზეთის მხრიდან ჰქონდათ გახსნილი და ემუხვარის სოხუმში გაჩერება მისი და მისი ოჯახის უცილობელ დაღუპვას ნიშნავდა.

1921 წლის მარტში იტალიურმა გემმა „კირილმა", ფრანგულმა „ვესტამ" და „მარიამ" სტამბოლში ბოლშევიკურ რეჟიმს გარიდებულ ლტოლვილთა პირველი ნაკადი ჩაიყვანეს: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, ნოე ხომერიკი, ირაკლი წერეთელი, არზაყან ემუხვარი, გრიგოლ დიასამიძე, გიორგი გვაზავა....

1921 მარტიდან საფრანგეთში გახიზნული ეროვნული მთავრობა 32 წლის განმავლობაში ამცნობდა საერთაშორისო პრესას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კონგრესებს, პარლამენტებსა და მთავრობებს, ერთა ლიგას რუსეთის მიერ საქართველოში ჩადენილ დანაშაულთა შესახებ.

არზაყან ემუხვარი ცოტა ხანს სტამბოლში ცხოვრობდა (1921-1922), ხოლო შემდეგ პრაღაში გადავიდა, იქ დამკვიდრდა და იმ დღიდანვე დაიწყო საქართველოში წერილების, ღია ბარათების, ამანათებისა და, რაც მთავარია, ვიზების გაგზავნა.

მას აღარ ეწერა ვაჟიშვილების, საყვარელი სამშობლოს ხილვა!



ნოე ჟორდანია



გიორგი კვინიტაძე

# §4. „დაჰყავი და იბატონეს“ პოლიტიკა

უცხოეთში არზაყან ემუხვარი დაუღალავად შრომობდა, წერდა სტატიებს საქართველოს შესახებ, ბრძნულად უძღვებოდა სათვისტომოს მოღვაწეობას, დაუღალავად ფიქრობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებაზე, ამასთან, მას მუდმივი კავშირი ჰქონდა საკუთარი ოჯახის წევრებთან, უშუალოდ ხელმძღვანელობდა შვილების აღზრდას, მათ სწავლა-განათლებას. იგი აგზავნიდა ღია საფოსტო ბარათებს, რითაც სამუშაოს უმსუბუქებდა ორგანოებს, რომლებიც ფხიზლად ადევნებდნენ თვალ-ყურს მიმოწერას. იძლეოდა ბრძნულ დარიგებებს, თვეობით ელოდა ცნობებს ახლობლების შესახებ.

სტამბოლში არზაყან ემუხვარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. მხოლოდ ორი დოკუმენტის პოვნა მოვახერხე მისი ხელწერით: სტამბოლში მყოფ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრთა მიერ მიღებული რეზოლუცია და მოწოდება ქვეყნის მუშათა კლასისა და განათლებული კაცობრიობისადმი დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

„1921 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში სტამბოლში საქართველოდან მოვიდა ცნობა, რომ იქ დიდი შიმშილობა მძვინვარებდა და თხოულობდნენ ევროპის საზოგადოებრივი აზრისათვის მიმართვას და დახმარების აღმოჩენას. ამ ცნობის მიღებისთანავე სტამბოლში მყოფ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის და დამფუძნებელი კრების 15 წევრმა მოწოდებით მიმართეს ევროპის სოციალისტურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, აღწერდნენ საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მტრის მიერ დაპყრობილი ქართველი ხალხის შიმშილობას და გასაჭირს და მოითხოვდნენ ამ უკანასკნელისათვის პურისა და მედიკამენტების მიწოდებას. დახმარება კი უნდა მოწყობილიყო დამპყრობელთა და მოძალადეთა გარეშე,

რათა ჩეკისტებს და წითელარმიელებს თვითონ არ ესარგებ-ლათ ხალხისათვის დანიშნული დახმარებით (74,18).

მოწოდების ტექსტი ასე გამოიყურებოდა:

*მ ო წ ო დ ე ბ ა*

ბოლშევიკურმა რეჟიმმა გუშინ სხვების მასაზრდოებელი ქვეყანა დაამშია და გაალატაკა. დღემდის ეს ფაქტი სავსებით არ ჩანდა გარეშე მაყურებლისთვის. ევროპის მუშათა კლასს კიდევ ეგონა, რომ ბოლშევიზმი რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებდა და ქვეყანა განახლებისა და პროგრესისაკენ მიყავდა. მარა რუსეთის ახლანდელმა საშინელმა მდგომარეობამ ყველას მარტივად და გასაგებად დაუყენა თვალწინ ბოლშევიზმის სიდუხჭირე და მისი სრული გაკოტრება.

დღეს ჩვენ მოშორებული ვართ ჩვენს ქვეყანას. ხალხის წარმომადგენლებს, დამფუძნებელი კრების წევრებს, საშუალება არ გვაქვს მივიდეთ სამშობლოში, ჩვენ ხალხთან.

საქართველო 6 თვეა დაპყრობილია. იქ ბატონობს რუსეთის საოკუპაციო ჯარები, რომელიც უმეტეს წილათ ჩვენი ღარიბი ხალხის ხარჯზე ცხოვრობს.

დამპყრობლები მოურიდებლად თარეშობენ საქართველოში. მათ შემოსვლისთანავე გარეკეს საყოველთაო და პირდაპირი ხმის მიცემით არჩეული დამფუძნებელი კრება, გააუქმეს ქალაქებისა და სოფლის თვითმმართველობანი, დაშალეს მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირები, რომელთა ადგილას შემოიღეს ინსტიტუტი ზევიდან დანიშნულ აგენტებისა, თუ რამ სიმდიდრე მოიპოვებოდა – დაწყებული რკინის-გზის და ტრამვაის ვაგონებით და ორთქმავლებით და გათავებული საოჯახო ნივთებით – ყველაფერი გაზიდეს რუსეთში. სოფლებში ჩაყენებულმა ჯარებმა შეუჭამეს გლეხებს საკუთარი სარჩო, მუშა საქონელი, სათესლე პური, და ეს მაშინ, როცა საქართველოს ყოველთვის გარედან შემოქონდა საზრდო, როცა ადრე გაზაფხულზე ომი იყო მუშა-ხელი ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ ხვნა-თესვის თითქმის მთელ სეზონში დიდი გვალვები დაიჭირა, თუ რამ დათესილი იყო, სანახევროდ ამოხმა, ხოლო ახლის დათესვა მეტად ძნელი გახდა. ამასთან წარსულ შემოდგომაზეც გამუდმე-

ბულ წვიმების გამო ძლიერ ცოტა დაითესა – ჩვეულებრივის 15-20%.

და აი, საქართველო მოსკოვის ჯარების მიერ დაპყრობილი და აოხრებული საქართველო, დამშეულია. უკვე დღესაც მოიპოვება მთელი პროვინციები, სადაც, მიუხედავათ ახალი მოსავლისა, საჭმელი პური არ არის და მცხოვრებელნი ზურგზე ტომრებაკიდებული ფეხით მიდიან სხვა ადგილებში – ეგებ სადმე ლუკმა პური ვიშოვნოთო. ამავე დროს ქალქების მცხოვრებლები, სადაც ერთი ნაწილი არაფერს არ ღებულობს, ხოლო მეორე ნაწილი მუშა-მოსამსახურეების სახით იღებს მარტო 8/8 გირ. საძაგელ პურს – ეს მცხოვრებლები, შიმშილისაგან ღონემიხდილები, სხვადასხვა გადამდები სენის მსხვერპლნი ხდებიან, ხოლერა, დიზინტერია და სხვა მოედო ქალაქებსა და სოფლებს და მუსრს ავლებს ხალხს.

ბოლშევიკები კი განაგრძობენ თავის ტირანულ მმართველობას უცხო ხიშტების წყალობით.

ყოველივე ამას ზედ ერთვის სოციალისტების სასტიკი დევნა. ციხეები სავსეა დატუსაღებული მუშებითა და ინტელიგენტებით, რომლებიც მოკლებულნი არიან სასმელ-საჭმელს, საექიმო დახმარებას და ადამიანური არსებობის სხვა აუცილებელ პირობებს.

თუ შექმნილი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა, საქართველოს 3 მილიონი მცხოვრები ამოწყდება შიმშილ-სიცივისა და ბოლშევიკურ ტერორისაგან.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ ყველა ქვეყნის მუშათა კლასს და მთელ განათლებულ კაცობრიობას:

ნუ მისცემთ ნებას საბჭოთა რუსეთს გაჟლიტოს თავისუფლებისა და მშვიდობიანობის მოყვარული პატარა ხალხი. შეაჩერეთ საშინელი ბოროტმოქმედება!

ნუ ბატონობს ჩვენზე ძალადობა, რუსის ხალხისა და რევოლუციის სახელით!

იხსენით საშინელი სირცხვილისაგან ერთიც და მეორეც!

და გვიხსენით ჩვენ მონობისა და შიმშილისაგან!

აი ქართველი ხალხის გოდება!

ხელს აწერენ დამფუძნებელი კრების წევრები: რ.არსენიძე, ***დ.ემუხვარი,*** ვ.ჯუღელი, დ. შარაშიძე, ნ.ხომერიკი, ივ.ჭავჭანიძე, ვ.წულაძე, რ. ყიფიანი, ი.სალაყაია, ნ.ელიავა, კ. გვარ-

ჯალაძე, მ.რუსია, ფ.ლორია, მ. დავარაშვილი, რ. აუშტროვი (75, 7-9).

პოლიტიკური კომისიის სხდომის ოქმებიდან

24 დეკემბრის სხდომა

დაესწრნენ: ნ. ხომერიკი, არსენიძე, სურგულაძე, გოგოლაშვილი, წულაძე, გვარჯალაძე, ჯაფარიძე, ჯუღელი და ***არ. ემუხვარი (76,7-9).***

კონსტანტინოპოლი 1921- 1922 წლები. პოლიტიკური კომისიის სხდომის ოქმები აქტიურად იბრძოდნენ ქართველი ემიგრანტები აფხაზეთში მუხაჯირების ჩამოსახლებით ერთაშორისი შუღლისა და მტრობის დანერგვისა და, რუსეთის იმპერიის მიერ ამ გზით „დაჰყავი და იბატონეს“ ვერაგული პრინციპის გატარების წინააღმდეგ. ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ამ ღონისძიებების აქტიური და გულმხურვალე მონაწილე იყო არზაყან ემუხვარიც:

## მუხაჯირების საკითხი აფხაზეთში

ნ. ხომერიკი. ამხ. აფხაზეთის წარმომადგენლებმა განცხადება შემოიტანეს აფხაზეთში მუხაჯირების ჩამოსახლებისა და იქაურ მკვიდრთა აყრის შესახებ. ამის შესახებ მათ თითონ სურთ გაგაცნოთ მდგომარეობა და მიგვითითონ ზოგიერთ ზომებზე, რომლებიც საჭირო იქნება მისაღებათ.

არზ. ემუხვარი. ჩვენ ცნობები გვაქვს რომ 700 მუხაჯირი უკვე მზათ არის ჩასასახლებლად. საჭიროა რაიმე დიპლომატიური ზომები, აგრეთვე საჭირო იქნება თვით მუხაჯირებთან მოლაპარაკება. რადგანაც მუხაჯირების იქ ჩასვლა ისე არევდარევს იქაურობას, რომ მომავალში ჩვენ გაგვიჭირდება მას თავი გავართვათ, რადგანაც განზრახულია რომ მუხაჯირებისათვის უნდა აჰყარონ ის მოსახლეობა, რომელთაც გაშენებული აქვთ მუხაჯირების ნაქონ მიწებზე თავიანთი სახლ-კარი.

მიღებულია: გაიგზავნოს ჯერ კაცი იზმირში მუხაჯირებთან მოსალაპარაკებლათ. შემდეგ გადაიდგას დიპლომატიური ნაბიჯი. საკითხის ადგილობრივი შესწავლა მიენდოს ***არ. ემუხვარს*** და პეტრე სურგულაძეს (77,25-26).

24 დეკემბერი.

***В Политическую комиссию***

Из находящихся в нашем распоряжении сведений видно, что в результате длительной организационной работы подготовлена к насильственному вселению на территорию Абхазии первая партия махаджиров в 700 домов, которые в ближайшие дни будут направлены к месту назначения. По плану организационной комиссии махаджиры будут направляться премущественно в Гумистинский уезд и затем в части Гагринского, Гудаутского и Кодорского уездов, главным образом на земельные участки ранние принадлежавшие махаджирам, но впоследствие и вполне законных основаниях, заняты мингрельцами, греками и др, которые в течение десятков лет развели на них наиболее производительные хозяйства. Руководители иммиграций не только поощряют всячески вполне понятное стремление махаджиров к готовым, благоустроенным очагам, но определенно обещаются обеспечить безболезненный переход в их руки всего добра, накопленного «пришельцами». Начатое таким образом переселение имеет несомненную тенденцию принять массовый и стихийный характер, ввиду наличия весьма благоприятных к тому факторов, искусственно созданных в Абхазии – нынешными господами, а в Турции – кемалевским режимом, за последнее время сильно притесняющих махаджиров. Не возражая, конечно, против естественного права махаджиров, вытесненных русским империализмом из родины, на обратное возвращение, мы тем не менее считаем, что это переселение допустимо лишь в формах и размерах абсолютно не противоречащих интересам местного населения Абхазии и лишь на счет излишки по удовлетворению внутренних земельных нужд. Но иммиграция в авантюристических формах, предложенных нынешними властями Абхазии – абхазскими шовинистами с точки зрения, как

насущных политических и экономических интересов Абхазии, так и будущих политических и культурных взаимоотношений между Грузией и Абхазией.

Приглашением махаджиров на «живые места» создается неисчерпаемый источник межнациональной розни, местные владельцы буквально зубами будут отстаивать свое добро защищая населенные места с той беспощадностью, жестокостью с какой будут добиваться занятия их махаджиры, прибывшие в Абхазию по ликвидации своего хозяйства в Турции (у кого имеется хозяйство). Сталкивая эти две стихии Советская власть, опираясь на шовинистические элементы Абхазии, стараются упрочить себя в Абхазии, следуя традиционной политике русского самодержавия в отношении инородцев: разделяй и властвуй.

Советская Россия в поисках средств к полному расчленению государственного организма Грузии вместе с абхазскими шовинистами задумали новое и величайшее преступление, которое оставит кровавые и неизгладимые следы в дальнейшей судьбе Абхазии. Ослабляя демократию Абхазии изгнанием и уничтожением наиболее производительных, экономически зрелых политических элементов, и заменяя последних легковесным, воспитанных в духе деспотической гражданственности махаджирским элементом, абхазские шовинисты на долгое время предопределяют Абхазии гибельный исторический путь – путь глубокой национальной розни. Будучи глубоко убежденными в том, что только в тесном сотрудничестве и связи с Грузией, залог нормального, культурного и политического развития Абхазии, мы считаем, что если задуманное преступление осуществится, то Абхазия потеряна для Грузии со всеми вытекающими отсюда печальными последствиями, как для Абхазии, так и для Грузии.

Вполне сознавая всю трудность для нашей организации, как в Грузии, так и заграницей, окончательно воспрепятствовать осуществлению задуманного большевиками плана мы все же считаем необходимым, чтобы со стороны наших государственных и партийных организаций были приложены все усилия, хотя бы к частичному предотвращению межнациональной розни в Абхазии. Мы считаем также весьма целесообразным сделать возбуждаемый нами вопрос предметом обсуждения совместно с политическими работниками Абхазии, дабы выработать конкретные меры борьбы и довести содержание настоящего доклада до сведения Правительства (печатается в сокращении).

Подписан доклад : ***Д. Эмухвари***
***М .Убирия***
***И. Джандиери***
Константинополь. 12 декабря, 1921год (78,29-32).

არზაყან ემუხვარი სტამბოლში 1923 წლის დასაწყისამდე დარჩა, შემდგომ პრაღაში გადავიდა. დიდ ხანს ხელმძღვანელობდა ქართულ კოლონიას პრაღაში (1927-1933 წწ.).

ჩეხოსლოვაკიაში გატარებული წლები იყო იმედის, მოლოდინებისა და, ამასთანავე, გულგატეხილობის წლები. პრაღიდან გამოგზავნილი მასალების გაცნობის შემდეგ უფრო ღრმად გავითავისე სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი ემიგრანტების სატკივარი. უცხო მხარეში ყოფნისას ამ ადამიანებს ბევრი სიძნელის გადალახვა უწევდათ: ეს იყო მატერიალური გაჭირვება, მარტოობა, უმუშევრობა, ყოფითი პრობლემებისა და სამართლებრივი საკითხების მოგვარება. დიდ პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე ენობრივი ბარიერი. გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატების ფრაქციაში ხშირად ჰქონდა ადგილი კონფლიქტებს, გაუგებრობებს, წყენას და უნდობლობას. ამაზე სოციალ-დემოკრატთა სხდომების ოქმებიც

მეტყველებს. მაგრამ მიუხედავად ფრაქციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობისა, მისი წევრები კომპრომისზე მიდიოდნენ, რადგან ყველას კარგად ესმოდა, რომ ინტრიგების შედეგად საერთო საქმე ზარალდებოდა. ფრაქციის ყველა წევრსა და ზოგადად ქართველ ემიგრანტთა წრეებს, მიუხედავად ხშირი უთანხმოებებისა, ერთი რამ აერთიანებდა: სამშობლოს სიყვარული, დამოუკიდებელი, თავისუფალი სამშობლოს ნახვის დაუძლეველი სურვილი. ყველა მათი აზრი მიმართული იყო ძვირფასი სამშობლოსაკენ!

„ბევრი ჩვენთაგანი ათასგვარ საერთო თუ პირად დაუძლეველ გაჭირვებას განვიცდით. ჩვენ მივიტანეთ ერის სამსხვერპლოზე ყველაფერი, რისი მიტანაც კი შეიძლებოდა, მრავალ ჩვენგანის ოჯახი გაპარტახებულია და უმწეოთ მიტოვებული ცოლშვილი ლუკმა პურის მონატრებული გამხდარა. ჩვენ ყოველგვარ პირადს მოკლებულთ, შეგვრჩენია ხელუხლებლად ჩვენი პოლიტიკური სინდისი...“ – ივ.ჯანჯღავა, შ. მაღლაკელიძე, რ. რამიშვილი... (79,18).

„ქართველი ემიგრანტები იყვნენ სხვადასხვა შეხედულებისანი, პოლიტიკურებიც და არაპოლიტიკურებიც, მაგრამ მიუხედავად მათი აზრთა სხვადასხვაობისა, ისინი ყოველთვის იმყოფებოდნენ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში... ქართველები ყველგან რჩებიან ქართველებად“ – რეჯიბ ჟორდანია.

„ჩეხოსლოვაკიაში ქართულ საქმეზე მუშაობდა და პროპაგანდას აწარმოებდა 1921-1926 წლამდე გრ. აიოლო. 1926 წლიდან კი დღემდე იქ ემ. ლომთათიძე მუშაობს. მას აქვს მკვიდრი და მუდმივი კავშირი ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანო – „პრავო ლუდუს“-თან და პარტიის გამოჩენილ ლიდერებთან. აწვდის მათ ჩვენი პარტიის საზღვარ-გარეთული ბიუროს მიერ გადაგზავნილ სხვადასხვა მემორანდუმებს და დეკლარაციებს ან ცნობებს და ინფორმაციას საქართველოდან მიღებულს. ყველა ჩვენ ცნობებს „პრავო ლიდუ“ ყოველთვის ბლომად ათავსებს თავის ფურცლებზე და ამ გზით ის ჩვენ საქმეს დიდ პროპაგანდას უწევს. როგორც აიოლო წინეთ, ისე მის შემდეგ ლომთათიძე ხშირად ესწრებოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტების მორიგ ყრილობებს და აცნობდა მათ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას“ – კ. გვარჯალაძე (80, 41).

ჩემს მიერ პრაღიდან მიღებული მასალებიდან აშკარაა, რომ ჩეხოსლოვაკიაში ქართულ კოლონიას 1927-1933 წლებში დიმიტრი ემუხვარი ედგა სათავეში, მისი მოადგილე კი ე.ლომთათიძე იყო. ემუხვარის წასვლის შემდეგ კოლონიას ე.ლომთათიძე ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს ქართულ კოლონიას ჩეხოსლოვაკიაში მეთაურობდნენ: ი.ქარციძე, გ.აიოლო, ს.მაღნარაძე.

„ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებას" ჰქონდა წესდება, რითაც ხელმძღვანელობდნენ.

„ჩეხოსლოვაკიის ქართველ ემიგრანტთა" წესდებაში მკვეთრადაა ფორმულირებული საზოგადოების ამოცანები და მიზნები:

1. ასოციაციის მიზანია ქართველ ემიგრანტთა კულტურული და მატერიალური დახმარება, რომლებიც პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო იძულებულნი გახდნენ თავიანთი სამშობლო დაეტოვებინათ.
2. მისცეს მათ ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში განათლების მიღების საშუალება.
3. კონცერტების, თეატრალური წარმოდგენების, სხვადასხვა ზეიმის გამართვა, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველო დარბაზების გახსნა
4. იურიდიული და სამედიცინო დახმარების გაწევა.

საზოგადოების სახსრები – ეს იყო საწევრო ანაკრებები, სხვადასხვა ღონისძიებისა და ლექციების ჩატარებით მოპოვებული თანხები, საქართველოს მხარდასაჭერად სხვადასხვა ორგანიზაციიდან მიღებული თანხები, აგრეთვე – შემოწირულობები. სახსრები არ უნდა განაწილდეს საზოგადოების წევრებს შორის, მათი დათხოვნის შემთხვევაშიც კი.

კომიტეტი 3 წევრისგან შედგებოდა, რომლებსაც ყოველწლიურად ირჩევდა საზოგადოება. კომიტეტის წევრებს შორის ფუნქციები გადანაწილებული იყო.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ჩეხეთში:

1 ნინა აიოლო
2. იური აიოლო

3. მიხეილ დოლიძე
4 დიმიტრი ემუხვარი
5. დავით ღოღობერიძე
6. ვლასე ინწკირველი
7. კალისტრატე კახიანი
8. ემელიანე ლომთათიძე
9. ფილიპე ლორია
10. სილვესტერ მაღნარაძე
11. ნიკიტა მგალობლიშვილი
12. ლიდია უბირია
13. მიხეილ უბირია
14. ვიქტორ ქლენტი
15. გიორგი თაყაიშვილი
16. გიორგი კიკიანი
17. სიმონ გოცაძე (81).

საზღვარგარეთ რუსული მეცნიერებისა და განათლების სისტემის შექმნაში ჩეხოსლოვაკიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს იმით აიხსნება, რომ რუსულ ემიგრაციას ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო, პრეზიდენტ ტ.მასარიკის მეთაურობით დიდ მხარდაჭერასა და თანადგომას უწევდა. სწორედ ის გამოვიდა „რუსული აქციის" სახელწოდებით ცნობილი კამპანიის ინიციატივით. ძალიან მოკლე დროში ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა სასწავლო და სამასწავლებლო ადგილების დიდი რაოდენობა (სტიპენდიებითურთ).

პრაღაში ყველაზე დიდი ემიგრანტული არქივი რუსული საზღვარგარეთული არქივი იყო. იგი 1923 წელს დაფუძნდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1946 წელს, არქივის დოკუმენტების ნაწილი მოსკოვში გადაიტანეს, გაზეთები, ჟურნალები და წიგნები კი სლავურ ბიბლიოთეკას გადაეცა. ამით აიხსნება პრაღიდან გამოგზავნილი მასალების სიმწირე. ერთადერთი დოკუმენტი, რისი მიღებაც შევძელი მოსკოვიდან, ესაა კარლოვის უნივერსიტეტის რუსული იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი სტუდენტის დიმიტრი ემუხვარის ანკეტა. სხვა რაიმეგვარი ინფორმაციის მიღება მოსკოვიდან ვერ შევძელი.

რუსეთის სახელმწიფო არქივიდან მიღებული მასალებიდან ირკვევა, რომ არზაყან ემუხვარი ყოფილა კარლოვის

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. რუსული იურიდიული ფაკულტეტი პრაღაში 1922 წელს გაიხსნა იურისტების მოსამზადებლად. 1922-დან 1928 წლამდე კურსის დასრულების დიპლომი 384 ადამიანმა მიიღო.

ხელთ გვაქვს შემდეგი მასალები:

Прошение на имя декана Русского Юридического факультета при Карловом Университете в городе Праге

Прошу Вашего разрешения о зачислении меня в число студентов правового факультета .

Прилагается: Свидетельство, выданное бывшим попечителем Кавказского учебного округа, в котором указано, что Дмитриий – Арзакан Эмухвари в 1908 году был назначен преподавателем младших классов Сухумского реального училища, что подтверждает об окончании им среднего учебного заведения (82, 1-2-3).

Зачислен на Юридический Факультет – на весенний семестр, вольнослушателем – 12 -2 – 1923 года.

Состоит на иждивении Комитета помощи граждан республики Грузии от 1 февраля 1923 года.

„ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება“ ჩეხოსლოვაკიაში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ატარებდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, ესწრებოდნენ კონფერენციებსა და შეკრებებს. ყოველწლიურად აღნიშნავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს. ამ ღონისძიებებს ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები. ატარებდნენ დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნის საღამოებს. თავიანთ სხდომებზე ისინი ბევრ საჭირბოროტო საკითხს აგვარებდნენ, რათა შეემსუბუქებინათ ქართველ ემიგრანტთა ცხოვრება და დაესაქმებინათ ისინი. სტუდენტებს უნიშნავდნენ სტიპენდიებს, ეხმარებოდნენ ხანდაზმულებსა და ავადმყოფებს.

„1924 წლის აგვისტოს ბოლო და სექტემბრის პირველ რიცხვებში საქართველოში მასიურ ხალხურ აჯანყებას ქონდა ადგილი. 31 აგვისტოს კი მოსკოვის ტელეგრაფის სააგენ-

ტომ უკვე ამცნო ევროპის პრესას, რომ საქართველოში აჯანყება მოახდინა, კონტრ-რევოლუციური მიზნით, მცირერიცხოვანმა ბანდამ, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ ძველი ოფიცრების, თავადების და მსხვილი ვაჭრებისაგანო. ყველა მეთაური დაიჭირეს და ეს აჯანყება თვით მოსახლეობის მიერ საჩქაროდ იქნა ჩაქრობილიო.

მართლაც, აჯანყების დღეებში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები დიდად დაზიანდა და ჩვენი მებრძოლი ამხანაგების დიდი ნაწილი ან დახვრეტილ, ან დაჭერილ იქნა, მაგრამ მიუხედავად ბოლშევიკების მხეცურ რეპრესიების და ტერორისა, ერთ დაშლილ და დანგრეულ ორგანიზაციის მაგიერ სხვა ჩნდებოდა, აღდგენდა და აბამდა კავშირს საზღვარგარეთელ ამხანაგებთან და აწვდიდა მათ ცნობებს საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ.

ევროპაში ბოლშევიკების მიერ გავრცელებულ ყალბ და გამოგონილ ინფორმაციას ჩვენ ჩვენი ნამდვილი ცნობები დავუპირდაპირეთ“ (83,41).

ამ მოვლენასთან დაკავშირებით მოვიძიეთ არზაყან ემუხვარის წერილი გრიგოლ ურატაძისადმი:

**ამხ. გრიშა! (გრიგოლ ურატაძეს)**

აქაურ ქართველთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა ჩვენ სამშობლოში დატრიალებული უბედურების და უდროოდ დაღუპული ამხანაგების ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდის სასწრაფო მოწყობა. ამ საკითხის ირგვლივ ჩვენი აზრი გაგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული შევიქენით მომწყობ კომისიაში მონაწილეობა მიგვეღო და მათი ცდა პირველ ნოემბრამდეს მოეწყოთ, პანაშვიდი გადავდევით არა უადრეს 15 ნოემბრისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პანაშვიდს ყოველთვის მოვესწრებით, მითუმეტეს, რომ ჩვენი სამშობლო ყოველდღე ახალ-ახალ მსხვერპლს იღებს. სხვაგან, სადაც ჩვენზე უკეთესი ცნობები აქვთ, ეს საკითხი პანაშვიდის ასე სასწრაფოდ არ დაუყენებიათ ჯერ და გვაფიქრებს, რამ-

დენათ თანადროული და მიზანშეწონილი იქნება ეს ნაბიჯი. მარა ამ ჯგუფზედ განა იმოქმედებს ასეთი მოსაზრებები?! ჩემო გრიშა! ეს საკითხი დასვი ამხანაგებთან და გამოარკვიე, რამდენად თანდართული და მიზანშეწონილი იქნება ახლა პანაშვიდების მოწყობა, როცა ჯალათები ჯერ კიდევ არ გამძღარან სამშობლოსათვის მებრძოლი გმირების სისხლით. თუ სხვადასხვა მოსაზრებებით პანაშვიდი ნაადრევათ მიგვაჩნია და პარიზში ჯერ არ აპირებენ პანაშვიდის გადახდას, მაშინ მოაწერინე ამ ჯგუფისათვის საჭირო პასუხი. ნუ უჩქარიან, საქმეს მოუცადონ, სანამ პარიზში არ მოაწყობენ ასეთ პანაშვიდს, ხოლო მომწყობი კომისია თუ შედგა პარიზში და სამზადისი დაიწყო, მაშინ, გთხოვთ, პარიზს დროზე შეგვატყობინოს გეგმა, რომ ჩვენც ამ გეგმით ვიმუშაოთ, თუ ბიულეტენების სახით რამეს სცემენ, ჩვენთვისაც რამდენიმე ასეული ცალი გამოგზავნეთ. ბ.ჩხიკვიშვილის სურათი თუ იშოვება, მოგვაწოდე. დაჩქარებით პასუხს ველი თვითონ და ველი მეორე ჯგუფისთვისაც შენგან ვრცელ წერილს.“

დ.ემუხვარი (84,12).

ა.ემუხვარის წერილს რატომღაც კ.კანდელაკმა უპასუხა:

**ძვ. დიმიტრი!**

მე გადმომცეს წერილი თქვენს მიერ გრ. ურატაძესთან გამოგზავნილი სამშობლოში დაღუპულ მოღვაწეთა ხსოვნის აღსანიშნავად პანაშვიდის გადახდის შესახებ.

ასეთივე საკითხი დააყენა ბერლინის კოლონიამ. ერთიმეორეს შეუთანხმდნენ ამ საგნის გამო და ყველა ქვეყანამ იქნება ერთ დროს მოაწყონ. ამას გატყობინებ აღნიშნული წერილის გამო.

კ. კანდელაკი (85,13).

ხელთ გვაქვს კომიტეტის 1925 წლის 15 მაისის სხდომის ოქმი, რაც გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ქართველ ემიგრანტთა სულისკვეთებაზე, მათ პრობლემებსა და საზრუნავზე:

ლორიამ გააკრიტიკა აღმასრულებელი კომიტეტი. მას მიაჩნია, რომ საჭიროა უკეთ შევასრულოთ დასახული ამოცა-

ნები, კერძოდ, უნდა გაიზარდოს სუბსიდიები (სტიპენდიებისთვის) და თხოვნით უნდა მივმართოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცოტათი მაინც დაეხმაროს მათ, რათა მხარი დავუჭიროთ ჩვენს ბედკრულ თანამემამულეებს, გატანჯულებს ბოლშევიკური უღლის ქვეშ, ძალადობის, სიღატაკისა და შიმშილისაგან.

გაბუნია დარწმუნებულია ამ მოთხოვნათა შესრულების შეუძლებლობაში – დაეხმაროს თანამემამულეებს სამშობლოში. ჩვენი საზოგადოება ჩეხოსლოვაკიის მფარველობის ქვეშაა და მას არ შეუძლია სხვა მოთხოვნათა მიღება.

გაბუნია გვთავაზობს მივმართოთ გენერალურ ასამბლეას, რათა თუნდაც წელიწადში ორჯერ, მოკლე დროის განმავლობაში გამოუყონ აუცილებელი სახსრები იმათ, ვისაც უნარი არა აქვს, თავად გამოიმუშაოს.

ამავე სხდომას გაბუნიამ ანგარიში ჩააბარა ჩეხური კრონების განაწილებაზე საზოგადოების წევრებს შორის.

*1926 წლის 21 ივნისს ჩატარდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის ხსოვნის საღამო*

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე. პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი. ქართული და რუსული მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი.

1892 წლის დეკემბერში მონაწილეობდა მესამე დასის დამფუძნებელთა კრებაში. სწავლობდა საზღვარგარეთ, 1899-1900 ბათუმში ხელმძღვანელობდა მუშათა წრეებს. იყო მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თბილისიდან, მეოთხე სათათბიროში მენშევიკური ფრაქციის შვიდეულის ლიდერი.

თებერვლის რევოლუციისას იყო სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრი. 1917 წელს თებერვალ-აგვისტოში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინ საქართველოში დაბრუნდა. იყო ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. მონაწი-

ლეობდა მოლაპარაკებაში ანტანტის საბჭოსთან. იყო ერთ-ერთი ავტორი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციისა.

1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში. 1926 წელს სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ: ფ.სოუკუპი, დ.ემუხვარი, ი.ქარცივაძე.

დ.ემუხვარმა დაწვრილებით აღწერა კარლო ჩხეიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. აღნიშნა, რომ მან მთელი თავისი ცხოვრება დემოკრატიის განვითარებასა და პროგრესს შესწირა, იყო თავისი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი, პატიოსანი, კეთილშობილი და უკომპრომისო.

ფ.სოუკუპმა დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო კარლო ჩხეიძის მგზნებარე პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მასთან ერთად მუშაობისა და თანამშრომლობის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კ.ჩხეიძე ისტორიული პიროვნება იყო და მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მან 63 წლის ასაკში დაასრულა ცხოვრება ასე ტრაგიკულად.

მის სიკვდილისწინა ჩანაწერში ვკითხულობთ: „თვალი მიადევნეთ მოძრაობას და უხელმძღვანელეთ...“ ხალხთან უშუალო ურთიერთობას მოკლებულმა, მან წინააღმდეგობის უნარი დაკარგა. ***„მძლე მუხაც კი, ქარიშხლისაგან წაქცეული, მკვებავ ნიადაგს მოწყვეტილი, იღუპება. ასე დაიღუპა ჩხეიძე“ – უთქვამს ი.წერეთელს.***

საქმიანი და კონკრეტული საზრუნავებით აღსავსეა 1927 წლის 1 იანვრის სხდომის ჩანაწერიც.

გამოვიდა გ. აიოლო, რომელმაც სხდომას ამცნო, რომ ჩეხოსლოვაკიის საზღვარგარეთის საქმეთა სამინისტრომ „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებას“ აჩუქა სუბსიდია 3050 კრონის ოდენობით. ბოლო პერიოდში 5 ადამიანმა მიიღო პასპორტები, ვიზები და მატერიალური დახმარება საფრანგეთში ორკვირიანი გამგზავრებისთვის. გამგზავრების მიზანი – ემიგრანტთა დასაქმების საკითხის გადაჭრაა. მოხუცთა და ავადმყოფთათვის დახმარების გაზრდა. ორგანიზაციის სახელით მათ რეკომენდაციები მიეცათ.

სუბსიდია 3050 კრონის ოდენობით ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასცა ქართველთა მხარდასაჭერად, საზოგადოების წევრთა და არაწევრთათვის, პროფესიისგან დამოუკიდებლად. აიოლომ აღნიშნა, რომ ახლა სამინისტროს წვლილი 50 პროცენტით შემცირდება, რაც საზოგადოების მოღვაწეობაზე აისახება. ახალ კომიტეტს საკმაოდ რთულ პირობებში მოუწევს მუშაობა, მაგრამ წარმატებისათვის და დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის კეთილი ნებაც კმარა.

ამ სხდომამ აირჩია „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების“ ახალი კომიტეტი დ.ემუხვარის, ვ.ინწკირველის, ე.ლომთათიძის (დ.ემუხვარი – თავმჯდომარე, ე.ლომთათიძე – თავმჯდომარის მოადგილე) შემადგენლობით.

მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს ქართველი ემიგრანტები ყოველწლიურად აღნიშნავდნენ, მაგრამ ამ ღირსშესანიშნავი თარიღის 10 წლისთავი მაინც განსაკუთრებული იყო 1928 წლის 26 ვარდობისთვეს:

სიტყვით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე დიმიტრი ემუხვარი. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას იმისათვის, რომ მათთან ერთად აღნიშნავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 10 წლისთავს.

სენატორი სოუკუპი: ჩეხოსლოვაკიის მოქალაქენი ბედნიერები არიან, ვინაიდან გააჩნიათ გარკვეული ავტონომია მაშინ, როცა ქართველებს მოუწევთ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. სპიკერს მიაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დროის საკითხია და იმედოვნებს, რომ იგი დროთა განმავლობაში გადაწყდება. ქართველთა მოწადინებით საქართველო თავის მიზანს მიაღწევს.

აიოლომ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო ბოლშევიკების საქართველოში შეჭრაზე 1921 წელს, ყურადღება გაამახვილა 1924 წლის მოვლენებზე, როცა იყო მცდელობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა, მაგრამ აჯანყება ბოლშევიკებმა ჩაახშეს.

უკრაინული ემიგრაციის სახელით გამოვიდა პროფესორი ხრამჩენკო, რუს ემიგრანტთა სახელით – პაპას ფედენკო. ახმად მაგომაჯაევი კავკასიელ მთიელ ხალხთა სტუდენტობის სახელით გამოვიდა, დონის კაზაკებიდან, ივანე ბილუ, სასომხეთიდან კი – ნიკოლოზ ნიკოგოსიანი, ხოლო ბელორუსიიდან – თომას გრიბი და სხვ.

***განსაკუთრებული იყო აგრეთვე ტრაგიკულად დაღუპული ნოე რამიშვილის ხსოვნის საღამოც 1931 წლის 3 იანვარს***

ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი (1881-1930, პარიზი), ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, მენშევიკური ფრთის წარმომადგენელი.

„ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების» თავმჯდომარემ დიმიტრი ემუხვარმა მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ გამოხატა ქართველ ემიგრანტთა და მთელი ქართველი ხალხის გულისტკივილი 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში მოკლული ნოე რამიშვილის გამო, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი იყო. წესად და ბოლო წლების სამწუხარო მოვლენად გვექცა – ბრძანა მან – რომ ქართული ემიგრაცია თავის უცხოელ მეგობრებს იწვევს მათთვის პატივისცემის გამოსახატავად, ვინც თავისი ხალხის თავისუფლებისთვის დაიღუპა.

სოუკუპმა გაიხსენა ნოე რამიშვილთან მეგობრობა, შეაფასა იგი, როგორც უშიშარი და ურყევი დამცველი ჩაგრულთა უფლებებისა.

მან საკუთარი და ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატების სახელით გამოხატა გულწრფელი თანაგრძნობა ქართველი ხალხისადმი და იმედი გამოთქვა, რომ ნოე რამიშვილის ნეშტს უკვე თავისუფალ საქართველოში გადაასვენებდნენ.

**დეპეშა მასარიკს (ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს)**

1931 წ. 27 მაისი

ბატონო პრეზიდენტო! სენატორმა სოუკუპმა, ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ ჩეხოსლოვაკიაში და ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრადიციული დღესასწაული 26 მაისს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე. ჩვენი შეკრება გიგზავნით მოლოცვას, გისურვებთ

ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ მოღვაწეობას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. თქვენი მოღვაწეობა ამოუწურავი ღვაწლის კლასიკური ნიმუშია.

დ.ემუხვარი – ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების თავმჯდომარე.

მასარიკი დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური და სულიერი ლიდერი იყო (ჰქონდა ნახევრადოფიციალური მეტსახელი „მამილო“ – Tatíček), ახალი სახელმწიფოს შექმნისა და დამოუკიდებლობისათვის ეთიკური ბრძოლის განსახიერება; მისი დამახასიათებელი გამოთქმა იყო: „ყოველგვარი გონივრული და პატიოსანი პოლიტიკა არის ჰუმანიზმის პრინციპთა რეალიზება და განმტკიცება. პოლიტიკა და, სხვა ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, უნდა დავუქვემდებაროთ ეთიკურ პრინციპებს. პოლიტიკა, ისევე, როგორც ადამიანისა და საზოგადოების მთელი ცხოვრება, არ შემიძლია გავიგო სხვაგვარად, თუ არა – sub specie aeternitatis.“ მის სიცოცხლეშივე შეიქმნა მასარიკის – „პრეზიდენტ-განმათავისუფლებელის“ ოფიციალური კულტი. პრეზიდენტის ასეთი ჰუმანური კონცეფციისა და მრწამსის მიუხედავად, ქართველ ემიგრანტებს ხშირად არ ულხინდათ უცხოეთის ცის ქვეშ და არცთუ იშვიათად იდგნენ უსახსრობისა და უსასოობის დილემის წინაშე.

Обществу грузинских эмигрантов

Министерство иностранных дел сообщает Вам, что оно было вынужденно постепенно ликвидировать «Русскую акцию» по оказанию помощи от 31 августа 1931года. Ваше ежемесячное пособие приостановлено.

Зам. Министра иностранных дел.

12.8.1931года

1917 წლის შემდეგ ძველმა რუსულმა სამართალმა ძალა დაკარგა. ახალ სახელმწიფოს – რსფსრ (სსრკ) – ს ემიგრანტთა დიდი უმრავლესობა არ აღიარებდა. დაკარგეს რა რუსეთის იმპერიის მოქალაქეობა, ისინი არც საბჭოთა რუსეთის მოქალაქეები გახდნენ.

„ლტოლვილთა პრობლემის“ ლიკვიდაცია (სწორედ ასეთი ფორმულირება მიიღო მან) ერთა ლიგის მხრებს დააწვა. მისი გადაჭრის გზა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: დასახლება და დასაქმება, რეპატრიაცია და ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობის დარეგულირება.

ნანსენის პასპორტები არ ხსნიდა პრობლემას ყველა ლტოლვილისათვის ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილების დროს, სამუშაოს უფლების მიღებისას, არ იძლეოდა ინვალიდობის, ავადმყოფობის, უმუშევრობის გამო დახმარების უფლებას. ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ხსნიდნენ სამართლებრივ პრობლემებს. ლტოლვილთა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა დიდწილად იმ ქვეყანათა ხელისუფლების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, რომლებმაც ისინი შეიკედლეს, მაგრამ არა ყველა ქვეყანა დათანხმდა ნანსენის პასპორტების შემოღებას.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ჯერ დათანხმდა სერთიფიკატებს რუსი ლტოლვილებისთვის, მაგრამ უკვე 1923 წელს განაცხადა, რომ აღიარებდა სხვა სახელმწიფოთა მიერ გაცემულ ნაციის ლიგის დოკუმენტებს, მაგრამ ჩეხოსლოვაკიაში საკუთარ პასპორტებს გასცემდა, რადგანაც ეს ლტოლვილებს მეტ უფლებებს მიანიჭებდა. (მაგ. ქვეყანაში დაბრუნების უფლებას).

1930 წლის იანვარში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ცირკულარი „პრუკაზების“ ნანსენის პასპორტებით შეცვლის თაობაზე.

ასეთი სამართლებრივი საკითხების გადაჭრა ქართველ ემიგრანტებსაც ხშირად უხდებოდათ ჩეხოსლოვაკიაში. მათ არაერთხელ მიმართეს ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

В Министерство иностранных дел Чехословкии

Прошение

О выдаче Нансеновских паспортов с записью «грузинский эмигрант» вместо записи «русский эмигрант».

Обоснование

В 1921 году мы покинули страну вследствии оккупации Грузинской демократической республики русской советской армией. Грузинская республика была признана де- факто и де-юре многими государствами, в том числе Советской Россией (7 мая 1920 года). По международному праву мы являемся грузинскими политическими эмигрантами.

Министерство иностранных дел Чехословакии в свете принципов гуманности предоставила политическое убежище десяткам грузинским политическим эмигрантам в 1921-1923 гг. Им был предоставлен статус «грузинский эмигрант» до 1929 года.

Ссылкой на прецеденты, установленные комиссией, паспортами Лиги Наций, пользуются эмигранты за пределами России и Армении. Паспорта выдаются украинцам и представителям других народов с указанием их национальностей.

Мы по национальности грузины и мы не должны быть жертвами формального акта.

В связи с вышекуазанными обстоятельствами, наше пребывание в республике было изменено лицензией (от 1929 года) Министерством внутренних дел совместно с Министерством иностранных дел Чехословакии, в соответствии с конкректными правилами от 1 июня 1930 года она в силе, но по отношению к нам (со стороны полиции) ничего не изменилось. Мы надеемся, что наша просьба о выдаче Нансеновского паспорта будет удовлетворена. До принятия решения по этому вопросу просим сохранить статус кво.

Председатель общества грузинских эмигрантов
Д. Эмухвари.
26 августа, 1933г.

Председателю «Общества грузинских эмигрантов» Д.Эмухвари

Министерство Внутренних дел Чехословакии не против выдачи лицензий грузинам, чтобы в сертификате было внесено изменение вместо «русского происхождения» должна была быть запись «грузинского происхождения», как это было сделано для украинцев, так как они находились в составе Российской империи.

До выдачи лицензий должна быть произведена корректировка на французском языке, которая будет соответствовать международному наименованию – грузин.

Зам. Министра иностранных дел Чехословакии

18 сентября, 1933 год.

Статья в «Право лиду»

***1934-17.4.***

Было установлено, что председатель Сената Ф. Соукуп никогда не был Председателем и сотрудником «Общества грузинских эмигрантов». Он только лишь является Председателем объединения «Друзей грузин», в котором несколько чехословацких организаций. Присуствовал на нескольких открытых заседаниях в качестве гостя.

В 1926 году присуствовал на праздновании юбилея Николая Чхеидзе.

В 1929 году – являлся Председателем на празднике, посвященном независимости Грузии, он отметил, что

убежден, что Грузия вновь станет свободна, за что она боролась долгие годы.

В 1931 году – выступил на открытом заседании «Обества грузинских эмигрантов», посвященному Ноэ Рамишвили.

Председателем «Общества грузинских эмигрантов» на протяжении многих лет является бывший член Правительства Грузии Арзакан – Дмитрий Эмухвари. Членов общества 17, многие из них проживают за пределами Праги.

Франтишек Соукуп (1871-1940).

Чешский политический деятель, социал-демократ (с1896 г). В 1934-1938 гг. был представителем чешской социал-демократии во II Интернационале. В 1918 г. – Министр юстиции в республиканском правительстве Чехословакии.

В 1929-1939 гг. – Председатель сената.

## *ქალაქ პრაღის პოლიციის სამმართველოს ანკეტა*

8 апреля 1938 г

Арзакану Эмухвари выплачивается государственная помощь в размере 350 крон в месяц.

Был богатым владельцем недвижимости в Грузии и членом Учредительного собрания Грузии.

Проживает в гостинице – арендная плата 150 крон.

Ведет порядочный образ жизни. Имеет хорошую репутацию. Полиция Праги не имеет ничего предосудительного на него.

Приехал в Прагу в начале 1923 году из Константинополя.

В соответствии с местными записями был Председателем «Общества грузинских эмигрантов», с которого он уже ушел.

В данное время не занимается политической деятельностью.

Без гражданства (русский эмигрант).

Есть заявка на чешское гражданство, которого ему получить не удалось.

Налоговая в Праге не показывает его налоговой задолженности.

Знает грузинский и чешский.

(თარგმანი ჩეხურიდან. ნ.მ)

*ს.დ. ფრაქციის შემადგენლობა პრაღაში:*

*აიოლო გრიგოლი*
*აუშტროვი რუბენ*
*ასათიანი აკაკი*
*გაბუნია იოსებ*
*გოცაძე სიმონი*
*ემუხვარი არზაყან*
*ქლენტი ვიქტორ*
*თურქია სიმონ*
*ინწკირველი სლავა*
*ლომთათიძე ემელიან*
*ლორია ფილიპე*
*რამიშვილი ერეთეოზ*
*ხელაძე ალავერ*
*ქარცივაძე ივანე*
*ღოღობერიძე დავითი*
*ჩხიკვაძე დავითი*
*უბირია მიხეილი*
*ურატაძე გრიგოლი*

(86,7).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის ამხანაგის დიმიტრი ემუხვარის მიერ 1924 წლის 28 თებერვალს ქართველ მოქალაქეთა დამხმარე კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილის პირი (ასლი) პრაღის ქართული კომიტეტის ახალი თავმჯდომარის ბ.კობერიძისადმი პარტიის 22 წევრის მიერ უნდობლობის გამოცხადებისა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად გამოსავლის მოძიების შესახებ (სტილი დაცულია):

ქართველ მოქალაქეთა დამხმარე კომიტეტს

პრაგის ს.დ. ფრაქცია ფიქრობდა, რომ კოლონიის უმრავლესობა, რომელიც გვისაყვედურებდა,რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ კოლონიის მთლიანობის დახმარება, შესძლებდა თავის წრიდან ისეთი კომიტეტის შედგენას, რომელიც ამ მთავარ ნაკლს აიშორებდა. ასეთ პირობებში მას, ფრაქციას, უმჯობესად მიაჩნდა, ხელი არ შეეშალა ასეთი კომიტეტის შედგენისათვის და აერჩია გზა ლოიალური დამოკიდებულებისა და საქმიანი პოზიციისა მომავალი კომიტეტისადმი. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. არჩევნებმა გამოაშკარავა, რომ ახალი კომიტეტი ვერ იქნება აღჭურვილი კოლონიის ნდობით. შემდეგ, კომიტეტის კონსტრუქციამ კიდევ უფრო ნათელჰყო ეს გარემოება. კომიტეტის თავჯდომარედ არჩეულ იქნა პირი, რომელთანაც კოლონიის 22 წევრი ფაქტიურად ბოიკოტის ქვეშ იმყოფება. ეს პირი არის ბ. კობერიძე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გარემოება არა თუ ხელს შეუწყობს კოლონიის გამრთელებას, პირიქით, გააღრმავებს უთანხმოებას და გაართულებს დამოკიდებულებას ურთიერთშორის.

ბიუროს, ფრაქციის დავალებით, აქვს პატივი ყოველივე ეს აუწყოს კომიტეტს, დარწმუნებული, რომ უკანასკნელი შექმნის პირობებს, რათა ხსენებულ 22 მოქალაქეს საშუალება მიეცეთ სურვილის და საჭიროებისამებრ მიმართოს თავის კომიტეტს ნაციონალური და ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. გთხოვთ კეთილ ინებოთ და გვაცნობოთ თუ რა გზას ხედავს კომიტეტი შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალს.

პრ. ს. დ. ფრაქ. თავმჯ. ამხანაგი დიმ. ემუხვარი.

საგულისხმო მოსაზრებებს შეიცავს 1938 წლის 17 იანვრით დათარიღებული წერილი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ემუხვარისა (1890-1961) (ეროვნულ-დემოკრატი, ემიგრაციაში იყო ავტორ-თანამშრომელი: გაზ.„დამოუკიდებელი საქართველოსა“ და „მამულის“, ჟ.“კავკასიონისა“ და “სამშობლოს“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მივლინებული იყო ბერლინში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გარდაიცვალა აბონდანში მოხუცთა თავშესაფარში, დაკრძალულია ლევილში) აკაკი ჩხენკელისადმი: „აკაკი, ჩვენს შორის უნდა მოხდეს შეთანხმება ერთ კარდინალურ საკითხზე. უამისოდ ჩვენი თანამშრომლობა შეუძლებელია. ეს შეთანხმება ჩვენს შორის უნდა მოხდეს. შენ არა ხარ ვალდებული ამის საჯარო მანიფესტაცია მოახდინო. შენ შეგიძლია მხოლოდ ეცადო, რომ გაიგონ ჩემს მიერ აღებული პოზიცია.

ეს არის საკითხი აბხაზ ინტელიგენტების ვალდებულებებზე. ასეთ ინტელიგენტად მე შენ მიმაჩნიხარ. შენ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ აბხაზეთის მიწა-წყალმა გამოგზარდა შენ და აბხაზეთმა გაგიკეთა შენ შენი პოლიტიკური კარიერა (1912 წელს, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრად, აკაკი ჩხენკელი აფხაზეთიდან იქნა არჩეული) მაშასადამე, რა არის ვალდებულება აბხაზ ინტელიგენტების: მე ვშიშობ, რომ ეს შენ ცალმხრივად გესმის. საქმე მარტო იმაში არ არის, რომ მოგებულ იქმნას ქართული საქმე აბხაზეთში; არამედ იმაშიც, რომ მოგებულ იქმნას აბხაზური საქმე საქართველოში. მაშასადამე, ვალდებულება აბხაზ ინტელიგენტის არის, რომ ორ ფრონტზე ურტყას ჩაქუჩი. ჩემი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ 1918 წელს მე მხოლოდ პირველ ფრონტზე ვურტყამდი ჩაქუჩს, მეორე ფრონტზე კი მხოლოდ დიპლომატიურის გზით, პირადი მოლაპარაკებით ვმუშაობდი. ნამდვილად კი უნდა გამოვსულიყავი საჯაროთ. საჯაროთ უნდა დამერტყა ჩაქუჩი. სამწუხაროდ, მე ნაკლებათ ვიყავი მომზადებული პოლიტიკური ბრძოლისათვის საერთო ქართულ ფრონტზე. მე ჩემი მისია აბხაზეთში გავათავე 1918 წლის მიწურულში, როცა დამარცხებულ იქმნა მეორე შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. ამავე დროს, საქართველოში

მზადდებოდა არჩევნები დამფუძნებელ კრებისათვის. ამა დროს ჩემმა სუხუმელმა ქართველ მეგობრებმაც მითხრეს მე, რომ მე სამოქმედო ასპარეზი გადამეტანა საქართველოში. აი, აქ მე მოვითხოვდი იმას, რასაც დღეს აქ ევროპაში ეძახიან (პირველად ჩრდილო-ამერიკაში იქმნა ის თქმული) ტვინის ტრესტს და რასაც მე 1918 წელს ცოდნისა და გამოცდილების კონცენტრაციას ვუწოდებდი. ორჯერ მივიტანე მე ამ საკითხის გამო სპირიდონ კედიაზე, რომლისგანაც იყო საქმე დამოკიდებული, ვინაიდან ის იყო ლიდერი ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის. ერთხელ სიტყვიერად, მე მასთან რანდევუ მომიწყო ერთმა გვალიამ, რომელმანაც იცოდა ჩემი ბრძოლები აბხაზეთში, მეორე ჯერ წერილი მივწერე ქალაქ ქუთაისიდან. როცა მოხდა გაერთიანება კონსტრუქციულ ძალების თბილისის ქალაქის არჩევნების გამო, მე ვევედრებოდი წერილში, რომ მოეხდინა ისეთივე გაერთიანება დამფუძნებელ კრებისათვის და სიაში მეც ჩავეტანე, როგორც უპარტიო აზრის ინტელიგენტი: მე მინდოდა თანამშრომლობა გამოცდილ ქართველ ინტელიგენტებთან ოპოზიციურ სფეროში და თანაც აბხაზეთის ფრონტზე, არა როგორც აბხაზთა საბჭოს წევრი, არამედ როგორც დამფუძნებელ კრების წევრი.

არზაყანს ზოგიერთი უსაყვედურებს, გამოცდილება არ ქონდაო და ვერ მოუარა საქმესო, მაგრამ ეს საყვედური უსამართლოა: როცა ის იქნა სათავეში არჩეული, მან მაშინვე ტელეგრამა გამოგზავნა-მომცა იურისკონსულობა, მაშასადამე, ის სცდილობდა, რომ მისი უცოდინარობით საქმე არ გაფუჭებულიყო, მან ამ გზას მიმართა, სხვა გზა მას არ ქონდა. მე ვუპასუხე დეპეშით მოკლედ: «Сожалею, что не могу», ის ყოველ ამას მაგონებს ემიგრაციაში, ამ ჩემს პასუხის გამო, მაგრამ მე მართალი ვიყავი, საქმეს მე ქართულ ფრონტზე წაგებულად ვთვლიდი.

ყველაზე დიდი უბედურება სახელმწიფოსთვის არის ოპოზიციის უარსებობაო. ეს არის ერთი შეიძლება მთავარი მიზეზი საქართველოს დაღუპვის. აი ასეთი ოპოზიციისათვის გაერთიანებულ კონსტრუქტიულ ფრონტისათვის ვიბრძოდი მე, ქართველმა მოღვაწეებმა უნდა დამაკმაყოფილონ მე ამ საკითხში, თუ მათ სურთ, რომ მე დავიცვა აბხაზეთში საქართველოს ინტერესებიც. ამ საკითხს მე კატეგორიულად ვსვამ.

მიიღე ჩემგან მეგობრული სალამი. იმედი მაქვს რომ გაიგებ ჩემს პოზიციას“ (87).

«ემუხვარის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადამეტებული არაფერია, ამის დასტურად აქ ხსენებული წერილის ის ფრაგმენტები მინდა გავიხსენო, სადაც აფხაზი პუბლიცისტის პოლიტიკური თვალთახედვის განმსაზღვრელი პრინციპებია წარმოჩენილი.

ვ. ემუხვარის ხაზგასმით, მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი „აბხაზეთში საქართველოს ინტერესების დაცვა“ იყო, „ქართული საქმის მოგება აბხაზეთში.“ თუმცა ყოველივე ზემოთქმული არამც და არამც იმას არ ნიშნავდა, თითქოს ქართული ინტერესების ამგვარი ქომაგობით ვ. ემუხვარი საკუთარ ხალხს ღალატობდა. რასაკვირველია, არა. როგორც დამოწმებულ წერილშიც არაერთგზის არის აღნიშნული, თავისი ამგვარი მოღვაწეობით ვ. ემუხვარი მიზნად ისახავდა არა მარტო „ქართული საქმე ყოფილიყო მოგებული აბხაზეთში, არამედ აბხაზური საქმეც საქართველოში» (88).

ემიგრაციაში, როგორც არზაყანი, ასევე – ვლადიმერ ემუხვარები მუდმივად ზრუნავდნენ, რომ უყურადღებოდ არ დარჩენილიყო აფხაზეთის საკითხი. აღნიშნული წერილიდან იგრძნობა, რომ ვლადიმერი რაღაცით უკმაყოფილოა ამ საკითხთან მიმართებაში და შეახსენებს აკაკი ჩხენკელს, რომ ის აფხაზი ინტელიგენტია, რადგან კარიერა აფხაზეთში დაიწყო, აფხაზი ინტელიგენტის მოვალეობად კი მიიჩნევს, რომ მან წერილში დაზუსტებულ „ორ ფრონტზე ურტყას ჩაქუჩი...“ უთუოდ დასაფიქრებელია ეს მიდგომა.

ბოლშევიკები მიზანმიმართულად აკონტროლებდნენ მნიშვნელოვან ემიგრანტულ კოლონიათა, ისევე, როგორც მათ ხელმძღვანელთა მოღვაწეობას; განხორციელდა გამორჩენილ პირთა გადმობირებაც, ემიგრანტულ კოლონიათა პარალიზების მიზნით (89).



არზაყან ემუხვარი

„საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებდა რომ ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებინათ ქართული-პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერები და ასე შეესუსტებინათ მათი პოლიტიკური აქტივობა.

ბოლშევიკებს მიზნის მიღწევაში ხელს უწყობდა ქართველებისათვის დამახასიათებელი დაპირისპირებულობა. დეზინფორმაციის გავრცელებითა და ინტრიგებით საბჭოთა საგარეო დაზვერვამ პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერების ერთმანეთთან გადაკიდება შესძლო, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ საამისოდ“ (90,624).

საყურადღებოდ მიმაჩნია სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ პარიზში გაგზავნილი წერილები (სტილი დაცულია):

ს.ს.დ.მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელ ბიუროს

ასლები: ბერლინის და კონსტანტინოპოლის ს.დ. ორგანიზაციებს.

ამ უკანასკნელ დროს პრაგის ს.დ. ფრაქციის ცხოვრებაში ასეთი ამბები მოხდა, რომ ფრაქცია აუცილბელ საჭიროებათ ცნობს გაცნობოს თქვენ და თქვენი ყურადღება მიაქციოს მას.

წინასწარ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: რამდენიმე თვის წინეთ ფრაქციის დიდი უმრავლესობა გრძნობდა, რომ ზოგიერთი ფრაქციის წევრი არა სასურველ ნიადაგზე დგას და ცდილობს გამონახოს გამოსავალი, რათა ს.დ. ფრაქციის გავლენის გარეშე დადგეს. აგრეთვე ასეთებიც იყვნენ; თუმცა ფრაქციაში მოდიოდენ, თუ რამ ყოველი თავისი გამოსვლებით ფრაქციაში შექონდათ პირადი შეხლა შემოხლა და აურზაური, რითაც ხელს უწყობდენ მეტი ნერვიულობა ყოფილიყო ფრაქციაში და პირადი განწყობილება ამხანაგთა შორის გამწვავებულიყო. უნდა აღინიშნოს ისიც, არავითარი პრინციპიალური საკითხი არ იწვევდა ასეთ მოვლენებს.

პირველთა რიცხვში ითვლებოდა ნიკოლოზ ჭუმბურიძე და მეორე რიგში კი ი. ჯანჯღავა და ს. მდინარაძე.

ნ. ჭუმბურიძე პრაგაში ჩამოსვლისთანავე განზე გადგა და არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ფრაქციის მუშაობაში და კატეგორიულ ვარს ამბობდა რომელიმე ხელმძღვანელ ორგანოში შესვლაზე. არასდროს თავის აზრს აშკარათ არ ამბობდა ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე, მხოლოთ კერძო მოლაპარაკებას მართავდა ამა თუ იმ ფრაქციის წევრთან, რათა მათ შორის შეეტანა უნდობლობა ამა თუ იმ ფრაქციის წევრზე, რომლებიც შედიოდენ აღმასრულებელ ორგანოებში. ხოლო მეორენი კი (ჯანჯღავა-მაღნარაძე) ყოველთვის ფიცავდენ, რომ ისინი გამოდიან პარტიის და ფრაქციის ინტერესებიდან და არავითარი სხვა  მოსაზრებანი არ ამოქმედებთ. ამიტომ ისინი მოითხოვდენ, რათა ფრაქციას დაეთმო თავისი პოზიციები და დაეკმაყოფილებია მოთხოვნილებები იმ პირებისა, რომლებიც აშკარათ გამოდიოდენ ფრაქციის წინააღმდეგ და აგრეთვე აღიარებდენ წითელი დროშის მატარებელთადმი სიძულვილს და პროვოკაციას ეწევიან და ეწეოდენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ; თითქოს ჩვენი პარტია ქართველ სამხედრო პირებს ადამიანებათ არ სთვლიდა საქართველოში (კაჩუხაშვილის და გვილავას სიტყვები საზ. კრებებზე). დღემდის ს.დ ფრაქცია ახერხებდა, თუმცა ძლიერ უძნელდებოდა ფრაქციის წევრთა შორის პარტიულ დისციპლინის დაცვას და რადგან პრაგის ქართულ კოლონიაში უმრავლესობას შეადგენდა ჩვენი ფრაქცია, მას გაყავდა შესაფერი პოლიტიკა, რომლითაც იცავდა საქართველოს პრესტიჟს და კოლონიის ღირსებებს. ფრაქციის მოწინააღმდეგეთ, კაჩუხაშვილ-კობერიძეების მეთაურობით სწორეთ ეს აწუხებდათ და ცდილობდენ, რათა რამდენიმე ს.დ. ფრაქციის წევრები თავისკენ გადაეყვანათ და ამით თავისი პოზიცია გაემაგრებიათ.

ამიტომ ისინი გაფაციცებით ყურს უგდებდენ ფრაქციაში ატეხილ დავას და ფრაქციის უკმაყოფილო პირებს ეთანხმებოდენ ყოველივე საკითხზე და ეუბნებოდენ მათ: თუ ასე იქნება, ჩვენი კოლონიის სრული გაერთიანება იქნებაო. და თან უმატებდენ: ჩვენ პიროვნების წინააღმდეგი ვართ, თორემ პარტიას და ფრაქციას არას ვერჩითო. ზემო ხსენებული ს.დ. ფრაქციის წევრნი კაჩუხაშვილთან ასეთი თათბირის შემდეგ უფრო გააფთრებული მოდიოდნენ ფრაქციაში საბრძოლველათ და ცდილობდენ ფრაქციის უმრავლესობა თავისკენ გადაეყვანათ. კახუჩაშვილ-კობერიძეებმა კარგათ იცოდნენ,

რომ თუ ს.დ. ფრაქციის დისციპლინა არ დაირღვა, ისინი გახდებოდენ რასაკვირველია პარტიის ჩხიკვებიც ამასვე გრძნობდნენ. სწორეთ ამ მხრით იყო მიმართული მათი მუშაობა, რათა ფრაქციაში მომხდარიყო განხეთქილება და შემდეგ კი ადვილი იქნებოდა მთელი კოლონიის დაუძლურება და დაკნინება. ს.დ. ფრაქცია ამას გრძნობდა. გრძნობდა იმასაც, რომ ამ კომპანიაში ურევია სულ სხვა ხელი, რომლის მიზანია და ინტერესი მოითხოვოს, რათა საზოგადოთ ქართველ ლტოლვილთა შორის მოხდეს გახრწნა და ამღვრევა, რათა ადვილათ შესძლონ თევზების ჭერა. სამწუხარით ჩვენი პარტიის მტრებმა ჯერჯერობით გაიმარჯვეს. ვიმეორებთ: კოლონიის სათავეში ყოველთვის ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლები იყვნენ და ყოველი მათი მოქმედება იხილებოდა ფრაქციის მიერ და არ ყოფილა შემთხვევა წინააღმდეგ.

მაგრამ არ ვიცით რის მიზეზით და რამ აიძულა ის, რომ ნიკოლოზ ჭუმბურიძემ 1924 წლის დასაწყისში დაიწყო სიარული ფრაქციაში და იმ დღიდანვე მოხდა გადაჯგუფება ფრაქციაში. ჭუმბურიძის ფრაქციაში შემოსვლის წინ, დეკემბრის დამდეგს, 1923 წლისა, კოლონიის ცამეტი წევრის ხელმოწერით, კახუჩაშვილის მეთაურობით, მოითხოვდა საზოგადო კომიტეტისგან, რათა კომიტეტს მოეწვია კოლონიის საზ. კრება და დღიურ წესრიგში აღენიშნათ შემდეგი კითხვები: 1.ახალი წევრების მიღება, 2. ფულების განაწილება და 3. მიმდინარე საკითხები. ამა წლის იანვრის შვა რიცხვებში მოხდა ფრაქციის სხდომა, რომელზედაც დაისვა საკითხი, თუ როგორი დამოკიდებულება იქონიოს ფრაქციამ ასეთ საზოგადო კრების მოწვევასთან. უნდა აღინიშნოს რომ ამ დროს ფრაქციაში შემოვიდენ რამოდენიმე ახლათ ჩამოსული ამხ. სტუდენტები. ჩვენ ვიცოდით, რომ ჭუმბურიძე და სხვები აგიტაციას ეწეოდენ მათთან ფრაქციის უმრავლესობის საწინააღმდეგოთ, რომელმაც ისეთი ნაყოფი გამოიღო, რასაც ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში არასდროს ადგილი არ ქონებია. ზემო ხსენებულ ფრაქციის სხდომაზე, მაღნარაძის და ჯანჯღავას წინადადებით, ფრაქციის ნახევარმა ნაწილმა მიიღო, რომ საზოგადო კრების დღიურ წესრიგში შესულიყო კითხვა საზოგადო კომიტეტის გადარჩევისა. ეს კი წინასწარ უნდობლობას ნიშნავდა კომიტეტის მიმართ, რადგან ფრაქციას არ მოუსმენია მოხსენება კომიტეტის წევრებისგან მათი მოღვაწეობის შესახებ, რასაც მეორე ნაწილი მო-

ითხოვდა, რომ „ჯერ მოხსენება მოვისმინოთ კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ და შემდეგ შეუდგეთ მათ დაფასებას“. რასაკვირველია კომიტეტის წევრებმა 9 ფრაქციის წევრებმა (ერთიც უპარტიო იყო) კატეგორიულათ მოითხოვეს ამის შემდეგ მათი განთავისუფლება კომიტეტის წევრობიდან, რადგან ფრაქციის ნახევარი შემადგენლობა მათ უნდობლათ ეპყრობა. ამ რიგათ საზოგადო კრების დღიურ წესრიგს მიემატა კომიტეტის მოხსენება და კომიტეტის გადარჩევა. ამის შემდეგ მოხდა შეთანხმება ფრაქციის ორივე ნაწილების, რათა მოსმენილ ყოფილიყო ფრაქციაში კომიტეტის მოხსენება. რამოდენიმე დღის შემდეგ კომიტეტის წევრებმა გააკეთეს მოხსენება ფრაქციაში და ფრაქციის დიდმა უმრავლესობამ მადლობა გამოუცხადა კომიტეტს მოღვაწეობისათვის. ამავე ფრაქციის სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია სამი კაცისაგან, რომელსაც დაევალა გაეტარებია კოლონიის საზოგადო კრებაზე ფრაქციის რეზოლუცია და საზოგადოთ ეხელმძღვანელებიათ გამოსვლებისათვის. ამ კომისიაში ფრაქციამ აირჩია: 1. ნ.ჭუმბურიძე, 2. ბ.ქლენტი და მ.უბირია. სხვადასხვა მოსაზრების გამო, ფრაქციამ დაავალა კომიტეტს, რომ საზ.კრების დღიურ წესრიგში შეეტანა საკითხი საზოგადო კომიტეტის გადარჩევისა.

ა.წ. თებერვლის შუა რიცხვებში მოხდა კოლონიის საზოგადო კრება, რომელზედაც დაესწრო 42 კაცი. კრებას აშკარათ ეტყობა ორ ბანაკად დაყოფა. ერთი ნაწილი თავს იყრის პრეზიდიუმის ირგვლივ (ს.დ. ფრაქცია და მისი მიმდევრები) და მეორე კი კაჩუხაშვილის გარშემო. და ვაი სირცხვილო, კაჩუხაშვილის ჯგუფის შუაში იმყოფებიან: ნ.ჭუმბურიძე, ჯანჯღავა და მაღლაკელიძე. ისინი სრულიათ არ ეკარებიან ფრაქციას სიახლოვესაც კი. ფრაქციის კომისიის წევრთაგან მხოლოთ ვ. ქლენტი დარჩა ხელმძღვანელათ (მ.უბირია არ გასულა ავადმყოფობის გამო). კრება ამტკიცებს დღიურ წესრიგს ცამეტი კაცის მიერ წამოყენებულს და კიდევ: კომიტეტის გადარჩევას და სარევიზიო კომისიის მოხსენებას. (სარევიზიო კომისიაში შედიოდენ ფრაქციიდან: დ. ემუხვარი და 2. მაღნარაძე-ერთიც უპარტიოდან – ხაბურზანია). გრ. ურატაძემ მოხსენება გააკეთა კომიტეტის სახელით. სარევიზიო კომისიის ოქმებს და დასკვნებს კითხულობს წერილობით ხაბურზანია. მხოლოთ საზოგადო კრებაზე გამოირკვა, რომ სარევიზიო კომისიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო.

კომისიამ დაადასტურა, რომ კომიტეტს საქმეები საუცხოვოთ უწარმოებია, მხოლოთ მისი უმრავლესობა აღნიშნავს თავის დასკვნებში, რომ „ადგილი ქონებია რამოდენიმე უსამართლობას ფულების განაწილების დროსო“ (სწორეთ სიტყვა „უსამართლობა“ იყო საჭირო კაჩუხაშვილებისათვის).

ისიც გამოირკვა, რომ 90% მთხოვნელებისა კომიტეტს დაუკმაყოფილებია, მიუხედავათ მის ეკონომიურათ კრიტიკულ მდგომარეობისა. გამოაშკარავდა ისიც, რომ მაღნარაძემ ხაბურზანიას საშვალებით შეიტანა სიტყვა ‘‘უსამართლობას“ სარევიზიო კომისიის დასკვნებში. არზაყან ემუხვარს თავისი დასკვნა ჰქონდა, რომელიც ამბობს, რომ კომიტეტის მოღვაწეობაში არა თუ რაიმე უსამართლობაა, პირიქით გასაკვირალი უნარი გამოუჩენია თავის მუშაობაშიო.

მოხსენების შემდეგ ლაპარაკი. ვერც ერთი მოლაპარაკე ვერ იყენებს საბუთებს კომიტეტის წინააღმდეგ. მხოლოთ გაიძახიან: „მოკვდა ალია“, თქვენი დრო მოჭამაო, „თქვენმა დიპლომატიამ დაღუპა საქართველოო.“ კაჩუხაშვილი იძახის: „ვნახოთ როგორია თქვენი ფრაქციის მთლიანობაო“ და აგრეთვე „თქვენს კომიტეტს შავი ლაქა უკვე მოეცხო სარევიზიო კომისიის მიეროო“ და სხ. ამ დროს; ნ.ჭუმბურიძე, ჯანჯღავა, მაღნარაძე და მაღლაკელიძე მათ შორის ზის და ერთ კრინტსაც არ ძრავენ. მხოლოთ ღიმილით ისმენენ ყველა ამბებს.

წამოყენებული იყო ორი რეზოლუცია: ერთი ჩვენი ფრაქციის და მეორე კი კაჩუხაშვილის. კენჭის ყრაში კომიტეტის წევრებმა, 4-მა ამხანაგებმა, მონაწილეობა არ მიიღო. გავიდა კაჩუხაშვილის რეზოლუცია, რომელმაც მიიღო 23, ჩვენ კი 19 ხმა. ამით გამოირკვა, რომ ხუთი ჩვენი ფრაქციის წევრების ხმა გადავიდა კაჩუხაშვილის მხარეზე (კენჭის ყრა ფარული იყო). მიღებული რეზოლუცია გმობს ჩვენს მიერ აღებულ ხაზს. დაისვა საკითხი კომიტეტის გადარჩევისა. ჩვენებმა მოითხოვეს დღესვე მოხდეს არჩევნებიო. ისინი კი მოითხოვდენ რამოდენიმე დღით გადადებას. ეს კი კომიტეტის წევრთათვის აუტანელი იყო. კაჩუხაშვილს შემოაქვს წინადადება „დღეს აირჩიეს სარეკომენდაციო კომისია და საზოგადო კრება კი გადაიდოს ერთი კვირით“ეს წინადადებაც გადის. მაშინვე კაჩუხაშვილი ასახელებს სარეკომენდაციო კომისიის წევრებს: ნ. ჭუმბურიძეს, ჯანჯღავას, მაღლაკელიძეს და სხვებს. ფრაქციის ბიურო აცხადებს საზ. კრების საყურადღებოთ, რომ

ს.დ.ფრაქცია არ მიიღებს მონაწილეობას სარეკომენდაციო კომისიაში და თუ ვინმე ს.დემოკრატი კომისიაში შევა, ის არ იქნება ფრაქციის წარმომადგენელიო." და აი სწორეთ აქ გამოაშკარავდა თეთრი და შავი. ნ.ჭუმბურიძემ ვეღარ მოითმინა, ზემო წამოიჭრა და განაცხადა: "ს.დ. ფრაქციის ასეთი გადაწყვეტილება არ აქვს და მე ვაცხადებ ს.დ. ფრაქციის ნაწილის სახელით კომისიაში მონაწილეობის მიღებაზეო." ამ დროს ჯანჯღავა წასულა კრებიდან და როდესაც კენჭის ყრა დაიწყო და იკითხეს რომ ჯანჯღავას მიერ არის სურვილი კომისიაში შესვლის თუ არაო; იგივე ჭუმბურიძე აცხადებს, რომ მას აქვს მონდობილი მისგან მისი თანხმობისო. ჭუმბურიძის ასეთმა განცხადებებმა ოვაცია გამოიწვია კობერიძე-კაჩუხაშვილის ბანაკში.

ასე გააბახეს ჩვენი ფრაქცია საზოგადო კრების წინაშე ყოფილმა ფრაქციის წევრებმა: ნ.ჭუმბურიძემ, ივნ. ჯანჯღავამ და ს. მაღნარაძემ.

ყველა ზემო მოყვანილის შემდეგ მოხდა ფრაქციის სხდომა, რომელზედაც დაისვა საკითხი შესახებ იმ ყოფაქცევისა საზ.კრებაზე, რომელიც ჩაიდინეს: ნ.ჭუმბურიძემ, ჯანჯღავამ და მაღნარაძემ. ფრაქციამ თვრამეტი ხმით (18), ერთმა თავი შეიკავა (რუბენ აუშტროვმა) დაგმო მათი საქციელი და მისცა ისინი პარტიულ სასამართლოს. ფრაქცია აღნიშნავდა, რომ ამ ამხანაგებს წინასწარ ჰქონდათ შეთანხმება ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკთან, მათ შორის კობერიძესთან, რომელსაც ს.დ. ფრაქციის მიერ ერთ ხმათ აქვს გამოცხადებული გაკიცხვა, როგორც ბოროტ ცილის მწამებელს და ფრაქციიდან გააგდო. აბა კაჩუხაშვილზე რაღა ითქმის.

ამრიგათ, ამხანაგებო, სამწუხაროთ, ფრაქციის წინა გრძნობა გამართლდა. ჯერ ფრაქციაში მოხდა განხეთქილება და შემდეგ კოლონიაც დაიმსხვრა, რომლის სათავეში დღეს მოექცა ბ.კობერიძე და რომ ფრაქციაში განხეთქილება მოხდა, ამას ამტკიცებს ის განცხადება, რომელიც ოფიციალურათ გააკეთეს, ჭუმბურიძემ, ჯანჯღავამ და მაღნარაძემ და რომლის ასლიც ამასთანავე ერთვის.

თქვენ დაინახავთ, რომ ფრაქციას მათთვის არ მიუცია არავითარი საბუთი იმისა, რომ მათ დაუარსებიათ ცალკე ს.დ. ჯგუფი. განა შეიძლება პირადი ანგარიშების გამო პარტიიდან გასვლა და ცალკე დამოუკიდებელი ჯგუფის დაარსება, როდე-

საც არავითარი პრინციპიალური კითხვის ირგვლივ არ არის დავა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით მათ სურთ რომ პარტიული სასამართლო აიშორონ.

ჩვენ უცდით პარტიულ სასამართლოს. ამ ჭრილში ვერ ვათავსებთ ყველაფერს, რომ თქვენთვის სავსებით ამოიწუროს მთელი ბრალდებები. სასამართლოს წინაშე კი შევძლებთ ამას.

ჩვენ სრულიათ არ გვსურს ამ ამხანაგების ჩამოშორება. თუ ეს შესაძლებელი იქნება, ჩვენ კიდევაც ვეცდებით, რომ ისინი დაუბრუნდენ ფრაქციას. მხოლოთ ჩვენი ფრაქციის ტრადიცია და ინტერესი მოითხოვს, რათა დამნაშავეს თავისი დანაშაულობა აღენიშნოს და დამსახურებისამებრ დაისაჯოს. ეს დამრღვევითი მუშაობა არ თავდება ფრაქციასა და საზ. კომიტეტით. დარღვევა გადავიდა სტუდენტთა ორგანიზაციაშიც. სწორეთ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ს.დ. სტუდენტები იძულებული არიან თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელი გაგზავნონ სტუდენტთა კონფერენციაზე, ბერლინში, პირადათ ივანე ქარცივაძე. მხოლოთ ქარცივაძე არის ს.დ. ფრაქციის მიერ ნდობით აღჭურვილი.

ამიტომ ვსთხოვთ; ბერლინის და ყველა ს.დ. ფრაქციებს, რომ მათ მიიღონ ყოველივე ზომები, რათა ივანე ქარცივაძე დაშვებული იქმნას სტუდენტთა კონფერენციაზე გადამჭრელი ხმით. სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ თქვენს წინაშე, რომ ნ.ჭუმბურიძე გამოცხადებულია კომუნისტურ გაზეთში, საქართველოში, თითქოს ის, ნ. ჭუმბურიძე, გადავიდა მათ მხარეზე. ამის შესახებ შეკითხვაც კი იყო ჩვენს ფრაქციაში. ჭუმბურიძემ კი ფრაქციის სხდომაზე ლაპარაკის დროს განაცხადა, რომ ჩემმა ცოლმა გასცა პასუხი ჩემს მაგიერო.

ფრაქციიდან გავიდენ კიდევ: შ. მაღლაკელიძე და ვ. ფიჩხაია. მათი განცხადებების ასლები ამას თან ერთვის. ხოლო უნდა აღვნიშნოთ თქვენს წინაშე ჩვენი ეჭვი ფიჩხაიას პარტიის წევრობაზე, რადგან ბევრისგან გაგვიგონია, რომ ის პარტიის წევრათ გახდა მხოლოთ კონსტანტინეპოლში.

ამასთანავე ვართავთ ასლებს: ჭუმბურიძე, ჯანჯღავას და მდინარაძის განცხადებისას და მიღებულ რეზოლუციისას ამის შესახებ ფრაქციის მიერ.

პრაგის ს.ს.დ.მ.პ. ბიუროს თავმჯდომარე: ემუხვარი

მდივანი ვ. ქლენტი 22.3.1924 (91).

გენერალი შალვა მაღლაკელიძე და არზაყან ემუხვარი ერთმანეთს 1923 წელს შეხვდნენ პრაღაში.

შალვა მაღლაკელიძე – ქართველი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე და ვერმახტის ქართული ლეგიონის მეთაური. მსახურობდა საქართველოს მთავრობაში 1918-1921 წლებში, 1919-1920 წლებში თბილისის გენერალ-გუბერნატორი.

მის მოგონებებში ვკითხულობთ: (სტილი დაცულია).

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებშია, აქვთ საკუთარი პარლამენტი, ყავთ მინისტრები, სათავეში დგას არზაყან ემუხვარი, აფხაზი თავადიშვილი, მაგრამ ქართული სულისკვეთების მატარებელი, თუმცა მენშევიკი, შეიძლება უფრო მეტად ქართული სულის მატარებელი, ვინამ ჩვენი ნამდვილი ქართველები.

***არზაყან ემუხვარს ყველა იცნობს, როგორც ყოვლად პატიოსან კაცს, თავადს, სულ ბატონო და ბატონოს ხმარობს, საქართველოს ერთგულსა და მოყვარეს. აფხაზეთი თუ შეგვრჩა, ითვლება რომ არზაყანის წყალობით.***

მე ავუხსენი არზაყანს და მის მეგობრებს ჩეხოსლოვაკიაში რომ ჩამოვედი, რომ მინდოდა სწავლა, დიპლომის აღება და საერთოდ არ მინდოდა თავმჯდომარეობა. (მაშინ არზაყანი ყოფილი გამგეობის წევრი იყო). ფული მე არა მქონდა (გამგეობის) და დავიშალეთ, როგორც მტრები. არზაყანთან მერე არანაირი ურთიერთობა აღარ მქონია. მერე პოლონეთში გააგზავნეს კონსულის ფუნქციებით და რომ ჩამოვიდა, იმ დღესვე გარდაცვლილა. რამდენიმე წლის წინ, მისი შვილი მოვიდა, აქ ჩემთან, ხომ არ ვეტყოდი კონფლიქტი რომ გვქონდა, ვუთხარი დიდი მეგობრები ვიყავით-მეთქი.

ალბათ საეჭვო პიროვნებად ჩამთვალეს. უცნობებიათ პარიზში ნოე რამიშვილისთვის, ნოეს დაუნიშნავს კომისია, არც მეტი, არც ნაკლები კარლო ჩხეიძის უფროსობით, რომ შეისწავლოს, მაღლაკელიძემ როგორ დაანგრია მენშევიკური პარტია. ყოველთვის ჩვენი მტერი იყოო და საბჭოების აგენტი არისო“.

შ.მაღლაკელიძის მოგონებები რამდენადმე დასაზუსტებელია:

არზაყანი გარდაიცვალა პარიზში 1939 წელს, მან პოლონეთში ჩასვლა ვერ მოასწრო. პოლონეთის არქივებიდან მი-

ვიღე ინფორმაცია, რომ არზაყან ემუხვარი პოლონეთში არასოდეს ყოფილა. ამ უზუსტობათა მიუხედავად, შ.მაღლაკელიძის მოგონებებში უთუოდ საინტერესოა რამდენიმე დეტალი ემიგრაციისა და ემიგრანტების თაობაზე:

„კოლია ჭუმბურიძე – ქუთაისის პატრონი, გაზეთის რედაქტორი, პარტიული კაცი იყო, ნოე რამიშვილის ადგილას რომ უნდა ყოფილიყო, კანდიდატად იყო ქუთაისიდან ამ ადგილზე.

პოლიტიკური მოღვაწე ნოე ხომერიკი – ნოე რამიშვილს არ ჩამოუვარდებოდა.

რაც შეეხება აჯანყებას, გიორგი წერეთელი რომ ჩამოვიდა, მოხსენება გააკეთა, თურმე ყველაფერი იცოდნენ წინდაწინო. ე.ი. პარიტეტული კომიტეტი დაარსებისთანავე აღმოჩნდა საბჭოთა მთავრობის ხელში. დადგა დრო, რომ აუცილებელია რაიმე გამოსვლა მოეწყოს. ვალიკო ჯუღელს სენ-სირის სკოლა დაამთავრებინეს, სამხედრო სკოლა პარიზში. ამ სკოლის დამთავრებას მეტი ფასი აქვს, როგორც პოტსდამის სკოლას გერმანიაში, ალექსევსკის სასწავლებელს მოსკოვში. დაამთავრებინეს საგანგებოდ ეს სკოლა ჩუმად, მაგრამ ბოლშევიკებმა თურმე იციან, სხვა კაცი არც ყავდათ, პოლონეთში არიან და ზაქარიაძისათვის რომ გეთქვა, აჯანყებაში წადიო, არც წავიდოდა. კვინიტაძეს ხომ ვერ ეტყვიან. ერთ ათასეულზე მაინც ხომ უნდა იყო დაყრდნობილი. კვინიტაძემ მთავარსარდლობა, რომ იკისრა, იმიტომ იკისრა, რომ ათი ათასი ჯარისკაცი მომეცითო და დაპირდნენ, მაგრამ ვერ მისცეს.

სარდალი ყავთ ვალიკო ჯუღელი. პოლიტიკური მოღვაწე ნოე ხომერიკი – ნოე რამიშვილს არ ჩამოუვარდებოდა, უფრო მეტი კიდევ. პარიტეტული კომიტეტი თხოულობს ამათ. ჰგონიათ, რომ საზოგადოება მომზადებული ყავთ, ყველა პარტიები გაერთიანებული არიან, ოცდაათი თოფი აქვთ და აწყობილია საქმე. ბენია ჩხიკვიშვილი, ცნობილია როგორც გურიის პრეზიდენტი ძველი და მართლა ვაჟკაცური კაცი იყო, აჯანყებისთვის გამოდგებოდა, იარაღასაც იხმარდა, სკოლა არ უნდოდა მაგისთვის, გურიაში უდიდესი სახელი ჰქონდა, კატორღიდან დაბრუნდა, ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი, არწივისებური ცხვირი, წვერები, ულვაშები, ვეებერთელა კაცი. ნოე რამიშვილი არ მიდის და თუ ვინმე უნდა წასულიყო, ნოე უნდა წასულიყო, მაგრამ ჭკვიანია და არ მიდის, არადა, მთელი საქმის პატრონი ნოე რამიშვილი იყო აქაც და იქაც.

ჩავიდნენ საქართველოში ჯუღელი, ხომერიკი, ჩხიკვიშვილი ზღვით ბათუმში და პირველი ვალიკო ჯუღელი ჩაუგდიათ ხელში. უნდა გასცე ბრძანება, არსად გამოსვლა არ იყოს! ჯუღელი აკეთებს ამას, მაგრამ ჭიათურის გამოსვლა მაინც მოხდა. ჭიათურის გამოსვლას იმით უპასუხეს, რომ ჩაყარეს წერეთლები, აბაშიძეები ვაგონებში და შიგნით დახოცეს, როგორც საქონელი, კაცო, ამოხოცეს წერეთლები, აბაშიძეები და სხვები თავისი ოჯახებით. მეორე დღეს უნდა დაიწყოს გამოსვლები გურიაში, ბენია ჩხიკვიშვილი კი დაჭერეილი ყავთ. სად წაიყვანეს ბენია ჩხიკვიშვილი და მოკლეს – არ გამიგია, ვალიკო ჯუღელი კი დაუჩეხიათ. ახლა მთავარია ნოე ხომერიკი, მას იცნობს ყველა პარტიული კაცი. ის იყო, რომ გამოგვიგზავნიდა კობალაძის მეშვეობით გაზეთ „მერცხალს", მოწაფეები რომ ვიყავით. ხომერიკი სად დახვრიტეს არ ვიცი.

გაზეთი „საქართველო" უკან დამბრუნებელი ქართველთა ორგანო იყო. ჩაითრია (ვეშაპელმა) ამ საქმეში მენშევიკი კაჩუხაშვილი, ადვოკატი, ჩვენი დროის ქუთაისის გუბერნიის კომისარი. მისი შემდგობი ბედი ასეთია, დაბრუნდა აქ და თავი მოიკლა.

მოდის საქართველოში – ჯანჯღავა, მენშევიკი იყო. მოდის თურქია, ბიძინა რამიშვილი დაიღუპა – ფანჯრიდან გადმოხტა.

კაჩუხაშვილმა, თევზაძემ, ნიკო ინასარიძემ თავი მოიკლეს.

კარლო ჩხეიძემ ფრანგული არ იცოდა, ვერ შეეგუა ემიგრაციას, მეტისმეტად დაღონებული იყო. ფულიც არ ჰქონდა, თავი მოიკლა პარიზში" (92,129).

ქართველ ემიგრანტთა შორის შეუთანხმებლობების დასტურია შემდეგ წერილშიც:

ს.ს. დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საზღვარ გარეთელ ბიუროს პარიზში

პატივცემულო ამხანაგებო!

ამის წინა მეორე წერილში ჩვენ გწერთ, რომ ჩვენი ს.დ. ფრაქცია, პრაგაში, თვალ-ყურს ადევნებს საზოგადო კომიტეტის მოქმედებას და თუ რაიმე შეუფერებელი და ყალბი ნაბი-

ჯი გადადგა, მაშინვე ფრაქცია მიიღებს ზომებს, რათა ქართული ხალხის ღირსება დაიცვას. ჩვენდა სამწუხაროთ, დიდი ხნით ცდა არ დაგვჭირდა. ჩვენი ეჭვი კომიტეტის მუშაობაში, ცუდი მხრით, გამართლდა. აი საქმე რა არის. 14-15-16 და 17 აპრილს 24 წ-სა მილუკოვმა, პრაგაში, წაიკითხა ლექციები ეროვნულ საკითხზე საერთოდ, კერძოთ, რუსეთში, რომელსაც დიდი აუდიტორია ყავდა. თითქმის ყველა ერების წარმომადგენლები დაესწრნენ.

როდესაც მილუკოვი შეეხო რუსეთის ძველ ფარგლებში მყოფ ერებს, მან ხაზგასმით განაცხადა, რომ ამიერკავკასიის ერებს, რომლებმაც რევოლუციის მიზეზის გამო დააარსეს დამოუკიდებელი რესპუბლიკები, მათ არ შეუძლიათ უბატონოთ არსებობა. მაგალითათ, საქართველომ თავის მფარველად მოიწვია გერმანიაო.

ჩვენთვის სრულიათ მოულოდნელათ ტრიბუნაზე ადის ივ. კაჩუხაშვილი და სიტყვას ამბობს კოლონიის სახელით. მან, კაჩუხაშვილმა, ხაზგასმით დაუდასტურა ბ. მილუკოვს ასეთი ფორმით: „დიახ, ბ. მილუკოვო, ჩვენ მართლა საქართველოში მოვიწვიეთ გერმანელები, მაგრამ გვინდოდა ამით ოსმალეთიდან თავი დაგვეცვაო."

ასეთი განცხადება ქართველი კოლონიის სახელით ჩვენ მიგვაჩნია დაუშვებლათ და საქართველოს საქმისათვის რამოდენიმეთ პროვოკაციულათ.

კახუჩაშვილის გამოსვლის შემდეგ, იძულებული გახდა გამოსულიყო ამხ. გრ. აიოლო საქართველოს სახელით, რომელმაც სავსებით დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფური უნარი, რომლის სიტყვამაც გამოიწვია დიდი ოვაცია.

ფრაქციამ, თავის 25 აპრილის სხდომაზე მიიღო შემდეგი დადგენილება: „17 აპრილს 1924 წ-სა, ბ. ივ. კაჩუხაშვილი გამოვიდა პასუხისმგებელ ოპონენტათ. ქართველი ახალშენის სახელით პ.ნ. მილუკოვის წინააღმდეგ; მილუკოვი ამტკიცებდა, რომ ამიერკავკასიას და საქართველოს კერძოთ არ შეუძლია უბატონოთ არსებობა და თავისი დამოუკიდებლობის დროსაც კი ისინი იძულებული იყვნენ მოეწვიათ მფარველი გერმანელები და სხვები."

თავის სიტყვაში ბ. ივანე კაჩუხაშვილმა, წინააღმდეგ ჩვენი მოლოდინისა დაადასტურა მილუკოვის ასეთი ყალბი განცხადება. მან, კაჩუხაშვილმა, სთქვა: „ჩვენ მართალია საქართველოში

მოვიწვიეთ გერმანელები, მაგრამ ამით გვინდოდა ოსმალესაგან თავი დაგვეცვაო“. შესაძლებელია ასეთი შემცდარი აზრი ქონდეს ბ.ივ. კაჩუხაშვილს გერმანელების ჩვენში შემოსვლის შესახებ, მაგრამ თავისი ამნაირი ყალბი აზრი ვინმემ მიიღოს ქართველი ახალშენის სახელით, საჯაროთ თავს მოახვიოს ქართველ ერს, ეს ყოვლათ დასაგმობი და დაუშვებელია.“

განსაკუთრებით ისეთ წრეში, სადაც ასეთ განცხადებას ქართველი ერისთვის, საფიქრებელია, მოჰყვეს არა სასურველი გაუგებრობა. მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემო ხსენებული, ს.ს. ფრაქცია პრაგაში აღიარებს, რომ პასუხისმგებლობა ამ გამოსვლისათვის ეკისრება ახალშენის იმ ნაწილს, რომლის დავალებით გამოვიდა ბ. ივ. კაჩუხაშვილი. ს.დ.ფრაქცია იძულებულია მიიღოს მომავალში საჭირო ზომები, რათა მან თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ასეთ უტაკტო და ქართველი ერის ინტერესების შემლახველი გამოსვლებისაგან“. ასეთია ფრაქციის დადგენილება, რაც ეცნობა კომიტეტს და ს.დ. ფრაქციას.

თქვენ, პატივცემულო ამხანაგებო, ყველა ზემოხსენებულიდან დარწმუნდებით, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე წრე, რომელსაც ფაქტიურად ხელმძღვანელობს ჩვენგან გათიშული ჯგუფი, ასეთ ალვირახსნილ პოლიტიკის წარმოებას შეუდგენ. ჩვენ, რასაკვირველია, მარტო რეზოლუციაზე არ შევჩერდებით, მაგრამ აქ საჭიროა თქვენი ავტორიტეტული ხმაც. ჯერჯერობით საზოგადო კომიტეტმა, კობერიძის მეთაურობით, ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა საჯაროთ.

ამხანაგური სალამით, ს.დ. ფრაქციის ბიურო.
ბიუროს თავმჯდ. ამხ. დ. ემუხვარი
მდივანი ვ. ქლენტი
(93) 26/1V-24 წ.

ამავე პრობლემას შეეხება ნოე ჟორდანიასთან მიწერილი შემდეგი წერილიც:

დიდათ პატივცემულო ამხანაგო ნოე!

1924-10 მაისი

მეტად ვსწუხვართ, რომ ასეთ დროს და ასეთ პირობებ-
ში გვიხდება შეგაწუხოთ და წაგართვათ დრო ისეთი შედარე-
ბით წვრილმანისათვის, როგორიცაა პრაგის კალონიაში ატე-
ხილი შეხლა-შემოხლა. არც ახლა შეგაწუხებდით რომ არ
მიგვეღო ამხ. კ. კანდელაკის წერილი, დაწერილი როგორც
თვითონ იტყობინება, თქვენის დავალებით, საიდანაც სჩანს
რომ თქვენთვის უკვე მოუმართავს კოლონიის ერთ ნაწილს
წერილებით და დეპეშებით და რომ თქვენ არ იფიქროთ, არც
ერთი წუთით, რომ ვითომ ჩვენ აქ დაუშვით და ჩავიდინეთ
რამე ისეთი, რომელიც არ შეეფერება ჩვენს პასუხისმგებლო-
ბას- საჭიროთ დავინახეთ გაგაცნოთ, სულ მოკლეთ, აქაური
კონფლიქტების შინაარსი და მიმდინარეობა.

აქ არსებობს „მოქალაქეთა დამხმარე საზოგადოება“
ჩვენ მიერ დაარსებული, რომელსაც აქვს წესდება, დამტკიცე-
ბული ჩეხიის მთავრობის მიერ. კალონიაში უმრავლესობა
ჩვენ ვიყავით, მარა არასდროს ამით არ გვისარგებლია და
კომიტეტში ჩვენებთან ერთა სხვა ჯგუფის წარმომადგენლებ-
საც ვირჩევდით. ასე იყო დახმარების და სტიპენდიების სა-
კითხშიაც, რაც მტკიცდება თუ გინდ იმით, რომ აქაურ სტიპენ-
დიანტების უმრავლესობას შეადგენენ არა სოციალ-დემოკრა-
ტები, რომლებმაც სტიპენდიები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი
საშვალებით მიიღეს. როგორც ყოველგან, აქაც ქონდა, ხოლ-
მე, წინათ ადგილი შეხლა-შემოხლას;

მარა აგერ ერთ წელზე მეტია რაც თითქოს მოვაგვა-
რეთ და კალონია ცხოვრობდა მშვიდობიანათ. ეს მშვიდობია-
ნობა დაირღვა მხოლოთ თებერვალში და დაიწყო ასე: კალო-
ნიის ერთმა ჯგუფმა წინააღმდეგ წესდებისა, სრულიად დაუ-
საბუთებლათ მოითხოვა არსებული კომიტეტის გადაყენება
ვადამდე (არჩეული იყო თანახმად წესდებისა ერთი წლით,
აკლდა ვადამდე ორი თვე). უპარტიოთა ამ წინადადებას მხა-
რი დაუჭირა ფრაქციაში რამდენიმე კაცმა  კ.ჭუმბურიძის მე-
თაურობით. პარტიამ დიდის ხმის უმეტესობით უარყო ეს პი-
რადი მოტივებით გამოწვეული წინადადება, მაგრამ საზოგა-
დო კრებაზე, რათა ჭუმბურიძე და მისი ამყოლნი ოთხი წევრი
ფრაქციისა მიემხრო აშკარათ ჩვენს მოწინააღმდეგებს. შეიქ-
ნა უმრავლესობა, თუმცა ძლიერ მცირე (19 ჩვენი, 23 მათი,
ამათში არის ხუთი მათი კანდიდატების ხმა, რომელიც თავის

თავს მისცეს), რომელმაც გადააყენა ჩვენი უმრავლესობისაგან შემდგარი კომიტეტი, აირჩია ახალი, სადაც არც ერთი ჩვენი ამხანაგი არ შედის და მის თავმჯდომარეთ დასვა ექიმი კობერიძე. ვფიქრობთ, ექიმი კობერიძის შესახებ თქვენ იცით ყოველივე ის, რაც მოხდა ნ. რამიშვილის აქ ყოფნის დროს. ნ. რამიშვილის კომისიამ და შემდეგ ფრაქციამ ერთხმად (22 ხმა) ის გამოაცხადა ბოროტ ცილის მწამებლათ, გამორიცხა პრაგის ორგანიზაციითგან და ეს აცნობა ყველა სხვა ორგანიზაციებს. ამის შემდეგ ბ. კობერიძე არავითარ საშუალებას არ ერიდება არა მარტო ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ საერთოდ პარტიისა. გამოგვიცხადა ყველას პირადი ბოიკოტი და დაიწყო აშკარა მოქმედება. სხვათა შორის, ამას წინათ 1000 კრ. მეტი შეკრიბა და გადმოუგზავნა მოქ. ალიხანაშვილს და სხ. ასეთი პირის კალონიის სათავეში დგომა, და ისიც აქ პრაგაში, ჩვენთვის სრულიად მიუღებელი იყო და არის, მარა, ჩვენ მაინც დაუშვებლათ მიგვაჩნდა განხეთქილების მოხდენა თუ გინდ ასეთი საპატიო მიზეზის გამოც კი და ამიტომ ახალ კომიტეტს მივმართეთ თხოვნით, რომლის ასლსაც ამასთანავე გიგზავნით.

როგორც ხედავთ, ჩვენ ვითხოვდით მხოლოდ იმას, რომ მიეღოთ მხედველობაში კალონიის თითქმის ნახევარის ინტერესები და კობერიძის თავმჯდომარეობიდან მოხსნით, მიეცათ ჩვენთვის საშვალება საქმიანი კავშირი გვქონოდა კომიტეტთან, მარა, მათ არ შეიწყნარეს ეს ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა. საზოგადო კრებაც კი არ მოიწვიეს, რომ კრებისათვის აგვეხსნა საქმის მდგომარეობა და ვცდილიყავით აღვედგინა ნორმალური მდგომარეობა. ჩვენ ამის შემდეგაც კი დაუშვებლათ ჩავთვალეთ „რასკოლის“ მოთხოვნა, რასაც ამტკიცებს თუ გინდ ის ფაქტი, რომ ჩვენ ისევ ძველებურათ ვართ წევრები იმავე საზოგადოებისა, ვესწრებით მის საზოგადო კრებას და სხ. ეს კია, რომ კომიტეტთან არ გვაქვს არავითარი ყოველ დღიური დამოკიდებულება და ეს არც შეიძლება გვქონდეს სანამ მის სათავეშია ბ. კობერიძე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ახალი კომიტეტის არჩევნები მოხდა 25 თებერვალს, საქმეები და ანგარიშები ყოფილმა კომიტეტმა ჩააბარა მათ 28 თებერვალს, ამიტომ ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა, როცა მარტის 30 მივიღეთ ჩვენი ცენტრ. ბიუროს დადგენილება თქვენგან ახალ კომიტეტზე საქმეების გადაცემის შე-

სახებ. ეს ჩვენ ავხსენით გაუგებრობით და უკვე ჩვენმა ბიურომ გამოუგზავნა კ. კანდელაკს 25 თებერვალს შემდგარი ჩაბარების აქტის ასლი, რომელსაც ხელს აწერენ, როგორც ყოფილი კომიტეტის წევრები, ისე ახალი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი და რომელშიდაც ჩამოთვლილია ყოველივე ჩაბარებული. ვფიქრობთ, ეს ჩაბარების საკითხი ახლა მაქაც გამორკვეულია. მარა, კ. კანდელაკის მეორე წერილიდან სჩანს ჩვენს მოწინააღმდეგებს მაქ შეუქმნიათ ახლა მეორე გაუგებრობა-ვითომ წავართვით არსებულ კომიტეტს 5000 კრ, რომელიც მიიღო ახალმა საზოგადოებამ. რომ არავითარო 5000კრ. არ მიუღია ახალ საზოგადოებას, ამის დასამტკიცებლათ, ვფიქრობთ, საკმარისია ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ამასთან ერთად გიგზავნით და საიდანაც თქვენ დაინახავთ რომ ახალ საზოგადოებამ მიიღო არა 5000 კრ. არამედ 3050კრ. ალბათ გამოიგონეს შთაბეჭდილების გასადიდებლათ!

საჭიროთ მიგვაჩნია მოგცეთ განმარტება ამ ახალი საზოგადოების და აღნიშნული თანხის მიღების შესახებ. ახალი საზოგადეობა მართალია რომ დავაარსეთ, მარა მისი დაარსება განზრახული იყო ჯერ კიდევ ამ აურზაურის ატეხამდე და ის სრულიად არ არის მიმართული არსებული საზოგადოების წინააღმდეგ. აქ, ყველა ეროვნების საერთო ორგანიზაციებთან არსებობენ მთელი რიგი სხვადასხვა ორგანიზაციებისა მაგ. «группа содействия», «Общество содействия» და სხ. ჩვენი ახალი საზ. ამ ხასიათისაა. მისი წესდებით შეიძლება დახმარება არა მარტო აქ მყოფების, არამედ ყველასი, სადაც უნდა იყვნენ. ის არის ღია საზოგ. წესდებიანი, მისი წევრობა შეუძლია ყველას, თუ გინდ მთელ კალონიას, ამიტომ მისი დაარსება არ შეიძლება აიხსნას ქიშპობით, გაჯავრებით, თუ ჯგუფური თავმოყვარეობით. რაც შეეხება ფულის გადმოცემას ეს მოხდა ასე: 3050 კრ. (და არა 5000კრ) იძლევა სამინისტრო გასანაწილებლათ ხელმოკლეთა შორის. ანგარიში განაწილებული ფულისა გასამართლებელი საბუთებით ყოველ ორ თვეში ეგზავნება სამინისტროს. მარტში მთელი ფული გადაეცა გასანაწილებლათ ახალ კომიტეტს, მარა მან არც ერთ იმათ არ გაუგზავნა თვიური დახმარება, ვისაც ყოფილი კომიტეტი თანახმად ცენტრ. ბიუროს და ჩვენი ფრაქციის დადგენილებისა უგზავნიდა: რ.ყიფიანს, არავიაშვილს და ვალოდია გოგვაძეს. რას მოახმარეს ეს

ფული ღმერთმა იცის!. ამის შემდეგ სამინისტრომ ჩვენის თხოვნით, ამ თანხის განაწილება მიანდო ახალი საზოგადოების გამგეობას, მით უმეტეს რომ ეს თანხა გამოთხოვილია ჩვენის შუამდგომლობით ჩვენი ამხანაგების დასახმარებლათ. ახალი საზ. გამგეობამ აპრილის დახმარება უკვე გამოუგზავნა ყველა ზევით დასახელებულ პირებს და იმედი აქვს, რომ შემდეგშიაც გაუგზავნის როგორც მათ, ისე სხვებსაც. ამით, რასაკვირველია, არ ირღვევა და არ ილახება არავითარი ინტერესი აქ, რადგან აქ თითქმის უზრუნველყოფილია ყველა.

ორიოდე სიტყვა ამხ. აიოლოზე: მაქ მოუწერიათ – ვითომ ამხ. აიოლო სახელს უტეხდეს ახალ კომიტეტს. გარწმუნებთ ამხ. ნოე, რომ ეს მტკნარი სიცრუეა. აიოლო ერთად ერთი წევრია ჩვენი ფრაქციისა, რომელიც მუდამ მომრიგებლის როლშია, არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ფრაქციის დადგენილების გარეშე და ყოველი საშვალებით ცდილობს შეასუსტოს ყოველივე ის, რასაც შეუძლია გაამწვავოს ურთიერთობის დამოკიდებულება. სათავე მის წინააღმდეგ გალაშქრობისა იწყება კობერიძეთი და მისი ამყოლით და სამწუხაროთ, მას მიემხრო 5 ჩვენი ფრაქციის ყოფილი წევრი კ. ჭუმბურიძის მეთაურობით, რომლებიც ფრაქციამ მთელი რიგი დაუშვებელი და შეუწყნარებელი ანტიპარტიული საქციელისათვის ერთხმად მისცა პარტიულ სამართალში, რის შემდეგ ისინი გავიდნენ ფრაქციიდან, არ დაუცადეს სასამართლოს და გაშმაგებით ებრძვიან ჩვენს ამხანაგებს და ჩვენს ორგანიზაციებს აქ. ვფიქრობთ, პარტიული სასამართლო მაინც შედგება და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა სამარცხვინო როლი ითამაშა ჭუმბურიძემ და მის ოთხმა ამყოლმა მომხდარ არევ-დარევაში.

დასასრულს, გარწმუნებთ ამხ. ნოე, რომ პრაგის ს.დემ. ფრაქცია გრძნობს რა თავის პასუხისმგებლობას, მას არ გადაუდგამს და არც გადადგამს არც ერთ ისეთ ნაბიჯს რა სფეროშიაც არ უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია იოტის ოდენა ზიანი მოუტანოს ჩვენს საქმეს, ჩვენეროვნულ ინტერესებს და პრესტიჟს და დარწმუნებული ვართ რომ ის ყალბი ინფორმაცია, რომელსაც, როგორც სჩანს, თქვენამდე მოუღწევია, ვერ შეარყევს თქვენს ნდობას და ამხანაგურ ურთიერთობას პრაგის ს.დემ. ორგანიზაციისადმი.

გისურვებთ ჯანმრთელობას და გიძღვნით ამხანაგურ სალამს პრაგის სოც.დემოკ. ორგანიზაციის წევრები: არზაყან

ემუხვარი, ბ. ქლენტი, ლომთათიძე ემ., ს. გოცაძე, ვ.ქარცივაძე, აკ.ასათიანი, გრ. ურატაძე, ვლ.ინწკირველი, ერ.რამიშვილი, ს. გაბუნია, ჩხიკვაძე, დ. ღოღობერიძე, ს.თურქია, ალ. ხელაძე, ფილიპე ლორია.

ზოგიერთები შემთხვევით ვერ აწერენ ხელს.

P.S. გიგზავნით აგრეთვე ასლს ამ რეზოლუციისა, რომელიც მიიღო ფრაქციამ თქვენი წერილის გამო. თუ შეუძლებელი იქნა ადგილობრივი ძალებით საქმის მოგვარება იძულებული ვიქნებით გთხოვოთ გამოგზავნოთ ვინმე ავტორიტეტული პირი და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ყოველივე თქვენი დადგენილება საქმის ადგილობრივ გამორკვევის შემდეგ, რასაკვირველია, სავალდებულო იქნება ჩვენთვის და კიდევაც გავატარებთ ცხოვრებაში (94).

როგორც ამ მიმოწერიდან ცხადი ხდება (და არაერთი სხვა დოკუმენტიდან თუ მოგონებიდან!), ბოლშევიკური დაზვერვა თავის შავ საქმეს წარმატებით ახორციელებდა და ერთმანეთს უპირისპირებდა ქართული საქმისთვის გულანთებულ პატრიოტებსაც კი. აზრთა სხვადასხვაობა ერთი მიზნით შეკავშირებულ ადამიანებსაც შესაძლებელია, ჰქონდეთ, მაგრამ პროვოკაციულ ჩარევას მიჰყავს იგი დაპირისპირებამდე და არა – „ქართველთა დამახასიათებელ დაპირისპირებულობას“.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი თავის თანამოაზრეებთან ერთად თავგამოდებით ცდილობდა პარტიის, ზოგადად – ემიგრაციის ერთიანობის შენარჩუნებას დიადი მიზნის – საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში, რაც, სწორედ, უმთავრესი სამიზნე იყო „დაჰყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედი ბოლშევიზმის აგენტებისათვის.

ამ ბრძოლის პერიპეტიებზე შემდეგი მიმოწერაც იძლევა ნათელ წარმოდგენას:

პატივცემულო ამხანაგებო!

პარიზი

ჩვენ უკვე პირველ წერილში მოგახსენეთ თუ რა მოხდა პრაგის ს.დ. ფრაქციაში და რა ნაყოფი მოიტანა მან ქართულ

კოლონიაში. როგორც გწერდით, კოლონიის სათავეში დღეს დგას ბ. ექ. კობერიძე, რომელსაც ჯერ კიდევ მთლიან ფრაქციის მიერ, თანდასწრებით ცენტრ.ბიუროს წევრის, ნ.ბ.რამიშვილისა ერთი ხმით გამოტანილი აქვს გაკიცხვა, როგორც ბოროტ ცილის მწამებელს და განრიცხულია ფრაქციისაგან. ის, კობერიძე, ფრაქციისა და მისი მიმდევრების მიერ ფაქტიურ ბოიკოტის ქვეშ იმყოფება. ამათი რიცხვი კი უდრის კოლონიის თითქმის ნახევარ ნაწილს და ეს ნაწილი რა რიგ მოიქცეს კობერიძის კომიტეტის მიმართ?

ფრაქციამ იქონია მსჯელობა ამაზედ და დაადგინა, რათა მიმართოს კომიტეტის მთელ შემადგენლობას, რამოდენიმე გაფრთხილებით, თუ რამდენათ შესაძლებელია მიმართვა. აი მიმართვაც. ოქმი – 27 თებერვალი 24 წ. „საქართველოს მოქალაქეთა დამხმარე კომიტეტს პრაგაში. როგორც ხსენებულ კომიტეტს მოეხსენება, სოც.დემოკრატიულმა ფრაქციამ, იმ გარემოების გამო, რომელიც შეიქნა მისთვის ჩვენი კოლონიის წევრთა უკანასკნელ კრებებზე, შესაძლებლათ ვერ დაინახა დასტური მიეცა თავის თავის წევრებისათვის კანდიდატურის წამოყენებაზე ახალ კომიტეტში სამუშაოთ. ფრაქცია ფიქრობდა, რომ კრების უმრავლესობა, რომლებიც გვისაყვედურებდა, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ კოლონიაში მთლიანობის დამყარება, შეძლებდა თავის წრიდან ისეთ კომიტეტის შედგენას, რომელიც ამ მთავარ ნაკლს თავიდან აიშორებდა.

ასეთ პირობებში, მას უმჯობესათ მიაჩნდა ხელი არ შეეშალა ასეთი კომიტეტის შედგენისათვის და აერჩია გზა ლოიალური დამოკიდებულებისა და საქმიანი ოპოზიციისა მომავალ კომიტეტისადმი. სამწუხაროთ ეს მოლოდინი არ გამართლდა. არჩევნებმა გამოაშკარავეს, რომ ახალი კომიტეტი ვერ იქნება აღჭურვილი კომიტეტის ნდობით. შემდეგ კომიტეტის კონსტრუქციამ კიდევ უფრო ნათელ ჰყო ეს გარემოება. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია პირი, რომელთანაც კოლონიის 22 წევრი ფაქტიურ ბოიკოტის ქვეშ იმყოფება. ეს პირი გახლავთ ბ. ექ. კობერიძე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გარემოება არამც თუ ხელს შეუწყობს კოლონიის გამრთელებას, პირიქით გააორმაგებს უთანხმოებას და გაართულებს დამოკიდებულებას ურთიერთ შორის. ბიუროს თავის ფრაქციის დავალებით აქვს პატივი ყოველივე ეს აუწყოს კომიტეტს, დარწმუნებული მასში, რომ უკანასკნელი შექმნის პი-

რობებს, რათა ხსენებულ 22 მოქალაქეთ საშვალება მიეცეს, სურვილებისა და საჭიროებისამებრ მიმართოს თავის კომიტეტს მათი ნაციონალური და ეკონომიური ინტერესების დასაკმაყოფილებლათ.“

ამავე დროს ფრაქცია, სანამ ექ. კობერიძე კომიტეტის სათავეში დგას, თავისთვის აღგენს შემდეგს: ოქმი 27 თებერვალი 24 წ. ს.დ. ფრაქცია ყოვლათ დაუშვებლათ სთვლის ბ.კობერიძის საზოგადო კომიტეტის სათავეში ყოფნას. თუ ის, კობერიძე, დარჩება კომიტეტის შემადგენლობაში, ს.დ. ფრაქციამ უნდა გამონახოს პირობები და საშუალებები თავისი და კოლონიის წევრების ნაციონალური, ეკონომიური და სხვათა ინტერესების დასაცველათ.

ამ რიგათ, ზემო მოყვანილიდან თქვენ, პატივცემულო ამხანაგებო, დაინახავთ, რომ ს.დ. ფრაქციამ, ცენტრალური ბიუროს წარმომადგენლის თანდასწრებით, აშკარათ აღიარა ექ. კობერიძე ზნეობრივი მხრით დაბლა მდგარათ, რომ ის ბოროტი ცილის მწამებელი არის. ამაზე მეტი სიდუხჭირე რა უნდა მოუვიდეს მას თავზე. და რომ ეს სიდუხჭირე მას თან არ ახლდეს, განა არ მიიღებდა შესაფერ ზომებს, რათა ეს ლაქა თავიდან მოეშორებია? მაგრამ ის არც კი ცდილა ამისათვის. ყოველივე ეს კარგათ იცის ფრაქციიდან გასულმა ჯგუფმა ჭუმბურიძის მეთაურობით. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ისინი ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიან კობერიძესთან ერთად. ს.დ. ფრაქციის წევრებს კი განა შეუძლია ამების შემდეგ მიმართოს კომიტეტს, რომელსაც სათავეში უდგას პიროვნება, რომლის ზნეობრივი მხარე საეჭვო არის? და განა ს.დ. ფრაქციას შეუძლია და ნება აქვს ზნეობრივათ, მისცეს ხმა და დასტური კოლონიის წარმომადგენლობისა იმ კომიტეტის, რომლის სათავეში დგას ექ. კობერიძე? ორში ერთი უნდა იყოს; ან უნდა მოხსნას ბრალდება ფრაქციამ კობერიძეს, ანდა მასთან საქმე არ უნდა იქონიოს. ეს ხომ უბრალო კინკლაობა არ არის და არც პირადი ანგარიშებია.

ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვიყავით, რომ კომიტეტის უმრავლესობა მეტ ღირებულებას მისცემდა კოლონიის 22 წევრის ხმას ვიდრე ერთს ლაქა მოცხებულ პიროვნებას, ბ.კობერიძეს. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე არ მოხდა. კომიტეტმა უბრალო ვექილური პასუხი მოგვცა და შემდეგ, 20 მარტს მომხდარ მორიგ საზოგადო კრებას, არც კი მოახსენა

ჩვენი მათდამი მიმართვა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნ.ჭუმბურიძე და რომელიც დღეს მუდმივ მრჩევლათ არის კომიტეტთან.

ამ რიგათ, კომიტეტის მცირედათ უმრავლესობამ კობერიძის, კაჩუხაშვილის და ნ. ჭუმბურიძის მეთაურობით გაუკეთეს „იზოლაცია“ ს.დ. ფრაქციას და მასთან ახლოს მყოფთ. ფრაქციამ გადაწყვიტა, რომ ახალ კომიტეტს გინდ კობერიძის მეთაურობით, ხელი არ შეუშალოს მუშაობაში, თუ კი რაიმე ყალბი ნაბიჯები არ იქნება გადადგმული მის მიერ. მაგრამ ფრაქციამ აუცილებელ საჭიროებათ დაინახა, რათა შეექმნა მისი შესაფერი ორგანო, რომელიც შესძლებდა მისი და მისი მიმდევრების სულიერ და ეკონომიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ეს კიდევაც მოვიდა სისრულეში. ამა წლის 17 მარტს მოხდა კრება, რომელსაც დაესწრნენ ს.დ. ფრაქციის წევრები და მისი თანამოაზრენი. ამ კრებამ გამოაცხადა თავისი თავი ახალი საზოგადოების დამფუძნებლათ. შეიმუშავა წესდება და აირჩია დროებითი გამგეობა. საზოგადოებას სახელათ დაერქვა „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება ჩ-სლ-ში.“

ამ რიგათ, ფრაქციამ და მისმა მიმდევრებმა თავისი ინტერესების დასაცველათ დაარსა ახალი საზოგადოება. რასაკვირველია, ამით ფრაქცია და მისი მიმდევრები არ გამოსულა ჯერ ქართველ კოლონიიდან. ის თვალ-ყურს ადევნებს კომიტეტის მოქმედებას და თუ კომიტეტმა რაიმე არა სასურველი და შეუფასებელი, ჩვენი ინტერესებისათვის, ნაბიჯები გადადგა, ამ დროსთვის ფრაქცია მზათ არის თავისი და ქართველ კოლონიის ღირსებები დაიცვას და არ შეჩერდება იმაზედაც კი, რომ სრულიათ გამოეყოს კოლონიის მცირე უმრავლესობას.

კოლონიის მეორე მხარე იქამდისაც კი მივიდა კობერიძის მეთაურობით, რომ ჩვენი პარტიის საწინააღმდეგოთ ფულები შეაგროვეს და გაუგზავნეს კონსტანტინოპოლში ალიხანოვს, ის ქებით შეასხეს.

ზემო ხსენებულ ჩვენს მიერ ახლათ დაარსებულ საზოგადოებას დიდი სიმპატიით მოეპყრა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა. მან დახმარებაც აღმოუჩინა და შემდეგშიაც პირდება ასეთის აღმოჩენას.

გადაჭრით მოგახსენებთ, რომ მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა ეკონომიურათ არავინ არ დაიჩაგრება. მით უმე-

ტეს, რომ კოლონიის 85% შესდგება სტუდენტებისაგან და თვითოეულ მათგანს აქვს მიჩნეული სტიპენდია ჩეხიის მთავრობისაგან და ამით მათი მდგომარეობა უზრუნველყოფილია. მხოლოთ დანარჩენი 15% კომიტეტზეა დამოკიდბული. ამ თხუთმეტ პროცენტში შედიან ისინიც, ვინც ჩეხიის ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ. როგორც მაგ: პარიზში და ბერლინში. სწორეთ ამ უკანასკნელთ ახალმა კომიტეტმა ნაკლები ყურადღება მიაქცია და ჩვენი ახლათ დაარსებული საზოგადოება იძულებულია გამონახოს საშუალება, რათა ბერლინელებს და პარიზელებს დახმარება აღმოუჩინოს. კიდევაც ჩვენმა საზოგადოებამ გამოუგზავნა მათ აპრილის დახმარება. სწორეთ ამათი დახმარება იყო სადავოთ გამხდარი ჩვენსა და კობერიძის ჯგუფთა შორის.

თქვენ, რომ დარწმუნდეთ იმაში, რომ ძველმა კომიტეტმა ახალს გადასცა საქმეები, ამისთვის გიგზავნით ასლს გადაცემის აქტებისას...

ფრაქციას ყოველი ზომები აქვს მიღებული, რომ კოლონიის რომელიმე წევრი ეკონომიურათ არ დაიჩაგროს.

პრაგის ს.დ. ფრაქციის ბიუროს თავმჯდ.ამხ.დ.ემუხვარი, მდივანი ქრენტი (95,21-23).

### *წერილი კ.კანდელაკს*

***18.5-1924***

ამხანაგო კოწია, გიძღვნი ძმურ სალამს და გისურვებ ჯანმრთელობას და სანატრელს ბარბაროსებისაგან განთავისუფლებულ – სამშობლოში მალე დაბრუნებას ყველა ამის მოტრფიალე ემიგრაციასთან ერთად. სხვა, ჩემო კოწია, ჩვენი საქმე აქ, პრაგაში, თანდათან იხლართება და გამოსავალი ყოველდღე ძნელდება ზოგიერთი ჩვენი ქართველი ამხანაგების წყალობით. რა ვქნათ? – ბოროტი განძრახვით შექმნილი ოპოზიცია ყოველთვის საშიშარი იყო ყოველი პატრიოტისთვის და ჩვენც ეგ გვჭირს. ჩვენი ყოფილი ამხანაგები სათავეში ჩაუდგნენ შავრაზმულად განწყობილ ნაწილს ლტოლვილებისას და იერიში იერიშზე მოაქვთ, მარა ჩვენგან თავდაცვის

მეტს ვერაფერს ხედავენ, რადგან უადგილოდ მიგვაჩნია აქ, უცხოეთში, რამენაირი ბრძოლის გამართვა ურთიერთშორის. მათი ავი ენები და მრუდე კალამი ხვდა აქაური სამინისტროს და თქვენამდისაც და ვინ იცის, რა ჭორებს და ცილისწამებას არ თხზავენ ეს ვაჟ-ბატონები ჩვენ შესახებ. მაგრამ, დაე, ეს ყველაფერი მათ სინდისზე იყოს, თუ გააჩნიათ. სასიხარულოა, რომ აქ სამინისტროში თავისი უტაქტო გამოსვლებით ეს ვაჟ-ბატონები ღირსეულად დააფასეს, ხოლო თქვენ ერთნაირი კომპრომისული ხაზი აიღეთ და გვირჩიეთ კაჩუხაშვილი, კობერიძე და ჭუმბურიძეს შეუთანხმდითო. ნეტა, კი ერთი მათი საქციელი განახათ, რომ თქვენი შეხედულება რადიკალურით გამოცვლილიყო!! გარწმუნებთ ამხ. კოწია, რომ ჩვენი ინფორმაცია, რაც მიიღეთ, მეასედს არ წარმოადგენს იმისას, რაც აქ მოიმოქმედეს ამ ვაჟ-ბატონებმა. მომავალშიც არავართ უზრუნველყოფილი, რომ უარესს არ მოიმოქმედებენ. გვეშინია ზოგიერთების, ყოველ შემთხვევაში, რომ მთელი თავისი ბარგი-ბარხანით საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლობაში არ გადაბარგდნენ და ჩვენი ტრაგედია ამაშია და არ ვიცით, როგორ გადავირჩინოთ თავი ამ უბედურ მდგომარეობისაგან. ჩვენ, ყოველივე „სურპრიზების“ მომლოდინენი, იძულებული შევიქენით „ქართველ მოქალაქეთა დამხმარე საზოგადოების“ შემადგენლობიდან ოფიციალურად გამოვსულიყავით და საკუთარი „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება“ დაგვეარსებინა და ამით ყოველივე მათ გამოსვლებისაგან მოსალოდნელ პასუხისმგებლობიდან თავი დაგვეცვა. ეს ერთი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ იძულებით გადავდგით, რომ ჩვენი წმინდათა წმინდა არავის შეელახა. მეორე ის, რომ ჩვენი ქომაგი ს-დ მ.პ.ცენტრალურ კომიტეტს პრაგაში შევატყობინეთ, რომ მთელი, ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები, ქართველობა თავისი მსოფმხედველობით ს.დ. არ არიან ყველანი და ყველასი საქციელისათვის ჩვენ პასუხისმგებელი არა ვართ. აქაურ ცევას თავიდან წარმოდგენელი ქონდა, რომ ყველა აქ მცხოვრები ქართველობა ს.დ.-ებია ან მისი თანამგრძნობი და თავგამოდებით იცავდა სამინისტროში ჩვენ შუამდგომლობას.

ეს მეორე ნაბიჯი იძულებითი იყო, რადგან 1 მაისის დღესასწაულზე ჩვენი ს.დ. ფრაქცია ჩეხოსლოვაკიის ს.დ. ცევასთან შეთანხმებით გამოვიდა შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „ძირს საქართველოს ოკუპანტები“, ხოლო მთელ ქართველობას შევატ-

ყობინეთ კეთილი ნებით ამ სრულიად მისაღებ ეროვნულ ლოზუნგის ქვეშ შემოკრებილ იყვნენ, მარა სამწუხაროთ ეს არ ინებეს და მარტო ჩვენი ფრაქცია დარჩა. ცევას გაუკვირდა ეს მოვლენა და გვკითხა; რაშია საქმე?- ჩვენ უთხარით: „არ ვიცით, დანარჩენი ს.დ. არ არიან და ვერ დავავალებდითქო." მარა წარმოიდგინეთ, კოწია, რა უხერხული იყო ჩვენი მდგომარეობა ეროვნული თვალსაზრისით!! მგონი ასეთი უხერხული შემთხვევა გვიწევს წინ 26 მაისის – ჩვენი ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნის დროს, რადგან ჩვენი სამართლიანი წინადადება: „შესდგეს ყველა მიმდინარეობათა წარმომადგენლებისაგან 26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისია, პარიტეტულ პრინციპეპზე აგებული", ჯერ-ჯერობით არ მიიღო ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, რომელნიც დაჟინებით მოითხოვენ, რომ ჩვენ დავემორჩილოთ კობერიძე-კაჩუხაშვილებს, ხოლო მათი მოთხოვნა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია და სამწუხაროთ, შესაძლებელია, რომ ჩვენი სამართლიანი წინადადება არ მიიღეს, ცალ-ცალკე მოგვიხდეს ამ ეროვნულ დღესასწაულის აღნიშვნა. ასე და ამ გვარად, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ ქართველი ერის პრესტიჟი დასცენ და გვიკვირს რა მოსაზრებით ჩადიან ამას, ხომ არ ურევია აქ გარეშე ბინძური ხელი?!!

დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთები ბრმა იარაღად გაუხდიათ ამ ვაჟ-ბატონებს და როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ ჯერ-ჯერობით, მაგრამ ვაი თუ იმდენათ ჩაითრიონ, რომ გამობრუნება ძნელი დაურჩებათ...

ირწმუნეთ, რომ ჩვენ პასუხისმგებლობას ვღებულობთ ჩვენ თავზე ყოველი ჩვენი ნაბიჯებისათვის, ხოლო მოწინააღმდეგენი – რა მოგახსენო? მომავალი გვიჩვენებს. სალამი ამხანაგებს.

დიმიტრი ემუხვარი (96,11-14).

საქართველოს სოც. დემ. პარტიის უცხოეთში მყოფ ცენტრალურ ბიუროს

17 ივნისი 1924 წ. ქ. პრაგა

პრაგის სოც. დემოკრატიულმა ორგანიზაციამ პარტიულ სამართალში მისცა სამი თავის წევრი. ორგანიზაცია ფიქრობდა, რომ სამართალში მიცემული წევრები, როგორც საზოგა-

დოთ არის მიღებული ყოველგან, დაუცდიდა სასამართლოს განაჩენს და შემდეგ გადადგამდა ამა თუ იმ ნაბიჯს. ესენი კი ასე როდი მოიქცენ. სასამართლოს შედგენამდე გავიდენ ორგანიზაციისაგან და დააარსეს აქვე ცალკე ჯგუფი „სოც.დემოკრ. ჯგუფის" სახელით. პრაგის ორგანიზაციამ მიღო თავის მხრივ საჭირო ზომები, რომ ყოველივე ეს მოეგვარებია თავის საკუთარი ძალებით, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. და ბოლოს, როცა აქ ჩამოვიდა ამხ. კარლო ჩხეიძე, ორგანიზაცია შეეცადა მისი საშვალებით და დახმარებით მოეხდინა ამ საქმის ლიკვიდაცია. ორგანიზაცია თანახმა იყო გაერჩია და გაესაჯა ყოველივე თუ გინდ მარტო ამხ. კარლოს. ამხ. კარლომ გამართა მათთან მოლაპარაკება და გადმოგვცა მათი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებას ითხოვდნენ ორგანიზაციაში ისევ დასაბრუნებლათ. ორგანიზაციის წარმომადგენლები მაშინვე დაეთანხმენ და განუცხადეს ამხ. ჩხეიძეს, რომ მათი მოთხოვნა იმ სახით და იმ ფორმით, როგორც ეს მან (კარლომ) გადმოსცა სავსებით იქნება დაკმაყოფილებული. მოსალოდნელი იყო, რომ ამით თითქოს შესაძლებელი იქნებოდა ორგანიზაციაში ყოფნა და იქ ამა თუ იმ ფორმით ლიკვიდაცია არსებული ურთიერთობის. სამწუხაროთ ეს არ მოხდა. ისინი შერჩენ მათ მიერვე წამოყენებულ წინადადებებს და ჩვენი თანხმობის შემდეგ სხვა ისეთ რამეებზე იქნეს ლაპარაკი, რომელიც ნათლათ ამტკიცებდა, რომ მათ არ სურთ საერთო ორგანიზაციაში ყოფნა და საერთო მუშაობა. ეს უკანასკნელი მოლაპარაკება მოხდა ამხ. კარ. ჩხეიძის თანადასწრებით და დარწმუნებული ვართ ის დაადასტურებს, რომ ჩვენ სავსებით დავეთანხმეთ და მივიღეთ ის წინადადება, რომელიც მან (კარლომ) გადმოგვცა.

ამრიგათ, რაკი მოლაპარაკებით, წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, არ მოხერხდა არსებული სიტუაციის ლიკვიდაცია, პრაგის სოც.დემოკრ.ორგანიზაციას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია მოგმართოთ თქვენ განსაზღვრული ბრალდებებით თავის ყოფილი წევრების წინააღმდეგ და ითხოვს თქვენგან შესაფერ დადგენილებათა განკარგულებას.

1924 წ. იანვრის 31. პრაგის სოც. დემოკრ.ორგანიზაციამ, იქონია რა მსჯელობა „ქართველ მოქალაქეთა დამხმარე კომიტეტის" მუშაობის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „პარტიის ს.დ. ორგანიზაციამ მოისმინა რა პრაგაში მყოფ

ქართველ მოქალაქეთა დამხმარე კომიტეტში მივლინებული ამხანაგების მუშაობა მათი 8 თვის მოღვაწეობის შესახებ – იწონებს მას, უცხადებს თავის მხრივ მადლობას და გადადის შემდეგ საკითხზე“ (რეზოლუცია მიღებულია ყველა ხმებით სამის წინააღმდეგ ოთხს-კომიტეტში მომუშავე ამხანაგებს, ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია). ამავე სხდომაზე ორგანიზაციამ აირჩია სპეციალური კომისია სამი პირისაგან შემდგარი, რომელთა შორის იყო ნიკოლოზ ჭუმბურიძე და რომელსაც დაავალა ზემოთ მოყვანილი რეზოლუციის მომავალ საზოგადო კრებაზე წარდგენა და დაცვა.

ნიკ.ჭუმბურიძე მოვიდა საზოგადო კრებაზე, მაგრამ არამც თუ არ მიიღო მონაწილეობა ორგანიზაციის პოზიციის და რეზოლუციის დაცვაში და თანახმად დავალებისა საერთო ხელმძღვანელობაში, მაშინაც კი განზე გადგა, როცა სრულიად შეუწყნარებელ ფორმით და ბრალდებით თავს დაესხნენ.

საერთოდ ჩვენს პარტიას და ჩვენს მთავრობას. კენჭის ყრის დროს კი ხმა მისცა არა ორგანიზაციის რეზოლუციას, არამედ მოწინააღმდეგეთა რეზოლუციას, რომლის შედეგი შეიქნა ჩვენი პარტიული ამხანაგების უმრავლესობისაგან შემდგარი კომიტეტის გადაყენება და არჩევა ახალი კომიტეტის კობერიძის მეთაურობით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აქაურ განხეთქილებას და გახდა წყარო ყოველივე იმ ცუდი მხარეებისა, რომელსაც ადგილი ქონდა და აქვს პრაგის კოლონიის ცხოვრებაში.

კ. ჭუმბურიძესთან ერთად ხმა მისცეს ორგანიზაციის წინააღმდეგ კიდევ ივლიანე ჯანჯღავამ, სილიბისტრო მაღნარაძემ და შ. მაღლაკელიძემ. სწორეთ ამ ოთხი ხმით გავიდა მოწინააღმდეგეთა რეზოლუცია, რომელმაც მიიღო 23 ხმა, ორგანიზაციის რეზოლუციამ-19. მოხსენებულ ოთხ პირში ორგანიზაცია შ. მაღლაკელიძეს არ აძლევს სამართალში, რადგანაც ის საზოგადო კრების წინა დღეებში ოფიციალურათ გავიდა ორგანიზაციიდან და მაშასადამე ორგანიზ. მოკლებულია ფორმალურ საშუალებას გაასამართლოს ის, როგორც წევრი ორგანიზაციისა.

შარშან, ნოემბერში, პრაგაში მოვიდა ცნობა, რომ ქართულ „კომუნისტში“ გამოცხადებულია, რომ ჭუმბურიძე ექვსი თვეა რაც აღარ იზიარებს მენშევიკების ცენტრის ხაზს, ტაქტიკას, სდგას თავისთვის და სხვადასხვა. (ეს ნომერი „კომუნის-

ტისა“ მას აქვს) მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციაში იყო ამის შესახებ შეკითხვა, მას დღემდის არ უარყვია ეს ცნობა. მხოლოთ ახლა, კ. ჩხეიძისგან გავიგეთ, რომ მას თითქოს გამოუგზავნია ცენ.ბიუროსათვის უარმყოფი წერილი და ითხოვს მის გადაგზავნას საქართველოში. ჩვენ არ გვინახავს ეს წერილი და არც ვიცით მისი შინაარსი ან როდისაა გაგზავნილი (თუმცა საქართველოში მისი გაგზავნა მასაც შეეძლო დამოუკიდებლათ), მარა როგორიც არ უნდა იყოს მისი შინაარსი, ორგანიზაციას აუცილიბელ საჭიროთ მიაჩნია ამ ცნობის უარყოფა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ აქაც, უცხოეთში და ამიტომ გადაჭრით ითხოვს მოთხოვოთ კ. ჭუმბურიძეს უარყოფა ამცნობოს რომელიმე გაზეთის საშვალებით უცხოეთში. ორგანიზაციას მიაჩნია რა ყოვლათ დაუშვებლათ არსებობა ორი ორგანიზაციისა ერთი და იმავე სახელით და პროგრამით დაბეჯითებით გთხოვს განკარგულებას – გაუქმებულ იქნას კ.ჭუმბურიძის ჯგუფი, რომელიც მოქმედებს ს.დემ.ორგან. სახელით და დროშით და რომელიც აღმოცენდა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი მიცემულ იქნენ პარტიულ სამართალში, მით უმეტეს, რომ ეს სასამართლო ჯერ არ შემდგარა და, მაშასადამე, წამოყენებული ბრალდებები ისევ ძალაშია.

ამხანაგური სალამით პრაგის ორგანიზაციის ს.დ ბიურო: დ. ემუხვარი. ვ. ქღენტი (97).

Письмо Иосифу Салакая! (Председателю грузинской эмиграции в Польше)

До нас дошли слухи, что в Варшаве некоторые наши соотечественники распространяют сведения будто Гр. Аиолло, следуя указаниям грузинских соц-дем. рабочей партии, подписал составленный русскими социалистами-революционерами проект, на основании которого Грузия входит в Россию, как единица.

Мы нашли необходимым поставить Вас, как представителя нашей партии в Польше, в известность относительно того, что в действительности происходит между нами и русскими социалистами – революционерами.

В конце октября прошлого года, член Заграничной делегации Партии социалистов В.Я. Гуревич прочитал в Праге публичный доклад о формах решения национального вопроса на Востоке Европы. Его точка зрения заключалась в том, что этот вопрос чреват самыми ужасными кровавыми последствиями, если не будет найдена приемлемая для всех национальностей платформа мирного разрешения его. Докладчик указал, что только социалисты всех национальностей такую платформу и могут выработать, причем в основу ее он предлагал положить безоговорочное признание полной госуд. самостоятельности Армении, Грузии, Белоруссии и Украины, и безусловного предоставления самим этим государствам с кем угодно и как угодно сговариваться, относительно разрешения вопросов межгосударственных взаимоотоношений. Приблизительно такое же заявление сделал позже В. Чернов на одном собрании, где присуствовали официальные представители чешских социал. демократов.

Позиция Гуревича-Чернова, главным образом касательно Украины и Белоруссии произвела громадное впечатление, как на русские, чешские, так и на украино-белорусские круги. До сих пор русские, в том числе и социалисты не хотели слышать о самостоятельных Украине и Белоруссии. На почве заявлений Гуревича – Чернова внутри эсеров возникли сильнейшие трения ...Народные социалисты сочли необходимым выпустить известного знатока украинского вопроса проф. Мякотина с рефератом противоположным докладу Гуревича. Вам, вероятно, известно, что Мякотин прочитал свой реферат в Праге и повторил его в Париже. Словом, грянул бой по вопросу об Украине и Белоруссии.

Мы слышали доклад Гуревича. От нас выступил в прениях Гр. Аиолло, который отметил новую тенденцию у русских с-.р.в сторону понимания неизвестности возникно-

вения вместо России ряда совершенно независимых государств.

Вскоре после доклада, Гуревич выдвынул проект организации Социалистической Лиги Мирного Разрешения Национального вопроса на Востоке Европы. Предварительную комиссию по созданию указанной лиги, и разработки предложенного Гуревичем платформы, пригласили и нас и мы в эту Комиссию вошли персонально точно также, как и все ее участники.

Но представленный Комиссии устав Лиги нас не удовлетворил по многим соображениям, из которых укажем только три: Азербайджан, Узбекистан, Туркмения и Горская Республика не наделялись такими правами, что и Армения, Грузия, Украина и Белоруссия. 2. Устав находил статус КВО СССР, что абсолютно неприемлемо. 3. В Уставе там явно проскальзывала федералистическая тенденция.

Мы задались целью устранить указанные дефекты и принудить Гуревича-Чернова окончательно принять требования национальностей о полной независимости от какой бы то ни было России и заставить их бороться в этом направлении с своей собственной общественностью. Эту линию мы проводим, принимая участие в работах предварительной Комиссии. Обсуждение Устава ведется уже несколько месяцев и еще не закончено. Никаких «Соглашений» не было и никто никаких «договоров» не подписывал. Мы полагаем: если нам удасться достичь в Комиссии положительных для нас, и конечно, для всех стремящихся к государственной независимости национальных формулировок, то это приведет к привлечениию в наш лагерь Группы русских социалистов, голос которых имеет важное значение в Интернационале и наша борьба за независимость получит подкрепление с неожидаемой стороны; если же в Комиссии будут принимать хоть в малейшей

степени неприемлемые для нас положения, затрагивающие прямо или косвенно наши национально – государственные интересы, мы немедленно уйдем оттуда, сделаем соответствующее мотивированное заявление, из которого будет явствовать, что великодержавничества не могут избавиться...

Повторяем, никаких договоров и соглашений не подписывалось и не заключалось, тем более, что без санкции руководящих органов никто не может их подписывать или заключать. Мы удивляемся поведению тех лиц, которые распространяют заведомо – ложные сведения на основании непроверенных данных, исходящих из анонимных сомнительных источников.

Очевидно, деятельность грузинской социал-демократии стоящей на страже интересов грузинского народа, и пользующейся его доверием кой кому не дает спать. Не имея возможности прямо бороться с грузинской социал. демократией, эти кое – кто действуют старым, испытанным орудием – клеветой, от которой еще по удостоверению героя Бомарше – дона Базилио «Всегда чтонибудь остается».

Прага. 26 Марта1927.

Подписи: Аиолло, ***Эмухвари***, Карцивадзе. С подлинным верно Н. Рамишвили. (98, 2-4).

*Инициативную группу*

По организации Социалистической Лиги разрешения национального вопроса на Востоке Европы.

Мы получили измененный текст основных положений проекта платформы социалистической Лиги мирного разрешения национального вопроса на востоке Европы . Изучив его, мы пришли к заключению, что все-таки остаются еще много положений, которые или решительно не со-

ответствуют нашим взглядам, или изложены весьма расплывчато, неопределенно и двусмысленно.

Так нас, между прочим, не удовлетворяют:

Указание вступления о необходимости непонятной «интернационализации » международных отношений;

Заявление об интернационализации известных пунктов и зон, как дающее повод для подозрения со стороны малых и слабых народов великодержавничества сильных наций;

Исключение замечания о преобразовании Лиги Наций на основах, предлагаемым международным Рабочим Социалистическим Интернационалом, хотя некоторые из этих основ, без упоминания об Интернационале, подробно перечисляются;

Невключение Горской Республики в число государств, которые рассматриваются как свободные и самостоятельные, хотя при обсуждении этого вопроса большинство Инициативной группы постановило установить Горскую Республику наряду с Российской Федерацией, Украиной, Белоруссией, Грузией, Армениией, Азербайджаном и Туркменской Республикой;

Сохранение института Союзного трибунала, решения которого обязательны, института, предложенного в первоначальном проекте платформы, когда автор исходил из статус кво СССР и потерявшего всякий смысл после того как Инициативная группа отвергла этот статус КВО;

Наконец, исключение из политических условий мирного разрешения национального вопроса, признания необходимости создания в СССР и заграницей фронта для борьбы с большевизмом, фашизмом и реакцией и скорейшей ликвидации в СССР большевицкого правительства.

Почти пять месяцев в целях создания Лиги мы принимали участие в предварительных работах Инициативной Группы, по персональному признаку из социалистов

различных направлений, воззрений и народностей востока Европы. Глубоко сочувствуя идее мирного разрешения здесь больного национального вопроса, мы полагали, что социалистам скорее всего удастся как то найти общую почву, так и наметить правильный путь для осуществления этой высокой идеи. Но в течение всего времени обсуждения, предложений Инициативной Группой наметились три точки зрения – русских социалистов-революционеров, украинских социалистов – революционеров и грузинских социал – демократов. Эти три точки зрения пытались между собою примирить компромиссными формулировками основных положений платформы. Формулировки условно принимались простым большинством голосов; но так как большинство всегда было случайное, в зависимости от присуствия или отсуствия тех или иных членов Группы, то в одном торжествовала одна точка зрения, в другом – другая, в третьем – третья. В результате, положенный в основу обсуждения проект Гуревича, оказался так переработанным, что никого не удовлетворил.

Теперь, по всей вероятности, предстоит новое обсуждение нового текста, ибо какое либо соглашение о платформе Лиги должно основываться на единогласии. Опыт показал, что этого не добиться. Затрачивать же снова несколько месяцев на безконечные взаимные споры – напрасный труд. Мы думаем, что вопрос об организации такой Лиги, очевидно еще не созрел. Кроме того, необходимо, чтобы его обсуждали социалисты, хотя и разных воззрений, но и примыкающие к одному социалистическому направлению, поскольку это направление выражается Международным Рабочим Социал. Интернационалом. Тогда, в крайнем случае, можно было бы аппелировать к этому верховному органу и постараться с его авторитетной помощью сгладить все острые разногласия.

Поэтому наше дальнейшее участие в заседаниях Инициат. Группы представляется нам излишним и настоящим заявляем, что из состава ее выходим и за дальнейшую ее деятельность не отвечаем.

Прага. 31 Марта 1927 г.

Подписи: Аиолло, Эмухвари, Карцивадзе. С подлинным верно Н. Рамишвили (99).

ქართული ემიგრაციის პრაღის პერიპეტიებზე მეტყველებს შემდეგი დოკუმენტიც:

**გამგეობის მოხსენება**

8 აგვისტო 1931 წელი ქ. პრაღა

9 წლის ისტორია აქვს ქართულ ემიგრაციას პრაღაში. ეს დრო სავსეა გაჭირვებით, კრიზისებით, შეხლა- შემოხლით სხვა და სხვა მისი ნაწილების და პირების.

ასეთია ისტორია შავბედი ემიგრაციის ყველა დროის.

ერთი რამ კი მანათობელ ვარსკვლავივით მოსჩანს ამ საერთო ფონზე, განუწყვეტლივ ჩვენი ეროვნული ბრძოლის გამათავისუფლებელი დროშა ამ ხნის განმავლობაში იყო ადგილობრივ საიმედო ხელში და ყოველნაირი ცდა ამა თუ იმ ხანაში ამა თუ იმ ჯგუფის ამ დროშის გამოგლეჯის და მის დაშვების ამაო იყო. დიახ, ასე იყო დღემდის და ეჭვ გარეშეა ასე უნდა დარჩეს ბოლომდის, სანამ ერთი შეგნებული პასუხის მგებელი ქართველი დარჩება აქ.

სწორეთ ამ გარემოებამ ათქმევინა სხვათა შორის წელს 26 მაისს ჩვენს ეროვნულ საზეიმო სხდომაზე ერთ თვალსაჩინო მებრძოლს დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის შექმნისათვის დღევანდელ მისი სენატის თავმჯდომარეს დრ. სოუკუპს: „მე თავს ვიხრი თქვენი შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლის წინაშე, თქვენ დაჯინებით დგეხართ ერთხელ არჩეულ პოზიციაზე. მე გავიცანი ზოგი ქართველები აქ და მათთან შეხვედრა და ამის მოგონება ერთი საუკეთესო ფურცელ

თაგანი იქნება ჩემი სიცოცხლის, შთამომავლობიდან შთამომავლობაში გადავა ეს თქვენი ბრძოლის ამბავი.“

ასეთი აზრი ჩვენს ადრესზე უნდა ჩაითვალოს მებრძოლი ქართველი ერის ანგარიშზე და სანამ სული პირში გვიდგია უნდა ვეცადოთ ეს აზრი ურყევი დარჩეს ჩვენს მეგობრებში.

ამ 9 წლის განმავლობაში არა ერთი მოღალატე გამოვიდა ჩვენს წრიდან, გვშორდებოდნენ სხვა და სხვა მოტივებით, მაგრამ მათი უმრავლესობის ერთი საერთო მისწრაფება იყო, გადაბარგულიყვნენ საბჭოთა საქართველოში, რათა შეერთებოდნენ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ დესპოტებს. უძლურნი იყვნენ ისენი აქ რაიმე ზიანი მიეყენებიათ ჩვენთვის, თუმცა ვერ დავმალავთ და ეს უნდა ვთქვათ, ერთ დროს ეს დაკარგული ხალხი წარმოადგენდა საგრძნობ ძალას ჩვენი ემიგრაციისას პრაღაში. გვშორდებოდენ ისინი და იმდენათ დიდათ გრძნობდენ ჩვენს მორალურ ძალას და ზიზღს მათდამი, ზოგი დიდი ხნით გვემალებოდენ, ისვრებოდნენ ბოლშევიკების წუმპეში, სვრიდენ ერთმანეთს, მაგრამ ვერ ბედავდენ ჩვენ გასვრას, ჩვენი ციხის შიგნიდან გატეხას. ამაში იყო ჩვენი ძალა გამარჯვების მომცემი და გაჭირვების ამტანი.

ეხლა კი გულახთილათ უნდა ვთქვათ რომ აღმოგვიჩნდა სხვა ხარისხის და ჯიშის მტერი ჩვენი ადგილობრივი საქმეების, ნებით თუ უნებლიეთ ციხის შიგნიდან გამტეხი, უპასუხმგებლო ინტრიგანი, მაგრამ იტოგში უსათუოთ მავნე პიროვნება, რაც ვერ მოახერხა აშკარა ბოლშევიკებმა ამის მოხერხება სურს ამ პიროვნებას გახვეულს მებრძოლი ს.დ. ქურქში.

ქღენტი დღიდან აქ ჩვენი დაბინავებისა არის მუდმივი წევრი ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების ხან ამრჩევლის ხან არჩეულის როლში. მუდამ მოუსვენარი, ხან ერთი მოქმედი პირი ყავს ამოჩემებული ხან მეორე იმის და მიხედვით ვინ როდის უფრო ენერგიულათ ეღობება წინ მის პიროვნულ განზრახვებს. ლანძღვა გინება, ცალ ცალკე მოლაპარაკებით დაეჭვიანება მის მიერ ნიშანში ამოღებულისადმი. ესაა მისი ხელობა – სტიქია უფრო სწორეთ რომ ვთქვათ.

5-6 წლის წინეთ ერთი რიგი ჩვენი საზოგადოებიდან გასული პირები აცხადებდენ, ვტოვებთ მას იმიტომ, რომ ვერ უძლებთ მის რეჟიმს, სხვებს კი არ გინდათ ის ალაგმოთო. ვერ ვიტყვით რომ ყველა ისენი ბოლშევიკებს მიეკედლენ.

სრული ობიექტივობით უნდა აღვიაროთ რომ საზოგადოთ ამ წლების განმავლობაში ჩვენ როგორც გამონაკლისი, გვახსოვს ისეთი გზები, რომელიც დათავებულიყოს მშვიდობიანათ, ნორმალურათ. საერთოთ კი ქლენტი უსათუოთ ვინმესთან ახდენდა ჩხუბს, დავიდარაბას, დაუწყებდა ლანძღვაგინებას და ხშირათ მუქარა და წაწევ-წამოწევას. ვიშლებოდით მოწამლული და მხოლოთ ყოველთვის ერთი და იმავე ქლენტის პიროვნების მიზეზით. ვითმენდით ამას, მიგვქონდა ეს ჯვარი მანამ სანამ შესაძლებელი იყო მისი ზიდვა.

18 ივლისის 1931 წლის კრებაზე მისი გამოსვლა კი არის ის წვეთი, რომელმაც გაავსო მოთმინების ფიალა.

ხსენებულ დღეს შესდგა საერთო კრება საზოგადოების, სადაც ერთათ ერთი დღის წესრიგი იყო-მოსმენა გამგეობის მოხსენების საზოგადოებაში შექმნილი არა ნორმალური მდგომარეობის შესახებ. ეს მოხსენება დაწერილია და ინახება დღესაც. სრულიათ ლოიალური, ამხანაგური ტონით ის არკვევდა შექმნილ მდგომარეობას და მიმართავდა ზოგიერთ წევრებს გამსჭვალულიყვნენ პასუხის მგებლობის გრძნობით და ხელი ხელ ჩაკიდებული ემუშავათ უმრავლესობასთან ერთათ საკეთილდღეოთ, როგორც მთელის ისე ცალ- ცალკე მისი წევრების.

ქლენტმა წამოაყენა საკუთარი დღის წესრიგი – დაუშვებელი საქციელი ყოველნაირ სერიოზულ ორგანიზაციაში. მოითხოვა გამგეობის მოხსენების სრულიათ მოხსნა, უკიდურეს შემთხვევაში მისი უკანასკნელ საკითხათ მოქცევა. კრებამ მიუთითა მას ამის შეუსაბამობაზე და ნიშნათ კომპრომისისა მის მიერ შემოტანილი საკითხები შეიტანა დღის წესრიგში გასარჩევათ შემდეგ გამგეობის მოხსენებისა (დაწვრილებით იხ. ოქმი 18 ივლისის 1931 წლის).

ამის შემდეგ სრულიათ მოულოდნელათ ქლენტმა განაცხადა – ამ საზოგადოების წევრების პოლიტიკურ პატიოსნებაში შემაქვს ეჭვი და არ ვენდობი მათ პოლიტიკურათო. განაცხადა რა და დასტოვა კრება და არ მოისურვა არავითარი განმარტების მოცემა, არც კონკრეტიზაცია. თვისება ყოველგვარი ინტრიგანის, წამოისროლოს უპასუხისმგებლო ბრალდებები და შეიტანოს არევ-დარევა შეკავშირებულ რიგებში, იგულისხმება როგორც საუკეთესო საშვალება ყოველნაირ ორგანიზაციის დასაშლელათ. ვიცნობთ რა ჩვენ ყველა ერ-

თმანეთს და გვაქვს საერთო ნდობა, როგორც საკუთარი თავის, ჩვენ აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა. ჩვენ გვინდოდა მხოლოთ ტყუანს კარამდის მივყოლოდით და დაუყოვნებლივ იმავე დღესვე გაუგზავნეთ მას ექსპრეს-დაკვეთილი წერილი, რათა სამი დღის განმავლობაში დაესახელებია საეჭვო პიროვნება და აღენიშნა მხოლოთ ბრალდების ხასიათი.

გავიდა დანიშნული ვადა, ქღენტი არ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს, ალბათ, იმის მოლოდინში, რომ ჩვენ ერთმანეთს დავერევით და ამღვრეული წყალი მას ხომ გამოადგება.

ტყუილი ოცნებაა ეს მისთვის. დღეს ჩვენ, პრაღაში მცხოვრები ჩვენი საზოგადოების წევრები – ქართველი ემიგრანტები შეკავშირებული ვართ იმ ცემენტით, რომელსაც სახელათ ეწოდება ქართველი მებრძოლის სისხლი და ვერავითარი ცდა მას ვერ დაშლის.

ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე დ. ემუხვარი, წევრები: ვ. ინწკირველი, დ. ღოღობერიძე.

დედანთან სწორია: გამგეობის მდივანი დ. ღოღობერიძე

მოხსენების ასლი და მიღებული რეზოლუცია ეგზავნება საქართველოს სოც.დემ.საზღვარ გარეთულ ბიუროს ცნობისათვის.

17 აგვისტო, 1931 წელი (100).

1931 წლის 28 ნოემბერს საქართველოს სიციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უცხოეთის ბიუროს დადგენილებით გაიმართა პარტიული სასამართლო, პარტიის პრაღის ორგანიზაციის შესაბამისი დადგენილებით, მისი ბიუროს სახით და შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე – კ.გვარჯალაძე, საზღვარგარეთის მიერ დელეგირებული და უფლებამოსილი, პარტიის წესდების ჩარჩოებში გამართოს პარტიული სასამართლო.

სასამართლოს წევრები – გ.აიოლო და მ.უბირია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პრაღის ორგანიზაციის წევრები.

*Предмет разбирательства и компетенция суда*

Как явствует из приложенной переписки, первоначальным поводом к составлению Партийного Суда было распространение Леонтием (Виктором) Жгенти – устно и письменно – слухов о том, что в руководящих органах Пражской партийной организации и в Обществе грузин – эмигрантов в Чехословакии имеются советские агенты. Коль скоро это обвинение было конкретно сформулировано (т.е. Жгенти предварительно заявил т. Председателю, а потом подтвердил и суду, что он обвиняет т. Арзакана – Дмитрия Эмухвари и Емельяна Ломтатидзе в том, что они являются агентами Советской власти СССР), – предметом партийного суда делается рассмотрение основательности указанного обвинения с соблюдением гарантий процессуальной техники и вынесение виновной стороне приговора, соответствующей тяжести предъявленного обвинения.

Жгенти изложил суду следущее: Приблизительно в конце мая 1930 года, некий Г. Гамкрелидзе сообщил ему, что Георгий Такаишвили является советским агентом, получает ежемесячные деньги от Советской Миссии в Праге, имеет два паспорта (советский и эмигрантский), что обнаружилось случайно в присуствии некого украинца Коваленко. Такаишвли предложил 2.000 чешских крон какому – то студенту – борцу, фамилию студента не помнит), если он взломает квартиру Е. Ломтатидзе и похитит находящиеся там документы. Узнав обо всем этом, Жгенти немедленно предупредил Е. Ломтатидзе, отчасти и по той причине, что принимая во внимание враждебное отношение и угрозы Такаишвили по отношению к самому Жгенти, последний инстиктивно опасался возможной компроментации его личности, в случае действительного взлома квартиры. С этого времени он заинтересовался делом Такаишвили и

начал самостоятельно производить о нем розыски и расследования. Через некоторое время (дату не помнит) он встретил в Земгоре одного русского (имени Жгенти не называет) и разговорился с ним о политических вопросах, в частности, о политической зрелости и активности грузин и инертности русских. «Русский» заявил Жгенти: «Что вот вы, грузины, кичитесь своей политической устойчивостью и активностью, а между тем и у вас имеются немало изменников и агентов Советской Власти». На высказывание Жгенти предположение, что он (русский) имеет, вероятно, в виду Такаишвили тот ответил:

– Что Такаишвили агент – всякий знает ... Я имею в виду более крупную фигуру в Пражской колонии грузин.

После долгих выпытываний и упрашиваний «русский», наконец, согласился представить Жгенти документ, о несомненности устанавливающий правильность выставленного им обвинения против «более крупной фигуры в Пражской колонии грузин», но представить под условием торжественно данного честного слова, что доверенную тайну никому не выдаст без предварительного на то согласия. Это требование выставилось «русским», потому что его группа занимается – из идейных побуждений – для предотвращения разложения эмиграции, политическим сыском; она открывает прямых и косвенных советских агентов; если же Жгенти обещанный ему документ сделает достоянием гласности, то это может прервать тщательно законспирированные агентурные связи с архивом Советской Мисси в Праге.

Приблизительно в конце октября 1930 года « русский» передал Жгенти обещанный документ сначала на 2 дня, потом на неделю, но Жгенти удалось его оставить у себя и по сей день. Этот документ Жгенти и передает суду. Он является фотографическим снимком с письма следущего содержания: В Полномочное представительст-

во СССР в ЧСР прилагая при сем расписку Председателя Грузинского общества в Праге гр. Д. Эмухвари о получении им от меня причитающихся ему за оказанную услугу денег, сообщаю, что полученная им сумма (800 крон) является последней (Прага, 27 апреля 1929 года).

После получения этого документа вопрос Такаишвили для Жгенти отошел на второй план и он занялся расследованием более важного дела Эмухвари, с соблюдением необходимой тайны о деле, до полного его раскрытия. В начале лета настоящего года Жгенти встретил случайно г. Галагана и на вопрос о Зозуле тот ответил, что знает его еще из Киева.

Да его знают, – прибавил он, – и Ваши грузины, например Ломтатидзе, который и передал мне, по видимому, украденные у Зозули два доклада в Советскую Миссию о состоянии украинской эмиграции, каковые документы изобличают в нем первостепенного советского агента. Эти доклады самим Зозулей и подписаны.

Жгенти крайне заинтересовался докладами Зозули с его собственоручной подписью и пожелал их получить, чтобы сличить подпись Зозули на докладах с его подписью на фотографическом снимке.

Галаган отказался выпустить из рук своих доклады Зозули, то Жгенти прибег к посредничеству Г. Айолло и под поручительством последнего ему удалось заполучить указанные доклады и он представляет Суду. По его мнению подписи сходны.

Это обстоятельство еще более усилило его подозрения. Он начал оглядываться на прошлое и многие действия, факты и эпизоды из жизни А. Эмухвари получили в его глазах новый смысл и значение. Такого рода косвенными доказательствами ему кажутся следующие факты:

1. Провал Ив. Карцивадзе. После отъезда из Праги, Карцивадзе, по пути, в Грузию, прислал Эмухвари

сигары и папиросы из Германии, каковые и были розданы т. Айолло и другим. Значит, Эмухвари знал, вероятно, целый маршрут Карцивадзе, а выводы ясны...

2. Фотография советского комиссара. Когда Жгенти жил в одной комнате с Эмухвари, последний получил фотографию своей семьи, снявшейся вместе с Советским Комиссаром Абхазии (как в последствии оказалось Николаем Акиртава). Такая близость Жгенти показалась подозрительной.
3. Печатные доклады Зозули, которые Галаган получил от Эмухвари для ознакомления, по версии Эмухвари – Ломтатидзе были выкрадены в принадлежащем нашему эмигрантскому обществу ресторане «Колхида» из портфеля, оставленного здесь Зозулей. Эта версия о краже Жгенти кажется неправоподобной; он склонен думать, что Зозуля – активный советский агент – сознательно передал эти документы Эмухвари–Ломтатидзе, вполне определенным планом посеять раздор и разломать украинскую эмиграцию – группу Шаповала-Григорьева на приверженцев Петлюры и обратно.
4. Заявление Чхиквадзе. Приблизительно в начале 1928 года член Пражской организации С.Д.Р.П. Грузии Чхиквадзе, с возмущением заявил Жгенти, что он, Чхиквадзе, не имеет денег на самое необходимое, а Председатель общества – эмигрантов – Эмухвари послал через сменовеховца Джанджгава около 1000 чешских крон своей семье в Сухуми.
5. Отказ принять Н. Долидзе в члены Общества грузин – эмигрантов в Праге. В 1930 году социалист Н.Долидзе обратился с письменным заявлением о приеме его в общество эмигрантов- грузин

в Праге. В приеме ему отказали и отказ Эмухвари – Ломтатидзе мотивировали тем, что грузинская эмигрантская ассоциация в Праге будет в скором времени закрыта и ликвидирована. Этот факт, думает Жгенти, свидетельствует о желании разъединить, расколоть и, наконец, ликвидировать грузинскую политическую эмиграцию в Праге.

6. Столкновение Жгенти с Эмухвари. О том же свидетельствует следующий эпизод: На первом заседании партийной организации после отъезда И.Карцивадзе было избрано новое Бюро. В конце собрания Эмухвари внес предложение выразить порицание старому составу Бюро (а фактически Жгенти) за выдачу незначительной денежной суды Чхиквадзе. Жгенти, тогда возразил, что Эмухвари, в свое время, совершил более недопустимое действие, ссудив несколько сот крон не члену организации – Лади Эмухвари.
7. Эмухвари, по словам Жгенти, натравливает одних членов Партийной организации на других.Так, в разговорах с Галаганом он оскорбительно отзывался об Айолло, не по-товарищеский он также отзывался об Инцкирвели. Все это, усиливает подозрения Жгенти, что Эмухвари – агент Советской власти и оказывает здешней Миссии услуги. Но он не убежден в этом, если бы в этом был совершенно убежден, то заявляет Жгенти:

Я не обратился бы в суд. Я разрешил бы этот вопрос сам иначе...

Вопросы Арзакана Эмухвари.

А.Эмухвари спрашивает Жгенти об источниках фотографического снимка «документа» и просит назвать того «русского», который передал его ему.

Жгенти отвечает, что это он ответит только суду.

Эмухвари: Почему сфотографировали только предпроводительную бумагу Зозули. а не мою расписку, якобы к нему приложенную?

Член суда Убирия: Как видно из содержания документа, приложенная к нему расписка Эмухвари была «последней»; надо полагать перед этим их было несколько; Почему же хоть один раз не посвятили *всего* внимания именно расписке и не сняли ее?

Жгенти : Не могу знать

Эмухвари (к Жгенти): Знаете ли Вы лично Зозулю?

Жгенти: Не знаком, не знаю его.

Эмухвари: Сообщили ли Вы Галагану для какой цели вы интересуетесь докладами Зозули за его собственоручной подписью и для чего вам нужны эти доклады?

Жгенти: Нет, я об этом никому не сообщал.

Эмухвари: В конце мая 1931 года у меня были переговоры с Лория и Жгенти по делам нашего общества в ресторане (под Градом). Там, в разговоре с Жгенти, последний заявил мне: «Вы старый работник, я Вам вполне доверяю, только Вы, Эмухвари, допускаете большую ошибку доверяя  Ломтатидзе. Так вот в это время, имел уже Жгенти подозрение, что я советский агент?

Жгенти: Эмухвари я тогда сказал, что он старый работник и несет больше ответственности. Подозрение на него я уже имел.

Эмухвари: Кто Вам показал карточку моей семьи, снявшейся с Николаем Акиртава, и письмо, не я ли?

Жгенти: Да, Вы показали.

Член суда Айолло (к Эмухвари): Писали ли Вы расписку, якобы приложенную к предпроводительной бумаге в Полномочное Представительство СССР?

Эмухвари: Никогда!

Айолло: Следовательно, Вы утверждаете что этот документ фальшивый?

Эмухвари: Он с самого начала до конца сфабрикован.

Айолло: Знаете ли Вы лично Зозулю?

Эмухвари: Не знаю, и не знал.

Айолло: Не имели ли Вы когда-нибудь какой-нибудь связи с каким-нибудь сменовеховскими организациями или с отдельными членами?

Эмухвари: Никогда никакой связи не имел, что же касается моих знакомств – может быть, я и был знаком, не зная, что он член сменовеховской организации.

Айолло: Не получали ли Вы какие-нибудь деньги, кроме, конечно, стипендий, от кого-нибудь на какие-нибудь услуги?

Эмухвари: Никогда ни от кого никаких денег не получал, кроме стипендий от чехов. Бывали только случаи оставления клиентами ресторана 20-30 чешских крон для передачи другим клиентам.

Айолло: Не переводили ли вы денег из Праги домой и не обращались ли вы в частности с этой целью к Туркия и Джанджгава перед их отъездом в Грузию?

Эмухвари: Никогда ни копейки домой я не переводил и к ним за этим не обращался.

Айолло: Не делали ли Вы попытки перевести деньги своей семье при посредстве Мгалоблишвили и не просили ли Вы об этом его?

Эмухвари: Да. Я просил его об этом, но посылка не состоялась.

Айолло: Какова по Вашему цель сфабрикования документа? Не находите ли Вы, что сфабриковал его Зозуля

в отместку за то, что у него были выкрадены в грузинском ресторане его доклады?

Эмухвари: Думаю, что между докладами Зозули и сфабрикованным документом есть некоторая связь. Какая не могу установить. Доклады из портфеля Зозули взял Е. Ломтатидзе в мое отсуствие из ресторана. Мне передали, что Зозуля прибегал за портфелем и умолял вернуть ему его бумаги со словами: «Не губите меня. я тоже социалист и т. д.». Все это произошло в 1928 году. Я передал доклады Зозули Галагану, чтобы предупредить украинскую общественность о кознях советских агентов. Доклады эти и другие читали, например, М.А. Славинский.

Айолло: Значит, Вы никого не подозреваете в фабрикации документа?

Эмухвари: У меня есть подозрения, но пока их не могу точно сформулировать.У меня есть подозрения, что их сфабриковал Галаган. Известно, что мы с ним были раньше дружны, но разошлись – не по политическим или общественным мотивам – а по личным причинам. После нашего расхода Галаган просил мне передать, что он отомстит мне, не стесняясь никакими средствами.

Жгенти: Не просила ли Вас жена в своих, письмах вернуться?

Эмухвари: Да, просила, но я ответил, что если она таким образом согласится на мою политическую и моральную смерть, то я приеду. И в следующем же письме она мне писала, что чем так приезжать, как приехал Коция Сулаквелидзе, то лучше нам никогда не видеться.

Жгенти: Не жаловался ли Ваш сын на притеснения ? Не покровительствует ли ему дома кто-нибудь?

Эмухвари: Никто не покровительствует ему. Может быть Жгенти под «покровительством» подразумевает, что его приняли в университет? Но в университет он попал,

потому что кончил гимназию первым и сама гимназия его рекомендовала принять в университет.

Председатель суда Гварджаладзе: Лицо, с которым я встретился вчера, будет названо Жгенти, ибо он считает себя свободным от данного обещания молчать после вчерашней моей встречи, эта встреча, с несомненностью установила, по признанию самого Жгенти, что он, Жгенти, явился жертвой, слепым орудием злостной клеветы, сфабрикованной этим лицом. Лицо начало свой рассказ, об истории возникновения этого документа с того, что он часто ходил в ресторан «Колхида», в позапрошлом году его стали предупреждать с разных сторон, что «Колхида» является гнездом большевиков и их агентов, причем ему посоветовали, чтобы он перестал посещать этот ресторан. Он, действительно, перестал ходить в ресторан «Колхида» и вскоре после этого, весной 1930 года, в его руки попал интересующий нас документ, но решил об его существовании предупредить кого-нибудь из грузин, в частности Е. Ломтатидзе. В начале он с ним не встретился, а потом раздумал так поступить по другим причинам. Потом случайно встретил Жгенти и в беседе на злободневные эмигрантские вопросы, он решил ему, зная его оппозиционность, сообщить о существовании этого документа. Он узнал, что Жгенти питал подобные подозрения к своим соотечественникам и это обстоятельство еще больше усилило в его глазах значение этого документа в смысле его подлинности. Он передал этот документ Жгенти, сначала на два дня, затем на неделю, но а впоследствии, на настойчивые просьбы, оставил его у Жгенти, с тем чтобы Жгенти продолжал расследование по нити, данной документом, но со всей осторожностью, вытекающей из сомнительности, происхождения этого документа и тяжести подозрения, а также с условием, что Жгенти, ни при каких обстоятельствах не раскроет его личности, о чем он и взял

с него слово. Теперь ему стало известно, что Жгенти зашел слишком далеко с этим документом, поставил себя в затрудительное положение и он согласился на свидание с Председателем суда, чтобы в известной мере, разделить с Жгенти ответственность. На мои неоднократные и настойчивые требования открыть дальнейшее звено авторов документа или, хотя, по крайней мере, назвать лиц, передавшим ему документ, он ответил категорическим отказом, мотивируя это данным словом, боязнью подвести кого-нибудь из передавших ему документ – украинцев. Дальше я спрашивал каково его отношение к пражским грузинам, кого он из них ближе знает. Он ответил, что очень близко знал Ваничку Карцивадзе, далее Арзакана Эмухвари, Ломтатидзе, Айолло, а с Жгенти близко не был знаком. Я ему задал вопрос: Почему же вы передали документ именно Жгенти, а не другим грузинам, которых вы лучше знали?

Его ответ:

Айолло бы побежал к Ломтатидзе и Эмухвари и выболтал бы им, Ломтатидзе покрыл бы Эмухвари, ибо он сам был под подозрением, а что касается Жгенти, я знал, что он их не любит, что он питает аналогичные подозрения, значит именно через посредство Жгенти документ мог получить максимальный толчок к использованию. Далее я ему предложил явиться в Суд, подвергнуться допросу, открыть лицо, передавшее ему документ, вообще помочь суду докопаться до правды.

Неужели, – я спрашивал – вы, общественный деятель, не чувствуете подавляющей тяжести ответственности, которую вы на себя взвалили тем, что пустили в обращение документ, в подлинности которого вы сами сомневаетесь о лицах, поседевших в нашей партии, в течение десятков лет служивших ей? Не подумали ли вы о том, что из – за вас прежде всего пострадает Жгенти? У

грузин, в особенности у абхазцев, своя строгая мораль: если в чем – нибудь нечестном абхазец провинился, он всегда найдет мужество не простить себе этого и положить конец своей неславной жизни. Но он и другим не прощает зла и обиды. Все должно быть раскрыто, иначе вся ответственность, кроме Жгени, падает и на Вас. Тот человек мне ответил:

Назвать лицо передавшее мне документ не могу, потому что не хочу подвести своих соотечественников – украинцев. Суду не представлюсь и не откроюсь, потому что не имею больше что сказать. Ответственность я чувствую, но выхода не нахожу. Что же касается Жгенти – он сам виноват: я говорил ему несколько раз, что документ сомнительный, что надо быть осторожным в его использовании.

Я тогда спрашиваю его верит ли он сам в этот документ, в подлинность его, что он сам думает и как бы он поступил сам на месте Суда. Весь бледный и дрожа он ответил:

В подлинности документа никоим образом нельзя убедиться. Может быть, через десять лет в архивах большевиков откроются какие-нибудь следы. Но сам я всегда имел сомнения в подлинности этого документа. Подсудимых, конечно, надо оправдать. Я никогда не придавал этому документу такого значения, чтобы – кого нибудь обвинить в инкриминируемом преступлении.

На мой вопрос, не усматривает ли он какую- либо связь между этим документом и докладом Зозули, который последний потерял в ресторане, и которые позднее были ему переданы Эмухвари для информации и предупреждения украинской эмиграции, не допускает ли он, что Зозуля из мести к Эмухвари за опубликование Зозули, как агента Советской власти на основании его конфиди-

циальных докладов Советской Миссии, сам сфабриковал этот документ, тот ответил:

Не знаю... Все возможно...

Тогда, глядя на него в упор, задал ему вопрос :

А может быть какой-нибудь другой негодяй, из чувства личной неприязни и мести к Эмухвари сфабриковал этот документ?

Он замялся, еще больше побледнел и едва слышным голосом ответил:

Может быть .... Возможно...

На этом закончилась наша беседа и сейчас я жалею, что не сказал ему, что больше всего подозрений в фабрикации документа падает на него.

Когда мы вышли с ним на улицу к нам присоединился Жгенти, от которого тот потребовал в весьма энергичной форме возвращения ему фотографического снимка и докладов Зозули.

Жгенти: В продолжении 29 лет моей партийной жизни, я никогда не попадался в руки человека, который так опутывал людей. С меня снимается слово, данное ему не открывать его имени. 13 месяцев он меня мучил: то отбирал, то возвращал мне документы, чтобы заинтересовать меня в этом, хитром, деле. Я его близко не знал. Вы все его знали лучше, но я думал, что как видный общественный и политический деятель, он честно и правдиво говорит мне о товарищах, на которых падает подозрение в тяжком преступлении – в провокаторстве. На основании этого документа можно лишь подозревать, и поэтому я писал в Париж – Приезжайте, чтобы этот фотографический снимок превратить в документ. Он – это Николай Михайлович Галаган. Он убеждал меня в подлинности документа, а вчера после его разговора с Гварджаладзе, я убедился, что этот документ сфабрикован им самим. Этим он убивал двух зайцев: грузинскую колонию и

Жгенти. В колонию он внес раздор, а меня спровоцировал, ибо я искренно хотел избавить и нашу среду и всю грузинскую общественность от малых и больших изменников, на деле я превратился в слепое оружие этого человека. Я заявляю, что Арзакан Эмухвари и Емельян чисты и невиновны ни в чем. Заявляю: пусть не будет никакого подозрения, будто я принимал участие в фабрикации этого документа и прошу вас: пусть я буду жертвой этого черного человека, но прекратите всякую склоку в нашей семье.

Суд принимает решение и констатирует: Все утверждения Жгенти, о принадлежности Эмухвари и Ломтатидзе к числу платных агентов Советской власти являются абсолютно клеветническими. Утверждения и предположения Жгенти основывались на специально сфабрикованном для опорочения чести и достоинства тт. Эмухвари и Ломтатидзе.

Означенный документ был передан Жгенти, Николаем Николаевичем Галаганом, числящимся среди украинских общественных деятелей. В руках Галагана Жгенти оказался слепым орудием для дискредитирования тт.Эмухвари и Ломтатидзе и для внесения братоубийственной розни в среду грузинских социал – демократов, проживающих в Чехословакии(101,340).

ასე დასრულდა ეს უმძიმესი „სასამართლო“, რომელმაც ნათელი მოჰფინა ვითარებას, მაგრამ დიდი ტკივილი მიაყენა ბოლშევიკური აგენტურის „სამიზნეებს“, მის საუკეთესო, თავდადებულ წარმომადგენლებს ემუხვარსა და ლომთათიძეს.

მაგრამ ემიგრაციის დაუნდობელ დაპირისპირებათა გვერდით იყო ერთიანობისა და თანამოდარდეობის ასეთი „გამონათებებიც“.

*ქართველთა საზოგადოების ერთა ლიგისათვის*

14-10-1933

თქვენი მოწოდება თანდართული განცხადებების პირით და კომიტეტების განმარტებებით მივიღეთ. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვეგებებით ამ საჭირო წამოწყებულ საქმიანობას და სრულიად ვიზიარებთ თქვენს შეხედულებას ასეთი საზოგადოებების დაარსების მნიშვნელობაზე ჩვენი საერთო ეროვნული საქმისათვის. სამწუხაროთ, ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური პარტიები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ სფეროში მუშაობას და მემარჯვენე წრეების ხელში აქვს ეს საქმე. გვწერენ, რასაკვირველია, მემარჯვენე წრეებშიც ვეძებთ ჩვენი სამართლიანი საქმის მეგობრებს და ვპოულობთ კიდეც, მაგრამ აქაური მათი მუშაობით არა ვართ სრულიად კმაყოფილი... სხვათა შორის გავეცანით მათ წესდებას და გვინდოდა გვესარგებლა ამ წესდებით შესაფერი შესწორებების შეტანით, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ყველა ისნტანციაში მის გატარებას დიდი დრო და ხლაფოთი დასჭირდებოდა და რადგან ჩვენც, ქართველები, აქ ცოტა ვართ, უფრო მიზანშეწონილად მივიჩნევთ თქვენი, პარიზელ, საზოგადოების წევრებათ ჩავეწეროთ.

გიგზავნით ჩვენ თითოეულის მიერ შევსებულ და ხელმოწერილ განცხადებებს, გთხოვთ ქართველთა საზოგადოების ერთა ლიგაში წევრებათ ჩაგვრიცხოთ, გვიგულეთ ჩეხოსლოვაკიაში თქვენი საზოგადოების განყოფილებად და საერთო ხელმძღვანელობა გაგვიწიოთ საჭირო საქმიანობისათვის.

მამულიშვილური სალამი პრაღის ემიგრაციულ საზოგადოების თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი.

P.S. თან ერთვის ათი განცხადება (102).

1933 წლიდან არზაყან ემუხვარი აღარ ეწევა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მიზეზი გასაგებია – ზედმეტად ბევრი ინტრიგის, კონფლიქტისა თუ შეხლა-შემოხლის გადატანა მოუხდა.

1938 წლის ჩანაწერით, არზაყან ემუხვარზე ანკეტაში ვკითხულობთ: იგი იყო ფერმერი და ყოველ შემოდგომაზე მდიდარ მოსავალს იღებდა. ჩანს, გამოადგა ის ჩვევები, რაც

ჯერ კიდევ აფხაზეთში ჰქონდა. მაგრამ მის მეგობრებს: კ.კან-დელაკს, ა.ჩხენკელს, ლ.ემუხვარს და სხვ. აწუხებდათ არზაყა-ნის პოლიტიკისგან ჩამოშორება და ყოველ ღონეს ხმარობ-დნენ მის დასაბრუნებლად. ჩვენს ხელთაა ამის დასტურიც – ლ.ემუხვარის წერილი აკაკი ჩხენკელს:

არზაყანის შესახებ უნდა გითხრა... რას ჰქვია არზაყანს მუშაობა არ შეუძლია? მას გადაწყვეტილი აქვს და ეს იყო ჩე-მი პირობაც, ჩეხეთში თუ რამე ექნებოდა ეს იქნებოდა სე-ზონური ან დროებითი სამუშაო. ბაქრაძე დამპირდა დახმარე-ბას. სანამ ეს მოხდება, ხომ უნდა თავი გაიტანოს. არზაყანი მათ არაფერს სთხოვს. ვალდებულნი ხართ გაუზიაროთ მას ლუკმა. ემიგრაციის არსებობის მთავარ პირობას წარმოად-გენს ასეთი სოლიდარობა. თუ ასეთი სოლიდარობა იქნება არ-ზაყანის მიმართ დარღვეული, მაშინ მის წინ დადგება ან თავის მოკვლა ან ლაკობასი ქვეშევრდომობის მიღება. ამ შემთხვევა-ში კი სამუდამოდ დასამარდება ქართული საქმე აფხაზეთში.

ლადი ემუხვარი 1933.17/4 (103).

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი მართლაც რომ გენითა და სულით არისტოკრატი პიროვნება იყო. სრულიად უანგარო მოღვაწე, რომელმაც თავიც გადადო და ყოველივე პირადუ-ლიც შესწირა სამშობლოს დაკარგული თავისუფლებისათვის ბრძოლას. სრულიად უპრეტენზიო მოღვაწე, ცილისწამებათა, შეჭირვების, ახლობელთა მუდმივი გაუსაძლისი მონატრების პირობებში რუდუნებით სწევდა ემიგრანტი-პოლიტიკოსის უმადურ ჭაპანს.

არზაყანი მუდამ მზად იყო, რომ თავისზე ღირსეული-სათვის დაეთმო ადგილი, თუ ასეთი ვინმე გამოჩნდებოდა.

დავიმოწმებთ არქივებში შემორჩენილ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას:

**აკაკი ჩხენკელს**
1934 წელი

მეკითხები თუ შევსძლებ ექვს თვეში თურქულის შესწავლას და რამდენად საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი ფრანგული ენა. ჩემგან გადაჭარბებით პასუხს არ უნდა მოელოდე, რადგან იცი ჩემი ხასიათი...

სტამბულში ყოფნის დროს დავიწყე თურქულის სწავლა და ენას გვარიან ადვილად ვითვისებდი, ხოლო წერა-კითხვა ჩემთვის უჩვეულო არაბული ქარაგმებით დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

ახლა წერა-კითხვის შესწავლა ლათინურ ანბანზე გადასვლით სრულიად გაადვილებულია, ხოლო ქართველისათვის გვარიანად თურქული ენის შესწავლა ექვს თვეში შესაძლებლად მიმაჩნია. ფრანგულ ენაზე თავისუფლად ვკითხულობ, ვუსმენ და ვგებულობ მოხსენებებს.

თავისთავად ცხადია, რომ მთავარი არის იქ ნაყოფიერი მუშაობისათვის თურქული ენის ცოდნა და ამაში, როგორც ხედავ, დიდი ნაკლი მაქვს. თუ ვინმე საიმედო პირი თურქული ენის კარგი მცოდნე გეგულებათ მაშინ მიზანშეწონილი იქნება მრავალი არჩევანი მასზე შეჩერდეს საპასუხისმგებლო დავალების პირნათლად შესრულებისათვის. ჯანმრთელობით გვარიანად ვარ მომავალს იმედით უყურებ...

ა.ემუხვარი (104).

**ძვირფასო აკაკი,**
1935-30-12

ყველა იქ (პარიზში) დარწმუნებული იყოს, რომ მე ის ვარ, რაც ვიყავი სამშობლოში. ხამელეონები იქაც მეჯავრებოდა და მეზიზღებოდა, ამაში ჩემი დათმობა შეუძლებელია. მე კარიერის მაძიებელი მისდღემში არ ვყოფილვარ. შენ მე კარგად მიცნობ, მე მისდღემში არ ვყოფილვარ პრეტენზიის კაცი და არც ვიქნები მომავალში! თუ ჩემზე უსინდისო ინფორმაცია იქ მიაწოდეს, ხოლო ეს კი რაიმე ყურადღების ღირსად იცნო ვინმემ, მაშინ ეს ინფორმაცია იქ შენ გაგაცნონ

და აქ მე შემეკითხონ და გაიგებენ ჩემგან, რამდენად ბინძურ, უნამუსო და ზიზღის ღირსია ასეთი ინფორმაციის ავტორი ან მისი ინსპირატორი.

... კარგი წარმოდგენის რწმუნებულზე არასდოს არ ვყოფილვარ, მაგრამ რაკი მიიღო მან საპასუხისმგებლო დავალებანი, მე ვხელმძღვანელობდი საზოგადო ინტერესებით და ყველაფერში ვეხმარებოდი, ხელს ვუწყობდი. ვერ შეიშვენა, უმადურობით – ჭორით – ცილისწამებით მიპასუხა – ჩამოვშორდი და ვარ ჩემთვის ჩემიანებთან (105).

ჩემო აკაკი,

1934 წელი

შენი თავიდან სწორად აღებული გეზი ემიგრაციაში ნაყოფიერი მუშაობისა მგონი გზას იკაფავს, გონებით პარტიული კინკლაობისა გამო დაბრმავებულნიც რწმუნდებიან, რომ ერთ-ერთი მიზანი ჩვენი აქაური მუშაობის უნდა იყოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული: ეს მიზანი უნდა აერთებდეს ყველა მამულიშვილს, განურჩევლად მიმართულებისა; ხოლო რეჟიმის საკითხი თუ პროგრამული პარტიული დავა უნდა გადიდვას ეროვნული სუვერენობის აღდგენამდე. მაშინ როცა ეს სუვერენიტეტი მოპოვებული იქნება, თითოეული ერი თვითონ გამოიმუშავებს მისთვის შესაფერ და სასურველ რეჟიმს, თუ სამოქმედო პროგრამას; ასეთი იყო შენი გეზი თავიდან და სასიხარულოა, თუ ეს სწორი გეზი გატარებული იქნება ჩვენი ემიგრანტთა მუშაობით.

ეს იქნება სრული გადახალისება მთელი მუშაობის, თავდები ჩვენი მოვალეობის პირნათლად აღსრულებისა და საბედნიერო მომენტში ქართველი ერის მთლიანობის. ამ მხრივ მუშაობას უნდა მთელი შენი ენერგია უხელმძღვანელო და გაატარო. მიხარია და შენც გსიამოვნებს ალბათ, თუ ხედავ შენი დადებითი მუშაობის ნაყოფს – საერთო გამოფხიზლებას და ნამდვილ პარტიულ საქმიანობას....

ჩემო აკაკი, შენი გამოგზავნილი წიგნი „სახელმწიფო და ერი“ დიდის სიამოვნებით წავიკითხე; მასში გატარებულ აზრს უნდა ცხოვრებაში განხორციელება. საკითხზე ნათელი

წარმოდგენა გაფანტავს ზოგიერთების თავში დაბუდებულ ბურუსს და სწორ სამოქმედო გეზს აშკარად დაუსახავს თვალწინ, თუ გონების ნატამალი ცოტათი მაინც შერჩა გაყინულთ.... (106).

ჩემო აკაკი!
1935 წელი

საჭიროა და აუცილებელია საქართველო-აფხაზეთის შედუღება და ყოველნაირი მათი განცალკევების საბაბის ძირშივე მოსპობა... ამისთვის საქართველოს მოღვაწეებმა უნდა დიდი სიფრთხილით მოეპყრონ აფხაზეთს, რომელიც საქართველოს დასავლეთის დიდი მნიშვნელოვანი კარია... ყოველნაირი ცენტრალურ ემიგრანტთა გაერთიანებაში სამართლიანობა და მიზანშეწონილობა მოითხოვს აფხაზეთს შესაფერი წილი ქონდეს თამანმშრომლობის და ერთად ცხოვრების ჭაპანის წევის. სამწუხაროდ, ემიგრაციაში ეს სრულიად დავიწყებული იყო, თითქოს აფხაზეთი სრულიად არარსებული იყო, ანდა უმნიშვნელო კუთხე იყო.

შენ იცი, აკაკი, ჩრდილო კავკასია რა თვალით უყურებს აფხაზეთს, საჭიროა სიფრთხილე და მიზანშეწონილი მოქმედება, რომ აფხაზეთის ცრუ პატრიოტებმა საბაბი არ იშოვონ, თითქოს საქართველო უყურადღებოდ ექცევა მას, ხოლო ჩრდილოკავკასია აფხაზეთის საიმედო დაშვებული მეგობარია... შენ იცი ყველაფერი ეს და უნდა უყურადღებობა აფხაზეთისადმი მოისპოს აწი მაინც, როგორც ამას მოითხოვს აფხაზეთ-საქართველოს საერთო ინტერესი. გამოფხიზლების ხანა, თუ მართლა დაწყებულია, მაშინ იმედია უყურადღებობით მომავალში აფხაზეთი არ დარჩება და აფხაზეთის თანამშრომლობა საქართველოსთან ორივესათვის სასარგებლო იქნება...

რაც შეეხება ჩემს წერას თემაზე „ზოგიერთი პერსპექტივები აფხაზთის მომავალ დამოკიდებულებაზე საქართველოსთან“, ვფიქრობ, ჩემი სიჩუმე სჯობია ჯერჯერობით, რადგან, ერთიან სახელმწიფოში კუთხური პოლიტიკური ავტონომია დაუშვებლად მიმაჩნია, ხოლო ეს კი ჩვენ კუთხურ ნაციონალისტებს დააფრთხობს და ჩრდილოეთისაკენ დააწყებინებს ყურებას. მთელი ჩვენი მუშაობა წარსულში პოლიტი-

კური ავტონომიის სახელით ფაქტიურად ისაზღვრებოდა ფართო ადგილობრივი თვითმართველობით კულტურულ საკითხში მეტი უფლებიანით. ჩვენს სინამდვილეში ეს საკითხი მეტად საფრთხილოა (107) (სტილი დაცულია).

არზაყან ემუხვარისათვის, ისევე, როგორც ყველა მისი თანამებრძოლისთვის უდაო და უთუმცაო გახდა მრწამსი: „ჩვენი ერთადერთი მიზანი აქაური მუშაობის უნდა იყოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული; ეს მიზანი უნდა აერთიანებდეს ყველა მამულიშვილს, განურჩევლად მიმართულებისა...“



პრაღა



SPOLEK GRUZÍNSKÝCH EMIGRANTŮ
V ČSR.

S e z n a m

gruzínských politických emigrantů, jimž vypršela lhůta platnosti dosavadních pasů.

| | | |
|---|---|---|
| 1/ | Ajollo Nina | Radotín u Prahy |
| 2/ | Ajollo Jiří | " " |
| 3/ | Dolidze Mikuláš | Řeporyje u Prahy |
| 4/ | Emuchuari Dimitrij | Praha |
| 5/ | Gogoberidze David | Praha |
| 6/ | Inckirveli Vlasy | Praha |
| 7/ | Kachiani Kallistrat | Fridešovo u Mukačeva, Podk. |
| 8/ | Lomtatidze Emil | Praha |
| 9/ | Loria Filip | Praha |
| 10/ | Magnaradze Silvestr | Praha |
| 11/ | Mgaloblišvili Nikita | Bratislava |
| 12/ | Ubiria Lidie | Praha |
| 13/ | Ubiria Michael | Praha |
| 14/ | Žhenti Viktor | Praha |
| 15/ | Takajšvili Georgi | Praha |
| 16/ | Kikiani Grigory | Praha |
| 17/ | Gocadze Simon | Mukačevo, Podk. Rus |

Tajemník Spolku gruzínských emigrantů v Č.S.R. Dr. D. Gogo

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ჩეხეთში (სია):



პრაღა. კარლოვის უნივერსიტეტი



...ій Юридическій факультетъ въ Прагѣ.

Личная карточка №

1. Фамилія, имя, отчество Эмухвари Дмитрій-Арзакан-Константинович
2. Годъ, мѣсяцъ и день рожденія 1880 год, 26 октяб...
3. Мѣсто рожденія гор. Сухуми
4. Вѣроисповѣданіе Православное
5. Семейное положеніе Женат
6. Среднее учебн. завед. и годъ его окончанія Окончил Кутаисскую ...скую духовную семинарію
7. Въ какомъ высшемъ учеб. зав. обучался ранѣе и на какомъ семестрѣ — Нѣт
8. Причины выхода изъ учебн. завед
9. На какой семестръ зачисленъ (дѣйств. студ. или вольнослуш.) въ Русск. Юрид. Фак. въ Прагѣ и когда на весенній, вольнослушател...
10. Когда, гдѣ и какіе экзамены и зачеты сданы — нѣт
11. Какіе документы сохранились — нѣт

არზაყან ემუხვარის სტუდენტის პირადი ბარათი.


Spolek gruzinských
Emigrantů v ČSR.
Praha.

P. T.
Okresnímu policejnímu komisařství
na Král. Vinohradech.



Výbor Spolku gruzinských emigrantů v ČSR. svolaný na členské schůzi jmenovaného spolku 30 dubna t. r. dovoluje si tímto oznamiti, že dle 17 § Stanov rozdelili funkce takto: předsedou byl zvolan Dimitrji Emuchvari, bytem Praha-Nusle II ul. Prvniho Listopadu č. 851, Tajemnikem Dr. David Gogoberidze, bytem Smichov, Prokopova ul. č. 8, Pokladnikem Dr. Vlas Inckirveli, bytem Praha II, Plavecká ul. č. 14.

Adresa výboru Praha-Nusle II ul. Prvniho Listopadu č. 851.

D. Emuchvari, Předseda. V. Inckirveli Pokladnik. Dr. D. Gogoberidze Tajemnik.

7/V 1932
Praha.

© Archiv hl. města Prahy

„ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების“

სხდომის ოქმი **1932** წელი



ČESKOSLOVENSKÉ SDRUŽENÍ PRO GRUZÍNSKO
A SPOLEK GRUZÍNSKÝCH EMIGRANTŮ
V ČESKOSLOVENSKÉ REPUBLICE
POKLÁDÁ SI ZA ČEST ZVÁTI VÁS K ÚČASTI NA

SLAVNOSTNÍ SHROMÁŽDĚNÍ

A TO VE VÝROČNÍ DEN PROHLÁŠENÍ SAMOSTATNOSTI GRUZIE
DNE 26. KVĚTNA 1936 O 7. HODINĚ VEČERNÍ
V MÍSTNOSTI „U VÁCLAVSKÝCH LÁZNÍ", PRAHA II., DITRICHOVA 9.

SLAVNOSTNÍ VÝBOR

მოსაწვევი **1936** წლის **26** მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე.



*ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე*



ნოე რამიშვილი



ტომაშ გარიგ მასარიკი



ფრანტიშეკ სოუკუპი



Opis telegramu.

Kancelář presidenta republiky
došlo 27.května 1931.

H 325/31.

Panu presidentu Masarykovi

P r a h a - H r a d

Praha 13 422 72 27 10

Pane presidente Dnes za předsednictví senátorů Dra Soukupa a Habermanna byla uspořádána tradičná oslava 26 května den prohlášení samostatnosti Gruzínské demokratické republiky spolkem gruzínských emigrantů v ČSR jejž zúčastnili zástupci politických a národnostních organisací vykonávaje spontánně přání celého shromáždění zasíláme Vám pozdrav s přáním zdraví na dlouhá léta pro národy bojující za svobodu a samostatnost Vaše činnost je klasickým vzorem a nevyčerpatelným zdrojem poučení - Emuchrari předseda spolku -

დეპეშა მასარიკს (ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს)

/příjmení a křestní jméno/

Nuale, ul. 1. listopadu č. 851.

/bydliště - přesná adresa/

| | | |
|---|---|---|
| 1 | datum a místo narození | dne 26.10. 1880 v Suchumu/Kavkaz/ |
| 2 | kdy a odkud přišel do Československé republiky | v roce 1923 z Cařihradu |
| 3 | státní a domovská příslušnost /u čsl. stát přísl. uvésti, kdy čsl.st.příslušnost získali/ | beze státní příslušnosti/ruský emigrant/ |
| 4 | u osob,které nejsou čsl.stát příslušníky, zda a kdy podaly žádost o čsl.stát.obč | dosud žádost za Československé státní občanství si nepodal. |
| 5 | cestovní neb osobní průkazy, doba jich platnosti | průkaz totožnosti / Nansenův/ č. 214 posledně prodloužený policejním ředitelstvím v Praze do 20.11.1938. |
| | stav svobodný, ženatý, vdovec,/ | ženatý |
| | jméno a datum narození manželky /u ženatého/ | Marie roz. Čikvaidze narozená roku 1882 zdržuje se na Kavkaze. |

| | jméno | rok narození | místo pobytu | zaměstnání | roční důchod |
|---|---|---|---|---|---|
| děti | Vladimír | 1907 | | | |
| | Jiří | 1921 | Oba bydlí s | matkou v | Kutais |
| | | | na Kavkaze. | | |

| | |
|---|---|
| původní zaměstnání ve vlasti | byl předsedou vlády v Aftanomnyj Abchazu v rep. gruzín. a poslancem ústavodárného shromážď.rep.gru |

ქალაქ პრაღის პოლიციის სამმართველოს ანკეტა



არზაყან ემუხვარი (პრაღა. **1922** წ.)



პრაღა. ლისტოპადის ქუჩა.

ამ ქუჩაზე ცხოვრობდა არზაყან ემუხვარი (**1932–1939** წწ.)


Emuchvari Arrakap Dimitrij
Maria
Konstantinovič

Rodiče: Konstantin +
Čikvaidze Michail +

| Jména osob mužských | Jména osob ženských | Místo den | Místo rok | Místo narození | Náb. | Stav | Povolání | Domovská příslušnost | Den, rok a místo sňatku |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| Emuchvari Arrakap | | 26/10 | 1880 | Suchum | | žen. | statkař | Gruzie | 5/4 1906 |
| | Marie r. Čikvaidze | | | | | | předseda polit. emigrantů | Rusko | Kutais |
| Vladimir | | | | | | | | | |
| Geregi | | | | | | | | | |

rodina v Gruzinsku

| Změna bydliště den | rok | čp. | čtvrt | ulice, náměstí | or. čís. | u koho bydlí | Odhláška den | rok | kam |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| | Beregrad | | | | | | | | |
| 7/2. | 23 | 441 | Vrš. | Neudova | 18 | Holman | 14/5. | 23 | Libn |
| 5/12 | 23 | 878 | Vin. | Fochova | 72 | Seitzová | | | |
| 4/8. | 25 | 878 | | Fochova ul. | 72 | Seitzova Hild. | 18/3. | 27 | Žižk. Jagelonská 8. |
| 11/3. | 27 | 1239 | Žižkov | Jagelonská | 8. | Mr̃ová M. | 23/8. | 28 | |

არზაყან ემუხვარის პასპორტი



პრაღიდან პარიზში გაგზავნილი წერილეში

# §5. ოაზისები ემიგრაციის უდაბნოში

სევდიანი და მარტოსული იყო უცხოეთში არზაყანი. მას სამყარო უდაბნოდ ეჩვენებოდა, წარმოუდგენელი იყო მისთვის ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც მხარს დაუჭერდა, მასზე იზრუნებდა და ცოტაოდენ სითბოს უწილადებდა, მაგრამ კეთილი ადამიანებიც არსებობენ, ასეთები გამოდგნენ არზაყანისთვის მიხეილ და ლიდია უბირიები.

1935 წელს არზაყანი თავის მეგობარ აკაკი ჩხენკელს სწერდა: ***„უბირია – ჩემი გულის მესაიდუმლეა. მხოლოდ მათთან ვპოულობ სიმშვიდეს და მავიწყდება ემიგრაციის მოშხამული ატმოსფერო.“***

სხვა წერილში არზაყანი კვლავ აკაკი ჩხენკელს უამბობს უბირიების ოჯახზე.

მე ძალიან მინდოდა მიხეილ უბირიას ოჯახის პოვნა. არზაყან ემუხვარი ხომ ამ ოჯახში პოულობდა იმას, რაც აკლდა ემიგრაციაში – ურთიერთგაგებასა და სითბოს. მიხეილ უბირია – არზაყანის ერთგული მეგობარი იყო, ყველაზე რთულ სიტუაციებში მუდამ გვერდით ედგა მას. ისინი ერთად იყვნენ სტამბოლში, შემდეგ პრაღაში გადავიდნენ. მ.უბირია დაიბადა 1893 წელს ოჩამჩირის რაიონ სოფელ აკვასკაში. იყო სპირიდონ უბირიასა და დარიკო(დარია) დარასელიას ვაჟიშვილი. ემიგრაციამდე (1921) სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პრაღაში დაამთავრა უმაღლესი კომერციული სკოლა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქალაქ პრაღის ბანკებში, ხოლო 1945 წელს გადავიდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო დაგეგმარების კომიტეტში, სადაც მუშაობდა 1951 წლამდე. გავიდა პენსიაზე 1956 წელს. პრაღაში გამოსცა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისადმი მიძღვნილი წიგნი. გარდაიცვალა 1976 წელს პრაღაში. იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარი, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, ხშირად გამოდიოდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე აფხაზეთის კონსტიტუციის საკითხებთან დაკავშირებით (აქ. გვ. 87).

ძნელია აუღელვებლად წაიკითხო დეპეშის ტექსტი, რომელიც მიხეილ უბირიას არზაყანის დაკრძალვაზე პარიზში

გაუგზავნია: „ვართ განცვიფრებული, რა მოუვიდა ჩვენს გაუტეხელ, ერთგულ და კეთილშობილ არზაყანს, ქართველების დიდ პატრიოტს, ვსტირით უნუგეშოდ პრაღის ქართველები, ვიხდით პანაშვიდს“.

პრაღასთან ხანგრძლივი მიმოწერის დროს, სწორედ მაშინ, როცა უკვე ლამის დავკარგე უბირიების ოჯახის პოვნის იმედი, პრაღის არქივმა შემატყობინა, რომ მიხეილ უბირია და მისი მეუღლე, ლიდია გერსამია, პროფესიით ექიმი, ცხოვრობდნენ პრაღაში. მათ ყავდათ ერთადერთი ქალიშვილი ნინო, რომელიც 1920 წელს, სოხუმში დაიბადა. არზაყანი ძალიან დიდი სიყვარულით იხსენებდა 14 წლის ნინოს. ნინო უბირიას საოჯახო ალბომში სხვა ფოტოებთან ერთად არზაყან ემუხვარის ფოტოც აღმოჩნდა მისივე წარწერით: „სახსოვრად ბიძია არზაყანისაგან.” ნინო ცოლად გაჰყვა ჩეხ იური ვანჩეკს. ცოლიცა და ქმარიც პროფესიით ექიმები იყვნენ, ფარმაკოლოგიის პროფესორები. ლიდია გერსამია გარდაიცვალა 1992 წელს. საუბედუროდ, აღარ არის ცოცხალი თვით ნინოც. იგი 2009 წელს გარდაიცვალა. მისი ვაჟები-მიხეილ და იური ვანჩეკები ამჟამად პრაღაში ცხოვრობენ. ვანჩეკების ოჯახის პოვნაში ჩემი ახლობლების, პრაღაში მცხოვრები პაატა და ნონა ბოკერიების ოჯახი დამეხმარა. დიდი მადლობა მათ გაწეული დახმარებისათვის. მათ მოახერეხეს უბირიების ერთ-ერთ შვილიშვილთან, მიხეილთან, შეხვედრა. იგი პროფესიით გეოლოგია და პრაღაში კერძო ფირმა აქვს. მიხეილ ვანჩეკის უფროსი ძმა-იური ექიმია და სამედიცინო აკადემიაში მუშაობს. მათი უმცროსი და ნინო 2011 წელს გარდაიცვალა. იგი იუნესკოს სოციალურ-საემიგრაციო განყოფილებაში მუშაობდა.

დიდი სიყვარულით იხსენებს მიხეილ ვანჩეკი ბებიასა და ბაბუას, მიხეილ და ლიდია უბირიებს: „არ მახსოვს, ხმა აეწიოთ, ან უმართებულო შენიშვნა მოეცათ ჩვენთვის, ძალიან ინტელიგენტური და განათლებული ხალხი იყო. ბებიაჩემი ლიდია გერსამია ხშირად ჩადიოდა აფხაზეთში და ეს მისთვის ყოველთვის დღესასწაული იყო. მას იქ ძალიან ბევრი ნათესავი ჰყავდა. მისი ღვიძლი და-კატუშა გერსამია ცნობილი გინეკოლოგის, ხუტა ბარკალაიას დედა იყო, რომელიც აფხაზეთის ომის (1992-1993 წწ.) დროს დაიღუპა. მიხეილ ვანჩეკმა გამომიგზავნა საოჯახო ალბომიდან ამოღებული დედის სურათები და 1925 წელს გაცემული ნათლობის მოწმობა, რო-

მელშიც აღნიშნულია, რომ მისი დედის,ნინო უბირიას, ნათლიები იყვნენ ვლადიმერ(ლადი) ემუხვარი და ნინა აიოლო (გრიგოლ აიოლოს მეუღლე).

უცხოეთში არზაყან ემუხვარს კიდევ ერთი შორეული „ოაზისი“ ასულდგმულებდა – და-ძმების, ოჯახის – მეუღლისა და ვაჟიშვილების ხატება, მათი უკიდეგანო სიყვარული და მონატრება... ვუსმენთ სულის ამოძახილს, ტკივილს სამშობლოსგან დაცილებული კაცისა, რომელიც უყვარდა მეუღლესა და შვილებს. მათი ნახვის დაუძლეველი სურვილი თანდათან მირაჟივით უიმედო ხდებოდა, მაგრამ... იმედი ხომ არასდროს კვდება...

არზაყან ემუხვარიც წყალწაღებულივით ეჭიდებოდა იმედს – ხავსს, რომ ღვთის ნებით, ოდესმე შეხვდებოდა უძვირფასეს ადამიანებს ... არზაყანის წერილები ვაჟიშვილისადმი ბევრ რამეზე მეტყველებს. უკვე მერამდენედ გადავიკითხე ისინი და ყოველ ჯერზე აღტაცებული დავრჩი მამა-შვილის სულისშემძვრელი ურთიერთობებით. არზაყანს შვილის ცხოვრების ყველა ნიუანსი აინტერესებდა. ასეთი შორი მანძილით მასთან დაშორებულს მხოლოდ მისით ედგა სული. ხარობდა თავისი ოჯახის წარმატებით და წუხდა, როცა რაღაც მათ არ გამოსდიოდათ. ბრძნულ რჩევებსაც არ აკლებდა, მაგრამ ეს რჩევები თავს მოხვეული არასოდეს ყოფილა. ყოველთვის ცდილობდა მათ მხარდაჭერას. არასოდეს უჩიოდა ბედს, არასოდეს წუწუნებდა. იგი უფრთხილდებოდა ახლობლებს, რადგან კარგად ესმოდა როგორ უჭირდათ მათ.

ერთ-ერთ წერილში არზაყანი თავის მეგობარს ოჯახზე სწერდა: „ჯანმრთელობით კარგათ არიან. უფროსი ვაჟი, უკვე უმაღლესი – ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრა, სტატისტიკის განყოფილებას განაგებს ქუთაისში და ინახავს დედას და უმცროს ძმას, 15 წლის. ორივე ნიჭიერები, შრომის მოყვარენი და მშობლების ერთგულნი, უმსუბუქებენ მდგომარეობას მათ შემყურეს დედას და მეც. მამხნევებენ თავს მოუარეო და მათზე უდარდელად ვიყო. ამ მხრივ ბედი მწყალობს, ჯანმრთელობით მე გვარიანად ვარ“ (1935) (სტილი დაცულია).

არზაყანის რჩევა-დარიგებები იმდენად პასუხობს თანა-

მედროვე მოთხოვნებს, რომ მხოლოდ გაოცებას იწვევს. ის ურჩევდა შვილს-მეტი დრო დაეთმო უცხო ენებისა და საბუნებისმეტყველო საგნებისათვის, ეცხოვრა ჯანსაღი ცხოვრებით და აუცილებლად დაკავებულიყო სპორტით.

არზაყანმა არაერთხელ გამოუგზავნა ვაჟიშვილს ვიზა, რაც საქართველოს დატოვების საშუალებას აძლევდა. დოკუმენტებს შორის არის არზაყანის მიერ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი, 1922 წლის 6 ოქტომბრით დათარიღებული ვიზა, რომელიც ვლადიმერ ემუხვარს უფლებას აძლევდა საფრანგეთში, იტალიაში ან ინგლისში გამგზავრებულიყო, მაგრამ ვლადიმერმა ეს არ გამოიყენა, ვფიქრობ, ერთი მიზეზით – ვერ შეძლო დედისა და უმცროსი ძმის დატოვება ოჯახისადმი პასუხისმგებლობის გამო.

გთავაზობთ არზაყანის წერილებს უფროსი ვაჟის, ვლადიმერისადმი (კუჭიკო). თავის დროზე ოჯახმა ეს წერილები გადასცა გურამ შარაძეს, რომელმაც ზოგიერთი მათგანი გამოაქვეყნა თავის წიგნში: „უცხოეთის ცის ქვეშ“ (სტილი დაცულია).



არზაყან ემუხვარის წერილები ცოლ-შვილისადმი პრაღიდან

*ჩემო კუჭუჭი!*

*მარომ მომწერა, რომ შენ ემზადები მე-6 კლასის ეგზამენი ჩააბარო მაისის დამლევს და კარგი მუყაითად ეკიდები საქმეს. მე ყოველთვის ვიყავი დარწმუნებული, რომ შენ დაკვირვებული, დინჯი და გონიერი ბავშვი იყავი, მარა ამდენი ხნის უნახაობით არ ვიცი მარტო, რას ფიქრობ, როგორ გინდა გააგრძელო სწავლა მომავალში, საქმე ეგზამენები კი არაა მარტო, საქმე თვით განვითარების სურვილშია და ამიტომ ძალიან მიხარია, რომ ბ.გ.სვანიძე ნემეცურში გეხმარება და მწამს კიდეც, რომ შენს ყურადღებას მიაქცევს თვითგანვითარების მნიშვნელობას და, როგორც ევროპიულად განვითარებული კაცი, შენს ნორჩ გონებას მისცემს სწორ მიმართულებას. მას უკვე მიუქცევია ყურადღება შენს ფიზიკურ სისუსტეზეც. მართალია, კუჭუჭი,* Здоровый ум *შეიძლება იყოს* в здоровом теле *და ამიტომ ჭამა (თუ მოსახერხებელია), ძილი დროზედ, წმინდა ჰაერზედ რაც შეიძლება მეტი ყოფნა და სპორტი-გიმნასტიკა შენთვის, როგორც ყველა ახალგაზრდისთვის მეტად საჭიროა. ოხ, იცოდე აქ, ევროპაში, როგორ გონიერად სარგებლობენ წმინდა ჰაერში ყოფნით და სპორტით და საზოგადოთ ფიზიკურ განვითარებას არა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვინემ გონებრივისას.*

*ოხ, რა ბედნიერი ვიქნებოდით, რომ მარო შეძლებდეს შენს გამოშვებას და როგორმე მოახერხებდე ჩემთან ჩამოსვლას. სრული იმედი მაქვს, რომ შენ აქ, პრაგაში და თუ ირჩევ ბერლინშიც კარგათ გამოგიწყობდი საქმეს. იფიქრეთ, ბ.გ.სვანიძესაც კითხეთ... მომწერე, რას დაადგებით? მერე დავიწყებ მოქმედებას შესაფერისად... მოკითხვა ყველას. გრიშას ადრესი შემატყობინე.*

*ჩემო კუჭიკო!*
*1.VII.1923* *პრაგა*

*შენი ორი ღია მივიღე. პირველი 16/VI თარიღით, ხოლო მეორე უთარიღო; ორივე ღიამ ძლიერ გამახარა, რადგან მოწიფულობა და გონიერება გეტყობა, მეტი სიტყვები არ არის.*

კითხულობ, როგორ ვივარჯიშო და რა წიგნები ვიკითხოვო. – ვარჯიშობა მიულერის სისტემით ყველას სჯობია, მხოლოდ ვერ გავიგე, რატომ შენს ეხლანდელ მდგომარეობაში იგი შეუძლებელია, რადგან ოთახში თუ ბალკონზედ შეგიძლია მისი ნაჩვენები ფიგურები გააკეთო და გირებიც შეიძინო; დიდი ყურადღება მიაქციე სუფთა ჰაერზე ყოფნას; დილა-საღამოს ცივი წყლით დასველებული ტილოთი მთელი ტანი დაიზილე, კარგათ გაიმშრალე და ისე ჩაიცვი ტანისამოსი ან დაწევ ლოგინში მარტო საღამური პერანგის ამარა, მეცადინეობა-მოსვენებისთვის დრო უნდა გქონდეს დანაწილებული დაახლოვებით ასე: 8-9 საათი ძილისთვის, 7-7 საათი გაკვეთილებისთვის და დანარჩენი დრო თვითგანვითარება-თამაშ-ვარჯიშობას გაუყავი. იწერები, მეცადინეობამდი კი გავეცანი უცხოელ და ქართველ მწერლებსო. არ ვიცი, რომელი მწერლები გყავს გაცნობილი და ამიტომ მეძნელება აქედან რჩევა, ისე კი სასურველია კარგათ იცნობდე: ე.ნინოშვილის ნაწარმოებს; ივ.გომართელის კრიტიკული გარჩევით, ალ.ყაზბეგის თხზულებებს, რადგან ისინი თანამედროვე ხანას ასურათებენ თითქმის, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, დ.კლდიაშვილი, ფრონელი, ნოე ჟორდანიასი და არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტური ნაწარმოები, ხოლო შოთა რუსთაველი, როგორც დიდი საუნჯე, დღეში ერთი თავი მაინც წაიკითხე ხმამაღლა. რუსულ ლიტერატურაში საჭიროა ტურგენევის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის და სხვების ლიტერატურული ნაწარმოებნი... განსაკუთრებით ყურადღება მიაქციე ქართულ ისტორიას ავალიშვილის შრომით და ლიტერატურას ალ.ხახანაშვილის შრომით. ეს რჩევა შეიძლება არ გამოგადგეს, რადგან არ ვიცი, რა გაქვს წაკითხული. მხოლოდ უნდა იცოდე, რომ ზოგიერთი მწერლები ისევე გადაიკითხო, სასარგებლოა. მომწერე დაწვრილებით, რომელი მწერლები გაქვს გაცნობილი და წიგნები როგორ ადვილად გეშოვება, მაშინ უკეთ გიპასუხებ.

.

დედაშენი გებრალებოდეს. სალამი ყველას.

არზაყანი

*ჩემო ნუგეშო კუჭუჭი!*

*25.X.23 წ*

*როცა ამ წერილს მიიღებ, შენი გამოცდების საქმე, ალბათ, ასე თუ ისე გათავებული იქნება. უნდა გითხრა მართალი, რომ შენი სასწავლებელში შესვლა იმდენად მაინტერესებს, რამდენათ შენ და დედა შენსას გასიამოვნებთ, რადგან ეხლა საზოგადოთ სასწავლებლები ძალიან ცოტა ცოდნას იძლევიან. მე მაინტერესებს უფრო შენი მტკიცე გადაწყვეტილება გამოცდები დაიჭირო. და სასწავლებელში შეხვიდე. ეს ამტკიცებს შენი ხასიათის სიმტკიცეს, გულში ამოჭრილი აზრის განსახორციელებლად ენერგიული მუშაობის შეძლებას და თავდავიწყებამდის ერთნაირი მიზნით გატაცებას. შეიძლება ეს მიზანი შემთხვევით, უცბათ ვერ აღისრულო, გამოცდები ერთნაირი ლატარიაა და დროებით მიზნის მიღწევა ვერ მოახერხო, მარა ხასიათის სიმტკიცე მოითხოვს, რომ გული არ გაიტეხო და უფრო დინჯათ, დაკვირვებით ეცადო შემდეგისათვის მიზანს მიაღწიო. თუ მოთმენა და დაკვირბა გეყო, აუცილებლად მიზანს მიაღწევ. ერთი არ დაივიწყო, რომ ყოველ ცოდნას მაშინ აქვს ფასი, თუ ჯანმრთელობა დაცულია და ამიტომ არავითარ შემთხვევაში ფიზიკურ განვითარებას უყურადღებოთ ნუ დატოვებ; უბრალო ოთახში ვარჯიშობაც მარგებელია და ტვინსაც ახალისებს გონებრივ მუშაობისთვის. ხოლო უკანასკნელი – გონებრივი მუშაობა – სხვათა შორის ძალიან დამოკიდებულია თვით მუშაობის სისტემაზედ; ისე უნდა დაანაწილო სამაეცადინო საგნები, რომ ტვინი არ მოგეღალოს და ყოველთვის ხალისიანათ ამაცადინო, რადგან ტვინის მოღალვა დიდი უბედურებაა.*

*თუ დააკვირდები შენ თავს, შენ თვითონ იგრძნობ, როცა ტვინი თხოულობს მოსვენებას და არამც და არამც ნუ გაუჯინიანდები და ძალას ნუ დაატან, მოასვენე და მერე კი ხალისიც მოგეცემა და ადვილათაც შეითვისებ იმას, რაც დაღლილობის დროს ძლიერ გეძნელებოდა და თავში არ შეგდიოდა. შენი წაკითხული წიგნების სია გადავათვალიერე. ამდენი წიგნები სრულიად სამყოფია შენი ხნისათვის, თუ წაკითხული შეითვისე ისე, როგორც უნდა. საქმე წაკითხულის რაოდენობაში კი არ არის, არამედ მისი გაგება-შეთვისებაში. როცა რომელიმე მწერლის თხზულებას წაიკითხავ, უნდა დაუსვა*

*შენ თავს ასეთი კითხვა: რას ფიქრობდა მწერალი, როცა წაკითხულ წიგნს წერდა? რამდენათ კარგათ შეასრულა მწერალმა თავისი ფიქრები? როგორი ტიპები აქვს გამოყვანილი? რამდენათ მისი ფიქრი-აზრი სასარგებლოა საზოგადოებისათვის და სხვ.? ერთი სიტყვით, თითქმის ნახევარი იმ დროისა რაც თვით წიგნის წაკითხვას მოანდომე, უნდა იფიქრო იმ დედააზრზე, რაც მწერალს ამოქმედებდა. ამ ფიქრის შემდეგ, თუ იშოვე ამ ნაწარმოების კრიტიკული გარჩევა წასაკითხავათ, უნდა შეადარო შენი მოსაზრებანი ამ ნაწარმოებზედ კრიტიკოსის მოსაზრებას და დასკვნა, ვინ არის მართალი, შენ თუ კრიტიკოსი. ამნაირი დაკვირვებით, თუ ხელახლა გადაიკითხავ, მაგ. ეგ.ნინოშვილის სრულ ნაწარმოებს, თვით ჩაუფიქრდები და მერე ივ.გომართელის კრიტიკასაც შეადარებ შენს მოსაზრებას, გარწმუნებ, რომ ბევრ ახალ აზრებს, წინეთ შეუმჩნეველს, აღმოაჩენ და ეს იქნება ერთნაირი დასვენებაც შენთვის. საზოგადოთ ნუ იფიქრებ, ერთხელ წავიკითხე და მორჩაო. ხშირად მეორე-მესამეჯერაც წაიკითხება კარგი წიგნი, რასაკვირველია, დრო გამოშვებით და მეტი სასარგებლოც იქნება, მინემ ახალ-ახალი წიგნები წაკითხული დაუფიქრებლად. ასევე წაიკითხე „სურამის ციხე“ მგონი არდაზიანისა, „ბუნება და ცხოვრება” არ მახსოვს ვისია, მგონი ალხაზიშვილისა, „ქართული პრესა“ ჟორდანიასი, „შილლერის ტრაგედიები“ ივ.გომართელისა და სხვა. რუსული მწერლებიდან ჯერჯერობით წაიკითხე პუშკინისა და ლერმონტოვის მოთხრობები, რადგან ენა მშვენიერი აქვთ... დაწვრილებით პროგრამას გამოგიგზავნი, როცა მომწერ, რომ დრო გექნება წაიმეცადინო თვითგანვითარების მხრივ. კარგი იქნება, თუ დრო დაგრჩა, წაიკითხო ტურგენევის «Отцы и дети» Писарев-ის კრიტიკული განხილვით... პისარევისავე «Пчелы», «Зарождение культуры» და სხვა ... ჯერჯერობით ეს გეყოფა.. შენ მწერ, რომ თარგმნასაც მოჰკიდე ხელი; ეს ძალიან კარგი საქმეა. გააგრძელე ასეთი მუშაობა, ნუ მიაქცევ ყურადღებას შეცდომებს, რადგან ის პირველ ხანებში აუცილებელია, მარა ბოლოს გაიწაფები და დიდი სასარგებლო იქნება შენთვის და ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვისაც... მომწერე, წიგნები თუ იშოვე ადვილათ, როგორც რუსული, ისე ქართული, ქუთაისის სამკითხველოში. მომწერე აგრეთვე სულ დაგავიწყდა ფრან-*

გული, თუ ხანდახან ფრანგულშიც წაიმეცადინებ. გარწმუნებ, რომ ძალიან საჭირო ენაა და მისი უცოდინარობა მიუტევებელი დანაშაულია.

არსებობს რამე კურსები უცხო ენების – ფრანგულ-გერმანულის შესასწავლედ და რა პირობებში? ან კურსები თუ არ არის, კერძო ფრანგულის მცოდნე თუ გყავს ახლო ხელმისაწვდომი? კითხვა მაინც არ უნდა დაივიწყო ფრანგულად, პირველი წიგნი ბერლიცისა, რომელიც გამოგიგზავნე. შეგიძლია გაიარო თავისუფლად ორი თვის განმავლობაში თუ ნახევარი საათი შესწორე დღეში; იცოდე დიდათ გამოგადგება... უკანასკნელად კიდევ გახსენებ, ფიზიკურ ვარჯიშობას დიდი ყურადღებით მოექეცი! მოკითხვა ყველა ნაცნობებს, ბებიას ჩემი დავალებით ხელზე ემთხვიე, დეიდებს აკოცე და უკბინე, რადგან მე წერილს არ მწერენ, დედას ჩაეკონე, „კომუნისტს“ ყური აუწიე...

**შენი არზაყანი**

**PS.** წერილი უმარკოდ გამოგზავნეთ და თქვენი ბიუჯეტისთვისაც უკეთესია; მხოლოდ უნდა ღირდეს გამოყიდვათ იმდენი ცნობები მოათავსოთ ყველამ ერთად, შრომის განაწილებით.

**არზაყანი**

**PS.** შენ წერილში არის დედაშენის და ზურაბის წერილებიც. მიღება შემატყობინეთ.

**არზაყანი**

**ჩემო სანახავათ სანატრელო კუჭუჭი!**

7/II.24წ

არ ვიცი, რით ავხსნა, რომ აგერ მესამე თვეა თქვენგან არაფერი ცნობა არა მაქვს. მგონი თქვენი ყურადღების ღირსი არა ვარ, თორემ განა დასაშვებია ასე კაცის დასჯა დაუმსახურებლად? ჩემი უკანასკნელი ვრცელი წერილი ლონდონის სურათით და შენთვის მოკლე პროგრამით, თუ რა რუსული წიგნები გეკითხა ჯერ-ჯერობით 7 დეკემბრის 1923 წ. თარიღით. მიიღეთ თუ არა? უკანასკნელი ჩემი ღია 22/ 1. 1924 წ. თარიღით, სადაც გემუდარებით თქვენი ვითარება შემატყობი-

ნოთ, თუ უპასუხოთ დატოვეთ. მაშინ არ ვიცი, რაღაც ჩემ თავზედ დიდი უბედურება უნდა იყოს და დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ არაფერი დამიმალო და როგორ ხართ თვითოეული აუცილებლად შემატყობინოთ და ათასნაირი შავი ფიქრები მომაშორებინოთ. კუჭუ, როგორც მიიღო ეს ღია, მომწერე: როგორ არის შენი ბებია, დედა, დეიდები, ბიძები, ბიცოლა, ძამია... „კომუნისტი“ და ყველა ნათესავები... მე ჯანმრთელობით კარგათ ვარ, დათიკოც კარგათ არის. მომიკითხე ყველა .. თუ იშოვება, წაიკითხე Рубокин-ის და Лункевич-ის ყველა ნაწარმოები... ველი წერილს დაჩქარებით. არზაყანი.

15/XI/25წ

*ჩემო იმედო კუჭუჭო!*

შენი წერილი 13/X თარიღით მივიღე და მისი შინაარსით დიდათ ნასიამოვნები დავრჩი; ცხადია ჩემთვის, რომ სწორი ხაზი აიღე და საქმეს სერიოზულათ უყურებ; ჩემი შიში როცა საინჟინრო ნაწილი აირჩიე, ვაი თუ ეს არჩევანი „მოდით“ იყოს ნაკარნახები-თქო, სრულიად გაფანტულია; აშკარაა ჩემთვის, რომ შენ ხარ მოწადინებული ითანამშრომლო იმ ჯგუფთან, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გაიგოს ბუნების საიდუმლოებანი, გამოაშკარავოს ბუნების დაუშრეტელი სიმდიდრე და ძალები კაცობრიობის საკეთილდღეოდ; ამასთანავე ნათელია ჩემთვის, რომ შენ ვერ გიტაცებს ვიწრო ჯგუფური მიმდინარეობა, რომელიც მთელი თავის ენერგიას და დროს ერთმანეთ შორის ბრძოლაში და კინკლაობაში ხარჯავს და ატარებს, როგორც ძველი სოფისტები და მით უმთავრესი საკაცობრიო იდეალების განხორციელება ერთმანეთ შორის დანთხეული სისხლის მორევში იხრჩობა და ჩაიხრჩობა სამუდამოთ, რომ მარტო ამ მიმდინარეობაზე იყოს კაცობრიობის ბედი დამოკიდებული და არ არსებობდეს უფრო საღი, საწარმოვო ძალების განმავითარებელი და კაცობრიობის საკეთილდღეოთ მომუშავე ჯგუფი, რომელსაც შენ მიეკედლე; ჩემი ზემოხსენებული შეხედულების სისწორეში მარწმუნებს ის გარემოებაც, რომ მისაღებ გამოცდების დროს შენ აირჩიე შესაფერი თემაც – „ბუნებასთან ბრძოლა და მისი მნიშვნელობა კაცობრიობისათვის“

და რომ კითხვაში ერკვევი და ამაზე ვიფიქრია, გიაზროვნია სჩანს იქედან, რომ ნიშანი მიიღე ფრიადი მისი გაშუქებისთვის. ცხადია, რომ მართლა „გოგრიანი ბიჭია“ ჩემი ვაჟი და ამაზე უფრო გასახარელი რა იქნება მშობლებისთვის?!! მაშ იყავი, ჩემო იმედო, გონიერო, დინჯი, წინდახედული და წონასწორობის შემნახველი ყოველ მოულოდნელი „სიურპრიზების“ დროს, როგორც იწერები... თუმცა ხელს შეგიშლის წონასწორობის შენახვაში, მაგრამ გონიერება დაგეხმარება წინდაწინ გასჭვრიტო სიფიცხის, ფხუკიანობის, აჩქარების მავნებლობა და საშუალებას მოგცემს თავიდან აიცილო ბოლოს სინანული, როგორც დაგმართნია ტრიგონომეტრიის გამოცდაზე ვიღაცის ხერპე საქციელით; ერთხელ და სამუდამოთ იცოდე, ჩემო კუჭუჭი, რომ ყოველ კაცს თვით ახასიათებს მისი საქციელი, ხოლო სხვა პირი იმდენათ ხასიათდება სხვისი საქციელით, რამდენათ საკუთარ წონასწორობას დაკარგავს; საჭიროა ყოველ გაუთლელ და ხეპრე ადამიანს მისი უზრდელობაში არავინ მონაწილე არ გაუჩნდეს და მარტო მას შერჩეს ეს „სიკეთე“... მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ გონიერების ხმას ყურს ათხოვებ მომავალში ყოველ „სიურპრიზების“ დროს და დინჯათ, აუღელვებლათ, სრულიად დამშვიდებული აგრძნობინებ „სიურპრიზების“ ავტორთ, თუ რამდენათ ამცირებს მათი საქციელი თვით მათ; საკუთარი გამოცდილებით გარწმუნებ, ჩემო ბადლა, რომ სრული სიჩუმით, უყურადღებობით, პასუხის გაცემა ზოგიერთის უზრდელი საქციელზე პირდაპირ მათთვის მომსპობია; ხომ გახსოვს უკვდავი შოთას სიტყვები: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო?!“ შენი ბიძია გრიშასაც კი სჭირდა ეს სენი – სიფიცხე-ფხუკიანობა: მასაც ურჩევ სძლიოს ნაკლი ესე, ყოველი ადამიანის სიმჩატის მაჩვენებელი, თუ ჯერ-ჯერობით არ მოუშორებია... კუჭკუჭი! გრიშა და მოსიყვარულე იულია მათი ქალიშვილი მედეათი დამიკოცნე იმდენი, რამდენიც მენატრება; ვემდური გლახებს – ერთი პწკარი არ გაიმეტეს ჩემთვის ... გრიშამ ეცადოს სწავლის დასრულება, თორემ ბოლოს, ჩემსავით მოხუცებული, იძულებული გახდება თავის ქალიშვილთან ერთად მეცნიერების ტაძარში იაროს ... ყოველი ზომა იხმაროს სწავლის გასაგრძელებლად.. კუჭკუჭი! სახატავებზე (готовальная) მწერ, თუ გამოგეგზავნება. – სახატავი საუკეთესო ფირმის – Рихтера VII იშოვება

*აქ 15 მანეთ. გამოგზავნით დაჯდება აქ დიდი 30 მან., მაგრამ არ ვიცი, შეძლებ იქ დახსნას, რადგან დიდი საბაჟო გადასახადი არის ყველაფერზედ დაწესებული; შეიტყვე დაწვრილებით, რამდენია გადასახადი და ღირს გამოგზავნა თუ უკეთესი იქნება უნივერსიტეტს გამოაწერინოთ გერმანიიდან, – შეიძლება ამანათით ისარგებლოს უნივერსიტეტმა. შემატყობინე, როგორ მოვიქცე! იყავი კარგათ, ჩემო იმედო!*

*შენი არზაყანი*

*P.S. შემატყობინე, როგორი შთაბეჭდილებას ახდენს უმაღლესი სასწავლებელი, რომელი პროფესორი რა საგანზე კითხულობს ლექციას, ვინ იყო უზრდელი ვაქბატონი, რომელმაც შენ წონასწორობა დაგაკარგვია. გულდასმით წაიკითხე „კავკასიონის“ 1924 წ. მოთავსებული წერილი პროფ. ალ. ჯანელიძისა სათაურით „მეცნიერული ჭეშმარიტება და შემოქმედება“. ამ პატივცემულ პროფესორს, თუ კითხულობს თქვენთან, თხოვე გიხელმძღვანელოს მეცნიერულ მუშაობაში; არ დაგერიდოს – მიღებულია უმაღლეს სასწავლებელში ხელმძღვანელობა; თუ დრო აქვს, უარს არ გეტყვის...*

*კუჭკუჭი! დედა გებრალებოდეს, წერილებით ხშირად გაახარე ხოლმე; კარგი იქნება, თუ შენ გამზრდელებსაც გაახარებ შენი ანბის გაგებით ... კუჭუ, ჩემთან ცხოვრობს ლეონტი ძლენტი. თვითონ კარგათ არის. მარა ცოლშვილის ამბავი არ იცის და ძლიერ წუხს; მისი მეუღლე ანეტა შვილებით, როგორც იცით, სცხოვრობს ყიფიანის ქუჩაზე, №22; თუ მოახერხებ მათ გაცნობას და ნამდვილ მათ ამბავს შემატყობინებ, ძალიან სიკეთეს იზამ; ბავშვები თუ სწავლობენ და სად?*

არზაყანი
15/XI.25

***საიმედო ჩემო კუჭიკო!***

17 იანვარი 1926 წ. პრაგა

*შენი წერილი 24/XII-3-1 თარიღით მივიღე გუშინ; შინაარსი მისი ჩემთვის მეტად სასიხარულოა. მსჯელობა გაქვს უკვე სრულიად დინჯი და დაკვირვებული ადამიანისა; „გონე-*

ბის აპრიორობა“, რომელიც ერთნაირ ავადმყოფად გადაექცა ყველა სჯულის იდეალისტებს, შენ უკვე მოხდილი გაქვს და საღ რეალისტურ მსოფლმხედველობის შემუშავებას იწყებ; შენი წინადადება – „მეცნიერების ქარხანა და არა ტაძარი..“ – დიდად მახარებს, რადგან თავიდგან სწორად უდგები საკითხს, ხოლო ეს კი ნიშნავს სანახევროთ საქმის მოგებას, მით უმეტეს, რომ საშუალებებიც სრულიად სწორი და გონიერი აგირჩევია; ეს საშუალებები უკვე ნაცადი გაქვს და ყველას დაუმტკიცე ნათლათ, რომ მათი მომარჯვება და მიზნის მიღწევა შენ, წარსულში, შენ შესაფერ მაშტაბის, სასახელოთ შეასრულე; ახლა უფრო ფართო მაშტაბით ახალ მიზანს ისახავ და გრწამს, რომ შეძლებ შრომის და მოთმინების საშუალებით – უკვე ნაცადი საშუალებებით აიღო ის ციტადელი, რასაც მეცნიერება წარმოადგენს; მე სრულად დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამას შეასრულებ, თუ შენი გაჭირვებულმა მშობლებმა მოახერხეს თავისი მოვალეობა ოდნავ მაინც მოიხადონ; ეს უკანასკნელი კი მეტათ მაშინებს ... რაც შეეხება საინჟენერო დარგის გამოცვლას სოციალურ-ეკონომიურზე, უნდა გითხრა მართალი, რომ ჩემთვის არც ერთი დარგი თავისთავად არ წარმოადგენს ფეტიშს და ყველა დარგი იმდენათ მისაღებია, რამდენათ მსმენელის ინდივიდუალობას ეხამება-ეწყობა; რასაკვირველია, ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნების საქმიანობა-უნარიანობაზე; თუ ეს უკანასკნელი აკლია სწავლულს, ის ადამიანი კი არა, ლეშია ცხოვრებაში; ვინ იცის, რამდენი ინჟინერი, იურისტი, ეკონომისტი .. გამხდარან მეტ ბარგათ საზოგადოებისთვის, რადგან მათ ვერავითარი უნარი-საქმიანობა ვერ გამოაჩინეს ცხოვრებაში; სწავლაცოდნა არის საიმედო იარაღი, ხოლო თუ ის არ მოიხმარე, მაშინ გინდ არ ყოფილიყოს სრულიად, ვის რათ უნდა? ამნაირად, უნარის პატრონი ადამიანი – ინჟინერი იქნება თუ სხვა – ღირსია ერთნაირ დაფასების ... როცა შენ საინჟინრო დარგი აირჩიე, მე აზრადაც არ მომსვლია თითქო შენ ამით სოციალურ-ეკონომიურ მეცნიერებისათვის ხელი გეკრას და ვიწრო სპეციალისტობის კალაპოტში ჩაგესვას შენი თავი მომავლისათვის; არა, მე სრულიად ვიყავი დარწმუნებული, რომ შენ სათანადო მნიშვნელობას აძლევდი სოციალურ-ეკონომიურ მოვლენების შესწავლას და მათ კავშირს ბუნების მოვლენების შესწავლასთან; ტყუილათ ხომ არ გეძახოდნენ გუმანი-

ტარულ საგნებში ვოვრიან ბიჭს, თუ მათი მნიშვნელობა არ გაეგებოდა?! არა, მე ვფიქრობდი და ვფიქრობ კიდეც, რომ შენი იდეალი – მიზანი იყო და არის შეიმუშავო საკუთარ არსებაში მთლიანი – სრული ადამიანი, რომელსაც შეძენილი საიმედო იარაღი – ცოდნით შეიძლება ვალი მოუხადოს საზოგადოებას. რომლის შვილიც ისაა და აგრეთვე დაიკმაყოფილოს თავისი ადამიანური მოთხოვნილებები; ამისთვის კი საჭიროა სწორი და ნათელი მსოფლმხედველობა, რაც მუშავდება, მხოლოდ როგორც სინთეზი სოციალური და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა შეხება-შედუღებით; მათემატიკური სწორი ცოდნა იმის თავდებია, რომ მეტაფიზიკური დოკტრინები თავის დროზედ ალაგმულნი იქნებიან და ჰაერში კოშკების შენებისთვის დროს არ დაკარგავენ; ამიტომ მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ შენ იქნები რა სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე. ჯეროვან ყურადღებას მიაქცევ მათემატიკურ ცოდნას ისე, როგორც საინჟინერო დარგიდან, ჩემი რწმენით, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდი სოციალურ მეცნიერებებს ... თავი და თავია ამ დროებით დასახული მიზანის – მეცნიერული ცოდნის მიღწევა-შექმნა, ხოლო შემდეგათ მიზნის მიღწევისა კი საჭიროა ეს მიზანი საშუალებათ, იარაღათ იქცეს უფრო დიადი მიზნის – ვალი საზოგადოების წინაშე და პირადი ადამიანური მოთხოვნილება – მისაღწევათ და დასაკმაყოფილებლათ საშუალებით მიზანი, ხოლო შემდეგ მიზანი საშუალებათ დიადი იდეალების მისაღწევათ, აი, რაში უნდა გამოიხატოს ნამდვილი უნარიანობა ... ხოლო ვისთვის მიზანი მუდამ მიზნათ რჩება და საშუალება – საშუალებათ. ის ვერ გაშორებია მეტაფიზიკურ ჩმახვას და მისგან წინსვლას, წარმატებას კაცობრიობა ვერ მოესწრება... შენ ეძებ „სცნა ჭეშმარიტება“, რათა „ჭეშმარიტებამ გაცხონოს“ ნათქვამია: „ეძიებდეთ და იპოვებდეთო“. მით უმეტეს, თუ ამ ძიების თანამგზავრია გონიერება, შრომა და მოთმინება, რითაც შენ ბუნებამ დიდათ დაგაჯილდოვა... ვიმეორებ, შენ მიაღწევ დასახულ მიზანს, თუ ჩვენ მშობლიური მოვალეობა ოდნავ მოვიხადეთ; აი, აქ უნდა ენერგიის გამოჩენა... იწერები: „დედა-ჩემი გადასვლით ნაწყენია და რად არ მკითხე რჩევაო... მსაჯული თქვენ იყავითო“ და სხვა... ჩემი მსჯავრი ასეთია: შენი დედა გასამტყუნარი არ არის; საზოგადოთ დედები და განსაკუთრებით შენი დედა მეტად მგრძნობიარენი არსებანი არიან მეტადრე

*საყვარელი შვილის (საჭიროების მიმართ). მათ უნდათ იცოდნენ ყოველი ნაბიჯი მათი პირმშო იმედისა; ხოლო.. ყოველი ახალი ნაბიჯი, თუ წინდაწინ გათვალისწინებული არა აქვს მოყვარულ დედას, საშინელ შიშს გვრის მას: დედა შენს, ეგონა, რომ მისი ვაჟი ადგება ზოგიერთი მოხეტიალე სტუდენტების გზას, რომელნიც ფაკულტეტს ხშირად იცვლიან, მაგრამ გამოსადეგარნი არსად არ იქნებიან; ნუ გაგიკვირდება ასეთი შიში, რადგან შენი ასაკი ჯერჯერობით დიდ სიფრთხილეს თხოულობს... შენ იმედი გაქვს შენი გონიერების, სიდინჯის, სიმტკიცის, მეც და დედა შენსაც გვრწამს, მაგრამ ხომ იცი „სიფრთხილეს თავი არ ატკივდებაო"; ამისთვის საჭიროა, ჩემო წერაში ზანტო ბიჭო, ყოველი შენი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დედა შენს და, თუ ინებებ, მამასაც ადრე შეატყობინო, თუ რა მოტივებით არის ის გამოწვეული... ამით შენ არაფერს არ კარგავ, ხოლო იგებ დედა შენის სულიერ სიმშვიდეს, რაც მეტათ ესაჭიროება მას.*

*შენ ისეთი ვაჟი ხარ, რომ აუწონავ-დაუწონავათ, უმოტივოთ, დაუკვირვებლათ ნახტომებს არ აკეთებ. მაშასადამე, ეს მოტივები დედა შენსაც დაარწმუნებს ასეთი ნაბიჯის საჭიროებაში. თუ დედა წინდაწინ ჩააყენე საქმის ვითარებაში, კურსში გარწმუნებ, ასეთი საქციელი შენი იმედებს გაუასკეცებს მაროს, სულიერ სიმშვიდეს არ დაურღვევს, შიშს – ვაი რამ აიძულა ასეთი მოულოდნელი ნაბიჯის გადადგმაო – არ აგრძნობინებს, ხოლო ყველაფერი ეს მისი ჯანმრთელობისთვის მეტათ საჭიროა, რასაც ჩვენ დიდათ უნდა ვაფასებდეთ ... მაგრამ არც შენ ხარ გასამტყუნარი, რომ ფაკულტეტი გამოსცვალე დედის და, თუ გნებავს, მამისაც, რჩევის გარეშე; ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რადგან დარგის არჩევა შედის მხოლოდ შენ კომპეტენციაში, აქ ჩვენთვის დიდათ მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ რამდენათ სერიოზულათ, დაკვირვებით, დინჯათ ეკიდები საქმეს... ხოლო მტყუანი ხარ იმაში, რომ ვერ გაითვალისწინე დედა შენის მგრძნობიარე გული, გადადი რა სხვა ფაკულტეტში, მერეც დაიგვიანე დედისთვის შეგეტყობინებია მოტივი ასეთი ნაბიჯისა და დედაშენმა, გაიგო რა სხვებისაგან ეს ამბავი, დაკარგა სულიერი სიმშვიდე, იგრძნო შიში სრულიად ბუნებრივი იმის მდგომარეობაში მტყუანის, რასაკვირველია, სასჯელი უნდა და შენც უნდა მოიხადო ეს.*

*სასჯელი ასეთია: დამნაშავე კუჭუჭი თვითონ მიდის დე-დასთან უხსნის ღილებს და კოცნის მგრძნობიარე გულს ძუძუე-ბით და შემდეგ სიტყვებით: „ვფიცავ დედიკონას ტკბილ ძუძუ-ებს, რომ აწი უფრო ფრთხილად, სათუთად მოვექცევი ჩემ მრავალტანჯულ დედიკონას მგრძნობიარე გულს, რის ნიშნათ ვეამბორები მას“ და აღთქმას სდებს ძუძუებზე ხელის მოკიდე-ბით, რომ მომავალში დედიკონას მგრძნობიარე გულს საჭირო სიფრთხილით, სათუთად მოეპყრობა; ამის შესრულებისთანავე სულგრძელი დედა აპატიებს კუჭუჭის. ასეთია ჩემი მსჯავრი და მოვითხოვ დაუყოვნებლივ შეასრულოთ და შესრულება მაცნობოთ... ამ განაჩენის სისრულეში მოყვანას ვანდობ საიმე-დო ნუციას ძვირფასი დედა – ფატმანის თანდასწრებით და ხელმძღვანელობით... იმედია, ყველაფერი შესრულებული იქნე-ბა თანახმად განჩინებისა და შემსრულებელი ნუცია ახლა მა-ინც მომწერს ერთ პწკარს: მონდობილობა პირნათლად შევას-რულეო... ნუთუ ახლა მაინც – ასეთი სასჯელის შემდეგ – უფ-რო ფრთხილათ არ მოექცევი შენი და ყველა ჩვენთვის თავდა-დებულ და მრავალტანჯულ მაროს?! არა მგონია, ჩემო კუჭუ, ასეთი უმადური და უგრძნობელი იყო. მაგრამ ჩემსავით ცოტა ცივი მოპყრობა უნდა გქონდეს შენიანებთან; მაგრამ ისეთ პი-რობებში, როგორშიც დედა შენი იმყოფება, ეს ხასიათი უნდა სძლიო და აგრძნობინო დედასაც ის სიყვარული, პატივისცემა და თავაზიანობა, რომელთანაც დარწმუნებული ვარ, ღრმათ გრძნობ თავდადებულ დედისადმი... მაშ, იყავი დედ-მამის გუ-ლის გამხარებელი აწიც!!. ჩემო კუჭუ, მომწერე შემდეგ წე-რილში: 1. რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე უმაღლეს სას-წავლებელმა? 2. რამდენათ მოწყობილია და კერძოთ, როგო-რი ბიბლიოთეკა აქვს უნივერსიტეტს ან ქალაქს (თუ იშოვება სამეცნიერო შრომანი) 3. როგორ მეცადინეობ ნემეცურ ენაში და შეგიძლია თუ არა პატარა მოთხრობა წაიკითხო და გაიგო (ხომ არ გყავს ვინმე ნემეცი სტუდენტი ეკატერინფელდიდან ამ-ხანაგი, რომ პრაქტიკაში ეს საჭირო ენა შეითვისო)? თუ არის მუშაობა სემინარიებში უნივერიტეტთან და თუ არის, რა სა-განში მუშაობ შენ და რომელი პროფესორის ხელმძღვანელო-ბით? 5. არის თუ არა ქალაქში უცხო ენების კურსები და თუ არის, რომელი ენების? 7.ხომ ნებადართულია სხვა ფაკულტეტ-ში მოისმინო ლექცია საინტერესო საგანზედ, თუ სარგებლობ შენ ამით და რა საგანში, რომელ პროფესორს უსმენ? 8. სა-*

ვალდებულოა კურსის ყველა ლექციები მოისმინო? 9. როგორ გაქვს დრო განაწილებული? 10. ფიზიკურ ვარჯიშობას როგორი ყურადღებით ეკიდები? 11. ამ დროებით რა კითხვა გაინტერესებს და სხვ... გახსოვდეს თქმულება: **„Здоровый ум в здоровом теле“**. ტვინი არ მოღალო!!! კუჭუჭი ჩემო, ამხ. ლეონტი გითვლის უზომო მადლობას მისი ოჯახობის ანბის შეტყობინებისათვის. პირდაპირ გაცოცხლდა კაცი. გაჭირვება დიდი ქონიათ, მარა გალხინებაში აბა ვის გვეგულება ჩვენიანებიო; საქმე ისაა, რომ ცოცხალი ყოფილან, რაშიც ბოლო დროს ეჭვი ეპარებოდა და მუდამ ოხრავდა. დაპირება, რომელიც შენთვის მოუციათ ამხ. ლეონტის ოჯახობას, უკვე შეასრულეს და მადლობელი ვარ, ჩემო კუჭუჭი, რომ დავალება პირნათლათ შეასრულე, ხოლო მომავლისთვის გავალებ შეძლებისდაგვარად მიაკითხო ამხ. ლეონტის ოჯახობას, ბავშვებს, თუ რამე დახმარება უნდა სწავლაში – გაკვეთილები გაუსწორო, დედა მათი ანუგეშო, რათა გაჭირვებამ სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდოს უმწეოთ დარჩენილი ადამიანები. ყოველ შენ წერილში ლეონტის ოჯახობის ამბავი მოიწერე... ჩვენ, მე და ლეონტი, სრულიად ერთნაირ პირობებში ვიმყოფებით და ის უფრო გვტანჯავს, რომ ნათლად გვაქვს ჩვენიანების გაჭირვება წარმოდგენილი და ვერავითარ დახმარებას ვერ ვახერხებთ; რომც ორივემ ვიფიქროთ ფიზიკურ სამუშაოზე მოწყობა, უარით გავვისტუმრებენ, რადგან საკუთარი უმუშევარი ბევრი ყავთ... იმედი მაქვს, ზემოხსენებულ დავალებასაც პირნათლათ აასრულებ, ჩემო კუჭუჭი!

მომიკითხე დიდის სიყვარულით და უზომო კოცნით იულია, გრიშა, მათი გოგონით, ჯანმრთელობით როგორ არიან სამივენი? მადლობა მოკითხვისთვის ბ.სიმონ ქვარიანს – მეუღლითურთ; სალამი ამხ. იუსტინეს, წითელი ჩოხა ხომ არ ჩაუცვამს? სალამი ევგენი ბოკერიას ოჯახობით, ჭაჭულია არჯევანიძეს ოჯახობით, თუ ქალაქში ცხოვრობენ და ხვდები – სალამი ყველას, ვისაც ვახსოვარ. „სცანი ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაცხოვნებს შენ“, ჩემო ბაღდალა!

შენი მამა არზაყანი ემუხვარი

*ჩემო საიმედო ვაჟო კუჭუ!*

1 აგვისტო 26 წ.

*შენი წერილი 16 ივლისის თარიღით მივიღე; მახარებს, რომ დასახულ მიზანს აღწევ და შენ მშობლებსაც იმედებს უორკეცებ... იყავი გონიერი და ფრთხილი წინდაწინ გეგმის შედგენაში და მიზნის დასახვაში, ხოლო შეუდრეკელი და მედგარი მათი სისრულეში მოსაყვანათ ბეჯითობით, მუყაითობით და სხვა კეთილი და პატიოსანი საშუალებებით... მე დიდი მოხარული ვიქნები, თუ ამ თავისუფალ დროს მოახმარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას... მე მეშინია ორივე უკიდურესობის, როგორც სიზარმაცის, რაც შენ სრულიად არ გემჩნევა, ესე გადამეტებული სიბეჯითისაც, რასაც ბევრი დაუკვირვებელი ახალგაზრდა მიყავს ტვინის მოღალვამდინ –* переутомление мозга, *ხოლო ეს უკანასკნელი დიდი უბედურობაა გონებრივი მუშაკისათვის... მე მაიმედებს შენი დაკვირვებული და აუჩქარებელი ხასიათი და მრწამს, რომ მეორე უკიდურესობასაც ასე აიცდენ, როგორც პირველი აიცდინე. შენი პირადი დაკვირვება და აწონდაწონვა ყოველი საქმისა საუკეთესო თავდებია იმისა, რომ ყოველთვის გამარჯვებული იქნები. რადგან დაკვირვება დროზე გიჩვენებს შემცდარ ნაბიჯებს და გამოგასწორებინებს თვითონ, რაც მომავალი საქმიანობისათვის დაუფასებელია. იწერები: „ნემეცურ ენას იოლად თხოულობენ"-ო. სამწუხაროა ეს. შენთვის აუცილებელი საჭიროა ერთ-ერთი ევროპული ენა კარგათ შეითვისო. ხოლო ნემეცური ენის ცოდნით შეგიძლია ინგლისური – ერთი წლის განმავლობაში შეისწავლო... რასაკვირველია რუსული ენა განსაკუთრებით უნდა შეითვისო, რადგან ეს ენა საერთაშორისო ენათაა გამხდარი ყველა იმ ერებისათვის, რომელნიც ყოფილ რუსეთის სახელმწიფოში შედიოდნენ და ახლაც კავშირში შედიან. ამ საკითხში მკვახე ნაციონალისტობა მავნებელია, მეტი არაფერი ... მეტათ სასარგებლო იქნება შენთვის კავშირი იქონიო და თვალყური ადევნო მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რამდენათაც ეს შესაძლებელია იქაური უნივერსიტეტის პირობებში...*

*რას კითხულობ, რა კითხვა გაინტერესებს? თუ არ წავიკითხავს და იქ იშოვება, წაიკითხე და შენი აზრი მოკლეთ შემატყობინე შემდეგ წიგნებზედ: «Мировые загадки» და «Чудеса жизни» Геккеля ...*

*იყავი გონიერი და დაკვირვებული და მით გაახარე შენი მშობლები... მომიკითხე ვისაც ვახსოვარ... ლადი და დათიკო გახარებული არიან შენი საკურსო გამოცდებში გამარჯვებით და მომავალშიც გისურვებენ სასახელო წარმატებას...*

*იყავი დინჯი და გოგრიანი ბიჭი...*
*შენი მამა არზაყანი*

***ჩემო იმედო, კუჭუ!***

**1927 წ. პრაგა**

*შენი წერილი სურათით მივიღე და პასუხს სურათის შესახებ მაროს ვწერ დაწვრილებით; ხოლო რაც შეეხება მეცადინეობას, უნდა გაგიმეორო, რომ ორივე უკიდურესობა – ნამეტანი ბეჯითობა და სიზარმაცე – თანაბარი მავნებელია და უნდა ერიდო მეცადინეობამ ჯანმრთელობაზე ცუდათ არ იმოქმედოს. სხვა, ჩამოთვლილი წიგნები ყველა კარგია მათი წაკითხვა, გატარებულ აზრის თავისებურათ გადამუშავება და შეთვისება, რასაკვირველია, დიდათ სასარგებლოა, მაგრამ ერთნაირი პირობები, წინასწარი კარგი მომზადება და სხვა საცდელი მასალებია საჭირო. არ ვიცი, ამ მხრივ შენ როგორ გრძნობ თავს? მაგალითისთვის ავიღოთ შენი პირველი ნახსენები წიგნი – ჩელპანოვის „ექსპერიმენტალური ფსიხოლოგია“. ეს წიგნი მთელი თავისი შინაარსით დამყარებულია ცდებზე, საჭიროა გვარიანი მომზადება და ხელმძღვანელიც. თუ ყველაფერი ეს თან გახლავს, განსაკუთრებით მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სათანადო მომზადება დიდად სასიამოვნოა. სხვა ჩამოთვლილი წიგნებიც მოითხოვს ამნაირ მომზადებას და ამიტომ, როგორც წინა წერილებში, ახლაც გირჩევ დიდი ყურადღებით მოეპყრა მათემატიკურ და საბუნმებისმეტყველო მეცნიერებებს, რადგან უამისოდ ნამდვილ მეცნიერებაში მხოლოდ შემთხვევითი სტუმარი იქნება და მისი არსი შენთვის გაუგებარი დარჩება... აჩქარება წიგნის კითხვაში მავნებელია; ყოველი წიგნი, რომელსაც წაიკითხავ, უნდა გადაამუშავო თვითონ და ნათლად დაისახო მისი დადებითი და უარყოფითი თვისებები, საქმე წაკითხული წიგნების რიცხვში კი არ არის, არამედ მათი შინაარსის თვისებაში და დედააზრის შეთვისებაში... უნდა თვით*

გამოიმუშავო ერთნაირი სისტემა მუშაობის, ერთნაირი მეთოდი მუშაობის შეფასების; აქ უკეთესი ხელმძღვანელი იქნება დაკვირვება და თვითკრიტიკა; წარსული შეცდომების შეგნება და მომავალში მათი აცილება, აი, გზა და ხიდი წარმატებისაკენ მიმავალი... აქედან ხელმძღვანელობის გაწევა შენი მეცადინეობისათვის შეუძლებელია, რადგან უნდა ვიცოდეთ შენი განვითარების დონე და ის საკითხები, რომელნიც გაინტერესებენ; ხომ იცი, რომ ესა ან ის საკითხი არ გაინტერესებს, მისი შეთვისება-გაგება ძნელია; ხოლო შესაფერისად მოუმზადებელმა დიდ საკითხს თუ ჩაჭიდე ხელი, მაშინ სარგებლობის მაგიერ ვნებას მოუტან შენ თავს. ერთი სიტყვით, სოკრატის არ იყოს, „იცანი თავი შენი“ და შენი სამეცადინო გეგმაც გაცნობილი-გამომუშავებული გექნება... ეხლა ჩემი სურათის შესახებ; იწერები: „სიმართლე გითხრა, ცუდათ იმოქმედა ჩემზე, „სულის“ სიმშვიდე არც ისე გამჩნევია, როგორც გვარწმუნებდი... რატომ მოხდა ეს?.. ჯავრისაგან თუ შიმშილისგანო“ და სხვ. ჩემო ვაჟო! გეტყობა პლეხანოვის და ტენის შრომები ხელოვნებაზე კარგათ ვერ შეგითვისებია, ჯერჯერობით ზერელეთ უყურებ ყოველ სურათს, მისი – სურათის – სიღრმემდე ჩაწდომა გიძნელდება და არც გასაკვირალია, ახალგაზრდა ხარ... თორემ კარგათ დააკვირდი ჩემ სურათს და მიხვდები, რომ სულიერი სიმშვიდე, ნების სიმტკიცე და პოტენციალური ენერგია ჩემში ბლომათაა, რაც ასე ადვილათ მატანინებს საყვარელ ოჯახისა და სათაყვანო სამშობლოს მოშორებას; ხუთი ნახევარი წელი ცოტა არ არის, მე ცოტა გამოვიცვალე, გარწმუნებ არა უარესობისაკენ; შენი თვალიც გადამეჩვია და ამიტომ გიკვირს ჩემი ცვალებადობა; იყავი მშვიდათ ჩემ ჯანმრთელობაზე, მე კარგათ ვგრძნობ თავს და შიმშილობით აქ არავინ შიმშილობს, ვინც კი ანგარიშიანია ცხოვრება იცის; მე დროა ეს ვიცოდე; აქ ყველაფერი გამოანგარიშებით გვეძლევა და შიმშილობს ზოგნი ჩვენიანები მხოლოდ იმიტომ, რომ ეწევიან იმერულ აზნაურივით უანგარიშო ცხოვრებას; ფულის მიღებისთანავე გადაკრავენ ჩვენებურად, ძველებურად და მერე კი უხდებათ შიმშილობა... ვისი ბრალია! არც საზოგადო საქმე მაქვს სადარდებელი, რადგან ვიცი ყველაფერი უნდა მივიდეს თავისი ლოღიკური დასკვნამდის... დიალექტური მეთოდი გუშინ არ შემითვისებია!! თქვენი – ცოლიანი ვაჟების – კარგათ ყოფნა ჩემთვის ენერგიის მომცემია, იმედის გამღვიძებელია...

*მაშ, იყავით კარგათ! კუჭუ! დედა შენის ნერვებაშლილობა მეტათ მაფიქრებს. შენ თვალის შეჩვევით უყურადღებოთ არ მოექცე შენ მრავალწამებულ დედას; აწი, ვაჟო, შენი მოვალეობა დედის წინაშე მუდამ გახსოვდეს!.. იცოდეთ, თქვენი წარმატებებით და კარგათ ყოფნით მეც კარგათ ვიქნები.*

*შენი მამა არზაყანი*

***საყვარელო მეუღლევ, სანატრელო ვაჟებო!***

*გაკვირვებული ვარ თქვენი სიჩუმით. უკანასკნელ დიაში მწერდით ციება ჩამოვიტანეთ აფხაზეთიდანო და მერე ნოემბრიდან არაფერი ცნობა თქვენი ჯანმრთელობაზე არ მიმიდია. რაშია საქმე? ავადმყოფობა გაგიძნელდათ, თუ მოიშორეთ? ჩემი დიები მიიღეთ? ჩემი თხოვნა, გეცნობებიათ ჩვენსას როგორ არიან, ვინაა ცოცხალი, როგორ იმგზავრეთ – რატომ არ შემისრულეთ? დაბეჯითებით გთხოვთ მაცნობოთ: როგორა ხართ ჯანმრთელობით... ჩვენი დარდი ნუ გექნებათ, ჩვენ ჯანმრთელობით კარგათ ვართ, მხოლოდ თქვენი ანბის უცოდინარობა გვაწუხებს... რა იქნება, დიათი თქვენი ხელმოწერით გვაცნობო, რომ კარგათ ხართ? სანამ თქვენგან ცნობას არ მივიღებ, მეც არ მოვიწერები და განიცადეთ, თუ რამდენათ სასიამოვნოა ასეთი თქვენებური სიჩუმე... მე თვეში ორი დიას ვიგზავნით, ხოლო თქვენ მეოთხე თვეა ერთი დია არ მაღირსეთ... ნუთუ ყველა თქვენი დიები იკარგება? ვის რათ გამოადგება დიები თქვენი ჯანმრთელობაზე? იცოდეთ, მეტათ ნაწყენი ვარ თქვენი სიჩუმით...*

*იყავით კარგათ, გაკოცებთ მრავალს...*

*არზაყანი, 13.II.34 წ. ქ.პრაგა*

ემიგრანტის შვილობა ბოლშევიკურ საქართველოში მარტივი არ იყო, მითუმეტეს, ისეთი წარჩინებული, წარმატებული ადამიანისთვის, როგორიც არზაყანის უფროსი ვაჟი, ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი იყო...

აი, რას წერს თავის ავტობიოგრაფიაში ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი:

„დავიბადე 1908 წელს, აფხაზეთში გალის რაიონში სოფ. შეშელეთში, მამაჩემი, დიმიტრი /არზაყანი/ ყიზილბაქის-ძე ემუხვარი. მეტ წილათ სოფლის მეურნეობას ეწეოდა და ზოგჯერ კი სასამართლო საქმეებზე გამოდიოდა. სამსახურში არ იყო, ვინაიდან მეფის მთავრობა მას არ ნდობდა /იგი მონაწილე იყო რევოლუციონური მოძრაობისა აფხაზეთში. მე 1913 წლამდე, აფხაზური ჩვევის თანახმად, ვიზრდებოდი გამზრდელებთან – კვარაცხელიების ოჯახში. 1913 წლიდან კი მამის ოჯახში ვცხოვრობდი, ხოლო გაზაფხულ-ზაფხულის თვეებში კი ჩემს დედას მივყავდი თავის მამის ოჯახში ქუთაისში, ვინაიდან ზაფხულობით მაციებდა. 1916 წლის მიწურულში მამა მოეწყო სამსახურში – კერძო პირთან – კოტე შერვაშიძის კანტორაში, რომელსაც აფხაზეთში გაშენებული ქონდა თამბაქოს პლანტაციები. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მამაჩემი ჯერ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე იყო, შემდეგ კი აფხაზეთის სახკომ-საბჭოს თავმჯდომარე. 1921 წელს მამაჩემი გაყვა ჟორდანიას მთავრობას. მე მაშინ 12 წლის ვიყავი და ვითვლებოდი სოხუმის რეალურ სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფეთ. სოხუმის ევაკუაციის შემდეგ, ჩვენი ოჯახი ე.ი. დედა, მე და ჩემი ძმა, რომელიც ორისამი კვირისა იყო, ვცხოვრობდით ქუთაისში 26 კომუნართა ქუჩაზე № 11 – დედის დებისა და ძმების სახლში.

1921 და 1922 წელში მე სკოლაში არ ვიყავი, რასაც ხელი შეუშალა იმანაც, რომ ქართულათ სწავლას ვერ ავეწყვე. 1923 წელში კი მე თვით მოვემზადე და მასწავლებლების შესწორების მეოხებით ჩავაბარე მეორე შრომის სკოლაში საკონკურსო გამოცდები. სწავლაში წარმატება მქონდა, ყველა საგნებს ფრიადზე ვსწავლობდი; ამიტომაც პედსაბჭოს დადგენილებით სწავლის ქირიდან თავისუფალი ვიყავი.

სასწავლებელში ვითვლებოდი თვითმართველობის წევრად, ანტი ბოლშევიკურ პარტიის წევრი არ ვყოფილვარ და ამიტომაც არც ერთხელ არ დაუკითხივართ ქუთაისის „ჩეკას“, თუმცა იმ ხანებში მოწაფეთა დაკავება არც ისე იშვიათი მოვლენა იყო. კერძოთ 1924 წლის ზაფხულში, მენშევიკური ავანტურის დროს, მე ვიყავი სოხუმში, ჩემს ბიძასთან, გიორგი ჩიკვაიძესთან და ბიცოლასთან, რომელთა მოვლით დავსძლიე ფილტვების სისუსტე. ჩვენი არსებობის წყაროს შეად-

გენდა დედის მამისეული სოფელი, საიდანაც სანოვაგე მოგვდიოდა და 1923 წლიდან კი მოწაფეების მომზადება.

სკოლის დასრულების მომენტისათვის, თუმცა ბუნებრივია ფიქრი უმაღლესი ცოდნის მიღებისა, მე სამსახურში მოწყობაზე ვფიქრობდი. საბედნიეროთ ჩემი მომავლით დაინტერესდა ჩვენი კლასის დამრიგებელი განსვე. გერასიმე ცაგარეიშვილი, მას მე უამბე ჩემი მდგომარეობა. ჩემი საკითხი პედსაბჭომ განიხილა და თხოვა კერძო კურსების მქონე მასწავლებელ ძმებს სვანეძეებს ჩემი უფასოთ მომზადება. ამავე დროს თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლათ სოხუმში მცხოვრები მიძია და ბიცოლა, რის გამოც თბილისში ბინაც გამიჩნდა. 1925/26 წელში დავიჭირე საკონკურსო გამოცდები საიჟინრო ფაკულტეტზე, საიდანაც 1925 წლის იანვარში გადავერიცხე ეკონომიურ ფაკულტეტზე, ვინაიდან საინჟინროზე სწავლას მეტი სახსრები სჭირდებოდა, ხოლო სტუდენტების სტიპენტიანტი სტუდენტთა რიცხვში მაშინ მცირე იყო.

1928 წელს ზაფხულში ჩემი ძმა დიფტირიტით გახდა ავათ, რასაც შემდეგ სასუნთქი ორგანოს და ხერხემლის დამბლა მოყვა. ბავშვს ესაჭიროებოდა სერიოზული მოვლა და მკურნალობა, ამიტომაც იძულებული ვიყავი ამეღო აკადემიური შვებულება და მეძებნა სამსახური.

1929 წლის სექტემბრიდან განავახლე უმაღლესში სწავლა. 1930 წლის იანვრიდან გამაგზავნეს პრაქტიკაზე ამიერკავკასიის სტატისტიკურ სამმართველოში, სადაც სამუშაოთ დამტოვეს, ხოლო შემდეგ კი გადამიყვანეს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. 1930 წლის მაისში ეკონომიური ფაკულტეტი დავასრულე. ვინაიდან თბილისში ბინა არ მქონდა, რომ ოჯახი გადამეყვანა, ხოლო ორ ოჯახად ყოფნა საძნელო იყო, ამიტომ გადმოვედი ქუთაისში.

1931 წელს აგვისტო-სექტემბრის თვეებში ჩატარდა ქალაქის აპარატის წმენდა ავტობიოგრაფიაში მე აღვნიშნე, რომ მამა ემიგარნტი იყო. ვინაიდან მუშაობაში წარჩინება მქონდა, ბიუროკრატიული ქცევა არ მახასიათებდა და ამავე დროს ვიყავი ქალაქის საბჭოს კედლის გაზეთის რედკოლეგიის თავჯდომარე (ჩვენმა კედლის გაზეთმა, მაღალი პილიტიკური და მხატვრული დონის გამო რესპუბლიკანურ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა) – ამიტომ აცილება არ მქონია და აპარატიდან არ მოუხსნივართ.

1932 წლის აგვისტოში მე ჯარში უნდა გავეწვიეთ, ამავე დროს ქუთაისში უნდა ჩატარებულიყო სარაიონოთაშორისო კონფერენცია მეორე ხუთწლიანი გეგმაზე. ვინაიდან ქუთაისის რაიონის მეორე ხუთწლიან გეგმაზე ძირითადი თანამომხსენებელი მე უნდა ვყოფილიყავი, ამიტომაც ქალაქის საბჭოს თავ-რე სირაძე შეუთანხმდა სამხედრო კომისარს, რომ მე მეორე ნაკადში გავეწვიეთ კონფერენციის შემდეგ. როგორღაც ამ საკითხის გაფორმებას დააგვიანდა და მე პირველ ნაკადში გავედი – საბანაკო შეკრებაზე სალორიის ტყეში. მეხუთე დღეს, საღამოს, გამომიძახეს შტაბში და მითხრეს, რომ მე მიბარებენ ქალაქის საბჭოში. მეორე დღეს გამოვცხადდი ამხ. სირაძესთან, რომელმაც მითხრა, რომ 18 აგვისტოს ჩამოდის საქართველოს საგეგმო კომისიისა და ადგილ. მრეწ. კომისარიატის ბრიგადა და დაუყოვნებლივ დაასრულე მეორე ხუთწლიანი გეგმის შეჯამება და ცალკე საკითხებზე შეარჩიე მომხსენებლებიო. – ჯარს რაც შეეხება – ეს საკითხი მოგვარებულია და მეორე ნაკადში გახვალო.

ჯარში კი, ჩვენს კომისარს, მ. ჭყონიას, ჩემი არ დაბრუნება გამოუცხადებია, როგორც დეზერტირობა, დაუმუშავებივარ ჯარში და საქმე გადაუცია სამხედრო ტრიბუნალისათვის და პოლიტსამმართველოსათვის. ეს საქმე მ. ჭყონიამ განგებ ჩაიდინა, მან კარგათ იცოდა ჩემი წასვლის მიზეზი. მე მომინდომეს დაპატიმრება.

1935 წლის ზაფხულში შვებულებიდან დაბრუნებისას გავიგე, რომ სამსახურიდან მოხსნას მიპირებდნენ ენუქიძის ამბავთან დაკავშირებით. შევეკითხე მაღლაკელიძეს, ჯერ იუარა, 10 დღის შემდეგ კი მითხრა შემოიტანე განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებო. მე არ დავთანხმდი – ბრალდებით მომხსენით, მე კი თავს გავიმართლებ მეთქი. გამომიძახა ქალაქის საბჭოს პარტკომის მდივანმა შ. ჯანჯღავამ, „არ გეგონოს, რომ ჩვენ, როგორც სპეციალისტ მუშაკს არ გაფასებდეთ, მაგრამ არაა მიზანშეწონილი, რომ ემიგრანტის შვილი პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოში მუშაობდეს. ჩვენ უკეთეს პირობებში მოგაწყობთ ადგ. მრეწ. განყოფილებაში, ეს არ გეწყინოს, ჩვენი მტრების გავლენის ქვეშ არ მოექცე და საბჭოთა ხელისუფლებაზე აზრი არ შეიცვალოო".

შემდეგ რამდენადაც ვიცი, ჩემი საკითხი პრეზიდიუმზე იდგა და მე დატოვებულ ვიქენი. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მე შევიტანე განცხადება განთავისუფლების შესახებ, ვინა-

იდან მაღლაფერიძის „ხელმძღვანელობის“ პერიოდში ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმზე არც ერთი საკითხი არ დასმულა და საგეგმო კომისიაში არა კეთდებოდა რა. საგეგმო კომისიაში მუშაობის პერიოდში, გარდა წლიური საკონტროლო ციფრების დამუშავების და გეგმათა შესრულების შემოწმების სანიმუშო ორგანიზაციისა, რის გამოც საქართველოს საგეგმო კომისიის დელეგაციამ პრეზიდიუმის ღია სხდომაზე რესპუბლიკანურ შეჯიბრში გამარჯვება მოგვილოცა და ფულადი ჯილდო გადმოგვცა, მე მონაწილეობა მივიღე ლიტაპონის ქარხნის, საკონსერვო ქარხნის, ხორცკომბინატის ეკონომიურ დასაბუთებაში.

უშუალოდ დავწერე ქუთაისის თეატრის, ქუთსოფლმრეწვის, ე-კლასის სამრეწველო ექსპლოატაციის და ქუთაისის მეოთხე ხიდის ეკონომიური დასაბუთება და ქუთაისის მცირე ხუთწლიანი გეგმის განმარტებითი ბარათი. 1935 წლის 15 ოქტომბრიდან მე დავიწყე მუშაობა სახბანკის ქუთაისის განყოფილებაში. მმართველმა ჩემი დანიშვნა შეუთანხმა კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტს, მუშაობაში წარმატება მქონდა, ჩატარებულმა რევიზიებმა ჩემი მუშაობა კარგათ სცვნეს. ამიტომ 1936 წელში სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მუშაობაში წარმატებისა გამო ვითვლებოდი წარჩინებულათ და ფულადი ჯილდო მივიღე.

როგორც ჩემი დაწვრილებითი ავტობიოგრაფიიდან დაინახავთ:

მე ცხოვრების გზა საკუთარი თაოსნობით გავირკვიე – და არავითარი ფინანსური – მატერიალური დახმარება მამიდან არ მიმიღია.

საშუალო სკოლაში და უმაღლესში სწავლების პერიოდში მე არ მქონია არავითარი კავშირი ანტიბოლშევიკურ პარტიებთან, არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია აგვისტოს ავანტიურაში და უნივერსიტეტში შესვლის წლიდან არავითარი მიმოწერა არა მაქვს მამასთან.

სამსახურის პერიოდში მე მთელი ჩემის ენერგიით და ცოდნით პირნათლათ ვასრულებდი სამუშაოს, ვწერდი ეკონომიურ დასაბუთებებს, რის გამოც გაკიცხვა არ მიმიღია, ხოლო მადლობა და ჯილდოე-

ბი კი ხშირად მიმიღია.(სტილი დაცულია, თარიღი არ არის მითითებული).

ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი ერთ დღეს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა. მისი მეგობრებისგან გახდა ცნობილი, რომ დაჭერილი იყო. მიზეზად არზაყან ემუხვარის შვილობაც კმაროდა.

სათუთად ვეხები კუჭიკოს მიერ ციხიდან მოწერილ ბარათებს, ვიცი რომ ეს მისი უკანასკნელი ბარათებია. რა იმალება ამ უბრალო სტრიქონებში? ალბათ, ტკივილი: ის ხომ ხვდებოდა, რომ ვეღარასდროს ეღირსებოდა თავისუფლებას, ვეღარასდროს ჩაიკრავდა გულში ახლობლებს, ვეღარასდროს იგრძნობდა მათ სითბოს. ვინ იცის, რა სატანჯველი გამოიარა მან ციხის კედლებში, რა დამცირება გადაიტანა!... არა და, რამდენი რამის გაკეთებას შეძლებდა ეს კეთილშობილი და უდაოდ ნიჭიერი ადამიანი.

*ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარის წერილები ციხიდან:*

*ძვირფასო დედა!*

*მივიღე ჩანთით: 1 მაიკა, 1 ზეწარი, 2 ცხვირსახოცი, 2ნასკი, 1 პირსახოცი. არ მიმიღია შალის ფუფაიკა, კალოში, კბილის ჩოთკი, სარკე და სავარცხელი.*

*არ იჯავრო. გკოცნით ყველას.*

*კუჭიკო*

*მესაჭიროება შალის წინდა, ტომსიკა, ბამბის კურტკა.*

*ძვირფასო დედა!*

*რუსული საბანი, ფუფაიკა არ მიმღია.*
*მივიღე მატყლის ორი წინდა.*

*კუჭიკო*

*გკოცნით ყველას. განსაკუთრებით გივიკოს – ივას.*

*1937 წელი*

*(სტილი დაცულია).*



ვლადიმერ ემუხვარი

ეს ფოტო გადაღებულია დაპატიმრებამდე **2** საათით ადრე

შინსახკომის „სამეულის“ გადაწყვეტილებით, მას სასჯე-ლის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა. მხოლოდ იმიტომ, რომ არზაყან ემუხვარის შვილი იყო. მისი პირადი საქმის მო-ძიება მე ვერ შევძელი...

ერთადერთი, რასაც არქივში მივაკვლიე, არის შინსახ-კომის სამეულის დადგენილება მისი დახვრეტის შესახებ.

***Протокол №92***
***(Сов. секретно)***

Заседания тройки при Комиссариате Внутренних дел Грузинской ССР от 22 февраля 1938 года

Слушал: ДЕЛО Кутаисского Горо НКВД ГССР №27205 по обвинению Эмухвари Владимира, он же Кучико Дмитриевича 1908 г.р. жит. Кутаиси.

Обвиняется в том, что Эмухвари из бывших князей, сын губернатора известного меньшевика, который в 1921 году эмигрировал в заграницу. Эмухвари с отцом имеет письменную связь. Находясь в Кутаиси, Эмухвари В.Д. был тесно связан с фашисткими элементами, которые ныне арестованы. Вел а/с агитацию.

***Докладчик : т. Д. Демуров***

Постановили:

***Эмухвари Владимир он же Кучико Дмитриевича***
***Расстрелять***

Имущество принадлежащее лично ему конфисковать

Председатель тройки НКВД ГССР

***7.03. 1938 г.***

არზაყანის იმედი და სასოება კუჭიკო 1938 წლის 7 მარტს დახვრიტეს. 1955 წელს კი ემუხვარის ოჯახმა მიიღო წერილი მისი რეაბილიტაციის თაობაზე.

საინტერესოა თვით რეაბილიტაციის დოკუმენტი, რო-მელსაც საქართველოს ეროვნულ არქივში მივაკვლიე:

***Определение №213***

***Секретно***

Именем Грузинской ССР, судебная коллегия по уголовным делам Верховного Суда Грузинской ССР, в составе:

Председательствующего – Георгадзе. Д.

Членов: Махарадзе. Ш.
Ломидзе Г.

Рассмотрела в заседании от 16 ноября 1955 года протест в порядке надзора Генерального Прокурора СССР на постановление тройки при НКВД Грузинской ССР от 23 февраля 1938 года, в котором Эмухвари Владимир, он же Кучико, Дмитриевич, рождения 1908, уроженец Гальского района, Абхазской АССР. Осужден к ВМН – ***расстрелу***. ***В постановлении тройки юридическая квалификация не указана.***

***Суд установил:***

Эмухвари Владимир, он же Кучико, признан виновным в том что проводил антисоветскую агитацию. Основанием осуждения послужили данные о том, что Эмухвари Дмитрием, который при меньшевистском правительстве в Сухуми явился председателем совета Министров и в 1921 году, бежал заграницу и проживал в Праге. Проверкой устанвлено, что Эмухвари В.Д. не проводил никакой антисоветской агитации и контррволюционной агитации. По делу не допрошен ни один свидетель для подтверждения указанного. Что касается показания Эмухвари о том, что он поддерживал письменную связь с отцом до 1935 года – это не содержит состава преступления.

***Коллегия считает, что Эмухвари осужден необоснованно***.

Соглашаясь с протестом, Судебная коллегия определила: Постановление тройки при НКВД Грузинской ССР от

22 февраля 1938 года по делу Эмухвари Владимира, он же Кучико, Дмитриевича Эмухвари отменить и дело за необоснованностью обвинения производством прекратить (108).

**Прокурору отдела по спецделам прокуратуры**
**Союза ССР**
**тов. Афанасьеву**

**Заявление**

Мой брат Эмухвари Владимир Дмитриевич, по профессии экономист высшего образования, в 1937 году был арестован в г. Кутаиси. После его ареста мы не имели никаких сведений о его судьбе.

В прошлом году наша семья получила ваше отношение от 26 января 1956 года № /11-453455, которым сообщили, что по протесту прокурора Союза ССР, определением Верховного Совета Грузинской ССР от 16 ноября 1955 года, в отношении Эмухвари В.Д. дело прекращено производством.

Наша семья до сего времени не имеет никаких сообщений жив или нет Эмухвари В.Д.и где находится, а если умер где и когда.

Обращая ваше внимание, что я в момент ареста моего брата был несовершенолетним, в настоящее время мне необходимо знать действительное положение о его судьбе.

Убедительно прошу оказать нашей семье содействие и сообщить где находится Эмухвари В.Д., а если умер дату его смерти и последнее местонахождение.

Наша семья надеется, что эту просьбу не оставите без внимания.

Эмухвари Г.Д.
12 апреля 1957 года

აი, როგორი დაამახსოვრდათ კუჭიკო ემუხვარი თანაქალაქელებს – ქუთაისელებს:

„გივი ემუხვარი თავიდან ჩვენთან არ სწავლობდა, კარგად არ მახსოვს მე-3 თუ მე-4 კლასში გადმოვიდა ჩვენს სკოლაში.



არზაყან ემუხვარი

*1937 წლის ნოემბერში ოჯახმა პრაღიდან არზაყანის უცნაური ფოტოსურათი მიიღო. მეუღლის წერილობით შეკითხვაზე, ხელები გულზე რატომ გაქვს დაკრეფილიო, არზაყანმა უპასუხა: „ვგრძნობ, რომ ოჯახში რაღაც დიდი უსიამოვნებააო“. აბა მეტი უბედურება რა იქნებოდა, როდესაც მისი უფროსი ვაჟი ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი 1937 წლის ოქტომბერში დაპატიმრებული იყო.*

იყო ძალიან წყნარი, განდეგილი. არც გოგონებთან მეგობრობის სურვილს იჩენდა მაინცდამაინც და არც ბიჭებთან. ყველასთან ზომიერი, მოკრძალებული ურთიერთობა ჰქონდა. მის ერთგვარ გაუცხოებას და მარტოსულობას თურმე თავისი მიზეზი ჰქონია: დედა დაღუპვოდა და, როგორც მაშინ ვიცოდით, მამაც არ ჰყავდა. მხოლოდ ახლახან გავიგე, მამამისი რომ პარიზში ცხოვრობდა. ობოლ ბიჭს, სამაგიეროდ ძლიერი მფარველი ჰყავდა მისი შესანიშნავი ძმის სახით. ამ ულამაზეს ვაჟკაცს მთელი ქალაქი იცნობდა, როგორც კუჭიკო ემუხვარს. იმ დროს, როცა ახალგაზრდებში ჩაცმის ე.წ. „კომკავშირულ-დამკვრელური" სტილი იყო გაბატონებული, კუჭიკოს ევროპული ტანსაცმელი ემოსა და ამ განუმეორებელი გარეგნობის ვაჟკაცს რაღაც გასაოცარ პეწს მატებდა. გარეგნობასთან ერთად გივის ძმას დიდი სულიერი სილამაზე, ჭკუა და თვისებები ჰქონდა, ამიტომ იმდროინდელ ქუთაისურ საზოგადოებაში პირდაპირ ბრწყინავდა.

1937 წელს კუჭიკო დააპატიმრეს. ამის შემდეგ მუდამ მორიდებული გივი ძალზე შეიცვალა. ხშირად გვინახავს აღგზნებული, აღელვებული, თუმცა, ღირსება და საკუთარი თავის მართვის უნარი არასოდეს დაუკარგავს "(109).

ჩვენს ხელთაა პროფესორ ზაურ კვარაცხელიას წერილი, რომლის ოჯახშიც კუჭიკო ემუხვარი იზრდებოდა:

*„...როდემდე უნდა ვიყოთ ჩვენ, ქართველები და აფხაზები, დაპირისპირებისა და ეთნოშუღლის რეჟიმში?...*

*დამეთანხმებით, დიდი უმეცრება იქნებოდა ისევ ომზე და სისხლისღვრაზე გვეფიქრა. ან კიდევ, ვის უნდა ვესროლოთ ტყვია იმ წარმოსახვით ომში, სადაც ერთ მხარეზე რუსები და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზები დგანან, მეორე მხარეზე – ჩვენ, თქვენი ძმები ქართველები. ვის უნდა ვესროლო პირადად მე, დურიფშელ კვარაცხელიებს, ოჩამჩირელ სოლომკოებს, ფაჩულიებს, ჩქოტუებს, ტყვარჩელელ კვარჭიებს, რომლებთანაც მჭიდრო ნათესაური ურთიერთობები მაკავშირებს, თუ ჩემი ოჯახისათვის დაუვიწყარ მარშანიებს, ანჩაბაძეებსა და ემუხვარებს?...*

*მარტო არზაყან ემუხვარის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი და მისი ვაჟიშვილების ვლადიმერისა (შინაურობაში კუჭიკო) და გივი ემუხვარების ურთიერთობანი ჩემს მშობლებ-*

*თან, მამიდებთან, დიდედასთან და სანათესაო წრესთან მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ასეთ ომში მონაწილეობას ვერ მივიღებ.*

*კლასიკოსი მწერლის სიყრმის მეგობარი და „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის, თარაშ ემუხვარის პროტოტიპი, არზაყან ემუხვარი ხომ ერთ-ერთი დიდსულოვანი და კეთილშობილი რაინდია ქართულ – აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიაში“* (110, 6).

უფაქიზესი დამოკიდებულება ჰქონდა არზაყანს მეუღლისადმი, რასაც ეს წერილიც ადასტურებს:

***ჩემო საყვარელო მეუღლევ!***

***ამ წერილს მიიღებ, ალბათ, თუ უწერია მათ თქვენამდე მოღწევა, დაახლოებით შენ დღეობაზე.***

***ამ შენ დღეობაზე მთელი ჩემი არსებით შენთან ვარ, ჩემო კარგო!***

***ჩვენ ვაქებთან ერთად მოგეხვევი, ჩაგიკრავ გულში, დაგიკოცნი ლამაზ ტუჩებს და გონიერ თვალებს და გისურვებ ჯანმრთელობას, გული მხიარულს, სულიერ სიმშვიდეს, დროებით ჩემი სიშორის მტკიცედ ატანას და ყოველივე სიკეთეს.***

***იყავი კარგათ, მრავალჟამიერ შენი სიცოცხლე!***

***შენი საყვარელი მეუღლე არზაყანი***

1 აგვისტო, 1935 წ. ქ.პრაგა

მარიამ მიხეილის ასული ჩიკვაიძე (დაიბადა 1880 წლის 20 მაისს, ქ.ქუთაისში. მამა – მიხეილ თომას ძე ჩიკვაიძე, დედა – ფატმან ღოღობერიძე. დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია) ულამაზესი ქალი იყო.

„სტუდენტობის დროს არზაყანი ცხოვრობდა სემინარიის მიერ სტუდენტებისათვის დაქირავებულ ბინაში; ბაბუაჩემის ე.ი. მიხეილ თომას-ძის სახლში, რომელიც მდებარეობდა პეტრე-პავლეს ეკლესიიდან მესამე სახლად. აქ მოხდა დედაჩემის და მამაჩემის გაცნობა და სწორედ 1902 წელს სემინარიის დამთავრების შემდეგ შეუღლდნენ; ჯვრისწერა მოხდა პეტრე – პავლეს ეკლესიაში (1906 წ. 5 აპრილს, ნ.მ.), სანამ იქორწინეს არზაყანს უთქვამს: „მარიამ, რომ მიმყვები, არ უნდა იცო-

დე ვის მიყვები, მე არაფერი გამაჩნია, არც სახლი და არც კარიო“. მარიამს კი უთქვამს: „თუ ჩვენ ერთმანეთი გვეყვარება წრფელი და სპეტაკი სიყვარულით, შენ აფხაზეთში ერთი ძირი ხე ხომ მაინც დგას, აი იმ ხის ძირში შევქმნით კეთილ და სინდისიერ ოჯახსო“. გაყვა რა ამ „უსახლკარო“ არზაყანს და შექმნეს თავიანთი ოჯახი, მარიამი სათავეში ჩაუდგა აფხაზეთში ქართული ენის სწავლებას.”

ხელთ გვაქვს მარიამ ჩიკვაიძის წერილი თავისი მშობლებისადმი, სადაც აღწერა თავისი პირველი ჩასვლა აფხაზეთში და საკუთარი ქორწილი. ვიდრე წერილის შინაარსს შემოგთავაზებდეთ, რამდენიმე სიტყვა საქორწილო რიტუალზე რევოლუციამდელ აფხაზეთში:

რევოლუციამდელ აფხაზეთში შეძლებული სასიძო ცოლის თხოვნის დროს მის ოჯახში მრავალრიცხოვან ამალას აგზავნიდა. ამალაში შედიოდნენ დები, ძმები, დისშვილები, ძმისშვილები, სხვა ნათესავები და მეგობრები. სიძე შინ რჩებოდა. ამალას მიუძღოდა ხანში შესული, დარბაისელი მამაკაცი. ქალთა შორისაც იყო ერთი ასაკოვანი ქალი, რომელიც წინამძღოლის როლს ასრულებდა.

სიძის სახლში, სადაც საქორწინო ნადიმისათვის გაცხოველებული მზადება მიმდინარეობდა, ჯერ ვახშამი იმართებოდა, შემდეგ ამალა დგებოდა და შეუმჩნევლად გადიოდა ეზოდან. საპატარძლოსთან ერთად უკან მობრუნება ხმაურიან და საზეიმო ხასიათს ატარებდა. დამბაჩის გრიალითა და სიმღერებით შეყავდათ საპატარძლო სასიძოს ოჯახში. ზღურბლთან მისულ საპატარძლოს თავზე ვერცხლის მონეტებსა და ტკბილ პურებს აყრიდნენ და გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ატარებდნენ. იგი თავის ახალ ოჯახს შემოივლიდა და ირგვლივ ხორბალს მიმოაბნევდა. თავსაბურავით სახედაფარული, დობილებით გარემოცული საპატარძლო ცალკე ოთახში იმყოფებოდა და მისი ნახვისა და დასაჩუქრების მსურველები მას იქ აკითხავდნენ.

საქორწინო ნადიმი დიდი მასშტაბებითა და კერძების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, იგი ძირითადად შედგებოდა წვრილფეხა თუ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის (გამონაკლისი იყო კამეჩი) მოხარშული ხორცისაგან, ღომისა და კარგი ღვინისაგან.





მარიამ ჩივაძე

მარიამ ჩიკვაიძის წერილი მშობლებისადმი:

*„ჩვენ ქუთაისიდან 26 დეკემბერს ნაშვაღამის 3 საათი იყო, ასე გამოვედით, რადგანაც 9 საათის მატარებელმა გაგვასწრო, მაგრამ ჩემი და იძულებით იღბლად მანიორის დროს პარაოზი ლიანდაგს გადაცილებულა და ჩავარდნილიყო. ბილეთი ნაყიდი გვქონდა პირველი ზვანოკი მიცემული იყო. კუპეში ეს ამბავი 15 მინუტის შემდეგ გავიგეთ. ჩემ ამბავს არ იკითხავთ, ბატონო, მქონდა გული აჩქარებული მთელი გზა ვტიროდი, ვერაფრით გული ვერ დავიმაგრე, რო ეს არ მომხდარიყო და სახლში არ დავბრუნებულიყავი აქამდე ვერ მოვაღწევდი, თუმცა დიმიტრი ძლიერ უარს იყო დაბრუნების, მაგრამ არ დაუჯერე, მისთვის, რომ ჩემმა გამომშვიდობებამ ვლახათ იმოქმედა და ყველა ჩემიანზედ ისევ შეწუხდებიანო და უარს იყო.*

*კარგი გათენებული იყო, სემიონი შემომხვდა დუქანში მიდიოდა ის დრო იყო, მერე ისევ 2 საათზედ გამოვედით სახლიდან, უფრო უკეთ მქონდა გული მის შემდეგ სენაკამდის პოეზდით მივედით, საღამო იყო ეს 28 დეკემბერი, იმ ღამეს ნომერში დავრჩით, მეორე დღეს იქნებოდა 12 საათი დელექანით ზუგდიდისკენ ვიმგზავრეთ და საღამოს 6 საათი იყო რო ზუგდიდში ჩავედით, ასეთი მშვენიერი ნაკეთები და სწორი გზები რო დელექანისთვის ერთი გლახა შერყევა არ შემინიშნია. იმ ღამეს ნომერში დავრჩით. და მეორე დღეს 29 დეკემბერს ცხენებით გავემგზავრეთ აფხაზეთისკენ, პირველად კი შემეშინდა ცხენის, მაგრამ მერე მშვენივრად მიმყავდა. მე თვითონ მიკვირდა ჩემი გულისაგან. დიდი ენგური ადიდებული იყო, და წყალი მუცლამდე წვდებოდა ცხენებს და შეუძლებელი იყო ჩემი მათი გაყვანა და ნავით გავედით, მერე ისევ ცხენით და ასე მივაღწიეთ გალამდის. იქ იმ ღამეს დავრჩით. დიმიტრიმ ცხენები შეთვალა სახლში.*

*მეორე დღეს, ჩემი მაზლიდგან გამოგზავნილმა კაცმა გვითხრა 31 დეკემბრამდე დარჩითო, რადგანაც სახლში მოჯამაგირე სვანი მომკვდარიყო და გაუსვენებელი იყო.*

*მართლაც, დავრჩით და 31 დილით მოვიდნენ 15 ცხენოსანი კაცი და ერთი ქალი ჩემს წასაყვანად, შემსვეს ცხენზედ*

*და გავემგზავრეთ სახლისკენ. დიმიტრი შორი ახლოს მოგვყვებოდა ორი კაცით, მე კი წინ მივყავდი დანარჩენებს, ეს მისთვის რა სირცხვილია, ქმარმა ცოლი წაიყვანოს.*

*იქიდან რომ გამოვედით იქნებოდა 12 საათი და მოვედით სახში, საღამოს 5 საათზე, დავხვდენ სახში ორმოცი კაცი და ქალი. იმ ღამეს მთელი ღამე სმა და ქეფი იყო, ოთახში ლეკვერთხებს ისროდნენ, როგორც ჯარში, მე კი ღმერთმა უშველოთ ადრე მომასვენეს. ამნაირად გაგრძელდა ორი კვირა. აქაური ჩვეულება – მოვლენ სანახავათ ჯერ ზალაში დასხდებიან, იმუსაიფებენ დიმიტრისთან, შემომითვლიან თქვენი ნახვა გვინდაო, გავლენ კარში, ისვრიან 3 ჯერ რევოლვერს მერე შემოვლენ ჩემს სანახავათ, მოაქვთ პირ სანახავი 5 მანეთი, ვის 10 მანეთი, ვის 15 მანეთი, მაგრამ ისევ უკან ვატან, რადგანაც ვუარყოფ ზოგიერთ აქაურ ჩვეულებებს. ყველას კი არ შეეძლება, ზოგიერთებს რომ დაუკვირდეთ მოგეწონებათ. ისე ხალხი სამაგალითო ხასიათისაა. ყველა თავს გვევლება, გვარიანად შევეთვისე აქაურ ცხოვრებას. თუ ღმერთმა მაღირსა თქვენი ნახვა, აქ რომ ჩამობრძანდებით, იფიქრებთ აქ 2 წლის მოსახლე კი არა 15 წლის უკანასკნელი მოსახლე იქნებიანო. ასე პურით, ღვინით მდიდარი ქვეყანაა, ღვინო რასაკვირველია, ოდესის, რძე, ყველი, ხორცი მოდიან ბევრი. რძე და ყველი ისეთი ცარიელი ერბოა.*

*მხოლოდ ეს არ არის შემოღებული რუსული საჭმელები. ისე მხიარული ქვეყანაა. ჩვენი ამბავი ეს არის, დიმიტრი დაიბარეს ისევ სოხუმში ჟანდარმის პოლკოვნიკმა და რა იქნება არ ვიცი.*

*თქვენი მარიამი, 26 იანვარი 1907 წელი.*

*მინაწერი: ნადია! თქვენი დახასიათება ვერ დავასრულე, დრო არ მქონდა. ნუ გეწყინება, ჩემო ნადია! შემირიგდი და მზითვათ გამომყევი, მარუსია მაინც სულ თქვენ ხსენებაშია! დამიკოცნე ყველა! არზაყანი*

*(სტილი დაცულია).*

ეს კი არზაყანის წერილია მეუღლის დეიდებისადმი; რაოდენი სითბო, სიყვარული, ირონია და იუმორია მასში!

(სტილი დაცულია)

***ძვირფასო დეიდებო!***

*ვიცი დათიკოს (დავით ღოღობერიძე, მეუღლის ბიძაშვილი, დადხანს ცხოვორბდა პრაღაში, გარდაიცვალა არგენტინაში – ნ.მ.) წერილის მიღება გაგიხარდებათ, მაგრამ მისი სურათის მიუღებლობა დაგაღონებთ. მერწმუნეთ, ყოველი ზომა მივიღე სურათი გადაეღო ჩემთან, მაგრამ ვეღარ გავხდი. გურული თქმულებაა: „გაღმა გაედავე და გამოღმა შეგრჩებაო"; ისე მეც სურათის გადაღებაზე დაუწყე დავა და როგორც იყო, ეს წერილი თვენდამი მომართული, ჩამოვგლიჯე; ვფიქრობ, რომ კარგი ვქენი: ყვავს კაკალი გავაგდებინე... ხუმრობა ხომ არ არის მისგან წერილის მიღება! – ისე კი ჯანმრთელობით კარგად არის; დარდი ნუ გაქვთ ნურაფრის იყავით კარგათ და იმედიანათ. ჯანმრთელობით მეც კარგად ვარ. მოვიკითხავ დიდი სიყვარულით ანეტას. ანეტას ვემდური, რადგან წინეთ ხანდისხან მწერდა და ახლა კი დამივიწყა. მისი წერილი არც ერთი უპასუხოდ არ დამიტოვებია და ახლა კი მაროს წერილიდან სჩანს, რომ ანეტა აქეთ მედავება, თითქოს მის წერილზე მე პასუხი არ გამეცეს. მგონია ეს უბრალოდ თავის მართლებაა, მაგრამ მე შეურიგდები მხოლოდ მაშინ, თუ წერას განაახლებს და მარუსიასი ყოველი საეჭვო ნაბიჯებზე ცნობას მომაწვდის. მგონია გრძნობამ სძლია ანეტასი ჩემთან კეთილ განწყობილებას და სიჩუმე მისი გამოწვეულია მისი ნათესავი ქალის ოინების დამალვის სურვილით... ყოველ შემთხვევაში ანეტას სასაყვედურო ჩემთან არაფერი აქვს, მე კი მაქვს მასთან, რადგან იმედები და დაპირებები არ გამიმართლა და ცნობებს მისი ნათესავ ქალზე არ მაწვდის ... მომიცადოს, ჩამოსვლისას იკითხოს მისმა ყურებმა!...*

*ძვირფასო დეიდებო! მე დიდი იმედი მაქვს თქვენი; დარწმუნებული ვარ, რომ ხშირ ხშირად ინახულებთ მარუსიას, მის ბავშვებს და ნეტარხსენებულ ფატმანის მაგიერობას გაუწევთ თქვენი საზრიანი დარიგებებით მათ. მარუსიაც იწერება, თუ რამდენათ თქვენ გახარებთ კუჭუჭის და გივიკოსი კარგი თვისებები, მათი ნიჭი, გონიერება, ზნეობრივი სიფაქიზე და ახოვანება. იმედი მაქვს მომავალშიც არ მოაკლებთ მარუსიას და მის ბავშვებს ყურადღებას... იყავით კარგათ, იმედიანად, დამშვიდებულად, ძვირფასო დეიდებო, ჩემზე და დათიკოზე ნუ იდარდებთ.*

***მოვილოცავთ მომავალ აღდგომის დღესასწაულს და გა-***

*მოვთქვამ მტკიცე სურვილს შემდეგი სააღდგომო დღესასწაული ერთად გაგვეტარებინოს საყვარელ და ჩემთვის სანატრელ სამშობლო – საქართველოში.*

*თქვენი ნახვის მონატრებული არზაყანი.*

მარიამ ჩიკვაიძეს 1943 წელს ტანჯვა – ვაებაში ამოხდა სული .... უმცროსი ვაჟი – გივი კი მუდმივ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, რის გამოც ერთხანს სამშობლოდან გადახვეწილი რუსეთში იმალებოდა. იქ შეირთო რუსი მეუღლე ლუდმილა მიხეილის ასული კოვალევსკაია, მისგან შეეძინა ერთადერთი ასული – მარინე ემუხვარი.

გივი ემუხვარის, არზაყანის უმცროსი ვაჟის დღიურიდან:

„1908 წელს დაებადათ პირველი ვაჟი ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი. 1914 წელს დაებადათ მეორე ვაჟი, რომელიც უდღეურად გარდაიცვალა, ხოლო 1921 წელს 14 თებერვალს დავიბადე მე. ესე იგი რვა დღის ვყოფილვარ, როცა მამაჩემი უკვე გამზადებული იყო საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წასასვლელად; შემოსულა, ჩემზე ცხვირზე ხელი დაურტყამს და უთქვამს: „შენ ვინ დაიბადე, კომუნისტების მეფეხუროო“.

ვინაიდან დედა დაავადებული იყო მალარიით, ძუძუთი ჩემი კვების უფლებას არ აძლევდნენ და დედის სიტყვებით, თხის რძით ვარ გაზრდილი. ეს იყო მიზეზი რომ მამამ ვერ მოახერხა მეუღლის და შვილების თან წაყვანა ემიგრაციაში. ჩვენს სახლში ცხოვრობდა დედის ძმა, მექი ჩიკვაიძე, რომელსაც მამამ დაავალა, რომ მარიამი ორი ვაჟით წაეყვანა ქუთაისში ბაბუა მიხეილ თომას-ძე ჩიკვაიძის ოჯახში, რომელმაც ეს დავალება აასრულა. მამამ თავისი მანქანა დაუტოვა, მაგრამ ამ მანქანით მხოლოდ ენგურის ბორანამდე მივაღწიეთ, დაგვეწიეს მტარვალები და ყოველივე რაც კი გაგვაჩნდა წაგვართვეს, გაგვძარცვეს, ჩემს ძმას თურმე კოხტა შარვალი გახადეს და დახვრეტას გვიპირებდნენ. ამაზე ლექსიც კი დავწერე:

*არა ვარ ნაწყენი ჩემს გაჩენაზე*
*სახელიც კარგი დაურქმევიათ,*
*საუბედუროდ რვა დღის ვყოფილვარ,*
*რომ ჩემი კერა დაურბევიათ.*

*დედასთან ერთად, ორი ძმა დავრჩით,*
*გაასაბჭოეს ჩვენი სახლ-კარი...*
*გაზაფხულს თავის ეშხი მოჰქონდა,*
*ჩვენთვის კი დადგა მძიმე ზამთარი.*

*დედამ მიამბო: ბორანის პირზე*
*კვლავ დაგვეწივნენ; ჯალათ, მტარვალნი,*
*სულ წაუღიათ რაც რომ გაგვაჩნდა,*
*კუჭუს გახადეს თურმე შარვალი.*

*უნდოდათ თურმე, ჩვენი აკუწვა,*
*როგორ გადავრჩით გასაკვირია?!*
*ნუ მოკლავთ ბავშვებს, მე კი ამკუწეთ!*
*ღმერთი არა გწამთ? დღეს ხომ კვირაა.*

*და გადიწერა თურმე პირჯვარი,*
*მიმაღწევინე მე მშობლის კერას*
*არ მინდა ვნახო, აკუწულ ბავშვთა,*
*ხორცით გამძღარი ყვავი და ძერა.*

*როგორ გადავრჩით და არ დაგვჩეხეს?!*
*სულ ეს უკვირდა დატანჯულ დედას!*
*გაძარცულები, ტიტველ, მშიერნი*
*ასე აღმოვჩნდით ბაბუას კერას.*

*მერე რა მოხდა? მინდა შევწყვიტო,*
*ჩვენთვის ზამთარი კვლავ გრძელდებოდა.*
*ძმა დამიხვრიტეს, დედა კი ჯავრით,*
*როგორც სანთელი ისე დნებოდა.*

*მამა პარიზში დაასაფლავეს,*
*მე კი მერჩივნა ჩვენში, მდელოზე...*
*ვიცი ძვლები მამაჩემისა*
*დღესაც ფიქრობენ საქართველოზე.*



გივი ემუხვარი

მამა ყოველთვის იწერებოდა წერილებს, გვიგზავნიდა ამანათებს, რომელსაც ჩვენ იმ დროს გახსნილ ტორქსინის მაღაზიიდან ვღებულობდით. მიუხედავად იმ წლებში დიდი გაჭირვებისა, ჩვენი ოჯახი მამის წყალობით უზრუნველყოფილი იყო. მახსოვს ერთ მშვენიერ დღეს დედამ კედელთანაც კოჭის ძაფით აიღო ჩემი ზომები; სიმაღლე, გულ-მკერდი, ფეხი და ხელის სიგრძე, ეს დაჭრილი ძაფები ჩააწყო ცალკე კონვერტში და დააწერა „გივი“. ხოლო ასევე ჩემი ძმის ზომებიც ჩადო მეორე კონვერტში და დააწერა „კუჭიკო“.

მე სპეციალური საბუთი მქონდა, სადაც ეწერა, რომ არასაიმედო ოჯახის შვილი ვიყავი, ოქტომბრელიც არ ვყოფილვარ. პიონერთა და კომკავშირელთა რიგებშიც არ მიმიღეს, ჯარში არ წამიყვანეს. არ მენდობოდნენ. ერთი ნათესავი მყავდა, პროკურორი ქავთარაძე. სულ მირჩევდა, ცასა და მიწას შორის უნდა იცხოვრო, შენც რომ არ მიგახვრიტონო.

დედა წერდა წერილებს ქართულ ენაზე, ხოლო მისამართს ჩემი ძმა კუჭიკო აწერდა, გერმანულ ენაზე. მიაღწია რა ამ კონვერტებმა დანიშნულ ადგილზე, გაშალენ და ამ ძაფებიდან ააწყვნენ „ჩონჩხი“ და გაუკეთეს სამედიცინო დასკვნები. მამას აინტერესებდა თუ როგორი იყო ჩვენი სხეულის აგებულება და ნორმალურად ვითარდებოდა თუ არა ჩვენი ორგანიზმი. რის შემდგომაც მივიღეთ სამედიცინო დასკვნები, სადაც იწერებოდა, რომ კუჭიკოს ორგანიზმის ზრდა ნორმალურად მიმდინარეობდა, ხოლო ჩემზე უკმაყოფილებას გამოთქვამდა, „ეტყობა კვება აკლია ორგანიზმსო“. რის შემდეგაც ვღებულობდით გაორებულ ამანათებს, სადაც ეწყო პროდუქტები და შიგ მუდამ იყო ასეთი წარწერა, რამოდენიმე განსაკუთრებულ პროდუქტზე, „პატარა კომუნისტს“ ასეთი იყო ჩვენი ურთიერთკავშირი და მიწერ-მოწერა.

ჩემმა ძმამ კუჭიკომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, დაიწყო მუშაობა ქუთაისის საგეგმო კომისიის თავჯდომარის მოადგილედ, ქუთაისის ბანკის მთავარ ეკონომისტად და კითხულობდა ამასთანავე ლექციებს საბუღალტრო კურსებზე, იყო ქალაქის პასუხისმგებელი მუშაკი, რის გამოც ჩვენი ოჯახი მიმაგრებული იყო მაღალი კლასის სასადილოზე, საიდანაც ყოველ დღე ვღებულობდით მზა პროდუქციას. ასე რომ ჩვენ ოჯახს გაჭირვება არ უნახავს.“



მარცხნიდან: ვლადიმერ  (კუჭიკო) ემუხვარი
და მიხეილ ჩიკვაიძე



ვლადიმერ (ცუჭივო) ემუხვარი შიძასთან
გრიგოლ ჩიკვაიძესთან



ვლადიმერ (ცუჭივო) ემხუხვარი



ვლადიმერ (ცუჭივო) ემუხვარის ნახატები



ვლადიმერ (ცუჭივო) ემუხვარის მოსწავლის რვეული



ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი (მარცხნიდან მეორე)



პირველ რიგში მარცხნიდან მეორე ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი



ვლადიმერ ემუხვარი



არზაყან ემუხვარის სახლი სოფელ რეჩხი-შეშელეთში



ქუთაისი მეოთხე ხიდი (შალახვანის ხიდი)



ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარის წერილეში ციხიდან



Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 92

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от „27" 11 193 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

| Слушали: | Постановили: |
|---|---|
| Дело Кутаисского Горо НКВД ГССР №27205 по обвин. ЖМУХВАРИ Владимира он же Кучико Димитриевича 1908 г.р. жит. г. Кутаиси. Обвиняется в том, что ЖМУХВАРИ ВД. из б/князей, сын губернатора известного меньшевика, который в 1921 г. эмигрировал заграницу. ЖМУХВАРИ В.Д. с отцом имеет письменную связь. Находясь в Кутаиси ЖМУХВАРИ В.Д. был тесно связан с фаш. элементами, которые ныне арестованы. Вел а/с. агитацию. Докладчик т. ДЕМУРОВ | ЖМУХВАРИ Владимир он же Кучико Димитриевича расстрелять имущество принадлежащее лично ему конфисковать. ПРЕДСЕДАТЕЛЬ ТРОЙКИ НКВД ГССР ЧЛЕНЫ 1. 2. СЕКРЕТАРЬ ТРОЙКИ НКВД ГССР 07 03 1938 |

შინსახკომის სამეულის დადგენილება



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი სასამართლო
ВЕРХОВНЫЙ СУД ГРУЗИНСКОЙ ССР

მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32
Адрес: Тбилиси, ул. Атарбекова.

ტელეფონი
Телефон № 3-01-64

При ответе ссылаться на этот №

СПРАВКА.

10 февраля 1956 г.

№ 213

Верховным Судом Грузинской ССР 16 ноября 1955 года пересмотрено дело по обвинению Эмухвари Владимира, он же Кучико, Димитриевича.

Постановление тройки НКВД Грузинской ССР от 22 февраля 1938 года в отношении Эмухвари Владимира, он же Кучико, Димитриевича отменено и дело о нем производством прекращено.

Эмухвари Владимир, он же Кучико, Димитриевич реабилитирован.

Зам. Председателя Верховного
Суда Грузинской ССР /П. Надирашвили/

ცნობა ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარის
რეაბილიტაციის შესახებ



მარცხნიდან პირველი რიგი: შოთა მარშანია, გივი ემუხვარი, მეორე რიგში მარჯვნიდან: ივა ემუხვარი, ვლადიმერ ემუხვარი (შუაში) მიტრო კვარაცხელიას ოჯახთან ერთად



ქუთაისი. პეტრე–პავლეს ტაძარი



მარცხნიდან: იულია აქირთავა, მარო ჩიკვაიძე (შუაში), ვლადიმერ (ცუჭიკო) ემუხვარი (დგას).



მარიამ ჩიკვაიძე (მარცხნივ)



პრაღა. არზაყან ემუხვარი და დავით ღოღობერიძე (მეუღლის ბიძაშვილი).



მარიამ ჩიკვაიძე



სოხუმი, ტაძარი სადაც მოინათლა ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი



CONTROLE DES PASSEPORTS EN ORIENT

CONSTANTINOPLE

**Permission pour Débarquer** (à remettre à l'Officier du Contrôle à l'arrivée.)

Les personnes suivantes: M. Emoukhvari Vladimir — agé de 14 ans

Actuellement à: Kutais (Georgie)

sont autorisées à débarquer à **CONSTANTINOPLE** en présentant cet ordre à l'Officier du Contrôle à l'arrivée.

Représentant Britannique Italien — Représentant Français — Représentant Italien Britannique

Date 6 Octobre 1924

ვლადიმერ ემუხვარის საზღვარგარეთის პასპორტი




მიხეილ ჯვირია და ლიდია გერსამია



მიხეილ წერეთლის გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებელი

კრების სხდომაზე



მიხეილ წერეთელი, ლიდია გერსამია და

მათი ქალიშვილი ნინო წერეთელი




სოხუმის ქალთა გიმნაზია **1919** წელი



ნინო ყშირია



ნინო ყშიტია

1959






მიხეილ უბირია მეღლესთან, ქალიშვილთან, ნინო უბირიასა და შვილიშვილებთან: მიხეილ, იური და ნინო ვანჩეკებთან.



| | |
|---|---|
| Otec | dent, bytem Nusle Oldřichova 45., příslušný do Suchumi (Gruzinsko) 29 roků stár, pravoslavného vyznání, syn Spiridiona Ubiria, obchodníka v Suchumu a Darie rodem Taraselia |
| Matka | Lidia, dcera Ilje Gersamia, obchodníka v Suchumu a Eufrosiny rodem (Mitovava) Pordulava, 20 r. pravoslavného vyznání. |
| Kněz | Archimandrit Savvatij |
| Kmotr a svědek | Nina Aiolo, soukromnice Praha, Táborská č. 14. Vladimír Emuchvari, profesor, Berlín |
| Porodní bába | v ústavě „Ochrana matek a dětí“ |

**Duchovní správa pravoslavné církve**

V Praze-Smíchově dne 23. září 1925.

Duchovní správce v. z.

+ Protopresbyter ...

ნინო უბირიას ნათლობის მოწმობა




მიხეილ ვაჩნჩვი

# §6. *რექვიემი – აქ და იქ...*

„ერთ საუბედურო დღეს ჩემმა ძმამ დედას დიდი თავმდაბლური გამოთქმებით, სთხოვა რომ შეეწყვიტა მამასთან მიწერ-მოწერა. ვინაიდან მისი თქმით: მრავალჯერ წამოუძახებიათ: „შენ არასაიმედო პიროვნება ხარ, ემიგრანტის შვილი, რომელსაც მამასთან მიწერ-მოწერა, ურთიერთობა გაქვს“, და მართლაც, 1937 წლის 28 ივლისს როდესაც ფოსტალიონმა მამის წერილი მოიტანა, დედამ არ მიიღო, უკან დააბრუნა, როგორ კოცნიდა და როგორი ცხარე ცრემლები ეცემოდა მამის მიერ გამოგზავნილ წერილს. ვფიქრობ, დედის ცრემლები კონვერტზე დატოვებდა თავის კვალს, რომელსაც არზაყანი შეამჩნევდა და თავის დასკვნას გამოიტანდა თუ რატომ დაბრუნდა წერილი უკან.

ბავშვი ვიყავი, როცა ჩვენი ოჯახის ტრაგედია მოხდა. გონს რომ მოვედი, ვიგრძენი, რომ გვერდით არავინ მყავდა. ისიც ვიგრძენი, რომ მამა ის კაცი იყო, რომელმაც თავის რწმენას შესწირა ოჯახი და შვილები. არანაკლები უბედურება იყო ჩემთვის ერთადერთი ძმის, ვლადიმერის დაღუპვა, 37 წელს აიყვანეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი ასპირანტი. 1937 წ. 28/X – ჩააბარა „ნავროგხაზში“ ხიდის ესკიზი (ბალახვანის მე-4 ხიდის), მოვიდა ჩვენთან – წავედით უნივერსიტეტში, საღამოს მივდიოდით „ფიგაროს ქორწინებაზე“ – გაიწვიეს ქუთაისში მოტყუებით, წავიდა თუ არა დააპატიმრეს და დაასახელეს ხალხის მტრად – ასე დასრულდა ამ დიდებული ნიჭიერი ახალგაზრდის სიცოცხლე, მიზეზი უბრალოა – მამა ემიგრანტია – არზაყან ემუხვარი.

ყველაზე დიდი დაცინვა რა იყო იცით? რამდენიმე ათეული წლის მერე მივიღეთ მისი რეაბილიტაციის ცნობა, სანაცვლოდ ძმისა, რომელიც ჩემთვის მამაც, აღმზრდელიც, ძმაც და მეგობარიც იყო, ორკაპიკიანი ფარატინა ქაღალდი შეგვაჩეჩეს ხელში. ოჯახის შექმნა ჩემს გამო ვერ მოახერხა. ბედი მდევარივით დამდევდა მეც მთელი ცხოვრება, ის ავად მზირალი თვალი.“

მკითხველს ვთავაზობ არზაყანის უმცროსი შვილის გივი ემუხვარის რამდენიმე ინტერვიუს, მის მიერ სხვადასხვა დროს მიცემულს:

## *მამაჩემის – არზაყან ემუხვარის სახელით*

*„მე მამის საფლავი არ მინახავს, მაგრამ სანამ პარიზში ციციშვილების ოჯახი ცხოვრობდა დრო და დრო აფხაზეთის მიწას ვაგზავნიდი მამის საფლავზე მოსაყრელად. მე ხომ ერთადერთი მემკვიდრე და მისი ძირძველი აფხაზური გვარის გამგრძელებელი ვარ.*

*მთელმა ჩემმა ცხოვრებამ მონატრებასა და ტანჯვა-წვალებაში გაიარა. მენატრებოდა უნახავი მამა, მისი ხმა, მისი ალერსი. ვიტანჯებოდი, ათასგვარი შევიწროებისა და შიშის გამო, მეცოდებოდა ქმრისა და შვილის დამკარგავი დედა, სრულიად ახალგაზრდას რომ დააწვა კისრად ცხოვრების ყველა სიძნელე. რამდენი რამ დამაკლდა!. რა ბედნიერი ვარ, რომ ახლა მაინც მომეცა შესაძლებლობა, ამაყად და თავისუფლად ვილაპარაკო ჩემს სახელოვან მამაზე, დიდ პატრიოტსა და მოქალაქეზე, აფხაზი ხალხის ღირსეულ წარმომადგენელზე და საქართველოს საამაყო შვილზე. მას ხომ ამ ორი უსაყვარლესი სახელის გარეშე თავისი არსებობაც კი ვერ წარმოედგინა. ჩვენი ოჯახიც ამის ცოცხალი მაგალითი იყო: მამა აფხაზი, დედა ქართველი – ჩიკვაიძის ქალი.*

*ისტორიულად გვერდიგვერდ ერთი გზით მიმავალი აფხაზები და ქართველები ხომ ამაყობდნენ: ქართველი აფხაზით და აფხაზი – ქართველით. ნათელ-მირონი, მოყვრობა, მეგობრობა, მორდუობა, ჭირი, ლხინი საერთო ჰქონდათ მათ, უყვარდათ და პატივს სცემდნენ, აფასებდნენ ერთმანეთს და ეს იყო უნიკალური, გამორჩეული შემთხვევა ორი ხალხის კეთილი ურთიერთობისა. ამიტომ, იყო, რომ იქ, უცხოეთში, საფრანგეთის მიწაზე გარდაცვლილი ჩემი მამა ქართველმა მეგობრებმა ასე გულწრფელი ცრემლებით დაიტირეს.*

*ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მკვიდრი აფხაზების დიდი ნაწილი მაჰაჯირობის დროს მეფის რუსეთმა სამუდამოდ მოწყვიტა თავის მშობლი-*

ურ მიწას და თურქეთში გადაასახლა. აფხაზეთში დარჩენილი ძველი გვარების: შარვაშიძეების, ემუხვარების, ანჩაბაძეების, მარშანიების, ძიაპშპას, მარღანიების და სხვათა მემკვიდრეები ისევ მტკიცედ აგრძელებენ ამ სასიქადულო ტრადიციებს, ისევ ისე ანთია უქრობი ცეცხლი ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის, ურთიერთგატანისა და სიყვარულისა.

მაშ, რა ხდება? არძინბები, ოზგანები,შინკუბები,აშუბები, ისკანდერები, აგრბები ხომ მჭიდრო ნათესაურ ურთიერთობაში არიან ზემოთ ჩამოთვლილ ძირძველ გვარებთან, მაგრამ ზოგიერთი მათთგანი, ჩემის აზრით, ძალზე ცდება, შეიძლება არც მე ვიყო მართალი. საითკენ უბიძგებენ ისინი აფხაზეთს? რატომ არაფერს გვეკითხებიან ჩვენ:შარვაშიძეებს, ემუხვარებს და სხვათა ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი მათი ძვლებით მოკირწყლული აფხაზეთის მიწის ბედზე?

ჩვენ ვერ ვუღალატებთ მამა-პაპათა ანდერძს, ვერ შევცვლით მათ მიერ გაკვალულ გზას, ჩვენი გზა სწორია, უმცდარი, ისტორიულად გამართლებული, ნათელი და შეუცვლელი.

ალბათ დღეისთვის ჩვენი განცალკევება ყოვლად დაუშვებელია, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა. მხოლოდ ურთიერთკავშირში შეიძლება აღსდგეს ტრადიციული გრძნობა ამ ორ ერს შორის.

უამრავი შერეული ოჯახი ცხოვრობს აფხაზეთში, თბილისში, ქუთაისში, სად არა!. მათ უყვართ აფხაზეთიც და საქართველოც, რა ვქნათ, რომელი შევაძულოთ, ან რატომ უნდა შევაძულოთ, რომელი გავიმეტოთ? რა ვუთხრათ მათ შვილებს, შვილიშვილებს? რა პასუხი გავცეთ ხალხს, ისტორიას? დადგება დრო, როცა პირუთვნელი და მართალი სატყვა უნდა ითქვას უკუღმართად გაკეთებულ საქმეზე...

და ეს მცირე გამონაკლისნი იმ გუგულებს მაგონებენ, რომლებიც სხვის ბუდეში კვერცხს დებენ და შემდეგ ბარტყებს გადააფრენენ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სადაც დაიბადნენ და შვილებს ზრდიან, სწორედ იმ ბუდის დანგრევა აქვთ გადაწყვეტილი და ეს ბუდე მთლიანი აფხაზეთია საქართველოსგან განუყოფელი.

საქართველო ერთი მთლიანია, ღვთისმშობლის წილხვედრი, მშვენიერი ქვეყანა, და როგორც შეუძლებელია მიქელ-ანჯელოს ქანდაკებას, რომელიმე ნაკვეთი მოვატეხოთ და ვცადოთ მისი მიერთება სხვა ქანდაკებასთან, ასევე შეუძ-

*ლებელია საქართველოს მოვწყვიტოთ აფხაზეთი და სხვას შე-ვუერთოთ.*

*გიორგი (გივი) ემუხვარი* (111).

„მე ძიძის გარეშე გავიზრდე, ბაბუა მიხეილ თომას-ძის ოჯახში. ჩემს ძიძად მე იმერეთს ვსთვლი, განსაკუთრებით კი ჩემს საყვარელ და ამღზრდელ ქუთაისს. როგორ გავს დღე-ვანდელი აფხაზეთიდან გადაადგილებული, გაუბედურებულ ოჯახთა მდგომარეობა, იმ შავად მოსაგონებელ 1921 წლის თებერვლის თვესა.

უნდა გითხრათ, მე არც ოქტომბრელი ვიყავი, არც პიო-ნერი, კომკავშირზე კი ლაპარაკი ხომ ზედმეტია, ეს კი არა პირველ მაისს, შვიდ ნოემბერს, არავითარ, დემონსტრაციებში მონაწილეობას არ მაღებინებდნენ, როგორც ემიგრანტის ოჯახის შვილს, თითქოსდა რომელსაც მიწერ-მოწერა მქონ-და ემიგრანტ მამასთან – „არ მომეწამლა ახალგაზრდობა."

***– მამათქვენი პრაღაში რატომ იყო. ჟორდანია ხომ მა-შინ პარიზში იმყოფებოდა?***

– მამა პრაღაში ჟორდანიას დავალებით იყო მივლინებუ-ლი და იქ, საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა. საქარ-თველოდან ჩასულ სტუდენტებს სტიპენდიებსაც უნიშნავდა.

***-ხშირად გწერდათ?***

ხშირად, ამანათებსაც გვიგზავნიდა. დედა, მუდამ მზად იყო, დღეს თუ არა ხვალ გადაგვასახლებენო. ჯავრისგან სი-გარეტის წევაც დაიწყო. საოცრად უხდებოდა. ძალიან ლამაზი ქალი იყო. აფხაზური თუთუნი ჰქონდა და იმას ახვევდა. რომ მორჩებოდა, მთხოვდა, ნამწვავი გადააგდეო. სანამ აივანზე გავიდოდი, გზადაგზა მე ვეწეოდი.

***– მამის ნივთები არაფერი შემოგრჩათ?***

– ისე გაგვძარცვეს, სამელნეს მეტი არაფერი ჩამოგვყვა.

***– საზღვარგარეთ წასვლაზე არ ოცნებობდით?***

– ერთხელ, ოჩამჩირეში დამიჭირეს. ჩხენკელი ვარ მეთ-ქი, მოტყუება ვცადე, იქნებ, ჯარში წამიყვანონ-თქო. ასე, რომ მომხდარიყო, იმ წუთშივე იქითკენ გადავცუნცულდებოდი. მაგრამ, გამშიფრეს.

***– როგორც ვიცი, მამათქვენის ნეშთის გადმოსვენების თაობაზეც იყო საუბარი...***



სოხუმი. სახლი, რომელშიც არზაყან ემუხვარის ოჯახი ცხოვრობდა (შემდგომ სოხუმის ლეჩკომბინატის შენობა).

წყალტუბოში, გურამ შარაძის წყალობით აღმომაჩინეს და ერთ მშვენიერ დღეს, ვერტმფრენით თბილისში წამიყვანეს. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შევხვდი. ეს წინადადებაც მაშინ წამოაყენა. ***ნოე ჟორდანია – თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილი – თელავში, მამაჩემი კი, სოხუმში უნდა გადმოესვენებინათ.*** 1991 წელს, გამსახურდიამ მთხოვა, იქ ჩავსულიყავი, აფხაზებს შევხვედროდი და მამის ნეშთის გადმოსვენების თაობაზე მათი აზრი გამეგო. თუ უარს იტყოდნენ, ჟორდანიას და ემუხვარს, მთაწმინდაზე გადმოასვენებდნენ.

– ***არძინბას არ შეხვედრიხართ?***

– როგორ არა. სხვათა შორის, არც მეგონა მამის გადმოსვენებაზე თუ დამთანხმდებოდა. კარგადაც მიმიღო.

– ***კიდევ რა თემაზე ისაუბრეთ?***

– გაზეთ „საქართველოში“ მაშინ ჩემი წერილი გამოქვეყნდა – „მამაჩემის – არზაყან ემუხვარის სახელით.“ ოთახ-

ში რომ შევედი, გაზეთი მაგიდაზე გადაშლილი ედო, წითლად ხაზგასმული.

– *რა ენაზე საუბრობდით?*

– მიუხედავად იმისა, რომ ქართული მშვენივრად იცის, რუსულად მელაპარეკებოდა. მაშინ, ჩვენი საცხოვრებელი სახლიდან, ორი ოთახის გამოყოფა ვთხოვე, მუზეუმი რომ გამეკეთებინა. განცხადება დაწერეო. ქართულად დავწერე. მისაყვედურა, გადათარგმნეო. მე რატომ? თუ ასე გინდათ, მდივანს ათარგმნინეთ მეთქი. ასეც მოიქცა.

– ოთახი გამოგიყვეს?

– არა. დასკვნა მოვიდა, 1921-დან 1936 წლამდე, არზაყან ემუხვარის სახელზე, არავითარი საცხოვრებელი ფართი არ ირიცხებოდაო. არადა, სასახლე გვქონდა (ლეჩკომბინატის შენობა სოხუმში, სადაც არზაყან ემუხვარისა და შერვაშიძეების ოჯახი ცხოვრობდა) (112).

ასეთი „ცნობა“ მართლაც არსებობს:

**Справка из Центрального государственного архива Абхазии**
**Начальнику секретариата Верховного Совета республики Абхазия**

тов. Квициния Ю.Т.

В документах Центрального государственного архива Абхазии и по протоколам заседания ЦИК, СНК, и спискам национализированных и муниципализированных домов за 1921-1936 годы, сведения о местонахождении дома Эмухвари (Арзакана) Константиновича не имеется.

Директор: **Э. Цкарозия.**
29.05. 1992 год.

– *არძინბას რამდეჯერ შეხვდით?*

– სამჯერ. მიზანი, ქართველების და აფხაზების შერიგება იყო. სამივეჯერ გამსახურდიას თხოვნით ჩავედი.




მარიამ ჩიკვაიძის მიერ მოქარგული ჯვრის გამოსახულება

(**1903** წელი **23** მარცი).

***– დღეს რომ გთხოვონ, ჩახვალთ აფხაზეთში?***

– ჩემი თავი ენაცვალოთ. სულიც გამძრობია, თუ რამეზე უკან დავიხიო.

***– მამის საფლავი ნანახი გაქვთ?***

– არა. ახლობლებმა ქართული მიწა ბოლოს 1954 წელს მოაყარეს.

***– სად უნდა გადმოასვენონ არზაყან ემუხვარის ნეშთი?***

– რა თქმა უნდა, სოხუმში.

ერთი უკუღმართი ფრინველია გუგული. კვერცხებს სხვის ბუდეში დებს. მეც იმ გუგულს ვგავარ. მინდა, ჩემს ბუდეში დავბრუნდე.

***– ახსოვთ მამათქვენი აფხაზებს?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ კარგად. მე თითქმის მთელი აფხაზეთი შემოვიარე, ყველა რაიონსა და სოფელში გახლდით, ვნახე უხუცესნი, ვისთანაც მამაჩემს ჰქონდა კავშირი. ახალგაზრდები, ვინც გადმოცემით იცის მამა, დავესწარი აფხაზეთის სათავადაზნაურო კრებას; ვიყავი გაზეთების რედაქციებში; შეხვედრა მქონდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან და თვით ვლადისლავ არძინბასთან. მას წაკითხული ჰქონდა ჩემი წერილი „სვაბოდნაია გრუზიაში" და ცოტა ნაწყენიც იყო მისი შინაარსით.

***- მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, ცოტა ხომ არ დავაკონკრეტოთ.***

- ჩემი შეხვედრის დროს ბატონ ზვიადთან დაისვა კითხვა – თუ საქართველოს ქართულმა და რუსულმა გაზეთებმა მიუძღვნეს წერილები ფაქტს, ზევით რომ მოგახსენეთ, რატომ სდუმს აფხაზური პრესა და ტელევიზიაო, სწორედ ამ კითხვით დავიწყე მეც ბატონ არძინბასთან საუბარი.

***- რა გიპასუხათ?***

პასუხი ვერ გამცა. ამ შეხვედრაზე სხვებიც ბრძანდებოდნენ – ოფიციალური პირები. მათ დაავალა დაინტერესებულიყვნენ არქივით. საქმეში ჩაერთოთ ადგილობრივი პრესა. ტელევიზია და ყოველივე ეთქვათ არზაყან ემუხვარის პიროვნებასა და მისი ღვაწლის შესახებ. შემდეგ მე განვაცხადე: თუკი აფხაზეთის საზოგადოებრიობა არ ისურვებდა არზაყან ემუხვარის ნეშთის სოხუმში გადმოსვენებას, მაშინ მას ნოე ჟორდანიასთან ერთად თბილისში გადაასვენებდნენ, ბატონმა ზვი-

ადმა განსაზღვრა აფხაზებსა და ქართველებს შორის არსებული დაძაბული სიტუაცია და ივარაუდა, რომ ასეთი მოქმედება საქართველოს მთავრობის მხრიდან აფხაზების შეუკითხავად შეიძლება საწყენად დარჩენოდათ ამ უკანასკნელებს.

*- შეიძლება ეთქვათ, ერთი გამოჩენილი კაცი გვყავდა და ისიც „გააქართველესო"?*

– დიახ, ვარაუდი ნამდვილად ასეთი გახლდათ.

– *თქვენი შეხედულება ბატონ ვლადისლავ არძინბაზე, ბუნებრივია, მის პიროვნებაზე სწორ წარმოდგენას შეგვიქმნის.*

– პირველი, რაც შეიძლება ვთქვა, გახლავთ ის, რომ ბატონი არძინბა ძალიან გულისხმიერად შემხვდა, გამოხატა ინტერესი იმ ისტორიისადმი, რაც არზაყან ემუხვარს ეხებოდა. თუმცა – ან ძალზე მოეწონა ჩემი ზემოთნახსენები პუბლიკაცია, ანდა ჩემს ავტორობაში შეეპარა ეჭვი – თითქოს იგი სხვამ დამიწერა და მე მხოლოდ ხელი მოვაწერე მას. მე მას ასე ვუთხარი, ჩემი გვარის კაცი სხვისი სახელის ამოფარებას არასოდეს იკადრებს მეთქი, სიტყვა აღარ გაუგრძელებია. დავუმატე კი, რომ ის პუბლიკაცია უფრო მკაცრი იყო, მაგრამ ნამდვილ აფხაზთა რეალური განწყობილების შეგრძნების შემდეგ შევარბილე. ჩემი აზრით, მეგობრობის და ძმობის ხელი გამოწვდილია და აფხაზეთს ძველი ადათ-წესის მიხედვითაც და ხვალინდელი დღის პრესპექტივითაც არაფერი უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო, რომ მარჯვენა შეაგებოს მას.

– *დაგეთანხმათ?*

– ყოველ შემთხვევაში უარყოფა არ გამოუხატავს. სხვათა შორის, ამ შეხვედრით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. როგორც ჩანს, პირადი კონტაქტები დღეს უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. არც ისეა დამუხტული გარემო, როგორც წარმომედგინა, მისი განმუხტვა შესაძლებელია, ეს ორივე ერის ღირსეულმა წარმომადგენლებმა იციან. ესაა, რომ ხალხის მასა ბრმა იარაღად არ უნდა გადაიქცეს მავანთა და მავანთა ხელში (113).

*მამის პიროვნებას კარგად ხსნის ნესტორ ლაკობასთან მისი ერთი დიალოგი, რომელიც მოყვანილია რუსლან კაპბას წიგნში:*

*„სიმართლე გითხრა ჭანგუ (ნ. ლაკობას რევოლუციური ფსევდონიმი), შენ არც ისე დიდსულოვანი ხარ, შენ მე ციხი-*

*დან არ გამომიშვებდი. ჩემს ადგილზე შენ რომ გქონოდა ხელისუფლება, როგორ მოიქცეოდი? (ა. ემუხვარმა პირადად გაანთავისუფლა ნესტორ ლაკობა ციხიდან). ლაკობამ უპასუხა, რომ დააყენებდა მას კედელთან, დაუმიზნებდა თოფს და დახვრეტდა...“ (114).*

სხვაგან გივი ემუხვარი იხსენებს:

„1924 წელს ბიძაჩემს, ივა ემუხვარს დედაჩემისათვის მისი კუთვნილი ხის პატარა – ერთი მეტრი სიფართისა და 2 მეტრი სიგრძის კარადა-ეკლესია გამოუგზავნია. იგი ხატებით იყო მოჭედილი. მე მახსოვს, რომ დედა მის წინაშე ლოცულობდა ყოველ დილითა და საღამოთი. ამ კარადის წინ ეკიდა საცეცხლური, რომელშიც დედა მე სარკმეველს ხშირად მაყრევინებდა, ხოლო წმინდა გიორგის ხატის წინ სანთელს დამანთებინებდა ხოლმე.

კარადასთან იდგა მამაჩემის საწერი მაგიდა თავისი მოწყობილობებით, ხოლო ბიბლიოთეკა და წიგნები ბიძაჩემთან დარჩენილა. დედას ჰყავდა ნათლია ვანო კორძაია, რომელსაც თავისი საკუთარი სკოლა ჰქონდა გახსნილი ყოფილ ივანე მარდალეიშვილის ქუჩაზე, მოგელაძის სახლში, თუ არ ვცდები. აქ სწავლობდნენ ჭრა-კერვასა და ხელსაქმეს. დედაჩემს და მის დას ანიჩქას სწორედ აქ უსწავლიათ ხელსაქმე, თანაც ძალზე კარგად. მე შინ ახლაცა მაქვს დედაჩემის მიერ მძივებით ამოქარგული ჯვრის გამოსახულება, რომელზეც წარწერაა, „რწმენა, იმედი, სიყვარული“, ქვემოთ კი წერია შესრულების თარიღი – 1903 წლის 23 მარტი და ვის ეძღვნება იგი: სახსოვრად დედა ფატმანს. მ. ჩიკვაიძისა. როდესაც ჩეკამ ჩვენი სახლის ჩხრეკა გააძლიერა, ოჯახიდან გაზიდეს ბევრი საინტერესო ნივთი, წერილი და წიგნები. 1929 წელს დედამ კარადა-ეკლესია ღამით მის ნათლია ვანო კორძაიასთან გადაიტანა. იგი ჩვენს პირდაპირ ცხოვრობდა. აკაკი მოწონელიძის ბინაში დაქირავებული ჰქონდა ორი ოთახი.

დედა ეკლესიაში დადიოდა სალოცავად, მაგრამ ხშირად თავის კარადა-ეკლესიას ეწვეოდა ხოლმე.

გავიდა დრო. მე ხან თბილისში, ხან მოსკოვში და ხან ლენინგრადში ვცხოვრობდი, რომ თავი გადამერჩინა. დაბრუნებისას გავიგე, რომ ეს კარადა-ეკლესია, არ ვიცი როგორ

და რა გზით მოხვდა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. ვიყავი მუზეუმში და ვნახე კიდეც. მაგრამ კარადა-ეკლესიის ამბავზე კრინტიც არ დამიძრავს. ეს კია, ვიღაც ქალი იყო პასუხისმგებელი მუშაკი და ვკითხე: ეს უნიკალური ქმნილება აქ საიდან მოხვდა-მეთქი. მიპასუხა: მოწონელიძის ოჯახიდანო.

ამჯერად არ ვიცი სად იმყოფება ჩემი ოჯახისათვის ეს უძვირფასესი განძი.“

გივი ემუხვარის დიდი მცდელობის მიუხედავად, მან ვერ შეძლო ვერც მამა-პაპეული სახლის დაბრუნება და ვერც არზაყან ემუხვარის მუზეუმის გახსნა. შემორჩენილია ამ მცდელობათა არაერთი დოკუმენტი.

**Председателю Верховного Совета Абхазской АССР**
**тов. Ардзинба В. Г.**
Копия: ред. «Республика Абхазия»

**Заявление**

Я являюсь сыном Первого председателя Правительства Абхазии Дмитрия (Арзакана) Эмухвари.

В связи с оккупацией Абхазии, как и Грузии в целом Советской Россией все наше имущество было конфисковано, а мать, я – в возрасте 8 дней и брат Владимир были увезены в г.Кутаиси к дедушке Михаилу Чикваидзе.

По изложенным выше обстоятельствам я имел честь беседовать с Вами.

Властями Грузии планируется перезахоронение из Парижа отца в Сухуми и Ноя Жордания в Тбилиси. Одновременно с изложенным будут открыты Дома музеи в Сухуми и в Тбилиси. Музеи первых президентов Грузии и Абхазии Н. Жордания и Арзакана Эмухвари.

По изложенным выше обстоятельствам я 13 июля 1991 года имел честь вести беседу с Вами.

Вами были даны задания соответствующим лицам о публикации об этом в периодической печати и сообщению по телевидению.

Несмотря на то, что присуствующим во время беседы лицам были даны задания организовать работу по изучению деятельности отца и его результаты опубликовать в периодической печати и передать по телевидению. Однако, указанное еще не исполнено, в то время как по заданию правительства Грузии все эти мероприятия ими выполнены.

В связи с изложенным прошу Вашего указания получившим задание от Вас лицам выполнить изложенное.

До сих пор мне неизвестно, собирается или нет Правительство Абхазии организовать перезахоронение моего отца из Парижа в Сухуми.

Если же Абхазия не пожелает перезахоронение праха моего отца в Сухуми, то в таком случае его перезахоронение будет произведено Правительством Грузии в Тбилиси вместе с прахом Ноя Жордания, как первых президентов Абхазии и Грузии, что боюсь будет выглядеть для Абхазии некрасиво.

Одновременно с изложенным прошу Вашего содействия в установлении места нахождения дома моего отца, где проживала наша семья и родился я. Кому в настоящее время принадлежит этот дом, где находится имущество в том числе богатая библиотека, которая нужна нам для музея.

**Эмухвари Г.Д.**

**10.10. 1991 г.**

ამ განცხადებას „პასუხად“ ის მოჰყვა, რომ გაზ. „სოვეტსკაია აფხაზიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც დიმიტრი (არზაყან) ემუხვარს ეძღვნებოდა. მახსოვს, გივიმ ეს სტატია მამაჩემს აჩვენა. გივი ძალიან შეწუხებული და დათრგუნული იყო. ეს გასაგებიც იყო – არზაყანი იმ სტატიაში გააშავეს. სამწუხაროდ, ამ სტატიის პოვნა ვერ შევძელი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მახსოვს, რომ მამაჩემმა არ ურჩია გივის არზაყანის ნეშტის გადმოსვენება სოხუმში. მალე 1992-1993 წწ. ცნობილი მოვლენებიც დაიწყო.

გივი ემუხვარი 2000 წელს გარდაიცვალა წყალტუბოში. მის შესახებ მოგონება მისივე ლექსის სტრიქონებით მინდა დავასრულო:

***„მიყვარს ჩემი საქართველო, შავი ზღვა და რიონი, თამარ მეფე და დავითი – შტონი ბაგრატიონის. მიყვარს ჩემი აფხაზეთი, ჩხორთოლი და ოქუმი, ჩემი ტკბილი ოჩამჩირე და კოპწია სოხუმი. მიყვარს ჩემი დედა-ენა, წმინდა სუფთა ქართული, თაყვანსა ვცემ ჩვენს ადათ-წესს – მეჩვენება ზღაპრული...“***

***იქნებ, მართლაც ჩვენმა უძველესმა ადათ-წესმა გადაგვარჩინოს?!***

არზაყან ემუხვარის დიდი წვლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში ნასაზრდოები იყო ორი ხალხის საუკეთესო თვისებებით – პატიოსნება, ღირსება, ერთგულების უნარი, სამშობლოსადმი სიყვარული შეისისხლხორცა ბავშვობიდან და ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა. ეს თვისებები გრძელდება მის მრავალრიცხოვან ნათესავებში, როგორც აფხაზთა ისე ქართველთა მხარეს.

არზაყანის ერთადერთი შვილიშვილი მარინე გივის ასული ემუხვარი მეუღლესთან – ამირან ხაჭაპურიძესა და ვაჟიშვილთან – დავითთან ერთად სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

არზაყანის დის – ანას შვილმა, შოთა მარშანიამ (მამაჩემი), რომელიც არზაყანის ძმამ, ივა ემუხვარმა იშვილა ვინაიდან, ბავშვის დედა, ანა მშობიარობისას გარდაიცვალა. შოთა მარშანიამ მთელი ცხოვრება ოჩამჩირეში გაატარა. საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ექიმი, იგი შეყვანილია წიგნში „აფხაზეთის სახალხო ჯანდაცვა“. მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. ***«Поистине народный любимец»*** – ასე წერდნენ მასზე ქ.ოჩამჩირეს 2500 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში.

იგი ემუხვარების მაღალზნეობრივ, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდა, რისი დასტურიც შემდეგი მოგონებაა: „ჩემი მეუღლის დეიდა შურა კორძახია გამორჩეულ აფხაზ ვაჟკაცს შოთა მარშანიას გაჰყოლია ცოლად – სტუდენტური ულამაზესი სიყვარული ფუძემლიერი ოჯახის შექმნით დაგვირგვინებულა. წყვილის ბედნიერება დღემოკლე გამოდგა: სამიოდ წე-

ლიწადში ქალბატონი შურა უკურნებელი სენით გარდაიცვალა და ორი პატარა ობოლი დატოვა. დაქვრივებულ ახალგაზრდა მამას კარგა ხანს ცალუღლად უწევია ჭაპანი, მაგრამ მისი მშობლებიც (აღმზრდელი-მშობლები: ივა ემუხვარი და ძაძუ ანჩაბაძე) რომ ასაკში შევიდნენ და დაუძლურდნენ, მთელს ოჩამჩირეში სახელგანთქმულ ექიმს ორი პატარის მოვლა, სნეული მშობლების პატრონობაცა და საექიმო საქმიანობაც დიდად გასჭირვებია (ან ვინ შესძლებდა ამდენს?).

შოთა მარშანიამ პატივცემული უხუცესები მიუგზავნა გარდაცვლილი მეუღლის მშობლებს და ჰკითხა: „გაუსაძლისი ჯაფა მადგას, სხვა გზა არა მაქვს და, მეორედ რომ დავქორწინდე, თქვენს კეთილგანწყობას ხომ არ დავკარგავო?“

არც შურას მშობლების ოჯახი გამოდგა ნაკლებად დიდბუნებოვანი – სიძეს ლოცვა-კურთხევა შეუთვალეს, მეორედ დაოჯახებიდან ცოტა ხნის შემდეგ კი ხელდამშვენებულიც ეწვია ყოფილი სიდედრი და შვილიშვილების მეორე დედას, დარცხვენილ აფხაზ პატარძალს დაუყვავა: „უფალმა ასე ინება, შვილო, ღმერთმა დაგლოცოს, ჩემი ობოლი შვილიშვილების აღზრდა რომ იტვირთეო. სიცოცხლის ბოლომდე ურთიერთპატივისცემა და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში. ცოლის დისშვილის, დედისერთა ვაჟკაცის ქორწილის სუფრის თამადა შოთა მარშანია ბრძანდებოდა სამეგრელოში ქართულ (მეგრულ) ოჯახში ეს რას ნიშნავს, არავის ესწავლება...“ (115,44).

კაპიტონ ჩაკაბერიას მოგონებებიდან:

„ბიძა ჩემი, ძოკია ჩაკაბერია, ცხოვრობდა შეშელეთში ივა ემუხვარის ეზოს წინ, შუაში მხოლოდ სოფლის 10 მეტრის სიფართის გზა ყოფდა. ივა და ძოკიას ოჯახი ძალიან კარგ მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ. მე სკოლიდან მათთან მივდიოდი. ერთად ვთამაშობდით ივას დიდ ლამაზ ეზოში შოთა მარშანიასთან (ალბათ, მაშინ ის იყო 7-8 წლის), თამაშის შემდეგ საბანაოდ მივდიოდით ერის წყალზე და თევზსაც ვიჭერდით.

ივა და მისი მეუღლე, ძაძუ ანჩაბაძე, ხანში შესულები იყვნენ, ივა სულ კვნესიდა და შეუძლოდ იყო, ძაძუ კი გამხდარი თეთრი სახის ცისფერთვალება იყო, მას თმა ძალზე შევერცხლილი ქონდა, ალბათ, იმის გამო, რომ ერთადერთი

შვილი მძიმე ავად ყავდა, გარეთ ვერ გამოდიოდა, სულ ოთახში იყო. შვილის გარდაცვალების მერე იშვილეს შოთა მარშანია (ივას დისშვილი) და გაზარდეს კიდევაც.

ივას სახლის მეორე სართულზე, ზალაში, იდგა პატარა მაგიდა, რაზედაც იდვა დიდი სქელკანიანი 4 თუ 5 ცალი წიგნი, შავი გარეკანი ქონდა. ერთხელ მე ვკითხე ივა ბაბუას: „ეს შავი სქელკანიანი წიგნები ამ მაგიდაზე რომ დევს და ხელს არავინ კიდებს, ვისია?" ივა მივიდა მაგიდასთან, ხელში აიღო წიგნი და მიპასუხა: „ეს ჩემი ძმის, არზაყანის სამახსოვრო წიგნებია." მე ვკითხე: „რატომ სამახსოვრო, თვითონ სად არის?"

შეწუხებულმა შემომხედა, წიგნს დახედა და მითხრა: „არზაყანი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე იყო, კომუნისტებმა რომ დაიპყრეს აფხაზეთი, მაშინ ის საზღვარგარეთ წავიდა და იქ არისო."

მახსოვს მამაჩემმა, ასე 13-14 წლის ვიქნებოდი, მითხრა „შვილო, ეს ღვეზელი (დიდი ხაჭაპური და მამალი) ივას მიართვიო. მე ვკითხე: „რატომ უნდა მივართვა? „ასე არის საჭირო, ივა ჩემი ნათლიაა. ჩვენში მირონი არისო და წელიწადში დაწესებულ დროსა და დღეს უნდა მიართვა ნათლიასო", – მიპასუხა მამამ. ივა თავისი ავტორიტეტით მფარველობდა მას'' (სტილი დაცულია (116).

მამა დიდ პატივს სცემდა თავის გამზრდელებს. ხშირად გვიყვებოდა მათზე, განსაკუთრებით – ბებიაზე, ცისფერთვალება, ულამაზეს, სიკეთით სავსე ქალზე – ძაძუ ანჩაბაძეზე. მამამ სტუდენტობა თბილისში გაატარა. ეს იყო სამამულო ომის უმძიმესი წლები. მამა ყოველთვის აღტაცებით გვიამბობდა, როგორ ახერხებდა ბებია მატარებლის გამცი ლებლის ხელით არა მხოლოდ პროდუქტის, არამედ შეშის გამოგზავნასაც. მამას მეგობრებს ძალიან უყვარდათ მის ოჯახში სტუმრობა. ბებია ისე სწრაფად შლიდა საუცხოო სუფრას, რომ ყველა გაოცებული რჩებოდა. ჩემი უფროსი ძმა იხსენებს, რომ ბავშვობაში რადიომიმღებზე ოცნებობდა. ბებია შეპირებია, გიყიდიო. მან გოჭები დაზარდა, გაყიდა და ბიჭს ოცნება შეუსრულა. გაოცებას იწვევდა ამ სიფრიფანა ნაზი ქალის (რომელმაც ერთადერთი ვაჟის სიკვდილი და უამრავი გაჭირვება გადაიტანა) სიცოცხლისუნარიანობა და ახლობლებისათვის სიხარულის მინიჭების გაუნელებელი სურვილი.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მამა ასპირანტურაში ჩაერიცხა, ერთხანს თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა, მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ ივა ავად გახდა და ბებო სიძნელეებს მარტო ველარ უმკლავდებოდა, ყველაფერი მიატოვა და აფხაზეთში დაბრუნდა. ეს მისი ვალი იყო, მას სხვანაირად არ შეეძლო. მამას ბევრჯერ ვთხოვეთ სოხუმში გადმოსულიყო საცხოვრებლად, მაგრამ ის ყოველთვის უარს ამბობდა: „აქ უნდა მოვკვდეო!" ცოტა ხანში მართლაც მძიმედ დასნეულდა. ალბათ, როგორც ექიმი, გრძნობდა, რომ დიდხანს ვერ იცოცხლებდა. ერთხელ გვთხოვა, ეზოში ჯერ კიდევ უმწიფარი ყურძნის მტევანი მოგვეწყვიტა მისთვის. გამიკვირდა, მკუხე ყურძენი რად უნდა მეთქი? მან თავი აივანზე გამაყვანინა. მტევანი ხელში ეჭირა, დიდხანს ეფერებოდა და ეზოს დაჟინებული მზერით ათვალიერებდა.. მე მივხვდი, რომ ის ეთხოვებოდა მშობლიურ კერას, სადაც მისმა ცხოვრებამ და მისი უახლოესი ადამიანების – ივა ემუხვარისა და ძაძუ ანჩაბაძის რთულმა ცხოვრებამ ჩაიარა.

მამამ ანდერძი დატოვა: უახლოესი ადამიანების: ივა ემუხვარისა და ძაძუ ანჩაბაძის გვერდით დაესაფლავებინათ.

ეს იყო საოცარი ხალხი, საოცარი ურთიერთობები!...

***„კიდევ ერთ გაზაფხულს ვერ გადავიტან აქ ევროპაში. უკვე მერვე შემოდგომა მოდის და უკვე ძრწოლით მოველი გაზაფხულს სხვის ქვეყანაში. აფხაზეთი მენატრება, ჩვენი მთები, ჩვენი ღვინო, ჩვენი პილპილი და წითელი ტალახი...."***

***თარაშ ემხვარი, „მთვარის მოტაცება", კ. გამსახურდია.***

1939 წლის გაზაფხული, მარტი, კიდევ ერთი – უკანასკნელი გაზაფხული უცხოეთში! არზაყან ემუხვარი პარიზს მიემგზავრება, მეგობართა დაძახილზე, რომლებიც დიდი ხანია არ უნახავს და რომლებთან შეხვედრაც მისთვის ძალზე სასიხარულო და მნიშვნელოვანია.

არზაყანი მარტის დამდეგს ჩავიდა პარიზში, შესაძლოა გულმა უგრძნო მოახლოებული აღსასრული, შესაძლოა ერის თანამდევმა სულმა ინება მეტისმეტად არ დაგვეფანტვოდა ძვირფასი საფლავები, ეს კია, ლევილში გატარებული საღამოები წარსულზე უფრო საქართველოს მომავალზე საუბრებით იყო სავსე.



გაზაფხული სოხუმში

„არაზაყანი იქმნა გამოწვეული პარიზში, რომ უფრო ახლოს გაცნობოდა განმათავისუფლებელ მოძრაობის მიმდინარეობას და უშუალო მონაწილეობა მიეღო მასში იქ და მაშინ, სად და როდესაც საჭირო იქნებოდა ეს, არზაყანი სიამოვნებით გამოეხმაურა ამ მოწვევას და პირველ შემთხვევისთანავე გვეწვია პარიზში“ (117).

იოსებ სალაყაიას პირად არქივში ვიპოვე მოსაწვევი კონფერენციაზე:

მოსაწვევი

11 და 12 მარტს 1939 წ.

პარიზში მოწვეულია კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

კომისიის თავჯდომარე ი.სალაყაია.

დიდია ალბათობა, რომ არზაყანი მოწვეული იყო ამ კონფერენციაზე და მიიღო მასში მონაწილეობა. შ.მაღლაკელიძის მოგონებების მიხედვით, იგი პოლონეთში უნდა წასულიყო და კონსულის პოსტი დაეკავებია. მანამდე კი პარიზს ეწვია, მეგობრების მოსანახულებლად და მათთან მოსათათბირებლად.

ვარშავასთან ჩვენი მიმოწერით დავრწმუნდით, რომ იგი პოლონეთში არასოდეს ყოფილა.

*„მე ასე მჩვევია, ბევრს ვყოყმანობ, მაგრამ თუ რამე ამოვიჭერი გულში, უკან არ დავიხევ, სანამ სიკვდილი გზას არ მომიჭრის“.*

*თარაშ ემხვარი, „მთვარის მოტაცება“, კონსტანტინე გამსახურდია.*

## *პარიზი – ლევილი. 1939 წლის 26 მარტი*

„იდგა 1939 წელი, საქართველოში სისხლის წვიმები დიოდა, ერის სასწაულებრივად გადარჩენილი სული თაფლის სანთლის სიწმინდით ენთო ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას სამყოფელში, მაგრამ განგების გარდა არავინ იცოდა სასტიკი ქარის რომელ დაქროლებაზე ჩაქრებოდა იგი და საფლავის პირას მდგარი ქართული ემიგრაცია არზაყანსა და საქართველოს ერთად ტიროდა“ (118).

მეგობრები, მთელი ქართული ემიგრაცია მიაცილებს არზაყან ემუხვარს უკანასკნელ გზაზე.

ყველა ეს სიტყვა გამოქვეყნდა, როგორც ნეკროლოგი:

(სტილი დაცულია)

„არზაყანი პრაღიდან პარიზში გვეწვია 8 მარტს. 18 წლის უნახავ მეგობარს სადგურზე დავხვდით მისი ჭაბუკობის ამხანაგი კ.კანდელაკი და ამ სტრიქონების ავტორი.

მეშინოდა, რომ ამდენი ხნით დაცილებულთ ვერც კი გვეცნო ერთმანეთი. ასეთი ფიქრით გაველი სადგურის ბაქანზე და ავყევი ახლად ჩამომდგარ მატარებლის გასწვრივ. მატარებლიდან ჩამოსული მგზავრები ჭიანჭველებივით ირეოდნენ. ბეჯითად ვაცქერდებოდით თვითეულ მათგანს; თვალი შეჩერდა ახოვან ვაჟკაცზე. ფეხს ავუჩქარე და მისკენ გავეშურე; მანაც მომკრა თვალი. ვიცანი და მიცნო; კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ერთმანეთს გადავეხვიეთ. უკან ჩამორჩენილმა კ.კანდელაკმაც მოგვისწრო და ისინიც ერთმანეთს გადეკონენ. შუაში ჩაგვიდგა, ორივეს მკლავი მკლავში გაგვიყარა და ასე ჩამწკრივებულნი გამოვედით სადგურიდან.

მოვიყვანეთ წინასწარ გამზადებულ ბინაზე, დავაბანაკეთ და მეგობრულ ბაასში გავებით. ამ დღიდან მოკიდებული იშვიათად ვტოვებდით ერთმანეთს. მის სიხარულს საზღვარი

არ ჰქონდა. რომ ინახულა ძველი ამხანაგ-მეგობრები. აბა რას ვიფიქრებდით ან ჩვენ ან თვითონ არზაყანი, რომ სულ რამდენიმე დღეში სამუდამოდ გავიყრებოდით?.. რომ სიხარული საშინელი მწუხარებით შეგვეცვლებოდა?...

18 მარტს საღამოს თავი შეუძლოდ იგრძნო. ექიმს დავუძახეთ იმავე წუთში, მაგრამ გარკვევით ვერაფერი გვითხრა. მეორე დღეს დიდი სიცხით შეპყრობილი არზაყანი ლოგინიდან არ წამომდგარა. მოვიწვიეთ ცნობილი ექიმები; მდგომარეობა საშიშრად იცნო, მაგრამ უიმედობა არ გამოუთქვამს. ავადმყოფს თავს დავსტრიალებდით ყველა მეგობრები. ექ. ი.ხოჭოლავაც თავს ადგა. თავის დროზე წამალს ასმევდა და ნემსებს უკეთებდა. მიუხედავად ყოველგვარ ზომების მიღებისა, ავადმყოფს მოკეთება არ დაეტყო.

მესამე ექიმსაც დავუძახეთ და მათი რჩევით გადავიყვანეთ საავადმყოფოში, სადაც საუკეთესო სპეციალისტი ექიმები გვეგულებოდა. საბრალო ჩვენს მეგობარს არაფერმა უშველა. სისხლი აღმოაჩნდა მოწამლული და პარასკევს დილით, ხუთიექვსი დღის ავადმყოფობის შემდეგ, სამუდამოდ გამოგვეთხოვა. თავს ზარი დაგვცა ამ მოულოდნელმა ამბავმა“ (119).

პარიზის კლოდ ბერნარის საავადმყოფოდან მე შევძელი მიმეღო მხოლოდ ამონაწერი ჟურნალიდან, სადაც აღნიშნულია, რომ არზაყან ემუხვარი მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში 1939 წლის 21 მარტს და, რომ იგი გარდაიცვალა 1939 წლის 24 მარტს, დილის 6 საათზე, 58 წლის ასაკში. სიკვდილის მიზეზი – სტაფილოკოკი. სამედიცინო ხასიათის მასალები (ავადმყოფობის ისტორია, ექსპერტთა დასკვნა) მე ვერ მივიღე, ვინაიდნ მასალებს მხოლოდ ნათესავებს აძლევენ. მე მათთვის უნდა წარმედგინა სათანადო საბუთები. ეს პროცედურა კი უამრავ დროს წამართმევდა. ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო სამედიცინო ხასიათის მასალები, ვინაიდან არაერთგზის მქონდა პრესაში წაკითხული არზაყანის მოწამვლის ვერსიის შესახებ. ვიმედიოვნებდი, რომ ეს მასალები სიმართლეს მაპოვნინებდა და ჭეშმარიტებამდე მიმიყვანდა...

„სტალინის ნებართვით თუ დავალებით აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამომცხადებელმა ნესტორ ლაკობამ არზაყან ემუხვარი გამოაცხადა ხალხის მტრად და მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ეს განაჩენი მოგვიანებით კგბ-ს წინაპარმა ნკვდ-მ სისრულეში მოიყვანა პარიზში, სადაც არზაყან

ემუხვარი ბოლშევიკების აგენტებმა მოწამლეს" (გიორგი მარჯანიშვილი).

« 24 მარტს დილის ექვს საათზე, პარიზის საავადმყოფოში – კლოდ ბერნარ – გარდაიცვალა სისხლის მოწამვლისაგან არზაყან ემუხვარი, საქართველოს დიდი პატრიოტი და აბხაზთის სწორუპოვარი შვილი. მისი მეთაური და მოამაგე.

გადაწყდა დაგვესაფლავებინა სოფელ ლევილის სასაფლაოზე. სადაც განისვენებს ამ უცხოეთში მასავით უდროვოდ დაკარგული მამულიშვილთა უმრავლესობა. კვირას 26 მარტს, გამოვასვენეთ პარიზიდან და გავამგზავრეთ ლევილისაკენ. ცივი ქარიანი დღე იყო; მიუხედავად ამისა მეგობრებმა ცხედარი გავაცილეთ სასაფლაოზე. სასაფლაოს ეზოში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი; აქ იყო საქართველოს ეროვნული მთავრობაც ნ.ჟორდანიას მეთაურობით. ქართული კოლონია, დასაფლავებას დაესწრენ აგრეთვე აზერბაიჯანისა და მთიელთა წარმომადგენელნი და გაიზიარეს ჩვენი დიდი მწუხარება. მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს კ.კანდელაკმა, ა.ჩხენკელმა, ვლ. მგელაძემ, ვლ.ემუხვარმა, ბ. ტობჩიბაშმა და სხვ.» (120,3).

„ვინც არზაყანს საქართველოში არ იცნობდა და მხოლოდ ემიგრაციაში გაიცნო, მასზე იგი ვერ ახდენდა მაინცა და მაინც კარგ შთაბეჭდილებას და ეს ადვილად გასაგებია; ემიგრანტულ ცხოვრებას თავის-კანონები აქვს. აქ ხშირად მყარდება იგივეობა საშუალებასა და მიზანს შორის. არზაყანს აბხაზეთში უხდებოდა მუშაობა დიდის მაშტაბით, აქ მიუხედავად იმისა, რომ იგი მენშევიზმისადმი უღრმესი სიყვარულით იყო გამსჭვალული, ვინაიდან იგი იყო ბაზა მისი მოღვაწეობის, მაგრამ ამასთანავე იგი იყო არა თვით მიზანი, არამედ საშუალება, მის გულში მთავარი ალაგი ხალხს ეჭირა, რომელიც თანაც ცოცხალი არსება მთელი ჭირ-ვარამით მას თვალ წინ უდგა. ემიგრაციაში მას პატარა მაშტაბით უხდებოდა მუშაობა, აქ პარტია მისთვის იყო არა მარტო საშუალება,

არამედ თვით სამშობლოს სუროგატი, თანაც ამ შეფასებაში, რომელთანაც მას საქმე უხდებოდა, აქტიურად ებრძოდენ ერთმანეთს არა სამართლიანობა უსამართლობას, არამედ ერთის სახის უსამართლობა მეორე სახის უსამართლობას.

სულ სხვა იყო მისი მდგომარეობა აბხაზეთში. აქ მას უხდებოდა მოღვაწეობა ისეთ პირობებში, სადაც მას არ ხვდებოდა სხვების მიერ შემუშავებული და ნაკარნახევი მუშაობის მეთოდი, აქ ყოველთვის იყო გარკვეული პოზიცია, აშკარა იყო, თუ სად რომელ მხარეზე იყო სამართლიანობა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ არზაყანი მიმხრობოდა უსამართლო მხარეს, არ ყოფილა ადამიანი, რომლისთვის მას უსამართლოდ რამე ზიანი მიეყენებინოს. ვინაიდგან აბხაზეთი იყო ღატაკი ინტელექტუალური ძალებით, ამიტომ მას იქ დიდის მასშტაბით უხდებოდა მუშაობა“ (121, 19-22).

„არზაყანი იშვიათი პიროვნება იყო აგრეთვე კერძო ცხოვრებაში მორიდებული და თავაზიანი. ამხანაგობაში შეუდარებელი. ყველასადმი სინაზითა და სიყვარულით აღსავსე... დიდი ტაქტისა და სახელმწიფოებრივი უნარის მქონე. არზაყანი ყველა პოსტზე თავის ადგილას იყო. მეტად ჩუმი და მორცხვი ბუნების მოღვაწე განსაცვიფრებელ სიმტკიცეს და ნებისყოფას იჩენდა. სადაც კი ეს საჭირო იყო და ხელისუფლების სწორად გაგებული პრესტიჟი მოითხოვდა. მისი გზის და საქმიანობის მანათებელი ლამპარი იყო სამართლიანობა, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა და ამ მთავარ და უპირველეს მნიშვნელობის პრინციპისთვის მას არასოდ უღალატია. იგი ერთნაირი ერთგულებით ემსახურებოდა საერთოდ საქართველოს და კერძოთ აფხაზეთს, რომელთა ინტერესები და კეთილდღეობა მის შეგნებაში იყვნენ ერთმანეთისაგან განუყოფელნი და განუთვისებელნი“ (122, 2-3).

„შენ სწორედ დღეს, კვირას, უნდა ჩამოსულიყავი ლევილში, ჩვენი პატარა მამულის სანახავად, გელოდნენ კიდეც. შენ მართლა მოდი, მაგრამ როგორ! მართალია, შენ გინდოდა აქაც, ამ სასაფლაოზე მისვლა, სადაც ამდენი ქართველი განისვენებს, ყვავილების მიტანა გინდოდა კოლია ჭუმბურიძის და კოწია საბახტარიშვილის საფლავზე. უბედურებაც ასე-

თი უნდა, ჩემო არზაყან! პრაღიდან რაც ჩამოხვედი, ჩვენ ერთხელაც არ გვსმენია შენი სიცილი.

ხუთშაბათს ღამეს შენ გვეუბნებოდი საავადმყოფოში, მე და კოწიას, შენს მეგობარს, რომელსაც ესაა ელაპარაკე: მე უკეთ ვარ, გული მაგარი მაქვს, ხოლო შემდეგ გავიგეთ რაც გითქვამს სოხუმელი მეგობრისთვის, საშა ქორქიასთვის: ნეტავი არ გავწვალდებოდე, ისე გავთავდებოდეო. მაშ შენ გული გაგვიკეთე მე და კოწიას. დილით 6 საათზე გაგვეპარე! შენ მართლა არ გიწვალია, ასე გვითხრეს შენს სანახავად მისულებს, ლამაზად, მშვიდად, შენებურად დაგიხუჭავს თვალები. მე არ ვიცი, რა უფრო გძაგდა შენ ცხოვრებაში: ბოროტი, უსამართლო საქმე, თუ ულამაზო, უშნო საქმე. მე მგონია, მეორე და ეს იყო რაც შენ განსხვავებდა ბევრი სხვებისაგან, ერის ღირსებისა და სახელის დაცვაში შეუპოვარი იყავი.

მე მინდა, არზაყან, ზოგი რამ ვუამბო აქ დამსწრეთ შენი ცხოვრებიდან, მაგრამ არ ვიცი რომელი ერთი ვთქვა. აი თუ გინდ, ერთი ეპიზოდი შენი ახალგაზრდობიდან, როცა შენ 15-16 წლის იყავი, მე ხომ უფროსი ვიყავი შენი და არც მეგონა ჩემზე წინ ჩახვიდოდი საფლავში. ჩვენ ორივემ გავქუსლეთ ბედიისკენ, მის ნანგრევების სანახავად, ის ხომ მოსაზღვრეა ოქუმის საზოგადოების, სადაც ჩვენ დავიბადეთ და აღვიზარდეთ. ავედით შესანიშნავ გორაზე და იქედან გადაგვეშალა დიდებული სურათი: ერთის მხრივ სამეგრელო, მეორეს მხრივ აბხაზეთი, აბჟუა, მესამეს მხრივ მთები, მეოთხეს მხრივ შავი ზღვა. აქ გაჩნდა რამდენიმე აბხაზი და შენ მიუბრუნდი და ეუბნები მათ: იცით, ვინ ააშენა ეს დიდებული ტაძარი? მეფე ბაგრატ მე-3-მ, მაგრამ მანვე ააშენა ტაძარი ქუთაისში. იცით რას ეძახოდნენ მას? მეფე აბხაზეთისა და საქართველოსი! და ამ წუთს ისე ასწიე შენი თავი, რომ აბხაზებიც მიგიხვდნენ და მათაც ასწიეს ამაყად თავი! აი, ერთი ნიმუში შენი პროპაგანდისა, თუ ამას პროპაგანდა დაერქმევა.

არზაყან, შენ არ იყავი არც პროპაგანდისტი, არც აგიტატორი, თუმცა სოციალ-დემოკრატი იყავი და დარჩი ბოლომდე, მაგრამ სულ სხვანაირი ყაიდის. გლეხები შენში, თავდადებულ მეგობარს ხედავდნენ, შენ მათ უყვარდი, მათი სათაყვანებელი იყავი, მაგრამ გარეგნულად თითქოს მათი ამხანაგი არ იყავი.



შუღიის ტაძარი.

.... ერთხელ მომვარდი შენ ტბილისში და მეუბნები, რას შვება დამფუძნებლის საკონსტიტუციო კომისია, შეიტანს თუ არა პროექტში აბხაზეთის ავტონომიას. ჩვენ ეს ფორმულირება დავამუშავეთ და კიდევ გავიყვანეთ კომისიაში. შენ კი არ დაგიცდია ამისთვის, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე იყავი და ერთი წუთიც არ გქონდა თავისუფალი. ერთხელ მეც ჩამოვედი აფხაზეთში 1920 წ. (?) ერთად, რომელმაც ასეთი მხურვალე სიტყვა გითხრა, არზაყან, ვიყავით სოხუმშიც. რა გვესმოდა შენზე? ყოველი მხრიდან, როგორ გიყურებდა ხალხი? არზაყან უხაწკისაით! (არზაყან, ჭირიმე) – აი, რა გვესმოდა ყოველდღე. მაშინ გავიცანი შენი დაუღალავი თანამშრომელი მიხა უბირია, აფხაზეთის რამიშვილი.

მე არ ვიცი როდის გაიგებს აბხაზეთი შენს დაკარგვას, ვიცი მხოლოდ, რომ ის მწარედ ამოიოხრებს. მაგონდება დიდი ტირილი აბხაზეთში: გრძლად ჩამწკრივებული უთვალავი ხალხი, ერთ მხარეზე შავ ძაძებში თმაგაშლილი ქალები, მეორე მხარეზე ვაჟები, შუაში თეთრ ძაძებში გარდაცვლილის ძიძა, უკან ძიძიშვილებს უჭირავთ მისი შეკაზმული ცხენი, ისიც

შავებში, ქალები მუშტებს ირტყამდნენ თავში, ვაჟები ხელებს, ხოლო ძიძა ლოყებს იკაწრის. მას ადათი არ აძლევს ნებას შავის ჩაცმის, არც გარდაცვლილად იგულოს მისი გაზრდილი და განაგრძობს მისი სახელით ფიცს. სწორედ ამგვარი აფხაზეთი არ შეურიგდება, არზაყან, შენს სიკვდილს, ის განაგრძობს გიფიცოს: „არზაყანი არ მომიკვდეს!..“ მე დარწმუნებული ვარ, რომ არც შენს ძვლებს დატოვებენ აქ. შენ უთხარი ჩემს ცოლს: ***„სამშობლოს განთავისუფლების იმედი რომ არ მქონდეს, არ ვიცოცხლებდიო და აი, სწორედ, განთავისუფლებული სამშობლო მივიკრავს შენ გულში!“*** (123,1-2).

(აკაკი ჩხენკელის ეს წერილი გამოქვეყნდა პირველად. ნ.მ.) (სტილი დაცულია).

„...ავტონომიურ აბხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, შენ წილად გხვდა მრავალ არეულობის – ადგილობრივ შოვინისტების თუ გაბოლშევიკებული ხულიგანების, რუსების თუ ოსმალოების ინტრიგების ბრძოლა და მათი დაძლევაც.

შენი ავტორიტეტი, პატივისცემა შენი პიროვნების დიდი იყო არა მარტო აბხაზობაში, განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა, არამედ იქაურ მრავალტომიან საზოგადოებაში.

მე არ ვიცი – ვინ იყო შენში უფრო ძლიერი; ის კეთილშობილი დედა, რომლის მკერდზე აღიზარდე აფხაზეთში, თუ დედა-ქართლისა, რომლის ყოფაცხოვრებას, რომლის ბედსა და უბედობას სიყრმიდანვე შენ ეზიარე?

გვრჩება იმედი იმის, რომ ის ცხოველმყოფელი თესლი, შენ რომ უხვად დასთესე შენს სიცოცხლეში, უნაყოფოდ არ დარჩებოდა და მრავლად იქნებიან ისინი, ვინც შენს მაგალითს ცხოვრების გზად და ხიდად გაიხდიდნენ. ამან უნდა ანუგეშოს იქ შენი დაობლებული ცოლ-შვილი და ყოველგან გაფანტული შენი მეგობრებ-ამხანაგები.

დიდი ხნის უნახავმა და 15 დღის წინ ჩამოსულმა, შენ სწრაფად გააცოცხლე გრძნობა სიყვარულის და პატივისცემის იმათშიც კი, ვინც პირადად შენ არ გიცნობდა; ჩვენ კი ვიხილეთ შენში ძველი არზაყანი – მხნე, იმედით სავსე, მუდამ საქმისთვის თავდადებული... რა სიხარულით, რა მოუთმენლად მოეჩქარებოდი შენ პარიზში, ჩვენსკენ, არა მხოლოდ

ძველი მეგობრების სანახავად, არამედ ჩვენ საქმესთან უფრო დასაახლოებლად.



ბზიფის ხეობა

როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრი, მისი სახელით მე თავს ვიხრი შენი ხსოვნის, შენი თავდადებულ და ნაყოფიერ მოღვაწეობის წინაშე, ღრმად დარწმუნებული, რომ შენი მშობელი ერი, მთელი საქართველო, პატივით და სიყვარულით მოიგონებს მუდამ შენს სახელს, როგორც შენი სიყრმის მეგობარი და ამხანაგი, სხვა შენ მეგობ - რებთან ერთად, შენს კეთილშობილ ხსოვნას საუკუნოდ გულში ვატარებთ“ (124,3).

სამგლოვიარო ცერემონია დამთავრდა საღამოს ექვს საათზე და უცხო მიწას მიაბარეს ავტონომიური აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი.

ესაა ლადი ემუხვარის წერილი აკაკი ჩხენკელისადმი, რომელიც მან არზაყანის დაკრძალვის შემდეგ დაწერა. უცნობია მათი საუბრის თემა – „მთავარი საკითხი“, მაგრამ ცხადია




არზაყან ემუხვარის საფლავი ლევილში

ერთი – მათ გადაწყვიტეს, რომ აუცილებელია შეკავშირება, თანადგომა, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნება.

„... როდესაც არზაყანის დასაფლავების შემდეგ მე შენსას რანდევუზე მივდიოდი, ვფიქრობდი და მოველოდი ჩვენს შორის უფსკრულს და ჩემს გაკვირებას საზღვარი არ ქონდა, რომ ჩვენ მთავარ საკითხში შევთანხმდით. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შორის კონტაქტი განსაკუთრებით საჭიროა ეხლა....“ (125).

31 მარტი 1939 წელი

კონსტანტინე კანდელაკი: „საქართველოს ემიგრაციამ კიდევ გაიღო ერთი დიდი მსხვერპლი; მან დაკარგა დიდი ნებისყოფის და მტკიცე პრინციპების მქონე მამულიშვილი. თავის სამშობლოზე შეყვარებული და მისი სამსახურისთვის თავდადებული არზაყანი დღეს უცხო ქვეყნის მიწაში განისვენებს. მაგრამ მადლიერი ქართველი ერი და რაინდი ბუნების აბხაზობა არასოდეს დაივიწყებენ მის ღვაწლს და პირველ შემთხვევისთანავე მის ცხედარს დაუბრუნებენ სამშობლო ქვეყანას.

ვაი, რომ ბევრმა არც კი იცის, რა დიდი განძი დავკარგეთ შენში, დავკარგეთ ყველამ – აბხაზებმაც და ქართველებმაც; დავკარგეთ შეუდარებელი პიროვნება ამ ორი ძმის ურთიერთობისთვის ჩვენს თაობაში!“

*„ლევილის სასაფლაოზე მარტის სუსხიანი ქარი ქროდა. არზაყან ემუხვარის დაღლილი სული სევდიანი ღიმილით ეერთდებოდა ზეციურ საქართველოს. სამურზაყანოში კი, შორეულ სამურზაყანოში საკუთარი გულით, შიშით აყურადებდნენ უბედურების ტანით მგრძნობი მისი ძიძიშვილები. არავის დაუკაწრავს ღაწვები, ზეცას არ სწვდენია ჭირისუფალ ქალთა კივილი, საავადმყოფოს მომვლელმა დაუხუჭა თვალები და სამუდამოდ გაქრა მათში დავანებული გარდასული მზის შუქი“* (126).

არზაყან ემუხვარის სახით საქართველოს ემიგრაციამ დაკარგა კეთილშობილი რაინდი და ნიჭიერი თანამემამულე.



გიგი ემუხვარი



გივი ემუხვარი



გივი ემუხვარი მეუღლესთან და ქალიშვილთან





მარინე ემუხვარი მეუღლესთან,
ამირან ხაჯაპურიძესთან ერთად



შოთა მარშანია (არზაყანის დისშვილი)



შოთა მარშანია მამასთან, ასტამურ მარშანიასთან (ანა ემუხვარის – არზაყანის დის მეუღლე, არზაყანის სიძესთან) ერთად



ციალა (ძაბუკი) ემუხვარი–თუნგია, მეუღლესთან ვაჟა თუნგიასა და ქალიშვილებთან დონარა და იზოლდასთან ერთად.



ივა ემუხვარი და ვლადიმერ (კუჭივო) ემუხვარი.



მარცხნიდან: მერი ყუზანეიშვილი, მარიამ ჩიკვაიძე-ემუხვარისა, ვლადიმერ (კუჭივო) ემუხვარი, ივა ემუხვარი (არჯაყანის ძმა), გიორგი ემუხვარი.



არზაყან ემუხვარი. პრაღა.


ASSISTANCE PUBLIQUE HÔPITAUX DE PARIS

Paris, le 6 août 2010

HÔPITAL CLAUDE-BERNARD

Registre des Entrées

1939

N° d'admission : *1780*
Entrée : *21 mars 1939*
Décès : *24 mars 1939*
Salle : *Bouchard*
Nom : *EMUCHVARI*
Prénom : *Dimitry*
Date de naissance : *26.10.1880*
Age : *58 ans*
Profession : *journaliste*
Domicile : *71, boulevard Exelmans – Paris 16ème*
Lieu de naissance : *Suchum-Kavkar (Georgie)*
Nationalité : *georgienne*
Cause du décès : *staphylococcus maligne*
Durée du séjour : *4 jours*
Observations : *DCD*

Pour copie ou extrait conforme

Cote archives AP-HP: 1 Q 2/ *59*

წერილები კლოდ ბერნარის საავადმყოფოს არქივიდან


ASSISTANCE PUBLIQUE HÔPITAUX DE PARIS

Du Vingt Quatre Mars 1939

N° 63

Le nommé Emuchvari Dimitri d'environ 58 ans, profession journaliste célibataire, époux veuf de Marie Nikoultzo, fils de Kountantin, et de Chymada ... Markaria natif de Suchum-Kavkar canton de Géorgie, département d ...

N° au Registre des Entrées 1780.

demeurant habituellement à Paris 16e arr Bd Exelmans 71. nationalité Géorgienne est entré dans cet établissement le Vingt et un Mars 1939 il y est décédé aujourd'hui Vingt Quatre Mars mil neuf cent trente neuf, à 6 heure 0

Ce décès a été déclaré à M. l'Officier de l'Etat civil du 16e arr, par moi, Directeur soussigné, conformément à l'article 80 du Code civil, et dans le délai prescrit.

Salle : Bouchard

Cause du décès : Staphylococcie maligne

Du ... 1936

DIRECTION DU SIÈGE
2, rue Saint-Martin
75184 PARIS Cedex 04
Standard : 01 40 27 30 00
Site internet : www.ap-hp.fr

ARCHIVES DE L'AP-HP
7, rue des Minimes
75003 PARIS

Secrétariat & Renseignements
Téléphone : 01 40 27 50 77
Télécopie : 01 40 27 50 74

CLAUDE-BERNARD 3Q2 11

ცნობა გარდაცვალების შესახებ

(პარიზი, **1939** წელი, **21** მარტი).



მარტი
1939 წ.
№ 155
პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Paris

არზაყან ემუხვარი
(1880—1939)

პარიზში გამომავალი გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“,
სადაც არზაყან ემუხვარის ნეკროლოგი დაიბეჭდა



კონსტანტინე კანდელაკი ძმიშვილთან–ნატა კანდელაკთან.
პარიზი, **1924** წ.



აკაკი ჩხენკელი, პარიზი, **1921** წელი

# §7. 70 წლის შემდეგ...

*პარიზი, ლევილი, 2010 წლის 3 მარტი.*

*„ძვლებიც კი ფიქრობენ საქართველოზე...“ – პარიზთან ახლოს, დაბა ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე განსვენებულ ნიკოლოზ (კოკი) დადიანის ეპიტაფიის ეს სიტყვები ალბათ, ყველაზე უფრო მჭევრმეტყველურად გამოხატავს სამშობლოდან მოწყვეტილი და ბედის უკუღმართობით უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართული ეროვნული ემიგრაციის ტრაგიკულ სვეს!“* (127,115).



ლევილის ქართველთა სასაფლაო

3 მარტს, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინის-

ტრი დალი ხომერიკი საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოს ეწვივნენ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, არზაყან ემუხვარის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ საქართველოს მოქალაქეებს საფრანგეთიდან, ლევილის ისტორიული მიწიდან მიმართა:

„მოგესალმებით საფრანგეთიდან, ლევილის იმ ისტორიული მიწიდან, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლის სიმბოლოა. აქ სამშობლოს მოწყვეტილ პატრიოტებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლა. გასული საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია სუვერენული საქართველოს ანექსიით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს თავად აღიარა, ეს ხელშეკრულება მანვე უხეშად დაარღვია.

ჩვენ ვდგავართ აფხაზი კაცის, საქართველოს თვალსაჩინო შვილის არზაყან ემუხვარის საფლავთან, რომელიც დემოკრატიული აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის პირველი თავმჯდომარე იყო. არზაყან ემუხვარი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე ნოე ჟორდანიას გვერდით განისვენებს. ის არ შეეგუა საქართველოს ოკუპაციას და თავისუფლების დაკარგვას, ემიგრაციაში სიკვდილი ამჯობინა. ეს გმირები სამშობლოდან შორს, დევნილობაშიც ქვეყნის გადარჩენისთვის იბრძოდნენ!“

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დალი ხომერიკი:

„არზაყან ემუხვარი  აფხაზური და ქართული ერთიანობის სულისკვეთებით ანთებული აფხაზი იყო, რომლის პიროვნება და საქმიანობა, სამწუხაროდ,  ჩვენს სინამდვილეში ნაკლებად წარმოჩენილია. მასზე ინფორმაციაც  ძალიან მწირია. არადა, მნიშვნელოვანია, რომ ისტორიკოსებმა, რომლებიც ისტორიის იმ პერიოდზე მუშაობენ, მეტი ყურადღება დაუთმონ არზაყან ემუხვარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევას. პიროვნებაზე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს

მთავრობის წევრთა გვერდით იდგა და რომლის მიზანი იყო აფხაზეთის კეთილდღეობის მიღწევა საქართველოს შემადგენლობაში“ (128,3).

*„Hereux celui qui se sovient avec plaisir de ses peres,qui antretient avec joie l’etranger de leurs actions, de leur grandeur, et que goute une satisfication secrete a se voire le derniere“…*

*„ბედნიერია ის, ვინც სიამაყით იხსენებს თავის წინაპრებს, სიხარულით გვიამბობს მათ მოღვაწეობასა და სიდიადეზე“…*

*გოეთე*

ვინ იცის რაზე ფიქრობდა არზაყან ემუხვარი სიცოცხლის ბოლო საათებსა და წუთებში შორეული პარიზის საავადმყოფოში საწოლს მიჯაჭვული, მეგობართა გარემოცვაში, მაგრამ უახლოესი ადამიანებისგან შორს... მისთვის უცხო არ იქნებოდა თარაშ ემხვარის მრწამსი:

*„ადამიანი ყოველ წუთს მზად უნდა იყოს სიკვდილისათვის, მაგრამ არ უნდა ღნაოდე. სახეზე არ უნდა გეტყობოდეს მოწყენის ჩრდილი. ყოველთვის ისე უნდა გეჭიროს თავი, თითქოს ნადიმზე მიდიოდე. აჰ, ერთხელ კიდევ მანახა კავკასიონის შევერცხლილი უნაგირები! ახლა სოფელში ბროწეულები და მაგნოლიები ყვავიან. გაზაფხული მოუტანდა მშვენებას კოლხეთის ველებს. შესაძლოა, ჩვენი სოფელი ამ წუთში მიზიტხუს-პირველ ყვავილობის დღესასწაულს იხდიდეს. მუხის ფოთლებით შუბლშემკული ქალ-ვაჟი გარს ეხვეოდეს ვეება მუხას და ნაბდით შებურვილი ლომკაცი სატევარს არჭობდეს მკერდზე ტყეების მამფალს.*

*ასი წლის რომ გავხდე, დედა, და ასი წელიც რომ დავრჩე უცხოეთში, თუ შენ შინ მეგულები, ფესვები მაქვს მეთქი ჩემს მიწაში, ასე ვიტყოდი. ასი წლის რომ გავხდე, დედა, უცხოეთიდან მობრუნებული დაგიძახებ კარის ალაგთან „დედა, შინა ხარ მეთქი?“*

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ არზაყან ემუხვარის აზრები იმ საბედისწერო წუთებში ესოდენ შორეული და

სანატრელი სამშობლოსკენ იქნებოდა მომართული, რომლისთვისაც კიდევ ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო; ოჯახისაკენ, რომელთან განშორებაც მისთვის აუტანელი გახდა; ინტრიგებით, კონფრონტაციებით, ჭორებით მოწამლული ემიგრანტული წლებისაკენ, აუსრულებელი სურვილებისაკენ, სამშობლოში დაბრუნების აუხდენელი ნატვრისაკენ... აფხაზური ანდაზა გვასწავლის: ***„სამშობლოს დამკარგველი ყველაფერს კარგავს!“*** არზაყან ემუხვარმა ყველაფერი დაკარგა, მისთვის ძვირფასი და მახლობელი: სამშობლო, ოჯახი, ნათესავები, მეგობრები, რომელთა გარეშეც სიცოცხლე ვერ წარმოედგინა.

ხშირად მიფიქრია: იყო კი ის ბედნიერი? მას ხომ ურთულესი ცხოვრება ერგო:

ადრე დაობლება, მღელვარე სიჭაბუკე, რევოლუციური ორომტრიალი, ციხეში გატარებული წლები, ხელმძღვანელ თანამდებობათა დაკავება აფხაზეთისთვის ურთულეს პერიოდში, ემიგრაციის წლების სრული უქონელობა, მარტოობა, სასოწარკვეთა, სიმწარე...

პრაღიდან გამოგზავნილი მასალების გაცნობამ უნებურად მარინა ცვეტაევას მიერ ემიგრაციაში წარმოთქმული სტრიქონები გამახსენა: ***«Тут я не нужна, там я невозможна!»*** ეს აზრი უთუოდ ხშირად აწუხებდა არზაყანსაც. და მაინც, ამ ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, ის მაინც ბედნიერი იყო მაშინ, როცა თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა – ემსახურებოდა საკუთარ ხალხს, რომლის სიყვარულსა და პატივისცემასაც მუდამ გრძნობდა. შორეულ ახალგაზრდობაში მას გვერდით უზომოდ მოყვარული, ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, უმშვენიერესი ქალბატონი მარიამ ჩიკვაიძე ედგა, როცა ქვეყნიერებას მისი ვაჟიშვილები მოევლინენ, რომლებითაც მუდამ ამაყობდა, სამშობლოშიცა და შორეულ ემიგრაციაშიც. აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ მის წერილებს მეუღლისადმი, შვილებისადმი, რომელთა სწავლა-აღზრდის თითოეულ დეტალს თავად გეგმავდა, ოცნებობდა მათ წარმატებულ მომავალზე... უზომოდ უყვარდა სამშობლო! განა ეს ყველაფერი არ კმარა ბედნიერებისათვის?!

დროჟამისაგან გაყვითლებული წერილების გადაკითხვისას, მიმქრალი სტრიქონები რომ ძლივს-ღა აჩნდა, როცა არზაყან ემუხვარის ცხოვრების ისტორიას ვეხებოდი და

ჩემს სისხლით ნათესავ ადამიანთა ტრაგიკულ ბედისწერას ვუღრმავდებოდი, თავს ამ ოჯახის განუყოფელ ნაწილად ვგრძნობდი, მათი სიხარული ჩემთვისაც ბედნიერება იყო და მათი მწუხარება კი მანიჭებდა ტკივილს. ვფიქრობდი შორეულ ლევილზე, არზაყანის საფლავზე, რომელიც მოსაწესრიგებელია... ვცდილობდი პასუხი გამეცა მტანჯველ კითხვაზე, რატომ უწოდეს მას „მშიშარა, უნებისყოფო და უნიჭო ადამიანი!?" მან ხომ ღირსეულად განვლო მთელი თავისი ცხოვრება, ყველგან და ყველაფერში ქედუხრელ, თავისუფლების მოყვარე, კეთილშობილ რაინდად დარჩა!

ჩვენ, მისი შთამომავლები, არზაყან ემუხვარის ტრადიციის გამგრძელებლები, ვცდილობთ ჩვენი მცირედი წვლილი შევიტანოთ აფხაზსა და ქართველ ხალხს შორის ნდობის აღდგენაში, დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველა ხიდი არ ჩატეხილა ჩვენს შორის...

გთავაზობთ ჩემი ძმის, იური მარშანიას სტატიას (შოთა მარშანიას ვაჟიშვილის, პირველი ქორწინებიდან, რომელიც დედით ქართველია და ჩემმა აფხაზმა დედამ, ფენია ხაშბამ, ის და მისი ძმა, დაობლებულები, ღვიძლი ვაჟიშვილებივით გაზარდა. მუდამ აღფრთოვანებული ვიყავი დედაჩემით, ქალით, რომელსაც საპასუხისმგებლო, მაღალი თანამდებობები ეკავა (იგი პარტიული მუშაკი იყო), ცნობილი პედაგოგის, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგის ნესტორ ხაშბას ერთადერთი, განებივრებული ქალიშვილი. ერთხელ დედას ვკითხე: „დედა, როგორ გადაწყვიტე ასეთი ნაბიჯი. ასე იოლი ხომ არ არის ორი დაობლებული ბავშვის აღზრდა?" მან მიპასუხა: „ჰო, იოლი არაა, მაგრამ მამაშენი ისეთი კარგი ადამიანი იყო!" ამით მან ყველაფერი თქვა! მას არასოდეს განუსხვავებია ჩემგან, თავისი ბიოლოგიური შვილისგან; ხშირად ჩემზე წინაც აყენებდა მამას ვაჟიშვილებს, როგორც ეს აფხაზურ ოჯახში ხშირად ხდება, ტრადიციულად.

*ჩემმა ძმამ ეს სტატია საკუთარი და თავისი ოჯახის სიცოცხლის ფასად გამოაქვეყნა, აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ 1989 წლის 14-15 ივლისს:*

*„აფხაზეთში ტრაგედია დატრიალდა. და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, არა სტიქიური უბედურების ან შემოსევის შედგად, არამედ ეროვნებათა შორისი ურთიერთობების გამწვავების გამო. თანაც რეგიონში, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ყოველთვის მეგობრულად და შეთანხმებულად ცხოვრობდნენ. განსაკუთრებით მტკივნეულია, რომ კონფლიქტი მოხდა აფხაზებსა და ქრთველებს შორის, რომლებიც დასაბამიდან ერთმანეთში ნათესაური ძაფებით იყვნენ გადახლართულნი. ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს, იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მოხდა ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება მომხდარიყო – ძმამ ძმაზე ხელი აღმართა. დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები.*

*ცხადია, ეს ტრაგედია თავისთავად არ მომხდარა. მას კონკრეტული დამნაშავეები ყავს. იდეურად შთამაგონებლები და ბოროტების შემსრულებელნი. ისინი უნდა გამოვლინდნენ და დაისაჯონ. მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავეთა სახელები გამოცხადდება და კანონის მთელი სიმკაცრით საკადრისი მიეზღვებათ, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ წარმატებით დავადექით შერიგების გზას. შერიგება კი ერთადერთი გარანტიაა იმისა, რომ მსგავსი რამ არ განმეორდება.*

*საჭიროა ყველამ გაიგოს, რომ არ არსებობს ცუდი ხალხი, რომ ტრაგედიაში ერი კი არ არის დამნაშავე, არამედ გარკვეული, შეიძლება დიდი ნაწილი ექსტრემისტულად განწყობილი ადამიანებისა.*

*მე ეროვნებით აფხაზი ვარ. დედა და ცოლი ქართველები მყავს.*

*ჩემთვის ერთნაირად ძვირფასია დედისა და მამის ეროვნება. ვერასოდეს წარმოვიდგენდი და ვერც წარმოვიდგენ ნორმალურ ცხოვრებას ამ ერთიანობის გარეშე, ჩვენი საერთო სამშობლოს, საქართველოს მიმართ სიყვარულისა და სიამაყის გარეშე.*

*დღეს ჩვენ საერთო სატკივარი გვაწუხებს. იმ აფხაზებმა, რომლებმაც ძმებზე ხელი აიღეს და რომელთა ბარბაროსულმა თავდასხმამ უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა, უბედურება და განუკურნავი ტკივილი მიაყენეს არა მხოლოდ ქართველებს, არამედ აფხაზ ხალხსაც, კეთილი ნების ყველა ადამიანს. თუმცა ჩვენ გვესმის ამაში დამნაშავე*

*არ არის აფხაზი ხალხი, არამედ ნაციონალისტურად განწყობილი პირები, მაინც მთელ ერს ეცემა ჩრდილი.*

*ახლა, როცა საქართველო ჭეშმარიტი სუვერნიტეტის გზას ადგას, როცა პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ სუბიექტად მკვიდრი ერები უნდა იყვნენ, თანაც საყოველთაოდ უნდა დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, როგორც არასოდეს, ისეა საჭირო საქართველოში მცხოვრები ხალხების და ყველა სოციალური ფენის კონსოლიდაცია. და ეს მთავარია, რადგან იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტია, ჩვენ არა გვაქვს. ყველაფერი, რაც ამ მიზნის მიღწევაში გვიშლის ხელს, დასაგმობია.*

*შერიგება თავისთავად არ მოვა. ყველა კეთილგონიერმა ადამიანმა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ურთიერთ თანხმობა, მეგობრობა და სიყვარული. ერთმანეთს ხელი უნდა გაუწოდოს, აქტიურად იღვაწოს შეკავშირებისათვის, დიადი ჰუმანური იდეალებისათვის, რაც ყოველთვის ახასიათებდა ჩვენს ხალხებს. სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს, რადგან ეროვნულ შუღლს მხოლოდ ფიზიკური და სულიერი გადაგვარებისაკენ მივყავართ".*

*იური მარშანია – რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს განყოფილების გამგე (129, 6).*

*(თარგმანი რუსულიდან).*

ქართულ – აფხაზურ ურთიერთობებზე თავისი მოსაზრება გამოვხატე ერთ-ერთ ჩემს ინტერვიუში: "...შერეული ოჯახების ატმოსფერო ტოლერანტობის გამომუშავებას უწყობს ხელს, მოქალაქეობრივობის განცდას ბადებს ასეთი ოჯახების შვილების შემეცნებაში, რაც ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას განაპირობებს.

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ომის გზით არანაირი კონფლიქტი არ მოგვარდება. მით უფრო – ქართულ-აფხაზური.

ქართველები და აფხაზები მოვალენი ვართ, ვიპოვოთ ერთმანეთისკენ სავალი გზები, რადგან არ შეიძლება ეს კონ-

ფლიქტი ჩვენს შვილებს დავუტოვოთ. ყველაზე დიდი დეფიციტი ჩვენს ურთიერთობებში ადამიანური კონტაქტების დეფიციტია... ვოცნებობ, ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთო, რათა მეც შევიტანო გარკვეული წვლილი აფხაზ და ქართველ ხალხს შორის ნდობის აღსადგენად. მინდა ჩემს შვილს (რომელიც მამით ქართველია) ისევე უყვარდეს აფხაზეთი, როგორც მე მიყვარს!" (130, 15).

ასე რომ, ტრადიცია გრძელდება, შთამომავლები გულწრფელად ვერთგულობთ ბაბუის – არზაყან ემუხვარის მრწამსს, მის მოწამებრივ გზას, აუხდენელ ოცნებებს...

იხურება ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი! დასრულდა მორიგი ტრაგიკული ამბავი ოჯახისა... არზაყან ემუხვარს სწამდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა და ამით სულდგმულობდა! მას არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა და არ დაჰკარგვია იმედი, რომ დადგებოდა დრო, როცა საქართველო, აფხაზეთი გადაიყრიდა ჯანღს და კვლავ იხილავდა საყვარელ სამშობლოს!

დასრულდა ამბავი ბრწყინვალე თავადისა, რომლის ცხოვრებას განუწყვეტლივ სდევდა ბედის ავბედობითი ბრუნვით წამოჭრილი კითხვა: „ვისი გული უფრო მძლავრად ფეთქავდა შენში: თავისუფლების მოყვარე აფხაზის თუ თავდადებული ქართველისა?!

*– ერთისაც და მეორისაც.*

*მთლიანად და უნაკლოდ! იგი იყო აფხაზეთის დიდი მამულიშვილი და საქართველოს უსაზღვრო პატრიოტი“.*

***ჭეშმარიტად!***



იგორი მარშანია მეუღლესთან, ლალი დავითაიასთან ერთად



ირაკლი მარშანია, იგორი მარშანიას ვაჟიშვილი



ეკატერინე მარშანია, იური მარშანიას ქალიშვილი.







გიორგი ჯოლია, ნაცო მარშანიას ვაჟიშვილი




პრაღა, **2011** წელი



ნაცო მარშანია ვაჟიშვილთან, გიორგი ჯოლიასთან ერთად



თოლიების მოლოდინი

თოლიები ზღვისნაპირზე ნაზად კრავენ წრეს,
წვიმას იწყებს და წვეთები უღიმიან მზეს...

ნიკო გომელაური

# რედაქტორის ბოლოთქმა

ქალბატონი ნატო მარშანია წლების განმავლობაში რუდუნებით, ნაბიჯ-ნაბიჯ აგროვებდა «ქედუხრელი რაინდის»-დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ნაკვალევზე შემორჩენილ დოკუმენტაციას, საარქივო მასალებს, მემკვიდრეთა თუ თანამოსაქმეთა მოგონებებს, ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, საჟურნალ-გაზეთო პუბლიკაციებსა და დღიურებში მიმობნეულ ფასეულ დეტალებს. ლამის არარაისგან ცდილობდა აღედგინა დევნილობაში აღსრულებული ემიგრანტი-პოლიტიკოსის მოწამებრივი გზა... სანუკვარი აფხაზეთიდან თავისი დიდი წინაპრის მსგავსად დევნილი ქალბატონი დღენიადაგ ფიქრობდა და ილვწოდა თავისი ღვაწლმოსილი წინაპრის, საქართველოს დიდი პატრიოტის, აფხაზი მამულიშვილის მოწამებრივი ღვაწლისა და უცხოეთის ცის ქვეშ ემიგრანტი-პოლიტიკოსის ურთულესი ცხოვრებით – სამშობლოსა და ოჯახის მონატრებით, საქართველოს დაკარგული თავისუფლების აღდგენისა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა დარეგულირებაზე, დღენიადაგ ზრუნვით აღსავსე წლების გამომზეურებისათვის...

დიდი წინაპრის მსგავსად, მასაც საერთო, მშობლიური კერის გაუსაძლისი მონატრების განცდა და მასთან გამკლავების დიდი სურვილი აძლევდა ძალას, უწრთობდა ნებისყოფას, არ დაზარებოდა ხანგრძლივი მიმოწერა პრაღის არქივებთან, სლავურ ბიბლიოთეკასთან, ქ. პრაღის არქივთან, ვარშავასთან, პარიზის კლოდ-ბერნარის საავადმყოფოს არქივთან, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივთან (ГАРФ); მასალების მოძიება არზაყან ემუხვარის შესახებ საქართველოს ეროვნულ (ცსა) და ქუთაისის ცენტრალურ არქივებში, სოციალ-დემოკრატების არქივის შესწავლა, რომელიც ლევილიდან ბატონმა გურამ შარაძემ ჩამოიტანა, მასალების მოძიება ქართული ემიგრაციის მუზეუმში, გივი ემუხვარის პირად არქივში...

თითქოს კვალიც გამქრალიყო – ბოლშევიკური აგრესია ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ყოველგვარ ნაშთს ამ

მოწამებრივი ცხოვრებისა და საქმიანობისა, თუნდაც იმიტომ, რომ: „ვინც საქართველოს და აბხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა“ – ასეთი რწმენით იცხოვრა და იღვაწა აფხაზეთის მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარმა, ამ მრწამსს შესწირა ყოველივე პირადული, მოწამებრივად აღესრულა უცხოეთის ცის ქვეშ...

ამას ვერ პატიობდა ბოლშევიკური ცენზურის მოღარაჯე თვალი, ვერც მას და – ვერც მის შთამომავლებს...

და მაინც, მისი სულიერი და გენეტიკური მემკვიდრის, ნატო მარშანიას ესოდენ მონდომებას ამაოდ არ ჩაუვლია: „უკიდეგანო სიხარული მიპყრობდა, როცა არქივებში ვპოულობდი წერილებსა თუ დეპეშებს ჩემთვის კარგად ნაცნობი ხელწერით – არზაყან ემუხვარი“ – ბრძანებს ქალბატონი ნატო.

ხელთ გვაქვს ამ დოკუმენტურ, საარქივო მასალებსა და მოგონებებზე დაყრდნობით მოზაიკურად აღდგენილი სურათი დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის მამულიშვილური, მოწამებრივი სიცოცხლისა და ღვაწლისა, პიროვნების, რომელსაც არ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება – არცერთხელ გაუმართლა – არც სიცოცხლეში და არც – გარდაცვალების შემდეგ, როცა თითქოს ყოველივე მზად იყო მისი ტანჯული ნეშტის გადმოსასვენებლად – საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნება, აფხაზეთის მხარეს – ვლადისლავ არძინბას თანხმობაც, არზაყანის მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი უმცროსი ვაჟიშვილის გივი ემუხვარის თავგანწირული მცდელობანი: 1991-93 წწ. ცნობილი ტრაგიკული მოვლენები გადაეღობა სამშობლოსაკენ სავალ უკანასკნელ გზაზე…

ნუგეშად – ვაჟიშვილის მიერ ჟამიდან-ჟამს საქართველოდან გაგზავნილი მხოლოდ პეშვი-მშობლიური მიწისა, მეგობარი-ემიგრანტების მიერ მის საფლავზე მობნეული ლევილში და რწმენა იმ დიდი საქმის უკვდავებისა, რომელსაც ის და მისი თანამოაზრეები შეეწირნენ: „...საჭიროა და აუცილებელია საქართველო-აფხაზეთის შეღუღება და ყოველნაირი მათი განცალკევების საბაბის ძირშივე მოსპობა... ამისთვის საქართველოს მოღვაწეებმა უნდა დიდი სიფრთხილით

*მოეპყრონ აფხაზეთს, რომელიც საქართველოს დასავლეთის დიდი და მნიშვნელოვანი კარია...“ (არზაყან ემუხვარი).*

*და აი, მადლიერმა შთამომავალმა მისი მივიწყებული ხსოვნა დაუბრუნა მშობლიური ერის წიაღს... დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელი უბრუნდება სამშობლოს, უბრუნდება ნუგეშად, უბრუნდება მოვალეობად, უბრუნდება გაფრთხილებად, უბრუნდება შეგონებად: „ვინც საქართველოს და აბხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა“.*

*ნატო მარშანიას ნაშრომი მოკრძალებული ცდაა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ტრადიციულ, მართალ ისტორიულ საფუძველზე დაყენებისათვის დიდი მოღვაწის, საქართველოს პატრიოტის, აფხაზი მამულიშვილის, აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის – დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ოჯახში, მისი სევდითმოსილი პორტრეტის ფონზე, ჩუმი დარდისა და, მაშინ აკრძალული ხსოვნის ატმოსფეროში აღზრდილი ადამიანის, მისი სულიერი და გენეტიკური მემკვიდრის ემოციური ცდა, დავიწყების წყვდიადს გამოსტაცოს დიდი და ღვაწლმოსილი წინაპრის ძვირფასი აჩრდილი...*

***დიანა ტყებუჩავა,***
***ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.***
***2012 წ.***

## ციტირებული ლიტერატურა, დოკუმენტები და საარქივო მასალები:


1. История Абхазии, 10-11 класс, О.Х.Бгажба, С.З.Лакоба, 2006, Сухум.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრ. საისტ.არქ. ფონდი 1833. აღ. 1. საქ. № 52.
3. საქ. ეროვ. არქ. ცენტრ. საისტ. არქ. ფონდი 1833, აღ.1. საქ. № 52.
4. არზაყან ემუხვარი – საქართველოს აფხაზი პატრიოტი, ზ.გურული, ჟ. «გზა», № 16, 2000 წ.
5. ნონა ქობალია, გული არზაყან ემუხვარისა, გაზ. «აფხაზეთის ხმა», 1991, 13 ნოემბერი.
6. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფ.7. აღწ. საქმე #1637.
7. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 7. საქ. #1628.
8. კ. კანდელაკი, არზაყან ემუხვარი, „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1939, #155.
9. ქუთაისის ნაციონალური არქივი, ფონდი №5, აღ. 1. საქმე #434.
10. იქვე.
11. ქუთაისის ნაციონალური არქივი, ფონდი №5, აღ. 1. საქმე# 433
12. ვლადიმერ ემუხვარი,დიმიტრი ემუხვარი, ჟურნალი «კავკასია», #4-5, აპრილი, მაისი, 1939, ბერლინი.
13. ნონა ქობალია, გული არზაყან ემუხვარისა, გაზ. «აფხაზეთის ხმა»,13 ნოემბერი, 1991.
14. ვლადიმერ ემუხვარი,დიმიტრი ემუხვარი, ჟურნალი «კავკასია», 4-5, აპრილი, მაისი, 1939, ბერლინი.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრ. საისტ.არქ. ფონდი 113. აღ. 2. საქ. №216(1).
16. იქვე.
17. იქვე.
18. იქვე.
19. იქვე.
20. იქვე.
21. პ. ქურდოვანიძე, ქართულ -აფხაზური ალბომი, თბილისი, 2008 წელი, CEZANNE.
22. გიორგი ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, თბილისი, 2011.
23. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 113. აღწ. 2. საქმე 216(1).

24. იქვე.
25. იქვე.
26. იქვე.
27. იქვე.
28. იქვე.
29. იქვე.
30. იქვე.
31. ბ.არიძე, «ბრძოლის ხმა», №11,1939 წელი, პარიზი
32. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 251.
33. აკაკი ოქუმელი -არზაყან ემუხვარი, «დამოუკიდებელი საქართველო», 1939 წ, №155, პარიზი.
34. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831,საქმე #251.
35. იქვე.
36. Г.А. Дзидзария, Очерки истории борьбы за Советскую власть в Абхазии, 1917-1921гг.
37. დოკუმენტი გივი ემუხვარის პირადი არქივიდან (დედანი)
38. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან- აფხაზეთი, თბილისი, 2007.
39. მაია ნადარეიშვილი, მეოთხე კდელის ნგრევა, თბილისი, 2008.
40. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Tбилиси, 1977.
41. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან-აფხაზეთი, თბილისი, 2007.
42. იქვე.
43. იქვე
44. იქვე
45. Г.Дзидзария, Очерки борьбы за советскую власть в Абхазии,1917-1921гг.
46. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან-აფხაზეთი, თბილისი, 2007.
47. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии». Tбилиси, 1977.
48. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან- აფხაზეთი, თბილისი, 2007.
49. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1861. აღწ.2. საქ.122.

50. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან- აფხაზეთი, თბილისი, 2007.
51. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრ. საისტ. არქ. ფონდი № 1861. აღ.1. საქ.120.
52. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან-აფხაზეთი, თბილისი, 2007.
53. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии». Тбилиси, 1977.
54. ჯ.გამახარია, წმ. აღმსარებელი ამბროსი(ხელაია) და აფხაზეთი. თბილისი,2006.
55. იქვე
56. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრ.საისტ.არქ. ფონდი 1861 აღ. 1. №.254 ფურც 1.
57. საქ. ეროვ. არქ. ცენტრ. საისტ. არქ. ფონდი 1861, აღ.2. საქ. № 120
58. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან-აფხაზეთი, თბილისი, 2007.
59. იქვე
60. საქ. ეროვ. არქ. ცენტრ. საისტ. არქ. ფონდი 1861, აღ.2. საქ. № 120
61. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან- აფხაზეთი, თბილისი, 2007
62. საქ. ეროვ. არქ. ცენტრ. საისტ. არქ. ფონდი 1861, აღ.2. საქ. № 120
63. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან- აფხაზეთი, თბილისი, 2007
64. საქართველოს ეროვ. არქ. ცენტრ. საისტ. არქ. ფონდი 1861, აღ.2. საქ. № 120
65. Газ. «Наше слово», 1920 г. №158
66. ჯ.გამახარია, ლ.ახალაძე, მ.ბარამიძე და სხვ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან- აფხაზეთი, თბილისი, 2007
67. იქვე
68. Г.А. Дзидзария, Очерки истории борьбы за Советскую власть в Абхазии.1917-1921гг.
69. იქვე
70. გ.შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4. თბილისი, 2003.
71. ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, რუსთაველის საზ. გამომცემლობა «სარანგი», თბ., 1990.
72. მეოთხე კედლის ნგრევა, მაია ნადარეიშვილი, გამომც. "უნივერსალი", თბილისი, 2008.

73. ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, რუსთაველის საზ. გამომცემლობა «სარანგი», თბ., 1990.
74. კ.გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი,1936.
75. გაზ. «თავისუფალი საქართველო» №7. 1921. ქართული ემიგრაციის მუზეუმი.
76. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117. აღ.1. საქ.215.
77. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117. აღ.1. საქ.157.
78. იქვე
79. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117. აღ.1. საქ.215.
80. კ.გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი,1936.
81. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №2117. აღწ.1.საქ.258.
82. ГАРФ, фонд 5765, оп. 2. Дело 1078. Л.1-2-3.
83. კ.გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი,1936.
84. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი, 1891 აღ. 4 .#204.
85. იქვე
86. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117აღ.1. საქ.157
87. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი. გ.შარაძის კერძო კოლექცია.
88. ა.ნიკოლეიშვილი, ქართველოლოგიური ეტიუდები-1ტომი, „ქუთაისი“,2010.
89. П.Судоплатов, Операция «Коридор»
90. გ. სულაძე,"ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები",თბ., 2010წ.
91. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117აღ.1. საქ.157
92. შ.მაღლაკელიძე, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მოგონებანი, თბილისი, 1994 წ. გამომც. «განათლება».

93. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117აღ.1. საქ.157
94. იქვე
95. იქვე
96. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №2117. აღწ.1. საქ. 157.
97. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №2117. აღწ.1. საქ. 158.
98. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2177. აღ.1. საქ..258.
99. იქვე
100. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №2117. აღწ.1.საქ.340.
101. იქვე
102. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1861, აღწ1. საქმე 263.
103. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი. გ.შარაძის კერძო კოლექცია.
104. იქვე
105. იქვე
106. იქვე
107. იქვე
108. საქ. ეროვნული არქივი, საქ./4. ფ./516
109. გაზ. "ქუთაისი", 1991, № 169, სექტემბერი.
110. ზაურ კვარაცხელია, აფხაზთა ქვეყანა, გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», №156. 2009 წ. 7 აგვისტო.
111. გაზ. «აფხაზეთის ხმა», 1991 წ.16 ივლისი, » №119.
112. გაზ. «რეზიუმე», 1998 წ. № 50.
113. გაზ. «ქუთაისი», 1991 წ. 7 სექტემბერი.
114. ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი, გაზ. «სვობოდნაია გრუზია», 1991 წ. 25 ივნისი.
115. დ.ტყებუჩავა, ვარიანული ვაზივით (დოკუმენტური მოთხრობა), ჟ.«ხელეური», 2009 წ. №4.
116. გივი ემუხვარის პირადი არქივიდან.
117. ბ.არიძე, «ბრძოლის ხმა», №11,1939 წელი, პარიზი.
118. ნონა ქობალია, გული არზაყან ემუხვარისა, გაზ. «აფხაზეთის ხმა», 1991, 13 ნოემბერი.

119. ი.ჭავჭანიძე, არ.ემუხვარის უკანასკნელი დღეები და მისი დასაფლავება, გაზ. «დამოუკიდებელი საქართველო», პარიზი, 1955.
120. იქვე.
121. ვლ.ემუხვარი, არზაყან ემუხვარი, ჟ. «კავკასია», ბერლინი, № 4-5,1939 წელი.
122. ბ.არიძე, «ბრძოლის ხმა», №11. 1939 წ, პარიზი
123. ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 251.
124. კ.კანდელაკი, ”დამოუკიდებელი საქართველი”, #155, 1939, პარიზი.
125. ივ.ჯავახისვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ემიგრაციის მუზეუმი.
126. ნონა ქობალია, გული არზაყან ემუხვარისა, გაზ. «აფხაზეთის ხმა», 1991, 13 ნოემბერი.
127. გ. შარაძე, ფრანგული დღიური, თბილისი, 1990 წ. ”ცოდნა”.
128. ნ. კორსანტია – ”არზაყან ემუხვარი -აფხაზი და ”ქართველი პატრიოტი” «ჩემი აფხაზეთი», №10, 2010 წლის აპრილი.
129. იური მარშანია, გზა ხსნისა ერთადერთია ,,-ახალგაზრდა კომუნისტი‘‘-№ 6,16 იანვარი,1990 წელი.
130. Газета ”Аргументы и факты" №10, 2012.

## *შინაარსი*


წინათქმა....................................................................6

§1. თარაშ ემხვარის პროტოტიპის პროფილი და ანფასი ....................................................................12
§2. დამოუკიდებლობა და „ველიკორუსული“ ნაღმები..........65
§3. უკანასკნელი დადგენილება..........................................96
§4. „დაჰყავი და იბატონეს“ პოლიტიკა.............................106
§5. ოაზისები ემიგრაციის უდაბნოში ..............................199
§6. რეკვიემი – იქ და აქ....................................................262
§7. 70 წლის შემდეგ...........................................................302

რედაქტორის ბოლოთქმა.....................................................314
ციტირებული ლიტერატურა, დოკუმენტები და საარქივო მასალები ....................................................................317

გამომცემლობა *„უნივერსალი"*

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge